ეროვნული ბიბლიოთეკა

# მებრძოლი საქართველო

ქართული ეროვნული საბჭოს ორგანო

„LA GÉORGIE COMBATTANTE"

მაისი 1989 - Nr. 7(25) - MAI 1989

"ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს". ილია

9 აპრილი - ეროვნული ბრძოლის დღე

რა ხდება საქართველოში?..........1
მემორანდუმი ხ. პერეს დე კუელიარს..........3
9 აპრილი, 1989 წელი: დოკუმენტაცია..........5
"დრო ლამაზი სიტყვებისა წავიდა"..........16
ეროვნული გლოვის დღე..........17
9 აპრილი და ქართული პოლიტიკური ემიგრაცია..........17
მოკლულთა არასრული სია..........18
პოლიტიკა - შესაძლებლობის ხელოვნებაა..........19

საქართველოს დამოუკიდებლობის 71 წლისთავი

26 მაისი..........20
საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი..........23
საქართველოს ეროვნული ჰიმნი "დიდება"..........24
საქართველოს მთავრობა..........26
საქართველოს საერთაშორისო ცნობის საკითხი..........27
საქართველოს ცნობა..........28
1920 წლის 7 მაისის საზავო ხელშეკრულების უფლებრივი ხასიათი..........30

საფრანგეთის დიდი რევოლუციის 200 წლისთავი და საქართველო

"ახალი ეპოქის დასაწყისი": 4 ივლისი - 14 ივლისი - 26 მაისი..........32
რევოლუციის "პიესა"..........57

ჩვენი საჭირბოროტო საკითხები

დავით აღმაშენებელი და მებრძოლი საქართველო..........57
რა მოგვიტანა 1988 წელმა?..........60
ყარაბაღის მაგალითი..........63
"ემოციური შენიშვნები"..........65

პ უ ბ ლ ი ც ი ს ტ ი კ ა

გაორებული სულის პოეტი და მხედარი..........73
"გარდაქმნა-საჯაროობა-დემოკრატიზაცია" და ჩვენ (წერილი მესამე)..........76
საქართველოში პირველი დემოკრატიული არჩევნების 70 წლისთავი..........83

საქართველო - ნადიმისა და პოეზიის ქვეყანა

იმ საღამოს..........85
საქართველოს დავრიში..........85
სიმღერა..........86

ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ყოფა-ცხოვრება

გიორგი გვაზავას დაბადების 120 წლისთავი..........86
ქართული სათვისტომოს კრება პარიზში..........87
ქართული ემიგრაციის კრება პარიზში..........88

"დემოკრატიის ორგანოა მოქალაქეთა უმრავლესობა. აქედან წამომდგარი ხელისუფლება არის მომქმედი, მჭრელი, მებრძოლი". ნოე

დაარსდა: იანვარი, 1952, პარიზი - Fondation: Janvier 1952, Paris

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 9 აპრილი - ეროვნული ბრძოლის დღე

## რა ხდება საქართველოში?..

I.

რა ხდება საქართველოში? - ვაყენებთ კითხვას, ვინაიდან - მიუხედავად გორბაჩოვისეული "გარდაქმნა-საჯაროობა-დემოკრატიზაციის" მიმდინარე პროცესისა - "სარწმუნო ცნობები" საქართველოდან მაინც მეტად მწირე გამოდის საერთაშორისო არენაზე, და მეტად ძნელია უცხოეთში მყოფ ქართველისათვისაც კი გაიგოს საქმის ნამდვილი მდგომარეობა დღეს საქართველოში; მით უმეტეს, რომ ამ სტრიქონების დამწერი იძულებულია დაეყრდნოს მხოლოდ იმ ცნობებს, რომლებსაც გვაწვდის ევროპის დემოკრატიული ქვეყნების პრესა. ეს კი, გასაგებია, მეტად მწირე ინფორმაციაა, რომ შეფასებულ იქნას პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ა დ საქართველოში მიმდინარე თუ მომხდარი მოვლენები ამ უკანასკნელ ხანებში.

II.

მაგრამ ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ხმაც ხომ უნდა ისმოდეს აღნიშნული "გარდაქმნა-საჯაროობა-დემოკრატიზაციის" მსვლელობის რთულ პროცესში?!.. მაშინ, რა შეგვიძლია ვთქვათ ამჟამად? - ჯერ შევაჯამოთ უკანასკნელ წლებში მომხდარი მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლის ამოსავალ წერტილად, შეიძლება, 1956 წლის 9-ა მარტის სტუდენტებისა და ახალგაზრდა მუშების მასობრივი დემონსტრაციები ჩაითვალოს, რომელიც ხრუშჩოვმა, სტალინური წესით, ჩაახშო, რასაც მოყვა ასობით მოკლული და დაჭრილი.

III.

შემდგომი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 1978 წლის 14 აპრილის მასობრივი დემონსტრაცია, თბილისში, ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის დაცვის მიზნით, რაც დაკმაყოფილებულ იქნა და ქართული ენა ისევ აღიარებულ იქნა საქართველოს კონსტიტუციაში როგორც სახელმწიფო ენა.

IV.

მაგრამ მოსკოვის პარტიულმა ხელმძღვანელობამ "მური იძია" იმით, რომ "აგვიჯანყა" ჩვენი ძმების - აფხაზების - ზოგიერთი გარუსებული ელემენტები, რომლებიც მოკალათებული არიან მოსკოვში; და მოსკოვის პარტიული ხელმძღვანელობა ამ თითო-ოროლა გარუსებულ აფხაზებს იყენებენ ქართველებსა და აფხაზებს შორის შუღლისა და მტრობის გაღვივებისათვის, როცა ასეთ "დაყოფისა და დანაწილების" დიდმპყრობელურ-შოვინისტურ პოლიტიკას საჭიროდ ჩათვლის მოსკოვი, ქართველი ერის ეროვნული თავისუფლებისაკენ მისწრაფების ჩასახშობად; და გასაკვირია, გაუგებარია, რომ თითო-ოროლა აფხაზი წამოეგო მოსკოვის ამგვარ შოვინისტურ, იმპერიალისტურ ანკესზე!..

V.

ამგვარად, 1978 წლის 14 აპრილის მასობრივ დემონსტრაციებს მოსკოვის დიდმპყრობელური, შოვინისტური, რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ, მოსკოვმა უპასუხა აღნიშნული თითო-ოროლა გარუსებული აფხაზის ვითომდა "დემონსტრაციებით" სოხუმში, ვითომდა ქართული "იმპერიული" პოლიტიკის წინააღმდეგ აფხაზეთში. ამით კი მოსკოვის პარტიულმა ხელმძღვანელობამ - არაპირდაპირ გვითხრა: თუ თქვენ ჩვენს ბატონობას ქართველ ერზე, საქართველოზე არ მიიღებთ, მაშინ ჩვენ ისე აგირევთ საქართველოში მდგომარეობას, რომ ჩვენ, ე.ი. მოსკოვის პარტიული ხელმძღვანელები, მაინც "წესრიგის დამყარების ძალა" დავრჩებით, და თქვენზე ბატონობას - გსურთ თქვენ ეს თუ არა - მაინც განვაგრძობთ, როგორც ეს იყო ამ უკანასკნელი თითქმის ორასი წლის განმავლობაში.

VI.

წამოეგენ რა მოსკოვის დიდმპყრობელურ-შოვინისტურ ამგვარ მაქიაველურ ანკესზე, აღნიშნულმა თითო-ოროლა აფხაზმა დაიწყეს ღია თუ ფარული დევნა ქართველებისა აფხაზეთში, რომლებიც აფხაზეთის მთელი მოსახლეობის თითქმის ნახევარს შეადგენს, - და დაიწყეს ქალაქებში და ქუჩებში ქართული წარწერების დამსხვრევა, და არა რუსული წარწერებისა, რაც ამ ადამიანთა აზროვნების დაჩლუნგებად უნდა იქნას მიჩნეული, ვინაიდან ყოველი ქართველისა და ყოველი აფხაზისათვის რუსული ენა არის იმპერიული, გარუსების ბასრი იარაღი და არა ქართული ენა, რომელიც ათასწლეულების განმავლობაში აფხაზ-ქართველთა საერთო საუნჯეს წარმოადგენდა და დღესაც წარმოადგენს, თუმცა მოსკოვის დიდმპყრობელ-შოვინისტებმა აფხაზებს ქართული ანბანი რუსული ანბანით შეუცვალეს.

4260

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

VII.

და,ყველა აღნიშნული და სხვა მრავალი ისტორიული ფაქტის ფონზე, გამოჩნდა გორბაჩოვისეული "გარდაქმნა-საჯაროობა-დემოკრატიზაცია", რომლის პროცესში ყველაზე უფრო ყალბათ საკითხი დასვეს ჩვენმა მეზობლებმა - სომხებმა, როცა ეროვნული თავის-უფლებისათვის ბრძოლის სამაგიეროთ, დაიწყეს ტერიტორიალური "წაგლეჯა-წამოგლეჯის" ვაი-პოლიტიკური მოქმედება და მოითხოვეს ყარაბაღის ავტონომიური ოლქის სომხეთთან შეერთება. ამგვარმა ვაი-პოლიტიკამ, გასაგებია, გამოიწვია აზერბაიჯანელები, რომლებმაც - გონივრული მოქმედების სამაგიეროთ - "ცეცხლზე ნავთი დაასხეს" და დაიწყეს სომხების ყოვლად დაუშვებელი დევნა აზერბაიჯანში. და რა შედეგი გამოიღო ამგვარმა ვაი-პოლიტიკამ?..

VIII.

მოსკოვის პარტიული ხელმძღვანელობამ მიაღწია იმას, რომ კავკასიის ერები და ეროვნებები გადაკიდა ერთმანეთს("დააღნაწილე და იბატონე") და თვითონ გამოდის "ოპეკუნის" როლში, და ამისათვის საბჭოთა კავშირის კონსტიტუციაც კი შეცვალა, რომ ყარაბაღზე ბატონობა უშუალოდ მოსკოვის ხელში გადასულიყო, რაც უკვე განხორციელებულია, თუმცა ყარაბაღის ტერიტორია მაინც აზერბაიჯანის ტერიტორიის ნაწილი რჩება.

IX.

და ამ ფაქტში არსებითია არა ის - სამართლიანი თუ უსამართლოა ყარაბღის ტერიტორიის მითვისების მოთხოვნა სომხების მიერ - არამედ ის, რომ ეროვნული თავისუფლების მოთხოვნის სამაგიეროთ, დავა დაწყებულია ტერიტორიის ამა-თუ-იმ ნაჭერის - სამართლიან თუ უსამართლო - მითვისებაზე. რა თქმა უნდა, საქართველოს, ქართველი ხალხის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ სომხეთისა და აზერბაიჯანის ამ საზიანო და სრულიად არასაჭირო დავაში არც ერთსა და არც მეორეს არ მიმხრობია. მაგრამ ეს საკმარისია?..

X.

არა მარტო "მოქმედება", არამედ "უმოქმედებაც" რომ დანაშაულია; ამის დამადასტურებელ მაგალითებს ხომ არ გვაძლევს ის მოვლენები, რომლებსაც ახალ ადგილი აქვს საქართველოში?..

XI.

დემონსტრანტებმა საქართველოში, უნდა ითქვას, არა მარტო სამართლიანად გაილაშქრეს თითო-ოროლა აფხაზის პრორუსული, საქართველოს დამანგრეველი ვაი-პოლიტიკის წინააღმდეგ, არამედ, რაც მთავარია, მოითხოვეს საქართველოს გამოყოფა საბჭოთა კავშირიდან, ე.ი.მოსკოვიდან, ვინაიდან ეროვნული მუღლის ბუდე სწორედ მოსკოვია, რომელიც ყოველი საშუალებით - სპეციალური ჯარების ძალით, ერების და ეროვნებების ერთმანეთზე გადაკიდებით, დაშინებით - ცდილობს რუსეთის ამ უზარმაზარი, ხელოვნურად შეკოწიწებული იმპერიის შენარჩუნებას.

XII.

შეიძლება, მოთხოვნა გამოყოფილ იქნას საქართველოს საბჭოთა კავშირიდან,რაც პრაქტიკულად იქნებოდა რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობის დამყარება რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის საზავო ხელშეკრულების ბაზაზე, - ამჟამად,"არა-რეალურია". მაგრამ რა არის "რეალური" და რა -"არა-რეალური" ამის გადაწყვეტის უფლება აქვს მხოლოდმხოლოდ ქართველ ხალხს, ვინაიდან - როგორც ამბობენ ხოლმე - "ხალხის ხმა ღვთის ხმაა". მაგრამ "ძალა რომ აღმართ ხნავს?.."

XIII.

და ჩვენ, ქართველობას, საქართველოს რომ არავინ არ გვყავს საერთაშორისო არენაზე "საქართველოს საკითხი" დააყენოს საერთაშორისო ორგანიზაციების,ვთქვათ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის წინაშე?..

XIV.

და როცა- "ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დეკლარაციის" გვერდით-"ე რ ი ს უფლებათა საერთაშორისო დეკლარაცია" საერთოდ არ არსებობს?..

XV.

მიუხედავათ ყველა აღნიშნული და სხვა მრავალი"მანკიერებისა","9 აპრილი - საქართველოს ბრძოლის დღე" და"11 აპრილი - საქართველოს გლოვის დღე", მეტნაკლებად, მაინც ცნობილი გახდა მსოფლიოში პრესის თუ ტელეხედვის მეშვეობით, რაც,- სრულ სურათს თუ არა,- ნაწილობრივ, უთუოთ, ასახავს მდგომარეობას თუ "რა ხდება საქართველოში".როგორ უნდა დაუკავშირდეს საქართველო გარე-მსოფლიოს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

XVI.

და უკვე არ დადგა დრო იმისა, რომ ქართველობამ - "ოფიციალურად" თუ "არაოფიციალურად" - თავისი განყოფილებები შექმნას,ვთქვათ, პარიზში თუ ნიუ-იორკში, რომ მტერმა და მოყვარემ გაიგოს თუ რა ხდება საქართველოში?..

კარლო ინასარიძე
პარიზი,1989 წლის 9 აპრილი

Conseil National
Géorgien

ქართული ეროვნული საბჭო

CHATEAU DE LEUVILLE
91310- Leuville sur Orge
FRANCE

Tél (331)-6084-6151

პარიზი-ლევილი,23.4.1989 წ.

მ ე მ ო რ ა ნ დ უ მ ი

ბატონ ხ. პერეს დე კუელიას, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის
გენერალურ მდივანს(ნიუ-იორკი, აშშ)

პატივცემულო ბატონო ხ. პერეს დე კუელიარ!

1989 წლის 9 აპრილს, კვირას, თბილისში, საქართველოს დედაქალაქში, მოსკოვის ხელმძღვანელობის სპეციალური ჯარის ნაწილებმა,ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე,თავს დაესხნენ საქართველოს ახალგაზრდობისა და მშრომელების მშვიდობიან დემონსტრანტებს, რომლის დროს, საკლესის ოფიციალური ცნობის თანახმად, მოკლულ იქნა 19 კაცი და მრავალი დაიჭრა; არაოფიციალური ცნობებით, რომლებიც მიღებულ იქნა თბილისიდან, მოკლულთა რაოდენობა აჭარბებს 150-თ ადამიანს, ხოლო დაჭრილია ასობით მშვიდობიანი დემონსტრანტი.

დემონსტრანტები, როგორც სარწმუნო წყაროები იტყობინებიან, მოითხოვდნენ საქართველოს რესპუბლიკის გამოყოფას საბჭოთა კავშირიდან, ე.ი. იმ უფლებას, რომელიც განსაზღვრულია საბჭოთა კავშირის მოქმედი კონსტიტუციით. ამ კანონიერი და ლეგალური მოთხოვნის საპასუხოთ, საბჭოთა რუსეთიდან მოყვანილმა სპეციალურმა სამხედრო ნაწილებმა ცეცხლი გაუხსნეს მშვიდობიან დემონსტრანტებზე, რითაც მოსკოვის ხელმძღვანელობამ, კიდევ ერთხელ, დაარღვია არა მარტო "ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის" დებულებები, არამედ, ამასთანავე, ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის დასკვნითი აქტის დებულება, რომელიც განსაზღვრავს:"ყოველ ხალხს მუდამ აქვს უფლება სრული თავისუფლების პირობებში განსაზღვროს...საშინაო და საგარეო პოლიტიკური სტატუსი გარედან ჩაურევლად".

მოგაგონებთ აგრეთვე, რომ საქართველომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სუვერენობა ისევ აღადგინა 1918 წლის 26 მაისს, რუსეთის 117 ბატონობის შემდეგ, და 1920 წლის 7 მაისს საბჭოთა რუსეთის მთავრობამ, ლენინის მეთაურობით, საზავო ხელშეკრულება დადო საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან, რომლითაც დე ფაქტო და დე იურე იცნო საქართველოს დამოუკიდებლობა. მაგრამ ვ.ი.ლენინის მთავრობამ დაარღვია ეს საზავო ხელშეკრულება და დამოუკიდებელი საქართველო დაიპყრო იარაღის ძალით 1921 წლის თებერვალ-მარტში, და საქართველოში დაამყარა ბოლშევიკური დიქტატურა.

საქართველო, ქართველი ხალხი არასოდეს არ შერიგებია მოსკოვის იმპერიულ ბატონობას საქართველოში, რის შედეგა არაერთ მასობრივ აჯანყებებს ჰქონდა ადგილი საქართველოში უცხო დამპყრობლების წინააღმდეგ, რომელთაგან განსაკუთრებული სასალხო სახითია მიიღო 1924 წლის 28-29 აგვისტოს აჯანყებამ, რომელიც სისხლში ჩაახრჩო მოსკოვმა. საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ერთ-ერთი კულმინაციური ცენტილია აგრეთვე 1956 წლის 5-9 მარტის მასობრივი დემონსტრაციები თბილისში, რომელიც რუსეთიდან მოყვანილ სპეციალური ჯარის ნაწილებმა სისხლში ჩაახრჩო, რომლის დროს მოკლულ იქნა ასობით, ხოლო დაჭრილი ათასზე მეტი მშვიდობიანი დემონსტრანტი.

და ახლა, - ლენინის, სტალინისა და სრუშჩოვის მიერ ქართველი ერის სისხლით ხელის გასვრის შემდეგ, მიხეილ გორბაჩოვმაც,- მიუხედავათ თავისი ე.წ-ლი"გარდაქმნა-საჯაროობა-დემოკრატიზაციის" პოლიტიკისა, - გაისვარა ხელი ქართველი მშვიდობიანი დემონსტრანტების სისხლით.

ჩვენ მოგიწოდებთ თქვენ, როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს, ხმა აიმაღლოთ მოსკოვის დიდმპყრობელურ-შოვინისტური პოლიტიკის წინააღმდეგ, და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეის მორიგ სესიაზე წამოჭრათ "საქართველოს საკითხი", რადგან საქართველოში თვალსაჩინოდ დარღვეულ იქნა არა მარტო "ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის" დებულებები, არამედ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქარტიაც, რომელშიც ლაპარაკია "თანასწორობაზე...დიდი და პატარა ხალხებისა"; თუმცა "ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის" გვერდით, კაცობრიობა "ერის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის" შემუშავება-დამტკიცებას დიდი ხანია მოელის. ადამიანისა და ერის თავისუფლება ხომ ერთი მთლიანობაა!..

პატივისცემით,

ქართული ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე:

პარიზი-ლევილი, 1989 წლის 9 აპრილი

# Conseil National Géorgien

ქართული ეროვნული საბჭო

CHATEAU DE LEUVILLE
91310- Leuville sur Orge
FRANCE

Tél:(331)-6084-6151

Paris - Leuville
April 23, 1989

## MEMORANDUM

The Honorable Javier Perez de Cuellar
General Secretary of the United Nations
United Nations Headquarters, New York, N.Y., U.S.A.

Your Excellency!

On Sunday, April 9, 1989, peaceful demonstrations have taken place in Tbilisi, the national capital of the Georgian Socialist Soviet Republic, aimed at the separation of Georgia from the U.S.S.R. Fourty-three unarmed demonstrators were slain and more than 500 wounded, including women and children. As reported in the Soviet press in Moscow, even nerve gas was used against the demonstrators.

By bloodily suppressing the peaceful demonstration in Tbilisi, Soviet leaders violated the letter and spirit of the Soviet Constitution, which they must uphold, thus the Soviet law. They violated the letter and spirit of the Universal Declaration of Human Rights and the Helsinki Acts as well since the Soviet Union is the signatory of the latter international accord.

Your Excellency! We wish to remind the United Nations that Georgia is an ancient organized social and political state with roots in the antiquity. Tsarist Russia has usurped a feudal title to that state in 1801. The Georgian state was restored on May 26, 1918 by an act freely promulgated in Tbilisi by the Georgian National Council elected by the Georgian National Assembly.

Georgia's independence was subsequently given a de jure recognition by the Supreme Council of the victorious Allied Powers on January 26, 1921, and she was expected to accede to the League of Nations.

It is within this historical context that we wish to draw your attention to the formal recognition of the independent Georgia by the Soviet Government in the Peace Treaty of May 7, 1920, signed by the Russian Socialist Federal Soviet Republic and the Georgian Republic. Article I of the Treaty reads,

> "In accordance with the proclamation by the Russian Socialist Federal Soviet Republic of the right of all nations and peoples to selfdetermination, including the right to a complete separation from the state which they constitute a part of, Russia hereby unreservedly recognizes also the selfdetermination of the Georgian state and voluntarily surrenders all sovereign rights to the Georgian nation and territory."

Despite the Treaty, the Red Army invaded Georgia from five different directions. The Georgian Army was powerless to repell the invasion, especially since Turkey entered the conflict on the side of the Soviet troops.

In word and deed, the Georgian nation, like the member state nations of the United Nations, has never recognized the Russian Bolshevik dictatorship in Georgia. The Georgian people have resisted that dictatorship in their country in numerous local revolts, and nearly the entire population revolted against the Bolshevik regime on August 28-29, 1924, only to be put down in a bloodbath. Thousands were killed and tens of thousands wounded, arrested and deported to Siberia.

In the recent past, more than 200 demonstrating students and young workers were killed in Tbilisi and more than 1,000 wounded on March 9, 1956 by the Soviet troops, so we are not facing an isolated case of physical violence.

Under the general secretarialship of Mr. Gorbachev, yet another bloody suppression of a peaceful demonstration was tolerated in Tbilisi on April 9, 1989.

We call on the United Nations to use every means at its disposal for placing the Georgian Question on the General Assembly agenda, because the recent events in Tbilisi are not only a violation of the Universal Declaration of Human Rights. The massacre of April 9, 1989 also violates the United Nations Charter, which declares the equality of all nations, big and small.

Sincerly,

*Dr. Karlo Inasaridze*

Dr. Karlo Inasaridze

President of the Georgian National Council

## დ ო კ უ მ ე ნ ტ ა ც ი ა

აი, ზოგიერთი ცნობები - "9 აპრილი - ეროვნული ბრძოლის დღის" შესახებ, რომლებიც გამოქვეყნებულ იქნა პრესაში თუ გადაცემულ იქნა რადიო-ტელეხედვით მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში:

1.

"მოსკოვი("აჟანს-ფრანს-პრეს"). სისხლიანი შეტაკებების შემდეგ,თბილისში,კვირადღამოს, შემოიღეს საკომენდანტო საათები. საკლესმა დაადასტურა,რომ შეტაკებებისას დემონსტრანტებსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარებს შორის თბილისში მოკლულ იქნა 16 კაცი.

2.

"ქალაქში ღამით გასვლის აკრძალვა თბილისში არეულობების შემდეგ"; "16 მოკლული დემონსტრაციებისას. საქართველოს კომპარტიამ უარყო დემონსტრანტების მოთხოვნა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა",- ასეთი სათაურითა და ქვესათაურითაა გამოქვეყნებული ვრცელი ცნობა დასავლეთ-გერმანულ დიდ გაზეთ "ზიუდდოიჩე-ცაიტუნგ-ში", რომელიც, შემდეგ,სხვათა შორის, წერს: "დემონსტრანტებისა და უშიშროების ნაწილების შეტაკებისას, მოკლულ იქნა 16 კაცი და დაჭრილი,დაახლოებით, ორასი. რეიტერის დეპეშათა სააგენტოს ცნობით, ჯარისკაცები თავს დაესხნენ დემონსტრანტებს. მილიცია თითქოს შეეცადა შეეჩერებინა უშიშროების ნაწილები, რის შედეგად რამდენიმე მილიციელიც დაშავებულ იქნა".

"გასულ კვირაში - განაგრძობს გაზეთი - თბილისში ადგილი ჰქონდა მასობრივ დემონსტრაციებს, რომელშიც მონაწილეობდა ასი-ათასამდე დემონსტრანტი, რომლებიც პროტესტს აცხადებდნენ აფხაზების მოთხოვნაზე აფხაზეთი გამოეყოს საქართველოს. თბილისში დემონსტრაციებზე გადმოსროლილ იქნა აგრეთვე საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოთხოვნა."

3.

საქართველოს ტელეხედვის ცნობით, კვირადღით, 9 აპრილს, სოხუმში,ქალაქის ცენტრში, ქართველებმა მოაწყვეს დემონსტრაცია, რომელშიც მონაწილეობდა დაახლოებით 7.000-ი კაცი, რომლებიც ჯარისკაცებმა შეაჩერა. დემონსტრანტები პროტესტს აცხადებდნენ აფხაზების მოთხვნის წინააღმდეგ."
ტელეხედვა აგრეთვე იტყობინებოდა, რომ თბილისში, შეტაკებებისას,"დაშავებულ იქნა აგრეთვე 91 სალდათი, რომელთაგან 20 წაყვანილ იქნა საავადმყოფოში".

4.

საკლესის ცნობით, შეტაკებებს ადგილი ჰქონდა თბილისში, მთავრობის სასახლის წინ, კვირადღით. ჯარისკაცებს იარაღი არ უხმარიათ. მაგრამ ცნობაში ნათქვამი არ არის რა გზით მოკლული და დაჭრილ იქნა დემონსტრანტები. 8.000-ი დემონსტრანტი არ დაემორჩილა უშიშროების მოწოდებას დაშლილიყვნენ. ექსტრემისტებს უნდოდათ სისხლი და თავს დაესხნენ უშიშროების ნაწილებს", ნათქვამია შემდეგ ამ ცნობაში.

5.

გაზეთი "პრავდა",კვირას წერდა, რომ 18 მარტს აფხაზეთის სოფელ ლიხნში(!) ჩატარდა თავყრილობა,რომელშიც მონაწილეობა მიიღო რამდენიმე-ათასმა კაცმა და მოითხოვეს აფხაზეთის გამოყოფა საქართველოდან. 6 აპრილს კი აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ბორის ადლეიბა გადაყენებულ იქნა; ის, როგორც ჩანს, მხარს უჭერდა ამ მოთხოვნას. საქართველოს კომპარტიის ცეკას პირველმა მდივანმა - ჯუმბერ პატიაშვილმა - დაგმო აფხაზების გამოყოფის მოთხოვნა".

ეროვნული ბიბლიოთეკა

6.

"საკდესის ცნობით, ბორის ადლეიბამ წერილობით მიმართა საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცეკას გენერალურ მდივანს - მიხეილ გორბაჩოვს და მთავრობის თავჯდომარს ნიკოლაი რიჟკოვს,რომელშიც მოითხოვდა აფხაზეთის გამოყოფას საქართველოდან. კომპარტიის კრებაზე სოხუმში, აფხაზეთის კომპარტიის საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად არჩეულ იქნა - ვ. ჩიჩბა(!),რომელიც იყო საქართველოს გარემოს დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავჯდომარე," - დასძენს საკდესი.

7.

"აფხაზეთში - წერს "ფაინენშალ ტაიმსი" - ცხოვრობს ორჯერ უფრო მეტი ქართველები, ვიდრე აფხაზები და რუსები და სომხები არიან აფხაზეთის მოსახლეობის უფრო დიდი ნაწილი,ვიდრე აფხაზები ". გაზეთი განაგრძობს:"ნაციონალისტური ჯგუფის 30-ი წევრი შიმშილობდა თბილისში, მთავრობის სასახლის წინ,რომელთაც იცავდენ მილიციელები შინაგან საქმეთა სამინისტროს უშიშროების ნაწილების თავდასხმისაგან, რომელიც გარედან მოიყვანეს თბილისში არეულობების ჩასაქრობად. თბილისიდან ტელეფონით მიღებული დაუდასტურებელი ცნობით, მოკლულთა შორის არის 11-ი მილიციელი, რომლებიც ცდილობდენ დაეცვათ გაფიცულები შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარისკაცების თავდასხმისაგან. ერთმა მოწმე-ქალმა დაუდასტურა რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტს, რომ მილიციონერებს შეუტია უშიშროების ჯარისკაცებმა".

8.

"დიდ გაფიცვებს ჰქონდა ადგილი -"ფაინენშალ ტაიმსის" ცნობით - თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში უკანასკნელ დღეებში. ტრანსპორტის მოძრაობა შეჩერებულია ზოგიერთი გამონაკლისის გარდა".

9.

გაზეთი "შტუტგარტერ ცაიტუნგი" აქვეყნებს რეიტერის სააგენტოს ცნობას სოხუმიდან,რომელშიც ნათქვამია:
"ხმები სისხლიანი შეტაკებების შესახებ თბილისში, სოხუმში დაირხა შვიდიათასიან კაცი დემონსტრაციაზე. დემონსტრანტები აფრიალებდნენ დამოუკიდებელი საქართველოს დროშებს და მოითხოვდნენ საქართველოს გამოყოფას საბჭოთა კავშირიდან; ასეთივე ლოზუნგები გაისმოდა აგრეთვე თბილისშიც."

10.

"ასოშიეიტედ-პრესის" სააგენტოს შეატყობინა ტელეფონით - ლელა(!) არველაძემ, თბილისიდან, რომ გასული კვირის სამშაბათიდან მიმდინარეობდა გაფიცვები და დემონსტრაციები საბჭოთა კავშირიდან საქართველოს გამოყოფის და საქართველოს დამოუკიდებლობისათვის. ჯარისკაცებმა საველე ფარებითა და ხელკეტებით,როგორც მხეცები, დაერიან დაახლოებით ათი-ათას დემონსტრანტებს, და გამოიყენეს აგრეთვე ცრემლმდენი გაზი".

11.

გაზეთ "ფრანკფურტერ რუნდშაუს" ცნობის(10.4.89) სათაურია:"მოკლულები არეულობისას საქართველოში"; ქვესათაური კი -"დემონსტრანტები მოითხოვენ საქართველოს დამოუკიდებლობას მოსკოვიდან".

12.

როგორც საქართველოდან იტყობინებიან, წერს შემდეგ გაზეთი "ფრანკფურტერ რუნდშაუ", უკანასკნელ დღეებში გაფიცვა გამოაცხადეს 30-ი მოდიდო ფაბრიკა-ქარხნის მუშებმა; სკოლები დაიხურა; თბილისის საქალაქო მიმოსვლა თითქმის მთლად შეწყდა. ქალაქის ცენტრში მოძრაობს ტანკები და ჯავშნიანი ავტომობილები ჯარისკაცებით. პარასკევ საღამოს კი, საქართველოს კომპარტიის ცეკას პირველმა მდივანმა - ჯუმბერ პატიაშვილმა - მოუწოდა მოსახლეობას რადიოთ და ტელეხედვით თავშეკავება-დამშვიდებისაკენ. შაბათს კი საქართველოს პარტიულმა ხელმძღვანელობამ დაადასტურა:"საქართველო იყო, არის და იქნება სოციალისტური, სუვერენული რესპუბლიკა საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახში".

13.

დასავლეთ გერმანიის ტელეხედვის(10.4.89) ცნობით, დემონსტრაციებისას თბილისში, 9 აპრილს, კვირადღით, მოკლულ იქნა 150-ი კაცი. დემონსტრანტები ნაწილობრივ შეიარაღებული იყვნენ. მოკლულთა შორის არის 10-ი ქალი, რომელთაც კიდევ მიემატა ორი, რომლებიც საავადმყოფოში გარდაიცვალნენ.
ბავარიის რადიოს ცნობით(11.4.89), საქართველოს დედაქალაქ თბილისში დაპატიმრებულ იქნა 500 კაცი საკომენდანტო საათების დარღვევის გამო.

14.

"სისხლიანი რეპრესიები საქართველოში", "16 მოკლული და ათეულობით დაჭრილია ბალანსი ნაციონალური მანიფესტაციებისა თბილისში, შინაგან საქმეთა სამინის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტროს ჯარების ინტერვენციის შედეგად. მოსახლეობის აზრით კი გაცილებით მეტია მსხვერპლი", - წერს 11 აპრილის ფრანგული გაზეთი "ფიგარო", და დასძენს: "დამოუკიდებლობა საქართველოს" იყო დემონსტრანტების მოთხოვნა ამ უკანასკნელი ოთხი დღის განმავლობაში.

15.

"ფრანქფურტერ-ალგემაინე-ცაიტუნგი", 10 აპრილის ნომერში, წერს: "საქართველოში მოკლულები და დაჭრილები", "სიკვდილი რუს დამპყრობლებს", აი, ასეთი ლოზუნგებით ალუდგენ ტანკებსა და ჯავშნიან ავტომობილებს დემონსტრანტები. საქართველოში 1500 შინაგან საქმეთა ჯარების ჯარისკაცი ჩაიყვანეს ქალაქ გორკიდან და მოსკოვიდან, რომლებიც იცავენ მნიშვნელოვან შენობებსა და უწყებებს. კვირას თბილისში სუფევდა დაძაბული სიწყნარე.

16.

გაზეთი "იზვესტია" წერს: თბილისში გართულდა პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრება. გაზეთის აზრით, არეულობა საქართველოში გამოიწვია აფხაზთა ანტიკონსტიტუციურმა მოქმედებამ.

17.

"მოსკოვში გაიგეს აგრეთვე, - წერს "ფრანქფურტერ-ალგემაინე" -, რომ საქართველოს 27 მთავარ საწარმოში გაფიცვებია. სწავლა სკოლებში, უნივერსიტეტებში შეჩერებულია. თბილისში მუშაობს მხოლოდ საავადმყოფოები და სურსათ-სანოვაგის მაღაზიები. თბილისის დემონსტრანტებს მხარი დაუჭირა ქუთაისმა, რუსთავმა და გორმა. რუსთაველის გამზირზე, მთავრობის სასახლის წინ, 150 კაცი განაგრძობს საშიმშილო გაფიცვას. (10.4.89).

18.

"ტანკები თბილისის ქუჩებში. მოსკოვს უნდა არეულობის ჩახშობა". "ცნობები ჯარისკაცების მხეცობის შესახებ". "150-მდე მოკლული". - ასეთი სათაურითა და ქვესათაურით აქვეყნებს "ფრანქფურტერ-ალგემაინე" (11.4.89) ვრცელ ცნობას დემონსტრაციების შესახებ საქართველოში.

19.

"დე-პე-ახ", "ასოშიეიტედ-პრესის" და "როიტერის" სააგენტოების ცნობით მოსკოვიდან (10.4.89), - "საქართველოში ჩაყვანილი შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ნაწილები, წარმოუდგენელი სიმხეცით, მესანგრეთა ბასრი ბარებით და ხელკეტებით დაერიან დემონსტრანტებს. ჯარისკაცები მოქმედებდნენ არა როგორც ადამიანები, არამედ როგორც მხეცები. ბევრ მოკლულს თავი გატეხილი აქვს ბასრი ბარის პირის ჩაკვრით. სპეციალური ნაწილების ჯარისკაცებმა განაიარაღეს მილიციონერები, რომლებიც მაინც ცდილობდნენ დაეცვათ დემონსტრანტები. თბილისის ქუჩებში პატრულირებს ტანკები და ჯარისკაცები საბრძოლოთ აღჭურვილნი. იმავე წყაროებით, დემონსტრანტები მოითხოვდნენ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების ჩამოგდება და საქართველოს საბჭოთა კავშირიდან გამოსვლას. დემონსტრანტებიდან ზოგიერთი "ექსტრემისტი" აღჭურვილი ყოფილან ქვებით, ხელკეტებით და ლითონის ობიექტებით.

20.

"ფაინენშალ-ტაიმსი" (11.4.89) ასეთი სათაურით აქვეყნებს ცნობას: "შევარდნაძე გააგზავნეს საქართველოში, რომ დააშოშმინოს არეულობა". ჯონ ლოიდი, ამ გაზეთის კორესპონდენტი მოსკოვში, კი წერს:

გენადი გერასიმოვმა, საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა, განაცხადა, რომ თბილისში არეულობისას მოკლულ იქნა 10-ი ქალი და 6-ი კაცი; დაახლოებით ორასი კაცი დაიჭრა. მათგან, მძიმედ დაჭრილი ერთი თუ ორი ქალი გარდაიცვალა საავადმყოფოში. გერასიმოვმა საგანგებოდ აღნიშნა, რომ ჯარისკაცებს ცეცხლი არ გაუხსნია დემონსტრანტებზე.

21.

"საქინფორმის" ცნობით, მოკლულ იქნა 30-ი კაცი; სხვა ცნობებით კი მოკლულ იქნა 45-ი კაცი.

კარლო ზანდარაძემ, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელმა, დაურეკა მოსკოვში დისიდენტების ჟურნალის "გლასნოსტ-ის" რედაქციას და აცნობა, რომ 150-ი კაცი გარდაიცვალა საავადმყოფოში. სხვა თბილისელებმა აცნობეს დასავლეთის სააგენტოებს, რომ ჯარისკაცებმა გასაფრთხილებლად ისროლეს ჰაერში. სარწმუნო ცნობების მიღება შეუძლებელია, ვინაიდან ჟურნალისტებს არ აძლევენ საქართველოში წასვლის უფლებას და თვით ტელეფონის საზსაც ახშობენ ისე, რომ თბილისიდან ძნელია რამე გაიგო ტელეფონით.

22.

ჯონ ლოიდი("ფ.ტ.,11.4.89) იტყობინება, რომ ედუარდ შევარდნაძე და საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცეკას მდივანი - გიორგი რაზუმოვსკი - ჩავიდნენ თბილისში და დაესწრნენ საქართველოს კომპარტიის ცეკას ბიუროს სხდომას,რომელზედაც მდგომარეობა საქართველოში "მეტად დაძაბულად" იქნა მიჩნეული. არაოფიციალური ცნობებით,თბილისში ადგილი ჰქონდა პატარა მასშტაბის ხოცვა-ჟლეტას. სულ ცოტა 30-ი კაცი იქნა მოკლული, როცა ჯარისკაცები მხეცებივით დაერია დემონსტრანტებს. მილიციონერები, რომლებიც შეეცადნენ დემონსტრანტების დაცვას, მოკლულ იქნენ ჯარისკაცებისაგან; სულ 11 მილიციონერი.

23.

კარლო ზანდარაძემ აცნობა აგრეთვე "გლასნოსტ-ის" რედაქციას მოსკოვში, რომ კვირადილით, სტუდენტთა დემონსტრაციაზე, ცეცხლი გახსნეს სპეციალური ნაწილის ჯარისკაცებმა და ორმოცამდე სტუდენტი ეყარა ქუჩაში მკვდრები და დაჭრილები.

24.

ეხება რა ე.წ-ლი"სახალხო დეპუტატების"არჩევნებს საქართველოში, ჯონ ლოიდი წერს, რომ საქართველოში ნაციონალურ დაჯგუფებებს არ წამოუყენებიათ საკუთარი კანდიდატები. მათ მხარი დაუჭირეს კომპარტიის წევრს - აკაკი ბაქრაძეს, რომელიც მოითხოვს საქართველოს დამოუკიდებლობას, საქართველოს საკუთარი არმიის შექმნას, საქართველოს ბანკის დაარსებას და მილიციის შექმნას. ქართველები - დასძენს ჯონ ლოიდი - რჩებიან ყველაზე უფრო ნაციონალურად განწყობილი ერი მთელ საბჭოთა კავშირში.

25.

"შევარდნაძე კრიზისის მოსაგვარებლად საქართველოში", "ვიზიტზე აღმოსავლეთ ბერლინში უარითქვა", "დისიდენტების ცნობით 150-ი კაცი მოკლულ იქნა თბილისში არეულობების დროს",- ასეთი სათაურითა და ქვესათაურით აქვეყნებს ვრცელ ცნობას მოსკოვიდან, დასავლეთ-გერმანული დიდი გაზეთი "ზიუდდოიჩე-ცაიტუნგი" თავის 11 აპრილის ნომერში, და განაგრძობს:
გენადი გერასიმოვი, საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი, იტყობინება, რომ უმრავლესობა მოკლულებისა გაჭყლეტილ იქნა მასობრივი არეულობის დროს თბილისში. უცხოეთის პრესის წარმომადგენლების წინაშე გერასიმოვმა განაცხადა აგრეთვე, რომ შექმნილია თბილისის "განსაკუთრებული სამხედრო კომენდანტურა". საქართველოს კომრატიის ცეკას პირველმა მდივანმა - ჯუმბერ პატიაშვილმა ტელეხედვით განაცხადა, რომ ჯარისკაცები არ ყოფილა შეიარაღებული. ტელეფონით თბილისიდან იტყობინებიან, რომ თბილისის ქუჩებში გამოკიდებულია

შავი დროშები - ეროვნული გლოვის ნიშნად. ქართველი მილიციელები იცავდენ სიონის საპატრიარქო ტაძარს, სადაც მისვენებულ იქნა შვიდი მოკლულის ცხედარი. იმავე ცნობით, სპეციალური ნაწილების ჯარისკაცებმა დაშალეს დემონსტრაცია თბილისის უნივერსიტეტის ახლოს, რომლის დროს ტანკებიდან გაისმა გამაფრთხილებელი სროლა. ამ ხუთმეტწუთიანი მიტინგის დროს, დემონსტრანტებმა მოითხოვეს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ გამოიკვლიოს მდგომარეობა, რომელიც შეიქმნა სისხლიანი შეტაკებების შემდეგ საქართველოში.

26.

"სისხლიანი არეულობა თბილისში"; "მოსკოვის იყენებს სამხედრო ძალებს საქართველოში", - ასეთ სათაურსა და ქვესათაურს აძლევს ცნობას ავსტრიული გაზეთი "დი პრესე" საქართველოს შესახებ, თავის 10 აპრილის ნომერში, და,სხვათა შორის, წერს:დემონსტრაციაზე,თბილისში, შაბათ საღამოს, 8 აპრილს, რომელშიც მონაწილეობდა ორმოცდა-ათ-ათასზე მეტი კაცი, - გაისმოდა ძახილი: "ძირს რუსეთის დამპალი იმპერია".

27.

საფრანგეთის დიდ გაზეთ "ლე მონდმა" - 11 აპრილის ნომერში, ორი ცნობა გამოაქვეყნა საქართველოს შესახებ, რომლებშიც დაწვრილებითაა აღწერილი არეულობების მიზეზები და მსვლელობა საქართველოში. შაბათ-კვირა ღამით - წერს გაზეთი - ნამდვილ სისხლისღვრას ჰქონდა ადგილი. შაბათ-საღამოს, დაახლოებით ათიათასმა დემონსტრანტმა თავი მოიყარა საქართველოს მთავრობის სასახლის წინ, რუსთაველის გამზირზე. დემონსტრანტებს წინ მოუძღოდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II-ე, რომელმაც შესთავაზა შიმშილით გაფიცულებს - მათთვის ღიაა საპატრიარქოს ტაძრის კარები. მაგრამ ილია II-ეს ეს პირადი ინიციატივა - დაძაბული მდგომარეობა განემუხტა -, უშედეგოდ დამთავრდა.

28.

."სისხლი გარდაქმნაზე" - ასეთია სათაური ერთი ცნობისა, რომელიც გამოქვეყნებულია ფრანგულ გავრცელებულ ჟურნალში -"ექსპრეს"(21.4.89). ეს ჟურნალიც ეხება რუსთაველის პროსპექტზე, მთავრობის სასახლის წინ, გამოკრული პლაკატების წარწერებს, რომელთა შორის იყო ერთი დიდი პლაკატი წარწერით:"გორბაჩოვი მკვლელი".

---

29.

12 აპრილის გაზეთი "ზიუდდოიჩე-ცაიტუნგი" წერს: სამშაბათს, 11 აპრილს, საერთო გლოვა სუფევდა საქართველოში. სამშაბათი, 11 აპრილი გამოცხადებულ იქნა"ეროვნული გლოვის დღედ" - კვირას, 9 აპრილს, უშიშროების ძალებთან შეტაკებისას დაღუპული დემონსტრანტების მოსახსენებლად. მოკლულთა რაოდენობა , როგორც ცენტრალური საავადმყოფოს ექიმმა განაცხადა, - ოფიციალურად უკვე ცხრამეტია,ვინაიდან ერთი 32 წლის დაჭრილი საავადმყოფოში გარდაიცვალა. იმავე ექიმის ცნობით კი მოკლულთა რაოდენობა ორმოცდა-ათს აჭარბებს.
ერთი ქართველი ნაციონალისტის მეუღლე - ნანა ნათაძე - წერს გაზეთი - ტელეფონით გადმოსცა მოსკოვში, რომ -"ყოველი ადამიანი გლოვობს. ბევრი სამუშაოზე არ მიდის, რადგან თავს ცუდად გრძნობენ და ვერ მოდიან აზრზე". ავტომობილები და ავტობუსები შავებშია გახვეული; ადამიანები ჩაცმულია შავებში ან მკლავზე ატარებენ შავ სახვევს. "საქინფორმის" სააგენტო იტყობინება, რომ ყველა გასართობი წარმოდგენები გაუქმებულია. ზოგიერთ ფაბრიკა-ქარხნებში გაფიცვებია. ქუჩებში კი მოძრაობს ტანკები და ჯავშნიანი ავტომობილები ჯარისკაცებით, რომ ღამით გასვლის აკრძალვა - 23 საათიდან დილის 6 საათამდე - დაცულ იქნას. გაზეთ "იზვესტიას" ცნობით, სამშაბათს დაპატიმრებულ იქნა 464 კაცი, ვინაიდან ღამით გავიდნენ ქუჩებში. ამას გარდა, ბრძანება იქნა გაცემული 66.000-სი სასროლი იარაღი, რომლებიც კერძო პირების ხელშია, ჩაბარებულ იქნას ხელისუფლებისათვის.

30.

- ფიცუოტერმა -
ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის პრესის განყოფილების უფროსმა განაცხადა, რომ საქართველოში დემონსტრანტებსა და უშიშროების ჯარისკაცებს შორის შეტაკებისას - მოკლულ იქნა დემონსტრანტები. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ მოუწოდა საბჭოთა კავშირის მთავრობას მეტი მოთმინება გამოიჩინოს მშვიდობიანი დემონსტრანტებისადმი.

31.

დასავლეთ გერმანიის ტელეხედვამ(14.4.89) გადასცა საბჭოთა საქართველოს მთავრობის თავჯდომარის - ზურაბ ჩხეიძის - განცხადება საქართველოს ტელევიზიით, რომ 9 მარტს,თბილისში, მშვიდობიანი დემონსტრანტების ხოცვა-ჟლეტა "განზრახული მკვლელობა" იყო.

იმავე გადაცემაში აღნიშნულ იქნა ერთი ჯარისკაცის გამხეცებული დაყვირება მშვიდობიან დემონსტრანტებისათვის - "თქვენ გინდათ თავისუფლებისათვის სიკვდილი და მოკვდით" -, და ამ დროს ჩაურტყამს მესანგრის გალესილი ბარი თავში.

32.

რეიტერის დეპეშათა სააგენტოს მოსკოველი კორესპონდენტი მოსკოვიდან(15.4.89) იტყობინებოდა, რომ საქართველოს კომპარტიის ცეკას პირველი მდივანი - ჯუმბერ პატიაშვილი - გადაყენებულ იქნა და პირველ მდივნად არჩეულ იქნა საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავჯდომარე - გივი გუმბარიძე. გადაყენებულ იქნა აგრეთვე საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავჯდომარე - ზურაბ ჩხეიძე და მის ადგილზე დანიშნულ იქნა ნოდარი ჭითანავა.

33.

მოსკოვის რადიოს ცნობით(15.4.89), დაპატიმრებულ იქნა 328 კაცი. საბჭოთა არმიის ორგანო"კრასნაია ზვეზდა" წერს, რომ მცხოვრებლები ბრალს დებენ ჯარისკაცებს, რომ ისინი თავს დაესხნენ მშვიდობიან დემონსტრანტებს როგორც მკვლელები, არ დაზოგეს ქალები და ქალიშვილები და იყვნენ მთვრალები. ერთმა საექიმო ფაკულტეტის სტუდენტმა განაცხადა, რომ მან ნახა ცხედრები, რომლებიც მოკლულ იყვნენ მესანგრეთა ბასრი ბარებით. ასეთი ცნობები კი - გაზეთის აზრით - კიდევ უფრო აღელვებს მოსახლეობას. თბილისში სუფევს "დაძაბული სიწყნარე".

გაზეთი "ინტერნეიშნლ-ჰერალდ-ტრიბუნი"(11.4.89) აქვეყნებს მაია ლამაზარიანის, ერთი დისიდენტის შემდეგ სიტყვებს:"70-ი წლის შემდეგ, ხალხი ყველგან ხმამაღლა აყენებენ არსებით კითხვას: მოსკოვმა უნდა იბატონოს ქართველებზე? ესტონელებზე? უკრაინელებზე? სრულიად რომ არ მოვიხსენიოთ უნგრელები და პოლონელები?"

34.

ფრანგული გაზეთის "მონდ-ის" კორესპონდენტი მოსკოვიდან იტყობინებოდა, რომ (13.4.89)- გაზეთები "პრავდა" და "კრასნაია ზვეზდა" სასტიკად გაილაშქრენ "გადამდები" ნაციონალისტური მოძრაობების წინააღმდეგ საბჭოთა კავშირში. 14 აპრილის "ლე მონდი" კი აქვეყნებს მიხეილ გორბაჩოვის 12 აპრილს განცხადებას, რომელშიც მან მოუწოდა ქართველობას სიმშვიდისაკენ, მაგრამ სასტიკად გაილაშქრა "საბჭოთა სახელმწიფო სტრუქტურისა" და საბჭოთა სახელმწიფოებრივი საზღვრების შეცვლის წინააღმდეგ. ამავე დროს მიხეილ გორბაჩოვმა განაცხადა, რომ საჭიროა "გაფართოებულ იქნას მოკავშირე რესპუბლიკების უფლებები".

გაზეთი "მონდი" იქვე აქვეყნებს გეოგრაფიულ კარტასა და ცნობებს ქართველ ხალხისა და საქართველოს შესახებ:




RÉP AUT : république autonome RA : région autonome.

**La République socialiste soviétique de Géorgie, l'une des quinze Républiques fédérées d'URSS, compte 5,3 millions d'habitants dont 68,8 % de Géorgiens, 9 % d'Arméniens, 7,4 % de Russes, 5,1 % d'Azéris, 3,2 % d'Ossètes et 1,7 % d'Abkhazes.**

**Deux Républiques autonomes lui sont administrativement rattachées : la république autonome d'Abkhazie (capitale Batoumi), ainsi qu'une région autonome, l'Ossétie-du-Sud. L'Abkhazie, qui est apparemment à l'origine des troubles de ces derniers jours, a été rattachée à la Géorgie en 1921. Elle compte un demi-million d'habitants, parmi lesquels les Abkhazes sont minoritaires, les Géorgiens, Russes et Arméniens formant le gros de la population.**

**Le royaume de Géorgie a été annexé par la Russie en 1801. Après avoir proclamé son indépendance en 1918n, la Géorgie, terre natale de Staline, fut envahie par l'Armée rouge qui y établit un gouvernement soviétique en 1921. L'année suivante, elle fut intégrée à la République fédérée de Transcaucasie, avec l'Arménie et l'Azerbaïdjan. Elle devint République soviétique en 1936, à la suite de la dissolution de la République de Transcaucasie.**

35.

დასავლეთ-გერმანული დიდი გაზეთი "ფრანქფურტერ-ალგემაინე"(17.4.89),მოსკოვიდან მიღებული ცნობით, აქვეყნებს ედუარდ შევარდნაძის სიტყვის შინაარს, რომელიც მან წარმოთქვა თბილისში. შევარდნაძემ 9 აპრილის სისხლისღვრაში ბრალი დადო უმთავრესად საქართველოს ხელმძღვანელობას.მან დაიცვა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდალი - გენერალ-პოლკოვნიკი როდიონოვი, რომელსაც მოსახლეობა ბრალს დებს 9 აპრილის სისხლისღვრაში. მაგრამ შევარდნაძემ - წერს გაზეთი - არაფერი არ თქვა იმის შესახებ, რომ რატომ უნდა გადაიბაროს 9-ა აპრილის ხოცვა-ჟლეტის პასუხისმგებლობა საქართველოს ხელმძღვანელობამ, როცა ამის პასუხისმგებლობა მხოლოდ მოსკოვის პარტხელმძღვანელობას აკისრია.

მართალია, - განაგრძობს გაზეთი - შევარდნაძე სასტიკად გაილაშქრა "არაოფიციალური" დაჯგუფებების "თვითსარგებლობითი და კარიერისტული" მიზნების" წინააღმდეგ, მაგრამ, ამავე დროს, საქართველოს ხელმძღვანელობა გააკრიტიკა, რომ ღონისძიება არ მიიღო რომ არანორმალური ბარიერები არ შექმნილიყო პარტიასა და "მოსახლეობისა და საზოგადოების განსაზღვრულ ნაწილებს" შორის .

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასწრაფოდ დაგმო შევარდნაძემ "ნაციონალიზმი და შოვინიზმი". ბევრი მეკითხება მე - თქვა მან - სუვერენობაზე, დამოუკიდებლობასა და თვითგამორკვევაზე, მაგრამ ეს საკითხები არსებითად განხილულ იქნება საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცეკას მომავალ სავანგეო პლენუმზე, რომ კონსტიტუციაში ახლებურად განსაზღვრულ იქნას ურთიერთობა კავშირსა და მოკავშირე რესპუბლიკებს შორის.

36.

ფრანგული გაზეთი "ლე ფიგარო"(16.4.89) განსაკუთრებით აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ საქართველოს კომპარტიის ცეკას პირველ მდივნად - დანიშნულ იქნა საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავჯდომარე - გივი გუმბარიძე.

37.

"ასოშიეიტედ-პრესის" სააგენტო იტყობინებოდა,მოსკოვიდან,რომ სამშაბათს, 18 აპრილს, საკომენდანტო საათები გაუქმებულ იქნა თბილისში, როგორც ამას იტყობინება საქართველოს ტელეხედვის კორნალისტი ლეა უმანიშვილი.

მოსკოვის რადიოს ცნობით კი(18.4.89), საქართველოს ხელმძღვანელობამ საკომენდანტო საათების გაუქმების გადაწყვეტილება მიიღო ორშაბათს, 17 აპრილს, როცა თბილისში მდგომარეობა გაუმჯობესდა.

38.

ინგლისური გაზეთი "სანდეი-ტაიმსი", თავის 16 აპრილის ნომერში, ასეთ სათაურს აძლევს მის თითქმის ერთგვერდიან ცნობას საქართველოს შესახებ: "მისტერ წმინდა სახეს(ნაგულისხმევია ედუარდ შევარდნაძე) ბინძური საქმეთა საქართველოს არეულობაში", და წერს: "ჩვენ ქართველები - თქვა მან ერთხელ - ვართ გულსთა, გმირთა და პოეტების ქვეყანა, და ახლა გავხდით ქურდების, მექრთამეების და შავი ბაზრის ქვეყანათ". შევარდნაძემ, როგორც შინაგან საქმეთა მინისტრმა და შემდეგ კომპარტიის ცეკას პირველმა მდივანმა, "დააპატიმრა კორუფციისათვის 25.000-ი კაცი, მათ შორის 17.000-ი კომუნისტი და 70-ი სახელმწიფო უშიშროების თანამშრომელიო". "დიპლომატიურ და სასტუმრო ტანსაცმელში - ასხენს გაზეთი - შევარდნაძე ქმნის ოჯახის კაცის შთაბეჭდილებას. მისი მეუღლე - ნანული - ერთი კვირეული ჟურნალის ჟურნალისტია. მათ ჰყავთ ერთი ქალიშვილი - მანანა, და ერთი ვაჟიშვილი - პაატა, რომელიც სწავლობდა ინგლისურს იცინგ-კოლეჯში, დასავლეთ ლონდონში".

39.

"მშვიდობიანი საპროტესტო დემონსტრაცია გადაიქცა სისხლისღვრად თბილისში და გორბაჩოვის საბჭოთა ერის სახე უკვე გამურულია", - წერს თითქმის ერთგვერდიან ცნობაში საქართველოს შესახებ,"სანდეი ტაიმსი"(16.4.89), და განაგრძობს: "სისხლის ღვრა და სირცხვილი"; "კრემლმა შეეცადა კონტროლის ქვეშ მოექცია ნაციონალიზმი საქართველოში, გასულ კვირას, რაც გადაიქცა სოცა-ყლეტად,რომელიც ემუქრება გარდაქმნის მომავალს". "უშიშროების ჯარისკაცები დაგვესხნენ თავს - განაცხადეს დემონსტრანტებმა -, როგორც მხეცები". "ჯარისკაცები დაედევნენ ერთ ქალიშვილს, დაიჭირეს იგი ნახევარი მაილის გარბენის შემდეგ და მოკლეს ხელკეტებით". "ჯარისკეცები დაგვესხნენ თავს მესანგრეს ბარებით", - აი,ამონაწერების "სანდეი-ტაიმსის" ამ ცნობიდან.

40.

"საწამლავი გაზის გამოყენება საქართველოში დაადასტურეს","მოსკოვის კვირეული ჟურნალი 'მოსკოვსკიე ნოვოსტი' ბრალს დებს საქართველოს პარტიულ ხელმძღვანელობას არა-ადამიანურობაში", - იტყობინება მოსკოვიდან "ზიუდდოიჩე-ცაიტუნგის" კორესპონდენტი - ბერნჰარდ კიუპერსი,და წერს:

ჟურნალ "მოსკოვსკიე ნოვოსტი-ის" მრავარმა რედაქტორმა - იგორ იაკოვლევმა, რომელიც იყო თბილისში, ბრალი დადო საქართველოს პარტხელმძღვანელობას საწამლავის გაზის გამოყენებაში დემონსტრანტების წინააღმდეგ.

საბჭოთა კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის მიერ არჩეული ექვსი საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს სახალხო დეპუტატი, მათ შორის მწერალი ალექსანდრე გელმანი და კინორეჟისორი ელდარ შენგელაია უწოდებენ არმიისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარისკაცების მოქმედება მთავრობის სასახლის წინ,თბილისში, "დაუნდობელ ცემასა და მოწამვლას ასობით ადამიანებისა". გამხელილი არ იქნა, რომ დაჭრილებში 34-ი მილიციონერი იყო, რომლებიც დაჭრეს არა დემონსტრანტებმა, არამედ ჯარისკაცებმა.

41.

საქართველოს ჯანმრთელობის მინისტრმა - ირაკლი მენაღარიშვილმა - ინტერვიუში დაადასტურა, რომ ჯარისკაცებმადემონსტრანტების გაძევების დროს გამოიყენეს მესანგრეთა ბარები და "საწამლავი ქიმიური ნივთიერებანი". იმის საწინააღმ-

ლეგოთ, რომ თითქოს ჯარისკაცები შეიარაღებული არ იყვნენ, ლაპარაკობს ის ფაქტი, რომ ერთი ახალგაზრდა-დემონსტრანტი მოკლულ იქნა ტყვიით, რომელიც მას მოხვდა თავში.

42.

"სახალხო დეპუტატები", რომლებიც მოსკოვიდან თბილისში გამოიძახეს მათმა კოლეგებმა, განაცხადეს, რომ "ყველაფერი თბილისში იყო არაადამიანური დემონსტრაციების დაშლის დროს. "რატომ ურტყამდნენ დემონსტრანტებს მესანგრეთა ბარებს"და "რატომ იქნა გამოყენებული ცრემლმდენი და სხვა სახის უცნობი ქიმიური ნივთიერებანი?". დღემდე თბილისში ექიმებს არ გააცნეს "საწამლავი ქიმიური ნივთიერების" შემადგენლობა, რომ უექიმონ მოწამლულთ.

43.

საკომენდანტო საათები თბილისში გამოცხადებულ იქნა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდლის - იგორ როდიონოვის - მიერ 9 აპრილს საღამოს, რამდენიმე წუთით ადრე მის ძალაში შესვლამდე და გამოცხადებულ იქნა საქართველოს ტელეხედვით. ამიტომ მოსახლეობამ არ იცოდა, რომ გამოცხადებულ იქნა საკომენდანტო საათები, რის შედეგად ასობით ადამიანებით დაპატიმრებულ იქნენ. ერთი თბილისელი კი მოკლეს ჯარისკაცებმა, ვინაიდან ავტომობილი არ გააჩერა, - წერს "მოსკოვსკიე ნოვოსტი".

44.

გამოქვეყნებულ იქნა აგრეთვე მოწმეს -"ლიტერატურნაია გაზეტას" - ფოტოკორესპონდენტის - იური როსტისცნობა,რის თანახმად, ჯარისკაცებმა და სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილმა პირებმა სცემეს მას და დაუმტვრიეს კინოკამერა, როცა იღებდა სურათებს, რომლის დროს "გაქცეულ დემონსტრანტთა გუნდებში ცრემლმდენ ყუმბარებს ისროდნენ". მაგრამ მან შესძლო ერთი ნაწილი გადაღებული ფილმის გადარჩენა და მიაწოდა ერთ გაზეთს თბილისში. მიუხედავათ იმისა, რომ ხელისუფლებამ აკრძალა გაზეთი,რომელშიც იური როსტის ფოტოსურათები იყო გამოქვეყნებული, რამდენიმე ეგზემპლიარი მაინც დაურიგდა გაზეთის გამომწერებს.

45.

ამერიკულ მეტად გავრცელებულ ჟურნალში -"ტაიმ" - 1989 წლის 24 აპრილის ნომერში, სხვა მასალებს შორის საბჭოთა კავშირის შესახებ, გამოქვეყნებულია რეპორტაჟი 9 აპრილის სისხლის ღვრის შესახებ თბილისში. ამ ჟურნალში გამოქვეყნებულ ერთ ფოტოსურათზე, რომელზედაც ასახულია მთავრობის სასახლის ფასადი, თბილისში, დემონსტრანტებით, ნათლად მოსჩანს პლაკატები ქართულ და ინგლისურ ენებზე, როგორც, მაგალითად, -

"ძირს რუსეთის დამპალი იმპერია!"
"ოკუპანტებო წაეთრიეთ საქართველოდან!"
"ყველანი გაფიცვაზე!"
"Long live independent Georgia"="გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!"
"Russian invaders go home!"= "რუსო დამპყრობლებო წადით საქართველოდან!"
"Freedom for Georgia"="თავისუფლება საქართველოს!"

46.

დასავლეთ გერმანიის პირველმა ტელეხედვამ 21 აპრილს(1989) გადასცა შემზარავი სურათები 9 აპრილის სისხლისღვრის მსხვერპლთა დასაფლავებისა, რომლის დროს ერთი ქართველი დედა შემზარავი გოდებით გაჰყვიროდა:"შვილო, შენი თავი მომიკლეს საქართველოს თავისუფლებისათვის!"

47.

ბერნჰარდ კიუპერსი, დასავლეთ-გერმანული დიდი გაზეთის"ზიუდდოიჩე-ცაიტუნგის" მოსკოველი კორესპონდენტი იტყობინება, რომ(20.4.89) საბჭოთა მასობრივი ინფორმაციის საშუალებები იძლევა ცნობებს საწამლავი ნივთიერებათა გამოყენების შესახებ თბილისში, 9 აპრილის დემონსტრაციების დროს. საწამლავი გაზები გამოუყენებია შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარისკაცებს. გაზეთი "იზვესტია" იტყობინება, რომ გარედან შეყვანილმა ჯარისკაცებმა საქართველოში, უმთავრესად რუსებმა, გამართეს სისხლისღვრა თბილისის ქუჩებში არა მარტო მესანგრეთა გალესილი ბარებით, არამედ ქიმიური ნივთიერებებითაც, რომელთა შორის დასახელებულ იქნა "ატროპინი", რომელსაც ღებულობენ ველურ ბალახაგან და მოქმედებს ადამიანის ცენტრალურ ნერვიულ სისტემაზე,რასაც შეუძლია გამოიწვიოს აღელვება და დაბნეულობა გულისა და სუნთქვის დამბლის დაცემამდეც კი.

დემონსტრაციების შემდეგ, იმავე ცნობით, დაპატიმრებულ იქნა ექვსი წევრი თბილისის დისიდენტთა ჯგუფისა, რომლებიც საქართველოს დამოუკიდებლობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოთხოვნას აყენებენ. ესენია - ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, ირაკლი წერეთელი, გია ჭანტურია, ირინა სარიშვილი და ვანო ხუხანაშვილი.

48.

"ზარები დაასამარებენ გარდაქმნას?" - ასეთ სათაურს აძლევს თავის ცნობას ბერნჰარდ კიუპერსი(ზც-22.4.89) და განაგრძობს:"მოსკოვს სურს პასუხისმგებლობა ხოცვა-ჟლეტისა საქართველოში ჯარისკაცებს გადააბრალოს".

საქართველოს კომპარტიის ცეკას ახალი პირველი მდივანი - გივი გუმბარიძე - ერთი მხრივ - მშვიდობიან დემონსტრანტთა სისხლის ღვრაში ბრალს დებს საქართველოს ხელმძღვანელობას და - მეორე მხრივ - იმეორებს იმას,რასაც ამბობს 9 აპრილის ხოცვა-ჟლეტის შესახებ მოსკოვი. მაგრამ - განაგრძობს კიუპერსი - როგორც არმიის საპარაშუტო ნაწილები, ისე შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ჯარები მოქმედებენ ცენტრალური, ე.ი.მოსკოვის ბრძანებით. ვინ უნდა დაიჯეროს, როცა 7 აპრილს დემონსტრანტთა რიცხვი ასი-ათას აჭარბებდა, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდალმა მოსკოვს არ შეეკითხა თუ როგორ უნდა ემოქმედა?

49.

1989 წლის 24 აპრილის ნომერში, ცნობილი გერმანული ჟურნალი "დერ შპიგელ", რომელიც, როგორც ჩანს,დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს საწამლავი გაზების გამოყენებასაც კი თუ საქმე მოსკოვს ეხება, - მოკლე ცნობაში,როგორც ჩანს, "იძულებულია"თქვას:

"გაზი საქართველოში"; "ცნობილი მწერლები მოსკოვში მხარს უჭერენ ევგენი ევტუშენკოს მიერ დაწერილ პროტესტს ჯარისკაცების საშინელი მოქმედების წინააღმდ. საქართველოში. 9 აპრილს ჯარისკაცებს თბილისში უთხრეს, რომ მოწინააღმდეგენი შეიარაღებულია, მაგრამ თქვენ არ შეგიძლიათ ესროლოთ. არმიის ნაწილებს შორის იყო - განაგრძობს ჟურნალი- 1987 წელს შექმნილი საგანგებო ნაწილი, რომელიც აერთიანებს,უმთავრესად, ობოლთა საბავშვო ბაღებში გაზრდილ ახალგაზრდებს, რომელთაც მხოლოდ დაწყებითი განათლება გააჩნიათ.შეზარხოშებულ-დამთვრალები, როგორც ახლა ცნობილი გახდა, დაესხნენ თავს ბარებითა და საწამლავი გაზებით უიარაღო დემონსტრანტებს, როცა ისინი ლოცულობდნენ. მკვდრებთა შორის (ოფიციალურად სულ ოცი კაცი) იყო ორი დამხჩვალი ქალიშვილი და ერთი თავმოჭრილი ბავშვი. ეს ცნობა მოსკოვში უარყოფილ იქნა: ისინი გაჭყლეტილ იქნენ გაქცევის დროს. გენერალ იგორ როდიონოვმა, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდალმა, თბილისის გაზეთი "მოლოდიოჟ გრუზიი" გაანადგურა, რომელშიც გამოქვეყნებული იყო ცნობა 9 აპრილის ხოცვა-ჟლეტის შესახებ. დარიგებული ეგზემპლიარები კი საფოსტო ყუთებიდან ამოაღებინა.

დისიდენტებმა კინოფირში გადაიღეს დემონსტრანტების ხოცვა-ჟლეტის დროს. 138 დემონსტრანტი იმყოფება საავადმყოფოებში უცნაური ჭრილობებით. საქართველოს ჯანმრთელობის მინისტრის - ირაკლი მენაღარიშვილის - ცნობით,რომელიც პირველად აკრძალული,ხოლო შემდეგ გამოქვეყნებულ იქნა, - დაჭრილები "ქიმიური ნივთიერებებით" იქნენ მოწამლული...მეცნიერებათა აკადემიის ექიმებმა განაცხადეს, რომ ეს იყო "ნერვების გაზი ".

50.

"ასოშიეიტედ-პრესის" სააგენტოს ცნობით თბილისიდან(25.4.89), საქართველოს კომპარტიის ცეკას პირველმა მდივანმა - გივი გუმბარიძემ - აღიარა, რომ ჯარისკაცებმა დემონსტრანტების დაშლისათვის,თბილისში, 9 აპრილს, "ცრემლმდენი გაზის გარდა გამოიყენეს საწამლავი გაზი. დასავლეთელ ჟურნალისტების წინაშე,გივი გუმბარიძემ, ორშაბათს, 24 აპრილს, თბილისში, ჟურნალისტების შეკითხვაზე თუ გარდაიცვალნენ ადამიანები მოწამვლის შედეგად,- უპასუხა: "კი, ადამიანები გარდაიცვალნენ!"

51.

საბჭოთა არმიის სარდლობა კი ისევ უარყოფს, რომ დემონსტრანტების წინააღმდეგ გამოყენებულ იქნა საწამლავი გაზები. ქართველმა მეცნიერმა ნინო ჯავახიშვილმა(!), რომელიც გამომძიებლის კომისიის წევრია, განაცხადა, რომ ჯარისკაცების მიერ გამოყენებული საწამლავი გაზები იწვევს მეხსიერების დაკარგვას,ძლიერ თავის-ტკივილს და ბოლოს ნერვიული სისტემის დამბლას. "კიდევ არ ვიცით თუ რა სახის გაზი იქნა გამოყენებული. არმიას არ სურს ჩვენთან თანამშრომლობა ამ საკითხში", - დასძინა მან.

52.

"აჟანს-ფრანს-პრესის" ცნობით(25.4.89), გამომძიებელი კომისიის მუშაობა უნდა იქნას გაძლიერებული რეფორმების მომხრე მეცნიერთა - ანდრეი სახაროვისა და როი

მედვედევის - დახმარებით. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრმა - თამაზ გამყრელიძემ - განაცხადა, რომ სახაროვმა და მედვედევმა მიიღეს მიწვევა მონაწილეობა მიიღონ ცენტრალურ საგანგებო კომისიის მუშაობაში, რომელმაც უნდა გამოიკვლიოს 9 აპრილს,თბილისში მომხდარი სისხლის-ღვრის ამბები.

53.

მასობრივ საპროტესტო დემონსტრაციის დროს, მოსკოვში, პუშკინის მოედანზე, თბილისში მომხდარი ხოცვა-ჟლეტის გამო, შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარისკაცებმა დააპატიმრეს 47 დემონსტრანტი. ეს დემონსტრაცია მოწყობილ იქნა "დემოკრატიული კავშირის" მიერ, - იტყობინება "დოიჩე-პრესე-აგენტურ"-ი მოსკოვიდან(25.4.89).

54.

გაზეთ "ინტერნეიშნლ-ჰერალდ-ტრიბუნის"(24.4.89) ცნობით, "დემოკრატიული კავშირის" მიერ ორგანიზებულ მასობრივ დემონსტრაციაში მოსკოვში, პუშკინის მოედანზე", დემონსტრანტები გაჰყვიროდნენ თბილისში მომხდარი მშვიდობიანი დემონსტრანტების ხოცვა-ჟლეტის გამო -"სირცხვილი", "ფაშისტები". იმავე გაზეთის პირველ გვერდზე გამოქვეყნებულია დემონსტრანტთა დიდი სურათი.

55.

"კრემლი დაძაბულ მდგომარეობაშია" - ასეთი სათაური აქვს ცნობას საქართველოში მიმდინარე ამბებთან დაკავშირებით, ფრანგული დიდი გაზეთის "მონდის" ერთ ცნობას მოსკოვიდან(23.4.89), რომელშიც ვკითხულობთ, რომ ხუთშაბათ-საღამოს, 20 აპრილს, მოსკოვის მეტროში აღმოჩენილ იქნა ორი ბომბი, რამაც გამოიწვია მეტად დიდი დაძაბული შიში და ნერვიულობა საბჭოთა დედაქალაქში.

56.

გაზეთი "ფიგარო"(24.4.89) ასეთ სათაურს აძლევს ცნობას მოსკოვიდან:"დემოკრატიული კავშირის მანიფესტაცია მოსკოვში", და წერს: დემოკრატიული კავშირის მოწოდებას საპროტესტო დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღოს ყველა ანტიფაშისტმა საქართველოში მომხდარი  სისხლისღვრის გამო, ათასობით ადამიანი გამოეხმაურა, რომლებმაც პროტესტი განაცხადეს 9 აპრილს, თბილისის ქუჩებში ხოცვა-ჟლეტის წინააღმდეგ.

57.

შვეიცარიული გაზეთი "ნოიე-ციურხერ-ცაიტუნგი"(22.4.89),ეყრდნობა რა მოსკოვიდან მიღებულ ცნობებს, წერს, რომ საქართველოს გაზეთებში გამოქვეყნდა გამოძიების კომისიის ცნობები, რომლებიც  ადასტურებენ, რომ თბილისში, 9 აპრილს,მშვიდობიანი დემონსტრაციის დასაშლელად გამოყენებულ იქნა საწამლავი ნივთიერებანი, მათ შორის "ატროპინი", რომელიც იწვევს გულის, კუნთებისა და სასუნთქი ორგანოების დამბლას.

58.

ბერნჰარდ კიუპერსი(ზც-26.4.89) იტყობინება მოსკოვიდან, რომ საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცეკას პლენუმზე, მოსკოვში, სამშაბათს, 25 აპრილს, მიხეილ გორბაჩოვმა შეეხო საქართველოში მომხდარ ამბებს, მაგრამ უცნობია თვით სიტყვა. პოლიტბიუროს წევრმა გ. რაზუმოვსკიმ, წერს კიუპერსი, ისევ დაიცვა ჟურნალისტებისა და მეთვალყურეებისათვის დაუჯერებელი მტკიცება, რომ საქართველოში მშვიდობიანი მასობრივი დემონსტრანტების ხოცვა-ჟლეტის ბრძანება თითქოს გასცა საქართველოს პარტხელმძღვანელობამ მოსკოვის ინფორმირების გარეშე.რაზუმოვსკიმ კითხვას-მოსკოვმა,სულ ცოტა, მოიწონა საქართველოს ხელმძღვანელების გადაწყვეტილება გამოეყენებია საწამლავი ნივთიერებანიც კი მშვიდობიანი დემონსტრანტების წინააღმდეგ, - დუმილით უპასუხა. სამაგიეროთ რაზუმოვსკიმ თქვა, რომ მოსკოვში 9 აპრილის შემდეგ გახდა ცნობილი თუ რა მოხდა თბილისში.

59.

"აჯანს-ფრანს-პრესის" ცნობით თბილისიდან(26.4.89), საქართველოს ჯანმრთელობის მინისტრმა - ირაკლი მენაღარიშვილმა - განაცხადა,    სამშაბათს, 25 აპრილს, რომ 9 აპრილს, თბილისში, საწამლავი გაზით დაშავებული ორი ქალი გარდაიცვალა თბილისის საავადმყოფოში. მან გაილაშქრა იმის წინააღმდეგ, რომ ჯარისკაცების მიერ ხოცვა-ჟლეტის შედეგად გარდაიცვალა მხოლოდ 20 კაცი, როგორც ამას ამბობენ ოფიციალური წრეები. მიუხედავათ იმისა, რომ სამხედრო სარდლობა უარს ამბობს ითანამშრომლოს გამოძიების კომისიასთან, ჩვენ - თქვა მან - მაინც გავიგებთ მათ სახელსა და გვარს, ვინც გამოიყენა საწამლავი გაზი დემონსტრანტების წინააღმდეგ.

საბჭოთა საქართველოს დელეგატებმ მოსკოვის ცეკას პლენუმზე სურთ წამოჭრან საკითხი-"საწამლავი გაზის" გამოყენების [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ იცოდენ გამოყენებული საწამლავი გაზის რაობა, მაშინ შეეძლებოდათ მათ 63-ი გაზით მოწამლული პაციენტების შესაბამისად მკურნალობა თბილისის საავადმყოფოებში.

ირაკლი მენაღარიშვილმა განაცხადა აგრეთვე, რომ ედუარდ შევარდნაძემ და პოლიტბიუროს წევრმა გიორგი რაზუმოვსკიმ დაავალეს საბჭოთა კავშირის პროკურორის მოადგილეს გამოირკვიოს საწამლავი გაზის გამოყენების საქმე საქართველოში.

დამოუკიდებელი გამოძიების საექიმო კომისიის ერთმა წევრმა განაცხადა, თბილისში, 25 აპრილს, რომ საწამლავი გაზით საავადმყოფოში გარდაცვლილთა რაოდენობა უფრო მეტია, ვიდრე ორი. მოწამლულთა შორის არის 44 ქალი და 10 ბავშვი ერთი სკოლიდან, რომელიც მთავრობის სასახლის ახლო მდებარეობს, სადაც საწამლავი გაზი იქნა გამოყენებული. ორშაბათს, 24 აპრილსაც კი მივიდა ერთი მოწამლული საავადმყოფოში, ვინაიდან ეშინოდა თავიანთი-თავის გამომჟღავნება არც ერთი ჯარისკაცი არ მოწამლულა საწამლავი გაზით, ვინაიდან ისინი, მოწმეების თქმით, გაზის ნიღბით იყვნენ აღჭურვილნი.

60.

ტოქსიკოლოგის - მურად ნოზაძის - ცნობით, 9 აპრილის ხოცვა-ჟლეტის შემდეგ, 800 დაშავებულს უექიმეს თბილისის საავადმყოფოებში; მხოლოდ ერთადერ: პაციენტს ჰქონდა ცრემლ-მდენი გაზით დაავადება; ყველა სხვა კი განიცდიდენ ჰალუცინაციას და მახსოვრობის დაკარგვას. ერთი 14 წლის ბიჭი გამოჩნდა რუსეთში, როსტოვში; მან თვითონ არ იცოდა თუ როგორ მივიდა იქ.

61.

ერთი დემონსტრანტი ქალიშვილი - გულო ონიანი - იტყობინება, რომ ერთმა ჯარისკაცმა - ჯერ - მას ჩაარტყა ფეხი მუცელში და - შემდეგ - შეუშხაპუნა გაზი, სანამ მან გონება დაკარგა, - დასძენს "აჟანს-ფრანს-პრესი".

62.

ამერიკული ჟურნალი "ტაიმი"(24.4.89) აქვეყნებს თავისი მოსკოველი კორესპონდენტის - ნანსი ტრევერის - ცნობას მრავალი ფოტოსურათით, და წერს, რომ თბილისში, 9 აპრილს, რუსთაველის პროსპექტზე, მთავრობის სასახლის წინ გამოკრული იყო მრავალი პლაკატი, რომელთაგან ერთზე ეწერა:"რუსო დამპყრობლებო წაეთრიეთ სახლში".

63.

"ასოშიეიტედ-პრესის-სააგენტო"(26.4.89) იტყობინება:"მოთხოვნები თბილისში: გამოცხადებულ იქნას საწამლავი გაზის გამოყენება თბილისში". "ჯარისკაცთა სიმხეცე, შემაძრწუნებელი მოქმედება საქართველოში". სააგენტო შემდეგ იტყობინება, რომ საქართველოდან დაჟინებით მოითხოვენ გორბაჩოვს გამოცხადებულ იქნას თუ რა სახის საწამლავი გაზი იქნა გამოყენებული თბილისში, 9 აპრილს, რომ შესაძლებელი გახდეს მკურნალობა მოწამლულთა თბილისის საავადმყოფოებში. ათასიდან - ექვსას გააჩნიათ მოწამვლის ნიშნები. ნათელი ხდება, რომ ჯარისკაცებს პირველიდღიდანვე ჰქონდათ ბრძანება ბარებითა და საწამლავი გაზებით დაესხმოდენ თავს დემონსტრანტებს და არ დაეზოგათ ქალები და ბავშვებიც კი. ერთერთი მოკლული ქალი იყო ოთხი თვის მძიმეთ.

64.

"როიტერის"სააგენტოს ცნობით(27.4.89), ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის წარმომადგენელმა - მარგარეტ ტუტვაილერმა - სასტიკად დაგმო საბჭოთა ჯარისკაცების მიერ საწამლავი გაზის გამოყენება მშვიდობიანი დემონსტრანტების წინააღმდეგ თბილისში, 9 აპრილს, 1989 წელს. მან მოითხოვა, რომ საბჭოთა მთავრობამ საჯაროთ უნდა გამოიძიოს ეს შემზარავი მოვლენა.

65.

ლატვიის გაზეთი "სოვეცსკაია მოლოდეჟ" აქვეყნებს ერთი მოწმის ცნობას, რომელშიც მოთხრობილია, რომ ერთი ჯარისკაცი დაედევნა ერთ 16წ.გოგონას-თამრიკო ჩოველიძე რომელმაც რუსთაველის თეატრის ფოიეში, დაიჩოქა სალდათის წინ და ეხვეწებოდა "ნუ მომკლავთ". ჯარისკაცმა ჩასცა ბარი და გოგონა მოკლა. ოფიციალური და არაოფიციალური აუტოპსიის შემდეგ ერთმნიშვნელოვნად დადგენილ იქნა, რომ გოგონას თავის ქალა ჰქონდა გახეთქილი და ზურგის ხერხემალი გადატეხილი. ქალაქ რიგის ეს გაზეთი განაგრძობს: გიორგი გუნია, საქ. ხელოვნების საზოგადოების თავჯდომარე, აღწერს მესანგრეთა ბარს, რომელიც მან იპოვა ქუჩაში:"ჩვენ გავნცვიფრდით როგორი ბასრი იყო ეს ბარი. ამ ბარით შეიძლება პირის გაპარსვა".

66.

"ილია ჭავჭავაძის საზოგადოებამ", როიტერის სააგენტოს ცნობით თბილისიდან, მოწოდებით მიმართა ამერიკის პრეზიდენტს - ბუშს - გამოგზავნოს ამერიკელი ტოქსიკოლოგები თბილისში. მიმართვაში აღნიშნულია, რომ საბჭოთა მთავრობა - ერთი მხრივ - გამოდის ქიმიური იარაღების აკრძალვის მოთხოვნით, ხოლო - მეორე მხრივ - იყენებს საწამლავ გაზს მშვიდობიანი დემონსტრანტების წინააღმდეგ.

67.

"თბილისში გამოყენებული გაზი გამოკვლეულია",-იტყობინება"როიტერის სააგენტო"მოსკოვიდან,და წერს: ქართველი ექსპერტის,მიხეილ ვადაჭკორიას გამოკვლევით,საბჭოთა სპეციალურმა ნაწილებმა 9 აპრილს,თბილისში, დემონსტრანტების ჩასახშობად გამოიყენეს საწამლავი Phenacylchlorid. (2.5.1989 წ.).

კარლო ინასარიძე
1989 წლის 3 მაისი

"ერთ ღამაში სიტყვებისა წავიდა"

"საქართველოში საბჭოთა სახელმწიფო ძალა ამჟღავნებს სიმკაცრეს ეროვნული დემონსტრაციების წინააღმდეგ".

ასეთი სათაურითა და ქვესათაურით უკეთებს ანალიზს ცნობილი საერთაშორისო მიმომხილველი - იოსეფ რიდმილერი - (ზც-11.4.89) საქართველოში მომხდარ არეულობებსა და ხოცვა-ჟლეტას, და წერს:

"საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცეკას ივნისის სავანგებო პლენუმზე სურთ ეროვნული პრობლემის განხილვა საბჭოთა კავშირში; თავისი სიმწვავე ეროვნულმა საკითხმა გამოამჟღავნა გასული წლის თებერვალში, როცა სომხებისა და აზერბაიჯანელების დავამ, მთიანი ყარაბაღის გამო, პოგრომში გამოიწვია ქალაქ სუმგაითში, რომელმაც ათობით ადამიანები იმსხვერპლა. ეს კონფლიქტი დღემდე ვერ მოგვარდა; იგი ოდნავ იქნა განმუხტული მთიანი ყარაბაღის მოსკოვის განსაკუთრებული მმართველობის ქვეშ მოქცევით.

მოვლენებმა ამიერკავკასიაში გამოიწვია ინიციალური აფეთქება: ეროვნულ მისწრაფებებმა ამოხეთქა აგრეთვე ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში, მუაზიაში და მოლდავეთში; მალულად - საფარის ქვეშ - გამომჟღავნდა აგრეთვე უკრაინასა და ბელორუსიაში. და რომ ახლა ეს საქართველოშიც გამომჟღავნდა - არ არის მოულოდნელობა. თითქმის არც ერთი სხვა ერი საბჭოთა კავშირში არ არის ისეთი სიამაყით გაჟღენთილი მათი(დიდ მონაკვეთებში სისხლით დაწერილი) ისტორიით, კულტურით, ქვეყნით. საქართველო იყო საუკუნეების განმავლობაში უცხო ქვეყნების, განსაკუთრებით სპარსელებისა და თურქების მისწრაფებათა ობიექტი. მათი ბატონობა რომ თავიდან აეცილებია, საქართველოს ორი უკანასკნელი მეფე, 18-ე საუკუნის დასასრულს, შევიდა მეფის რუსეთის მფარველობაში, რასაც, სპარსეთთან და თურქეთთან შედარებით, თითქოს ის უპირატესობა ჰქონდა, რომ რუსები, როგორც ქართველები ქრისტიანები არიან. ქართველებმა შეეცადნენ კიდევ რამდენიმე აჯანყებებით თავი აერიდებიათ საქართველო გამხდარიყო რუსეთის პროვინცია, მაგრამ მეფის რუსეთის ბატონობას მან თავი ვერ დააღწია, და "საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის" სამწლიანი დამოუკიდებლობა, ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ალკვეთა წითელმა არმიამ.

საბჭოთა კავშირის მოკავშირე რესპუბლიკებს შორის, საქართველოს, მისი ბუნებრივი სიმდიდრისა და მოსახლეობის მოქნილობით, გააჩნია ცხოვრების ყველაზე უფრო მაღალი დონე და, უკრაინის გვერდით, ის არის ერთადერთი რესპუბლიკა, რომელიც წარმოდგენილია მოსკოვის პოლიტბიუროში საგარეო საქმეთა მინისტრის შევარდნაძის სახით. ქართველები არიან მთიანი ქვეყნის შვილები, და მთიანი სალხების შესახებ მიხეილ გორბაჩოვმა ერთხელ თქვა, რომ 'ისინი მეგობრობის გამომჟღავნებისადმი მეტად მგრძნობიარე არიან, მაგრამ, ამავე დროს, მეტად მგრძნობიარე არიან შეღიდური მოქცევისადმი'. ამიტომ პატარა საბაბი საკმარისი გახდა, რომ მიმალული ნაციონალიზმი აფეთქებულიყო, და ეს საბაბი იყო მაჰმადიანური აფხაზების მოთხოვნა დამოუკიდებლობისაკენ, რომელიც საქართველოს ნაწილია. ეს მოთხოვნა ყლერს,სულ ცოტა, უცნაურად, ვინაიდან ქართველები აფხაზეთის მოსახლეობის თითქმის ნახევარია, აფხაზები კი უმცირესობაშია; რუსებთან ერთად კი მათ შეეძლოთ მოეთხოვათ რუსეთის ფედერაციაში შესვლა, როგორც ეს მოხდა კიდეც. მაგრამ ქართველები აფხაზების ამგვარი მოქმედების უკან ხედავენ მოსკოვს და ამიტომაც ასეთი მწვავე რეაქცია; მოთხოვნა, როგორც რუსეთის იმპერიის მრავალ კუთხეში, წავიდა სრულ გამოყოფამდე საბჭოთა კავშირიდან.

მაგრამ დემონსტრაციებისას თბილისში გამომჟღავნდა, რომ ახლა სახელმწიფო უფრო მკაცრად და სწრაფად მოქმედებს, როგორც ეს მოხდა საქართველოში: როგორც ჩანს, ეს იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ნაწილები, რომლებმაც - იარაღის გამოყენების გარეშე - სისხლის ღვარი დააყენეს დემონსტრანტებს შორის. ამგვარმა ხოცვა-ჟლეტამ უნდა დააშინოს სხვა რესპუბლიკებიც. ერთ ღამაში სიტყვებისა, როგორც ამას იყენებდა კრიზისის მოგვარების მმართველობა სომხეთში, უკვე წავიდა. მაგრამ პასუხისმგებლობას, რაც თბილისში მოხდა, ქართველობა მოსკოვს დააბრალებს, და, ალბათ, გორბაჩოვსაც არ გამოტოვებენ. ეს კი გორბაჩოვის სურათს შეცვლის საზოგადოებაში და მის გარდაქმნის პოლიტიკას დამაჯერებლობასაც.

მკაცრი კურსის გამომჟღავნებაა აგრეთვე,ეროვნული მისწრაფებების წინააღმდეგ, ის, რომ შაბათს, 8 აპრილს, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა,რომლის თავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯდომარე გორბაჩოვია, სავანგებო სხდომაზე მიიღო ბრძანებულება სასჯელის გადიდების შესახებ ყველა იმ დანაშაულისათვის, რომელიც ეხება ეთნიურ საკითხებს ან ეროვნული დამოუკიდებლობისაკენ მისწრაფებას.

იოსებ რიდმიერი
ზც-11.4.1989 წ.

# ე რ ო ვ ნ უ ლ ი გ ლ ო ვ ი ს დ ღ ე

I.

მოსკოვის პარტიულმა ხელმძღვანელობამ - ჯერ - მოკლა ათობით მშვიდობიანი დემონსტრანტები თბილისში, 9 აპრილს, 1989 წელს, ხოლო - შემდეგ - საქართველოს ნება დართო ეროვნული გლოვის დღედ გამოეცხადებინა 11 აპრილი. მაგრამ,ამჯერად, ამგვარ მაქიაველურ ეროვნულ პოლიტიკას არ შევეხებით.

გლოვამ, როგორც ცნობილია, შეიძლება გამოიწვიოს უიმედობა და დეპრესია, მაგრამ - მეორე მხრივ - მოგონება, ჩაფიქრება, ფსიქოლოგიურ სიღმეში შეჭრა, რომლის დროს ადამიანის განცდის უნარიანობით გამოწვეული სულიერი და ფიზიკური ტკივილები მგლოვიარეს არსებაში იჭრება ადამიანის თუ"საგნის" დაკარგვის გამო.

II.

მაგრამ - იმ დროს, როცა უახლოესი ნათესავის,მოყვრის თუ ნაცნობის დაკარგვა ადამიანთა განსაზღვრულ წრეს სფეროს არ სცილდება როგორი დიდი არ უნდა იყოს გლოვა, - "ეროვნული გლოვა", როგორც თვით სიტყვა ამბობს, მთელი ერის, მთელი ხალხის, მთელი ქვეყნის მომცველია, რომლის დროს, ბუნებრივი სიკვდილისაგან განსხვავებით, "არა-ბუნებრივად" მოკლული, როცა იგი ერისა და პიროვნების თავისუფლებისათვის იბრძვის, - წ ა მ ე ბ უ ლ ი ა, და ეროვნულ წამებულთა და გმირთა პანთეონში შედის, ვინაიდან იგი მის ცხოვრებას უანგაროთ მის ეროვნულ მრწამს და ამით მთელ ერს, ხალხს, ქვეყანას სწირავს.

III.

თბილისში , 9 აპრილს, 1989 წელს მესანგრის ბასრი ბარებით თუ ხელკეტებით მოკლულნიც საქართველოს თავისუფლებისათვის წამებულთა და გმირთა უკვდავ, მარადიულ ეროვნულ პანთეონს შეუერთდენ, და ამით ისინი ქართველი ერის სამიათასწლოვანი სახელმწიფოებრივი ისტორიის მანძილზე საქართველოს თავისუფლებისათვის დაღუპულ მებრძოლებს ჭერდში ამოუდგენ,და თავიანთი სისხლით დაწერეს ჩვენი ერის ისტორიის კიდევ ერთი ფურცელი.

IV.

ამგვარად, 1989 წლის 9 აპრილს, საქართველოს თავისუფლებისათვის მებრძოლ გმირთა და წამებულთა პანთეონს კიდევ შეემატა 43 მოკლული-წამებული, თუმცა, როგორც იუწყობინებიან, მოკლულ-წამებულთა რაოდენობა გაცილებით მეტია.

V.

აი, სია მოკლულთა 1989 წლის 9 აპრილის ხოცვა-ჟლეტის დროს ჩვენს დედაქალაქ თბილისში, რაც ცნობილი გახდა უცხოეთში და დაურიგდა მლოცველებს, რომლებიც დაესწრნენ "ეროვნული გლოვის დღის" პანაშვიდს პარიზში, წმინდა ნინოს ქართულ ეკლესიაში 1989 წლის 15 აპრილს, საღამოს 6 საათზე:

VI.

მარადიული უკვდავყოფა საქართველოს თავისუფლებისათვის მებრძოლ ამ წამებულთ!.. დიდება საქართველოს!.. დიდება ქართველ ერს!..

კ.ი.
პარიზი, 1989 წლის 15 აპრილი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# 9 აპრილი და ქართული პოლიტიკური ემიგრაცია

ქართული პოლიტიკური ემიგრაცია უერთდება საქართველოს, ქართველ ხალხს ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლაში, რომლის კიდევ ერთი ტრაგიკული თარიღი გახდა 1989 წლის 9 აპრილი, როცა თბილისის ქუჩებში საქართველოს თავისუფლებისათვის მებრძოლთა სისხლით კიდევ ერთხელ გაისვარა ხელები მოსკოვის ხელმძღვანელობამ და მის "ნამესტნიკებმა" საქართველოში, რასაც, გასაგებია, დიდი ევრონული შთაგონებით გამოეხმაურა ქართველობა ემიგრაციაში:

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დემონსტრაცია საბჭოთა საელჩოს წინ პარიზში

პარიზში, 12 აპრილს, 1989 წელს, საბჭოთა კავშირის საელჩოს წინ თავი მოიყარეს ქართული პოლიტიკური ემიგრაციის წარმომადგენლებმა, განსაკუთრებით ახალგაზრდებმა - ქართული ეროვნული დროშებითა და პლაკატებით - და პროტესტი განაცხადეს მოსკოვიდან და ქალაქ გორკიდან მოყვანილი სპეციალური ნაწილების ჯარისკაცების მხეცური მოქმედების გამო თბილისის ქუჩებში - მშვიდობიანი დემონსტრანტების წინააღმდეგ, რომლის დროს, პირველი ცნობებით, მოკლულ იქნა 43 დემონსტრანტი, უგზოუკვლოდ დაიკარგა 42 კაცი, ხოლო დაიჭრა 500-ზე მეტი.

## პანაშვიდი პარიზის ქართულ ეკლესიაში

შაბათს, 15 აპრილს, 1989 წელს, პარიზის წმინდა ნინოს ქართულ ეკლესიაში გადახდილ იქნა პანაშვიდი თბილისში, 9 აპრილს დაღუპულთა სულის მოსახსენებლად, რომელსაც უამრავი ხალხი დაესწრო.

**DERNIERE HEURE !!!**

**UN SERVICE FUNEBRE SERA CELEBRE A LA MEMOIRE DES VICTIMES DE LA REPRESSION BRUTALE DES "FORCES DE L'ORDRE SOVIETIQUES A TBILISSI LE 8 AVRIL DERNIER.**

**PAROISSE STE NINO**

**SAMEDI 15 AVRIL à 18 HEURES**

**(6-8 rue de la Rosière Paris XVe)**

## სამგლოვიარო სხდომა მიუნხენში

მიუნხენში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, 22 აპრილს, შაბათს, "მარელოს" დარბაზში, ჩატარდა ქართული პოლიტიკური ემიგრაციის სამგლოვიარო კრება, რომელზედაც მოგონებულ იქნა თბილისში, 1989 წლის 9 აპრილს დაღუპულები. სამგლოვიარო სხდომას მრავალი ემიგრანტი დაესწრო.

## ახალგაზრდობის დემონსტრაცია საბჭოთა საელჩოს წინ პარიზში

პარიზში, საბჭოთა კავშირის საელჩოს წინ, საპროტესტო დემონსტრაცია ჩაატარეს უცხოეთში დაბადებულმა და აღზრდილმა ქართველმა ახალგაზრდებმა, ეს საპროტესტო დემონსტრაცია, რომელსაც ბევრი ახალგაზრდობა დაესწრო, ჩატარდა ხუთშაბათს, 20 აპრილს, 1989 წელს.

## არასრული სია მოკლულთა

# MASSACRE DU 9 AVRIL 1989 A TBILISSI (GEORGIE)

## LISTE PROVISOIRE DES VICTIMES

**43 morts, 42 disparus, environ 500 blessés**

*Cette première liste de victimes a été communiquée, le 12 avril, par les mouvements d'opposition nationale. Selon ces sources il y a eu parmi les grévistes de la faim et les manifestants: 43 morts, 42 disparus et environ 500 blessés graves.*
*L'identité des victimes a pu être rendue publique grâce au temoignage du personnel médical appartenant aux hôpitaux et à la morgue de Tbilissi.*
*Parmi cette liste provisoire de victimes on dénombre 26 femmes.*

ADAMIA Aza (22)
ARTCHVADZE Guia
ASSAMENACHVILI Aliko
BARATELLI Lela
BARATELLI Nino

ეროვნული ბიბლიოთეკა

BERDZENICHVILI (ou BEJOUACHVILI) Eka (17)
DANELIA Guela
DJANGIRACHVILI (ou DJANGERACHVILI) Nodar (41)
DJARADZE Manana
DJINTCHARADZE Mzia (43)
DOLIDZE Manana
DOLIDZE Niko
DOLIDZE Thamouna (28)
ENOUKIDZE Thina (70 ans)
GABEDIA Guela
GANTCHETCHILADZE Levan
GIORGADZE Lia
GIORGADZE Nato
GIORGOBIANI Dato
GOTCHIACHVILI Gotcha
KARTSELADZE Guia
KHAREBAVA Nana
KIKVADZE (ou KIKVIDZE) Zaïra (61)
KVELIDZE Zourab
LOLADZE Manana (33)
MAMOULACHVILI Thamara
MANELAVA Goga
MARELACHVILI (ou MAILACHVILI) Thea
MELKADZE Manana (23)
MEOUKADZE Manana,
MERABICHVILI (ou MERABDICHVILI) Noukri
MIKADZE Goga
MIKADZE Gotcha
MIRZAIANI Alika
MORADZE Manana
NOSADZE Mamouka (22)
SAMARGOULIA Manana (35)
SAMARGOULIA Nana (30)
TCHIPACHVILI Eliso (25)
TCHKHONIA Marina (11 ans)
TOIDZE (ou TCHKOIDZE) Nina (ou Nino) (25)
TSROBILIDZE (ou TCHOVELIDZE) Thamar (17)
VOTSIACHVILI Gotcha

## პოლიტიკა - შესაძლებლობის ხელოვნებაა

I.

პოლიტიკა, როგორც ცნობილია, ზუსტი მეცნიერება კი არა, შესაძლებლობის ხელოვნებაა. და რას კვეუბნება ეს საქართველოში მიმდინარე მასობრივი დემონსტრაციებთან და 9 აპრილს თბილისში მომხდარი მშვიდობიანი დემონსტრანტების ხოცვა-ჟლეტასთან დაკავშირებით?..

II.

გრძნობები არასოდეს არ უნდა ბატონობდეს გონზე, აზროვნებაზე. მაგრამ ეს რომ პრაქტიკულად განუხორციელებელია, როცა ეროვნული ღირსება, უცხო დამპყრობლის მიერ, შელახულია, ხოლო დამპყრობელს მისი ეროვნული ღირსების საქმეთ მიაჩნია სხვა ერის, ამჯერად, ქართველი ერის დამცირება, დაქუცმაცება, მონობის უღელში სამუდამოთ დატოვება?!. უშიშროების ერთ ჯარისკაცს ერთ დემონსტრანტისათვის, როგორც იტყობინებიან, ჯერ, გამხეცებულს უთქვამს -"შენ გსურს მოკვდე თავისუფლებისათვის; მაშინ მოკვდი!" - და ჩაურტყამს თავში მესანგრეს სპეციალურად გალესილი ბარი თავში.

III.

იგივე წყარო(გ.ტ. III პროგრამა,16.4.89,"ველტშპიგელ") იტყობინება, რომ საქართველოს მთავრობის თავჯდომარეს -ზურაბ ჩხეიძეს - საქართველოს ტელეხედვით უთქვამს, რომ მშვიდობიანი დემონსტრანტების ხოცვა-ჟლეტა თბილისში, 9-ა აპრილს, იყო "დაგეგმილი მკვლელობაო". და 19 აპრილს ცნობილი გახდა, რომ მოსკოვიდან და ქალაქ გორკიდან მოყვანილმა ჯარისკაცებმა საწამლავი გაზიც კი გამოიყენეს მშვიდობიანი დემონსტრანტების წინააღმდეგ.

IV.

ახლა, და სხვა მრავალ ანალოგიურ პირობებში,როცა ოფიციალური ცნობით, მოკლულ იქნა 19 კაცი, ხოლო - დაჭრილი ასზე მეტი, თბილისიდან მიღებული ცნობებით კი მოკლულ იქნა 150-დე, ხოლო დაჭრილია რამდენიმე ასეული კაცი,- გასაგებია, მეტად ძნელია, რომ გონი ბატონობდეს გრძნობებზე; და, როგორც ჩანს, ხწორედ ეს სურდა გორბაჩოვსაც და მის მომხრეებს: მათ ყოველი საშუალებით შეეცადენ - ჯერ - მტრობა, შუღლი გაეღვივებინათ ქართველებსა და აფხაზებს შორის, რასაც აყვა თითო-ოროლა მოსკოვში მოკალათებული აფხაზიც კი, და როცა ამ დიდმპყრობელურ-შოვინისტური პოლიტიკის("დაანაწილე და იბატონე") წინააღმდეგ გაილაშქრა ქართველობა, განსაკუთრებით ჩვენი შესანიშნავი ახალგაზრდობა, მიხეილ გორბაჩოვმა კი არ გამოიჩინა ისეთი"მომთმენლობა",როგორიც მან გამოიჩინა სომხეთში,

აზერბაიჯანში, ესტონეთში თუ ლიტვაში, არამედ, როგორც სარწმუნო წყაროები იტყობინებიან, მოსკოვიდან და ქალაქ გორკიდან ჩაიყვანა საქართველოში შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ნაწილები, დაათრო ჯარისკაცები და მეხან დრეთა გალესილი ბარებითა და ხელკეტებით - ცეცხლმსროლელი იარაღის გამოყენების გარეშე - შეუსია მშვიდობიან დემონსტრანტებს, კვირას, 9 აპრილის, დილის 4-ი საათიდან, და მთვრალმა თუ შეზარხოშებულმა მკვლელებმა სისხლის ღვარი დააყენეს ჩვენი დედაქალაქის, თბილისის ქუჩებში.

V.

მშვიდობიანი დემონსტრანტები, მართალია, ჯერ გაილაშქრენ თითო-ოროლა აფხაზის ანტი-აფხაზურ-ქართული ვაი-პოლიტიკის წინააღმდეგ, რაც გულისხმობდა აფხაზეთის საქართველოს ამ ათასწლეულობით შემადგენელი ნაწილის საქართველოდან ჩამოშორების ცდებს, მაგრამ, შემდეგ, მშვიდობიან დემონსტრანტებმა წამოაყენეს სამართლიანი, სწორი - საქართველოს საბჭოთა კავშირიდან გამოსვლის - მოთხოვნა, ვინაიდან აფხაზ-ქართველთა გადაკიდების ყველა ცდების ავტორი და წამქეზებელი იყო და არის მოსკოვი.

VI.

ამგვარმა სამართლიანმა მოთხოვნამ კი, როგორც ჩანს, გაანრისხა თვით "გარდაქმნა-საჯაროობა-დემოკრატიზაციის" მაკიაველური პოლიტიკის ავტორი მიხეილ გორბაჩოვიც კი, რომელიც - ჩავიდა თუ არა ლონდონიდან, სადაც მან მეტად მოხერხებულად მოაჩვენა თავისი-თავი ცხვრის ქურქში გახვეულად, - მოსკოვში ჩასვლისთანავე გაიხადა ცხვრის ქურქი და საქართველოს მოევლინა დამშეული მგლის სახით, რომელიც მშვიდობიანი დემონსტრანტების სისხლსაც კი დალევს, თუ ვინმე შეეცდება რუსეთის სტალინური თვალუწვდენელი იმპერიის რომელიმე ნაწილის, ამ შემთხვევაში, საქართველოს ჩამოშორებას.

VII.

ნუთუ მიხეილ გორბაჩოვი ფიქრობს, რომ იგი "გარდაქმნა-საჯაროობა-დემოკრატიზაციის" მაკიაველური პოლიტიკით შეძლებს "მესამე რომის" - მოსკოვის იმპერიის შენარჩუნებას?!.. ნუთუ არ ესმის მას, რომ იმპერიების ხანა ისტორიას ჩაბარდა და "მესამე რომის"=მოსკოვის იმპერიაც იმ ბედს გაიზიარებს, რა ბედი ეწია "პირველ რომსა" და "მეორე რომს(ბიზანტიას)?.."

VIII.

რა თქმა უნდა, კაცობრიობის ისტორიული განვითარება ყოველი სახისა და ყოველი ჯურის იმპერიების აღვისაკენ მიისწრაფვის უკვე მე-19 საუკუნიდან, და, უდავოა, რომ მოსკოვის სტალინური იმპერიაც ამ ბედს გაიზიარებს. მაგრამ სწორედ ამ პროცესში ჩვენ, ქართველებს, საქართველოს ყველაზე უფრო არ გვჭირდება გრძნობების დათრგუნვა იმდენად მაინც, რომ ჩვენი ერის ფ ი ზ ი კ უ რ ი არსებობა საშიშროების ქვეშ არ ჩავაყენოთ?.. და ამგვარ პირობებში ჩვენ ყოველთვის არ უნდა გვახსოვდეს, რომ პოლიტიკა - შესაძლებლობის ხელოვნებაა?..

კარლო ინასარიძე
პარიზი, 1989 წლის მაისი

## საქართველოს დამოუკიდებლობის 71 წლისთავი

### 26 მ ა ი ს ი

I.

1918 წლის 26 მაისი არის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და სუვერენობის ისევ-აღდგენის ეროვნული დღესასწაული, რომელსაც ქართული პოლიტიკური ემიგრაცია პარიზში, ნიუ-იორკში, ლონდონში თუ შორეულ ბუენოს აირესში, ყოველწლიურად შესაფერისი ეროვნული შთაგონებითა და სიფაქიზით აღნიშნავს.

II.

და ჩვენს სამშობლო, საქართველოში? - "ნიშანდობლივია, - წერს გაზეთი "სამშობლო" - "უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა" თავის 1989 წლის იანვრის ნომერში -, რომ 1988 წელს, პირველად 20-იანი წლების შემდეგ, ოფიციალურად აღინიშნა 26 მაისი - ქართული ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დგენის 70-ე წლისთავი"; თემა ნათქვამი არ არის თუ რა ფორმითა და შინაარსით აღინიშნა "ოფიციალურად" 26 მაისი. მაგრამ თუ 1988 წლის 24 აპრილს გაზეთ "კომუნისტში", იმავე გაზეთის 1988 წლის 25 მაისის ნომერში თუ 1988 წლის 25 მაისს გაზეთ"თბილისში" გამოქვეყნებულ წერილებს გავიხსენებთ, უთუოთ, მისასალმებელია, რომ საბჭოთა საქართველოს პრესა (რადიო და ტელეხედვაც?) ალაპარაკდა 26 მაისზე - ჩვენს ეროვნულ დიდ დღესასწაულზე.

III.

ვითომ "სრული სიმართლის" გამოთქმის უფლებას მაინც არ იძლევა გორბაჩოვისეული "გარდაქმნა-საჯაროობა-დემოკრატიზაციის" პოლიტიკა, რომელიც"თეთრი ლაქების" აღკვეთას გვპირდება ისტორიული მოვლენების აღწერა-შეფასებაშიც?..მალულად, ჯერჯერობით, "არსაიდან ხმა, არსად ძახილი" იმის შესახებ, რომ ქართული ეროვნული სახელმწიფო, რომელიც აღსდგა 1918 წლის 26 მაისს, იყო დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ე ლ ი და ს უ ვ ე რ ე ნ უ ლ ი სახელმწიფო, რომელიც - იურიდიულად და ფაქტიურად,ე.ი. დე ფაქტო და დე იურე ი ც ნ ო საბჭოთა რუსეთმა 1920 წლის 7 მაისის საბჭოთა რუსეთ-საქართველოს საზავო ხელშეკრულებით, რომლის პირველ მუხლში,სხვათა შორის, ნათქვამია:"რუსეთი ურეზერვოთ ცნობს საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობას და სუვერენიტეტს და ნებაყოფლობით უარს ამბობს ყველა სუვერენულ უფლებაზე, რომლებიც ეკუთვნოდა რუსეთს საქართველოს ხალხისა და ტერიტორიის მიმართ".

IV.

ამიტომ, მხოლოდ აღნიშვნა იმისა,-რომ "...1988 წელს, პირველად 20-იანი წლების შემდეგ, ოფიციალურად აღინიშნა 26 მაისი - ქართული ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენის 70-ე წლისთავი"("სამშობლო",იანვარი, 1989 წელი), თუ - "...1918 წლის 26 მაისის...აქტით საქართველოს გამოცხადდა დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკად. ეს აქტი, პირველ რიგში, პირმშო იყო დიდი ოქტომბრის რევოლუციისა..."("კომუნისტი",24.4.1988), ანდა -"ქართველი ერის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში გამორჩეულ ადგილს დაიკავებს 1918 წლის 26 მაისი - ქართული ეროვნული სახელმწიფოს აღდგენის დღე"("კომუნისტი",25.5.1988), ან კიდევ - "...შესრულდა 70 წელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან, რაც 1918 წლის 26 მაისს განხორციელდა"("თბილისი",25.5.1988),- შეიძლება ჩაითვალოს ისტორიის"თეთრი ლაქების"აღკვეთად?.. თუ ამ ჩვენი ეროვნული დღესასწაულის - 26 მაისის - "ოფიციალური აღიარება" მოითხოვს მისი არსის გაშუქებას, განსაკუთრებით იმ მხრივ, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სუვერენობა ი ც ნ ო საბჭოთა რუსეთმა, ლენინის მთავრობამ, და იმავე საბჭოთა რუსეთმა, ლენინის მთავრობამ დ ა ა რ ღ ვ ი ა 1920 წლის 7 მაისის საბჭოთა რუსეთ-საქართველოს საზავო ხელშეკრულება, ომის გამოუცხადებლად დაესხა თავს დამოუკიდებელ საქართველოს და თითქმის თვე-ნახევარი ბრძოლების შემდეგ, რომლის დროს არაერთი მკაცრი მარცხი აგემა მომხდურ მტერს ახალგაზრდა საქართველოს არმიამ, განსაკუთრებით, თბილისის მისადგომებთან, ტაბახმელაზე, - დაიპყრო იგი?..

V.

ამდენად, 1921 წლის 25 თებერვალი არის არა საქართველოს ე.წ-ლი"გასაბჭოების", არამედ საქართველოს დაპყრობის დღე,ვინაიდან ამ დღიდან საქართველო გახდა საბჭოთა ახალი იმპერიის ერთი პროვინცია; და ამიტომ მოითხოვეს დემონსტრანტებმა თბილისში, 1989 წლის 25 თებერვალს,-როგორც დასავლეთის პრესა იტყობინებოდა, -საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას.

VI.

და რა რეალური შესაძლებლობა არსებობს ამ მიმართულებით "გარდაქმნა-საჯაროობა-დემოკრატიზაციის" გორბაჩოვისეულ პროცესში? - ძნელია ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ჩვენგან, რომლებიც პოლიტიკურ ლტოლვილობაში ვიმყოფებით და ქართველი ერის, საქართველოს "მაჯის-ცემას" მხოლოდ იმავე საბჭოთა პრესის საშუალებით ვიცნობთ. მაგრამ ერთი ნათელია: როგორი ფორმითა და შინაარსით არ უნდა იქნას აღნიშნული 1918 წლის 26 მაისის წლისთავი მიმდინარე 1989 წლის 26 მაისს, ჩვენი მოთხოვნა იყო, არის და უნდა დარჩეს,არსებითად, 1920 წლის 7 მაისის საზავო ხელშეკრულების ისევ ძალაში შესვლა, ხელშეკრულებისა, რომელიც ერთადერთი ფაქტიური და იურიდიული დოკუმენტია, რომლითაც მოწესრიგებულია რუსეთისა და საქართველოს სახელმწიფოების ურთი-

ერთობა. და ანალოგიური საზავო ხელშეკრულებით მოგვარებული იყო ურთიერთობა ჩვენს მეორე "დიდ" მეზობელ თურქეთთანაც; აგრეთვე აზერბაიჯანისა და სომხეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოებთან.

VII.

როგორც ვხედავთ, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და სუვერენობის აღდგენის დღის - 26 მაისის - აღნიშვნა, უდავოა, ერთი ნაბიჯია წინ საბჭოთა საქართველოს, ე.ი. ჩვენი სამშობლოს ცხოვრებაში. მაგრამ ჩვენ ჩვენი ეროვნული დღესასწაულის მარტო აღნიშვნით უნდა დავკმაყოფილდეთ?.. ვითომ პირველ ნაბიჯს არ უნდა მოყვეს მეორე ნაბიჯი - საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდის - 1918-1921 წლების -, ე.ი. საქართველოს "პატარა ოქროს ხანის" ყოველმხრივი დოკუმენტური გაშუქება?.. და შემდგომი, უთუოთ, ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ნაბიჯი არ არის 26 მაისის დიადი იდეების ისევ-განხორციელებისათვის, ყოველი ლეგალური გზით, ზრუნვა?..

VIII.

და ამ მიზნისაკენ მისწრაფებად არ უნდა იქნას გაგებული დღეს საქართველოში ჩვენი ახალგაზრდობის ცდები "კავშირების","საზოგადოებების", თუ "პარტიების" განახლება თუ ჩამოყალიბებისათვის?.. და თუ ეს ასეა(ვიმედოვნებთ, ეს ასეა, უთუოთ), მაშინ ამ "კავშირების","საზოგადოებების" თუ პარტიების ყურადღების ცენტრში არ უნდა მოექცეს ჩვენი დიდი ისტორიული დოკუმენტები - "საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი"(26 მაისი,1918 წელი) და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია(21 მარტი, 1921 წელი) , რომლებიც, უთუოთ, შეიძლება შედარებულ იქნას, ვთქვათ, ამერიკის შეერთებული შტატების "დამოუკიდებლობის დეკლარაციას"(4 ივლისი, 1776 წელი) თუ საფრანგეთის "ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციასთან"(26.7.1789)?..

IX.

როგორც ვხედავთ, "ქაღალდზე მეოცნებეთა დრო წავიდა! საქმეა საჭირო, საქმე!" და "საქმის" თვალსაჩინო მაგალითი არ მოგვცა ჩვენმა ერმა, განსაკუთრებით ჩვენმა ახალგაზრდებმა, რომლებმაც სისხლი დაღვარეს "26 მაისის დიადი იდეების" განხორციელებისათვის საქართველოში, თბილისში, 1989 წლის 9 აპრილს?..

X.

და თუ პოლიტიკა შესაძლებლობის ხელოვნებაა, ვითომ არ არსებობს "საქმე" მშვიდობიანი, ლეგალური, რომ საქართველო ისევ გახდეს საერთაშორისო სამართლის სუბიექტი?..

XI.

აი, პრობლემა, რომელსაც უნდა ჩავუფიქრდეთ ჩვენ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის 71-ე წლისთავზე.

კარლო ინასარიძე
პარიზი,1989 წლის 26 მაისი

==================================

აჯანყება, თუ ის ერის გულიდან, როგორც ვულკანი ამოხეთქავს,-როგორც ეს საქართველოში 1924 წლის 28-29 აგვისტოს მოხდა, - თავისუფლებისათვის თავგანწირვის უკიდურესი ფორმაა, რომლის ფიზიკური დამარცხება შესაძლებელი, მაგრამ იდეურ-მორალური დამარცხება შეუძლებელია.

==================================

ეროვნული ბიბლიოთეკა

ACTE D'INDÉPENDANCE DE LA GÉORGIE



# საქართველოს დამოუკიდებლობა

საქართველოს დამფუძნებელი კრება,—არჩეული პირდაპირი, თანასწორი, საყოველთაო, ფარული და პროპორციონალური საარჩევნო სისტემით ორივე სქესის მოქალაქეთა მიერ,—თავის პირველსავე სხდომაზე, 1919 წ. მარტის 12-ს, ქვეყნისა და ისტორიის წინაშე აღიარებს, რომ ის სავსებით იღებს და ადასტურებს საქართველოს ეროვნულ საბჭოს მიერ 1918 წ. მაისის 26-ს, ნაშუადღევის 5 ს. და 10 წ. თბილისში გამოცხადებულს საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ აქტს:

# საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი

„მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო.

„მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს ყოველ მხრით მტრისაგან შევიწროებული საქართველო თავისი ნებით შეუერთდა რუსეთს იმ პირობით, რომ რუსეთი ვალდებული იყო საქართველო გარეშე მტრისაგან დაეცვა.

„რუსეთის დიდი რევოლიუციის მსვლელობამ რუსეთში ისეთი შინაგანი წყობილება შექმნა, რომ მთელი საომარი ფრონტი სრულიად დაიშალა და რუსის ჯარმაც დასტოვა ამიერკავკასია.

„დარჩენილ რა თავის ძალღონის ამარად, საქართველომ და მასთან ერთად ამიერკავკასიამ თითონ იკისრა თავის საკუთარი საქმეების გამგეობა და ხელმძღვანელობა და შესაფერი ორგანოებიც შექმნა; მაგრამ გარეშე ძალთა ზეგავლენით ამიერკავკასიის ერთა შემაერთებელი კავშირი დაირღვა და ამით ამიერკავკასიის პოლიტიკური მთლიანობაც დაიშალა.

„ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა აუცილებლად მოითხოვს, რომ საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შექმნას, მისი საშუალებით გარეშე ძალის მიერ დამორჩილებისაგან თავი გადაირჩინოს და დამოუკიდებელი განვითარების მტკიცე საძირკველი ააგოს.

„ამისდა თანახმად საქართველოს ეროვნული საბჭო, 1917 წლის ნოემბრის 22-ს არჩეული საქართველოს ეროვნული ყრილობის მიერ, დღეს აცხადებს:

1) ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

2) დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმა—დემოკრატიული რესპუბლიკაა.

3) საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა.

4) საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სურს საერთაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთან კეთილმეზობლური განწყობილება დაამყაროს, განსაკუთრებით მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და ერებთან.

5) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველჰყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალურ მდგომარეობისა და სქესისა.

6) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს.

7) დამფუძნებელ კრების შეკრებამდე მთელის საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო, რომელიც შევსებული იქნება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებით, და დროებითი მთავრობა პასუხისმგებელი საბჭოს წინაშე.

*Le 12 mars 1919, l'Assemblée Constituante de la Géorgie a confirmé l'Acte qui précède, en ces termes :*

L'Assemblée Constituante de Géorgie, élue au suffrage direct, égal, universel, secret et proportionnel des citoyens des deux sexes, déclare, à sa première séance du 12 mars 1919, devant le monde et l'histoire, qu'elle adopte intégralement et confirme l'acte d'indépendance de la Géorgie, proclamé par le Conseil National Géorgien, à Tiflis, le 26 mai 1918, à 5 h. 10 de l'après-midi, ainsi conçu :

## ACTE D'INDÉPENDANCE DE LA GÉORGIE

Pendant plusieurs siècles, la Géorgie a existé comme Etat libre et indépendant.

A la fin du XVIII^e^ siècle, pressée de tous côtés par des ennemis, la Géorgie s'allia volontairement à la Russie, à condition que la Russie s'engageât à défendre la Géorgie contre ses ennemis extérieurs.

Les événements de la Grande Révolution Russe ont créé une situation intérieure telle que le front de guerre s'est effondré entièrement et que la Transcaucasie a été évacuée par les armées russes.

Abandonnées à leurs propres forces, la Géorgie et avec elle, la Transcaucasie ont pris entre leurs mains le soin et la direction de leurs propres affaires et se sont donné des organes gouvernementaux appropriés. Mais la pression des forces extérieures a amené la dissolution des liens qui unissaient les peuples de la Transcaucasie et l'unité politique de celle-ci s'est effondrée.

La situation présente de la nation géorgienne commande impérieusement à la Géorgie d'avoir sa propre organisation d'Etat, en vue de prévenir, par ce moyen, la conquête du pays par les forces extérieures et de créer des bases solides pour son développement indépendant.

En conséquence, le Conseil National Géorgien, élu par l'Assemblée Nationale, le 22 novembre 1917, déclare :

1. La nation géorgienne rentre en possession de tous ses droits ; la Géorgie est un Etat indépendant qui jouit de tous les droits de la souveraineté.
2. La forme de l'organisation politique de la Géorgie indépendante est la République Démocratique.
3. En cas de conflits internationaux, la Géorgie reste perpétuellement Etat neutre.
4. La République Démocratique Géorgienne désire avoir des relations amicales avec tous les membres de la communauté internationale et, en particulier, avec les Etats et les peuples voisins.
5. La République Démocratique Géorgienne garantit, dans les limites de son territoire, tous les droits civils et politiques, à tous les citoyens également, sans distinction de nationalité, de croyance, d'état social ou de sexe.
6. La République Démocratique Géorgienne ouvre à toutes les nationalités habitant son territoire un champ libre à leur développement.
7. Jusqu'à la convocation de l'Assemblée Constituante, les affaires publiques de toute la Géorgie sont gérées par le Conseil National, avec adjonction des représentants des minorités ethniques, et par le gouvernement provisoire, responsable devant le Conseil National.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ეროვნული ჰიმნი

## დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნული ჰიმნი 1918-21 წლებში

### დიდება

დიდება ზეცით კურთხეულს,
დიდება ქვეყნად სამოთხეს
ტურფა ივერსა!

დიდება ძმობა-ერთობას,
დიდება თავისუფლებას,
დიდება სამარადისოდ
ქართველ მხნე ერსა!

დიდება ჩვენსა სამშობლოს,
დიდება ჩვენი სიცოცხლის
მიზანს დიადსა!

ვაშა ტრფობასა-სიყვარულს,
ვაშა შვებასა-სიხარულს,
სალამი ჭეშმარიტების
შუქ-განთიადსა!

მუსიკა: კოტე ფოცხვერაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა

### I.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი მთავრობა შედგენილ იქნა პარლამენტში წარმოდგენილ პარტიათა კოალიციის ნიადაგზე: მთავრობის თავმჯდომარე და შინაგან საქმეთა მინისტრი გახდა ნოე რამიშვილი(სოციალ-დემოკრატი).

საგარეო საქმეთა მინისტრი აკაკი ჩხენკელი(სოციალ-დემოკრატი).

მიწათმოქმედებისა და შრომის მინისტრი ნოე ხომერიკი(ს.დ.).

ფინანსთა მინისტრი კონსტანტინე კანდელაკი(სოციალ-დემოკრატი).

იუსტიციის მინისტრი შალვა მესხიშვილი(სოციალისტ-ფედერალისტი).

განათლების მინისტრი გიორგი ლასხიშვილი(სოციალისტ-ფედერალისტი).

გზათა მინისტრი ივანე ლორთქიფანიძე(სოციალისტ-რევოლუციონერი).

ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი გიორგი ჟურული(ეროვნულ დემოკრატი).

### II.

"საქმეთა მსვლელობაში - წერს ნოე ჟორდანია - გამოირკვა ორი გარემოება: ერთი, მთავრობის ხელმძღვანელი მისაღებია არა თავისთავად, როგორც ამნაირი, არამედ იმდენად, რამდენად ის მორალურად და პოლიტიკურად დამსახურებული პიროვნებაა. მთავრობის კანდიდატი შეკავშირებულია არა თვით თანამდებობასთან, არამედ პიროვნებასთან. ნოე ჟორდანიას ჰრძანებას ემორჩილებიან, სხვებისას კი არა - აი ამ ფსიხოლოგიის ამოძახილი. ასეთი პიროვნება, ასეთი ფსიხიკა ძირს უთხრიდა ნაციონალური მთავრობის არსებობას, მთელ ნაციონალურ საქმეს. კანონიერად შედგენილი მთავრობა ერის მთავრობაა - ეს ასეა ყოველგან, ასე უნდა იყოს ყოველგან. ჩვენში კი ეს დიდი საქმე დაუკავშირეს პიროვნებას."

### III.

ამის გამო, 1918 წლის 24 ივნისს ნოე რამიშვილი მთავრობის თავმჯდომარის ადგილზე შეცვალა ნოე ჟორდანიამ,რასაც მოყვა მთავრობაში ზოგიერთი ცვლილებები. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრად არჩეულ იქნა ევგენი გეგეჭკორი, ხოლო დამფუძნებელი კრების მოწვევის შემდეგ(მარტი,1919 წელი), საქართველოს კოალიციური მთავრობა შეცვალა მთავრობამ,რომელშიც შედიოდნენ მხოლოდ სოციალ-დემოკრატები.

---

### IV.

"ამიტომ მე ვერას გზით ვერ მოვიშორე ეს თანამდებობა. დამფუძნებელი კრების მოწვევით ვფიქრობდი დასრულდებოდა ჩემი მისია და არც ვაპირებდი მის გაგრძელებას. ჰქონდა დიდი ლაპარაკი და კამათი პასუხისმგებელ ამხანაგებთან. ესენი ერთხმად მარწმუნებდნენ, რომ ჩემი გადადგომა დაანგრევს სახელმწიფოს, სამაგიერო ავტორიტეტიანი და მისაღები არავინაა და ისევ აიყვანენ დაბმული სახელმწიფო აპიროვნებას მიუჩვეველი ძალები. აღმასრულებელი კომიტეტები კვლავ შეეცდებიან დაიბრუნონ თავისი ძველი ფუნქციები და სხვადასხვა. გაჩნდა მსხვრევი, [illegible]."("ჩემი წარსული").

### V.

თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ნოე რამიშვილის შეცვლას ნოე ჟორდანიას მიერ მთავრობის თავმჯდომარის პოსტზე, ამის შესახებ ზურაბ ავალიშვილი თავის წიგნში "დამოუკიდებელი საქართველო",რომელიც დაიბეჭდა პარიზში 1924 წელს, სხვათა შორის, წერს:

"1918 წლის ივნისის ბოლოს, საქართველოს მთავრობას სათავეში ჩაუდგა ნოე ჟორდანია, და ამით მიღწეულ იქნა განსაზღვრული კოორდინაცია სამთავრობო მანქანისა და სხვადასხვა პარტიული და რევოლუციური

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორგანიზაციებისა, რომელთა ხელმძღვანელად ის ითვლებოდა. არადიდი მასშტაბით, საქართველოს პირობებში, თავიდან იქნა აცილებული გაორება 'მთავრობისა' და 'საბჭოსა', რაც ასე საბედისწერო გახდა რუსეთისათვის 1917 წელს".

კარლო ინასარიძე
პარიზი, 1989 წლის 26 მაისი

## საქართველოს საერთაშორისო ცნობის საკითხი

I.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე, 1918 წლის 26 მაისს, წამოიჭრა საქართველოს საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი, ვინაიდან საქართველოს ტრადიციული საგარეო პოლიტიკური ხაზის განგრძობა, ე.ი. რუსეთ-სპარსეთ-თურქეთისაგან დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის წარმოება, მეფის რუსეთის ორიენტაციის აღების შემდეგ 1783 წელს, შეუძლებელი ჩანდა. ამიტომ საქართველოს მთავრობამ მიზანშეწონილად ჩათვალა ორიენტაციის აღება კაიზერის გერმანიაზე იმ რწმენით, რომ გერმანიისა და საქართველოს გეოპოლიტიკური მონაცემები სავარაუდოს არ ხდიდა იმას, რომ გერმანია რუსეთის გზას დაადგებოდა, ე.ი. საქართველოს ანექსიას მოახდენდა, როგორც ეს მოიმოქმედა მეფის რუსეთმა 1801-ლ წელს.

II.

მაგრამ გერმანია ჯერ მოითხოვდა საბჭოთა რუსეთის თანხმობას, რომ ეცნო საქართველოს დამოუკიდებლობა, რაც სრულიად მიუღებელი იყო საქართველოსათვის. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი საქართველოს ნოე რამიშვილის მთავრობის დროს – აკაკი ჩხენკელი – ბერლინში უმტკიცებდა გერმანიის მთავრობას, რომ რუსეთის ყოფილ იმპერიაში საქართველოს გააჩნდა განსაკუთრებული სტატუსი 1783-ი წლის რუსეთ-საქართველოს ე.წ-ლი ტრაქტატის საფუძველზე; რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა არასოდეს არ ყოფილა ფორმალურად გაუქმებული და ამიტომ გერმანიას შეუძლია საქართველოს ცნობა საბჭოთა რუსეთის მთავრობის თანხმობის გარეშე.

III.

იმისათვის, რომ გარდალახული ყოფილიყო გერმანიის მთავრობის შეფიქრიანება ამ საკითხში, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შესწავლა დაევალა ცნობილ გერმანელ საერთაშორისო სამართლის მეცნიერს, ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორს ფრანც ფონ ლისტს, რომელმაც შეიმუშავა ექსპერტიზა (Prof.Dr.Franz von Liszt:Die voelkerrechtliche Stellung der Republik Georgien. Ein Gutachten.Berlin,I918), რომელიც გამომდინარეობდა არა 1783 წლის ხელშეკრულებიდან ან 1801 წლის საქართველოს ანექსიიდან, არამედ საქართველოს მდგომარეობიდან 1918 წელს; და მივიდა დასკვნამდე, რომ არავითარი იურიდიული ჯებირი არ არსებობს, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა არ იქნეს ცნობილი გერმანიის მთავრობის მიერ. აი პროფესორ ფრანც ფონ ლისტის დასაბუთება:

1. საქართველო უკვე ახლა (1918 წლის აგვისტოს) არის თვითმყოფადი და სრულიად დამოუკიდებელი და ამით სუვერენული სახელმწიფო და, როგორც ასეთს, გააჩნია საერთაშორისო-უფლებრივი მომთხოვნობა იცნოს სხვა სახელმწიფოებმა.

2.საქართველოს რესპუბლიკა უკვე ცნობილია,როგორც დე ფაქტო არსებული წევრი სახელმწიფოთა ერთობისა,-გერმანიის იმპერიისა და მისი მოკავშირეებისადმი...

3.ფორმალური ცნობის წინააღმდეგ არ არსებობს იურიდიული შესადავებული საბუთი. ეს არ იქნებოდა "არამეგობრული მოქმედება" რუსეთის მიმართ,რომელმაც ღიათ და საზეიმოდ გამოაცხადა ხალხთა თვითგამორკვევის თავისუფლების უფლება,"სრული გამოყოფისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის ჩათვლით".

IV.

გერმანია-რუსეთის ბრესტ-ლიტოვსკის დამატებით ხელშეკრულებაში კი,რომელიც ხელმოწერილ იქნა ბერლინში 1918 წლის 27 აგვისტოს, მე-13 მუხლში ნათქვამია:

"რუსეთი აცხადებს თავის თანხმობას იმაზე, რომ გერმანიამ იცნოს საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივ ორგანიზმად".

(Deutsch-Russischer Ergaenzungsvertrag vom 27.Augaust I918,Art.I3: "Russland erklaert seine Zustimmung, dass Deutschland Georgien als selbstataendiges Staatsgebilde anerkennt".)

V.

საქართველოს იურიდიული ცნობა მეტად გაჭიანურდა, და ეს შესაძლებელი გახდა პირველი მსოფლიო ომის დამთავრების და კაიზერის გერმანიის მთავრობის რესპუბლიკური მთავრობით შეცვლის შემდეგ; გერმანიამ იურიდიულად საქართველოს დამოუკიდებლობა იცნო 1920 წლის 24-ს დეკემბერს, საქართველოს დამოუკიდებლობის დე ფაქტო ცნობის ორ-წელიწადზე მეტი ხანის გავლის შემდეგ; საქართველოს დამოუკიდებლობა დე ფაქტო გერმანიამ იცნო ჯერ კიდევ 1918-ი წლის 10-თ ივნისს,ე.ი. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დაახლოებით ორი-კვირის შემდეგ.

VI.

დაბოლოს ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 1918 წელს,საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციას ბერლინში ხელმძღვანელობდა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ნოე რამიშვილის მთავრობაში - აკაკი ჩხენკელი, ხოლო დელეგაციაში შედიოდენ ისეთი ქართველი გამოჩენილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეები,როგორიც იყვნენ ნიკო ნიკოლაძე და ზურაბ ავალიშვილი.

კარლო ინასარიძე

## საქართველოს დამოუკიდებლობის დე ფაქტო და დე იურე
## ც ნ ო ბ ა

I.

1920-ი წლის 7-ი მაისის რუსეთ-საქართველოს საზავო ხელშეკრულებით, საბჭოთა რუსეთმა დე ფაქტო და დე იურე,ე.ი. ფაქტიურად და იურიდიულად ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა და სუვერენობა, და ამით საქართველო, როგორც სახელმწიფო, მეფის რუსეთის 117-ი წლის ბატონობის შემდეგ, ისევ გახდა საერთაშორისო სამართლის სუბიექტი,ე.ი.გამოვიდა საერთაშორისო არენაზე როგორც დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო.

"რუსეთი ურეზერვოთ ცნობს საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებ-

ლობასა და სუვერენიტეტს და ნებაყოფლობით უარს ამბობს ყველა სუვერენულ უფლებაზე, რომლებიც ეკუთვნოდა რუსეთს საქართველოს ხალხისა და ტერიტორიის მიმართ."

(საბჭოთა რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების I მუხლი.)

"Россия безоговорочно признает независимость и самостоятельность Грузинского государства и отказывается добровольно от всяких суверенных прав, кои принадлежали России в отношении к грузинскому народу и земле".

( Статья I.)

II.

გერმანია-რუსეთის(რსფსრ) 1918 წლის 27 აგვისტოს ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების დამატების მე-13 მუხლში თქმულია:

"რუსეთი აცხადებს თანხმობას, რომ გერმანიამ იცნოს საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობა."

Im deutsch-russischen(RSFSR) Ergaenzungsvertrag von Brest-Litowsk vom 27. August I9I8, Art. I3 heisst es:

"Russland erklaert seine Zustimmung, dass Deutschland Georgien als Selbststaendiges Staatsgebilde anerkennt."

III.

"საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, იტალია, იაპონია და ბელგია, გაერთიანებულნი უმაღლეს საბჭოში, ცნობენ დე იურე საქართველოს დამოუკიდებლობას".

(ნოტა უმაღლესი საბჭოს პრეზიდენტის - არისტიდ ბრიანისა, 27 იანვარი, 1921 წელი.)

"La France, la Grande-Bretagne, l'Italie, le Japon et la Belgique, réunis en Conseil Suprême, ont reconnu de jure l'indépendance de la Géorgie."

(Note d'Aristide Briand, Président du Conseil Suprême. du 27 janvier I92I.)

IV.

ამგვარად, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სუვერენობა, მოკლე დროის განმავლობაში, იცნო შემდეგმა სახელმწიფოებმა:

| სახელმწიფო: | დე ფაქტო: | დე იურე: |
|---|---|---|
| თურქეთი | 1919 წ. | 3 ივნისი 1918 წ. |
| არგენტინა | | 13 სექტ. 1919 წ. |
| საფრანგეთი | 11 იანვარი, 1920, | 27 იან. 1921 წ. |
| დიდი ბრიტანეთი | 11 იან. 1920 წ. | 27 იანვ. 1921 წ. |
| იტალია | 11 იანვ. 1920 წ. | 27 იანვ. 1921 წ. |
| იაპონია | | 27 იანვ. 1921 წ. |
| საბჭოთა რუსეთი | | 10 მაისი 1920 წ. |
| ბელგია | 27 აგვ. 1920 წ. | 27 იანვ. 1921 წ. |
| გერმანია | 10 ივნისი 1918 წ. | 24 სექტ. 1920 წ. |
| პოლონეთი | | 28 იანვ. 1921 წ. |
| რუმინეთი | | 18 თებ. 1921 წ. |
| ჩეხოსლოვაკია | 8 აპრ. 1920 წ. | .............. |
| ავსტრია | 18 ივნისი 1918 წ. | 17 თებ. 1921 წ. |
| ლუქსემბურგი | | 23 თებ. 1922 წ. |
| ჰაიტი | | 9 მარტი 1921 წ. |
| ლიბერია | | 28 მარტი 1921 წ. |
| მექსიკა | | 14 აპრ. 1921 წ. |

პანამა......................................26 აგვისტო 1921 წ.

სიამი.......................................20 ნოე.1921 წ.

შვეიცარია...................................1920 წელი.

და მსოფლიოს სხვა მრავალი სახელმწიფო,რომლებიც უკვე დიპლომატიურ მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ დამოუკიდებელ საქართველოსთან და გადაწყვეტილი ჰქონდათ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და სუვერენობის დე ფაქტო და დე იურე ცნობა, შეაჩერა იმ ფაქტმა, რომ საბჭოთა რუსეთმა თავს დაესხა დამოუკიდებელ საქართველოს 1921 წლის თებერვალ-მარტში,დაიპყრო ჩვენი სამშობლო და ამით მსოფლიოს მრავალ სახელმწიფოს მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის პროცედურაც შეწყდა.

კარლო ინასარიძე
პარიზი, 1989 წლის 26 მაისი

## 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების უფლებრივი ხასიათი

### I.

პირველი ორი მუხლი რუსეთ-საქართველოს 1920-ი წლის 7-ი მაისის ხელშეკრულებისა, ნათლად გამოხატავს საბჭოთა რუსეთისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ურთიერთობას საერთაშორისო სამართლის საფუძველზე: პირველ მუხლში სიტყვა-სიტყვით ნათქვამია:
"რუსეთის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის მიერ აღიარებული იმ უფლებიდან გამომდინარე, რომ ყველა ხალხებს გააჩნიათ თავისუფალი თვითგამორკვევის უფლება იმ სახელმწიფოდან სრულ გამოყოფამდეც კი,რომლის შემადგენლობაში ისინი შედიან, - რუსეთი უსიტყვოთ სცნობს საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობასა და სუვერენობას და ნებაყოფლობით ამბობს უარს ყოველგვარ სუვერენულ უფლებებზე,როგორიც კი გააჩნდა რუსეთს ქართველი ხალხისა და საქართველოს ტერიტორიის მიმართ."
რუსეთ-საქართველოს ამ ხელშეკრულების მეორე მუხლში კი ნათქვამია:
"ამ ხელშეკრულების პირველ მუხლში ჩამოყალიბებული პრინციპებიდან გამომდინარე, რუსეთი იღებს ვალდებულებას, - უარი თქვას საქართველოს შინაურ საქმეებში ყოველგვარ ჩარევაზე".

ეს ორი მუხლი,ისე როგორც რუსეთ-საქართველოს 1920-ი წლის 7-ი მაისის ხელშეკრულების მთელი რაობა,ნათელს ხდის, რომ 1920-ი წლის 7-ი მაისიდან რუსეთსა და საქართველოს შორის დამყარდა დე ფაქტო და დე იურე,ე.ი.ფაქტიურად და იურიდიულად ურთიერთობა საერთაშორისო სამართლის საფუძველზე და რუსეთისთვისაც საქართველო გახდა საერთაშორისო სამართლის სუბიექტი. რუსეთ-საქართველოს ამ საზავო ხელშეკრულებით კი - ფაქტიურად და იურიდიულად - ყველა ამ თარიღამდე არსებული საერთაშორისო ხელშეკრულებები,რომლებიც წარსულში დაიდო რუსეთსა და საქართველოს,ან საქართველოს რომელიმე ნაწილს შორის, გახდა - იურიდიული გამოთქმა რომ ვისმაროთ - "ნული და უმნიშვნელო".

### II.

ჩვენდა საუბედუროდ, - როგორც მეფის რუსეთმა დაარღვია 1783-ი წლის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულება და 1801-ს წელს მოახდინა საქართველოს ანექსია, საბჭოთა რუსეთმაც,ლენინის მეთაურობით,

დაარღვია 1920-ი წლის რუსეთ-საქართველოს საზავო ხელშეკრულება და, ამჯერად, იარაღის ძალით დაიპყრო დამოუკიდებელი საქართველო 1921 წლის თებერვალ-მარტში.

III.

მაგრამ იურიდიულად არსებითია ის ფაქტი, რომ საქართველოს რესპუბლიკა იურიდიულად მაინც დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ითვლება, ვინაიდან საქართველოს დაპყრობა 1921 წლის თებერვალ-მარტში, საქართველოს დემოკრატიული გზით არჩეულ მთავრობას ან ქართველ ხალხს, ვთქვათ, რეფერენდუმის გზით, - არასოდეს არ უცვნია. ამდენად, იურიდიულად, საქართველო მაშინვე უნდა გახდეს ფაქტიურადაც დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო, როგორც კი ის ძალა, ის ძალადობის აქტი გაუქმდება, რომელმაც 1921 წლის თებერვალში შეაჩერა , დროებით შეწყვიტა დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციის - ძირითადი კანონის - მოქმედება.

IV.

ამდენად, მოსკოვის ბატონობას საქართველოში, დაწყებული 1921-ი წლის თებერვალ-მარტიდან არავითარი იურიდიული საფუძველი არ გააჩნია საერთაშორისო სამართლის საფუძველზე. ფაქტიურად საქართველო, როგორც სახელმწიფო, მოსკოვის ბატონობის ქვეშაა, მაგრამ იურიდიულად საქართველო დღესაც დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფოა და ეს იურიდიული უფლება ელის მის ფაქტიურ გახორციელებას, ე.ი. უცხო ძალის მოხსნას საქართველოსა და ქართველ ხალხზე, რის შედეგად საქართველო ფაქტიურადაც აღადგენს მის დამოუკიდებლობასა და სუვერენობას, როგორც ეს აღიარებულ იქნა თვით რუსეთის მიერ 1920-ი წლის 7-ი მაისის ხელშეკრულებით.

კარლო ინასარიძე
პარიზი, 1989 წლის 26 მაისი

"საბჭოთა სისტემის განვითარების შეფასებისას ჩვენ გამოვდივართ იმისაგან, რომ იქ ბატონობს სახელმწიფო კაპიტალიზმი. საბჭოთა კავშირში კი განმტკიცდა არა სახელმწიფო კაპიტალიზმი, არამედ სამრეწველო ფეოდალიზმი.

საბჭოთა ბიუროკრატია შეეზარდა კლასიკურ რუსულ იმპერიალიზმს და მიისწრაფვის ევროპისაკენ!"

მილოვან ჯილასი 1977 წლის 29 ოქტომბერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 1789 - 14 ივლისი - 1989

# საფრანგეთის დიდი რევოლუციის 200 წლისთავი და საქართველო

## "ახალი ეპოქის დასაწყისი"

### 4 ივლისი - 14 ივლისი - 26 მაისი

რევოლუცია არის ევოლუციის
ჩასახვის პირმშო შვილი

I.

4 ივლისი - 14 ივლისი - 26 მაისი...და უკვე დაკავშირებულია 26 მაისი 1918 წლისა არა მარტო 14 ივლისთან 1789 წლისა, არამედ 4 ივლისთანაც 1776 წლისა, ე.ი. 26 მაისი, საქართველოს დამოუკიდებლობისა და სუვერენობის ისევ-აღდგენის ეროვნული დღესასწაული დაკავშირებულია 14 ივლისთან, საფრანგეთის დიდი რევოლუციის მონაპოვართან და ამასთანავე, შეიძლება ითქვას, "ორივეს მშობელ დედასთან" - 4 ივლისთან, ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობისა და სუვერენობის გამოცხადების დღესთან.

II.

ამდენად, საფრანგეთის დიდი რევოლუციის მონაპოვარზე რომ ვილაპარაკოთ, ჯერ, ვითომ საჭიროა ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის დღეზე ლაპარაკი? - უთუოდ, თუმცა 4 ივლისისა და 14 ივლისის ამოსავალი პირობები არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან: ამერიკის შეერთებული შტატები, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტი, როგორც სახელმწიფო ორგანიზმი, 1776 წლის 4 ივლისამდე არც კი არსებობდა, საერთოდ; არსებობდა მხოლოდ დიდი ბრიტანეთის კოლონიური ერთეული შტატები, რომლებმაც შეებრძოლეს კოლონიზატორს, ჯორჯ ვაშინგტონის მეთაურობით, და ამგვარად, 1776 წლის 4 ივლისს ბრიტანეთის 13-მა კოლონიამ გამოაცხადეს ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობა ბრიტანეთისგან - კონფედერაციულ საწყისებზე, რაც მოგვიანებით ამერიკის შეერთებული შტატების ფედერაციული სახელმწიფო გახდა.

III.

14 ივლისის, 1789 წლის ამოსავალი პირობები კი სრულიად სხვაგვარი იყო: საფრანგეთი, როგორც დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო - თუ ანტიკურ ხანას მხედველობაში არ მივიღებთ - წარმოიშვა იმპერატორ ჩარლემანის= კარლ დიდის იმპერიის დასავლეთ ნაწილში, რომელიც, მიუხედავად ცვალებადი ისტორიული პირობებისა, - საფრანგეთის დიდი რევოლუციამდე ეროვნული და სახელმწიფოებრივი თავის-უფლების დაკარგვის საშიშროების ქვეშ არ იმყოფებოდა, რაც არ იძლევა იმის მაგალითს, რომ 14 ივლისი 1789 წლისა შევადაროთ, ამ მხრივ, 4 ივლისს 1776 წლისა. 1789 წლის "რევოლუციის არსებითი მიზეზი იყო ფეოდალიზმის შეუგუებლობა ვადაქცეულიყო მოდერნულ საზოგადოებად და უუნარობა მოეხდინა რეჟიმის რეფორმები"("ლ",ტ.25, გვ.5081), რამაც გამოიწვია ეკონომიკური კრიზისი, და ამით რევოლუცია.

IV.

ამგვარად, 1776 წლის 4 ივლისისა და 1789 წლის 14 ივლისის ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი იყო, მეტ-ნაკლები, ეკონომიკური კრიზისი; მაგრამ იმ არსებითი განსხვავებით, რომ პირველ შემთხვევაში "დაპყრობილები"(აშშ) იბრძოდნენ "დამპყრობლების"(დიდი ბრიტანეთის) წინააღმდეგ და გაიმარჯვეს, ხოლო - მეორე შემთხვევაში, - ფრანგი ერის, არსებითად, ორი კლასი, თუ ორი სოციალური წესყობილება - ფეოდალიზმი და ბურჟუაზია - ებრძოდა ერთმანეთს, და კანონზომიერია, რომ ფეოდალიზმი შთანთქა ინდუსტრიალიზაციამ.

V.

მაგრამ კონკრეტულად რაში გამომჟღავნდა 4 ივლისისა და 14 ივლისის "ნათესაობა", რომლის დროს მეორეს(14 ივლისი) "მშობელი დედა"-პირველს (4 ივლისს) ვუწოდეთ, ხოლო ორივე 26 მაისის წინამორბედად ვაღიარეთ?.. ამგვარი შედარების საშუალებას გვაძლევს სამი დიდი ისტორიული დოკუმენ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტი:ამერიკის შეერთებული შტატების "დამოუკიდებლობის დეკლარაცია"(4 ივლისი, 1776 წელი)= "The Declaration of Independence"; July 4, 1776); "ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია"(26 აგვისტო, 1789 წელი)= "La Déclaration des droits de l'homme et du citoyen"; 26 août 1789) და "საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი"(26 მაისი, 1918 წელი).

VI.

"კაცობრიობის ისტორიული მოვლენების დროს, ერთი ხალხისათვის აუცილებელი ხდება - ნათქვამია, სხვათა შორის, ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის დეკლარაციაში(4 ივლისი,1776 წელი) - გაწყვიტოს პოლიტიკური კავშირები, რომლებიც მას აკავშირებდა მეორე ხალხთან; და მსოფლიოს ხალხებს შორის,ეყრდნობა რა თავისთავს, - იგი გამოეყოფა მას, და, თანასწორობის ბაზაზე, აუცილებელი ბუნებრივი და ღვთიური უფლებებით,რაც კაცობრიობის მსოფლხედვას პასუხობს, - აყალიბებს გამოყოფის მიზეზებს.

ჩვენ ვაღიარებთ თავისთავად ნათელ ჭეშმარიტებას, რომ ყველა ადამიანი დაბადებულია თანასწორი უფლებით, და რომ იგი აღჭურვილია შემოქმედისაგან უცილობელი განუყოფელი უფლებებით, რომელთა შორისაა ცხოვრება, თავისუფლება და ბედნიერებისაკენ მისწრაფება.

ამ უფლებათა უზრუნველყოფისათვის, ადამიანები ქმნიან მთავრობას, რომლის უფლებამოსილება ხალხის თანხმობისაგან გამომდინარეობს.

თუ მთავრობის რომელიმე ფორმა ამ მიზანს ეწინააღმდეგება, მაშინ ხალხს უფლება აქვს შეცვალოს ან გადააყენოს იგი, და ახალი მთავრობა შექმნას, რომელიც ისეთ პრინციპებს ეყრდნობა და მის უფლებამოსილებას ისე აწესრიგებს, როგორც ეს ხალხის უშიშროებისა და ბედნიერებისათვის ყველაზე უფრო სასარგებლოა".

VII.

"დამოუკიდებლობის დეკლარაციის" ერთ ადგილას კი ნათქვამია: "ისტორია დიდი ბრიტანეთის ახლანდელი მეფისა(ლაპარაკია გეორგ III-ზე, მეფე 1760-1820 წლებში.კ.ი.) - არის განმეორებითი მოქმედება უსამართლობის და უკანონობისა, რაც უშუალო კავშირშია აბსოლუტური ტირანიის დამყარებასთან ამ შტატებში".

VIII.

ამ ხუთ ორ-გვერდიან "დამოუკიდებლობის დეკლარაციის" დასასრულში კი, სხვათა შორის, ნათქვამია: "ამიტომ ჩვენ, ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლები, გენერალურ კონგრესზე...საყოველთაოდ ვაცხადებთ და ვაქვეყნებთ, რომ ეს შეერთებული კოლონიები არიან და უნდა იყონ თავისუფალი და დამოუკიდებელი შტატები; და რომ ისინი ჩამოშორებულია ბრიტანეთის სამეფოსთან ყოველგვარ დაქვემდებარებისაგან, და რომ ყოველგვარი პოლიტიკური კავშირი მათსა და დიდ ბრიტანეთის სახელმწიფოსთან არის და უნდა იყოს სრულიად ხელუხლებელი; და რომ შეერთებულ შტატებს, როგორც თავისუფალ და დამოუკიდებელ სახელმწიფოს, აქვს სრული ძალაუფლება ომის გამოცხადების, საზავო ხელშეკრულების დადების, კავშირების დამყარების, ვაჭრობის განვითარების, და ყველა სხვა მოქმედებისა და საქმის, რომელთა უფლება უნდა გააჩნდეს დამოუკიდებელ სახელმწიფოს".

IX.

ამერიკის შეერთებული შტატების "დამოუკიდებლობის დეკლარაცია" თავის გამოხატულებას პოულობს ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციაში, რომელიც 1787 წელს შეიმუშავა "კონსტიტუციის-კონვენტმა", ფილადელფიაში, რომლის პირველი მუხლის პირველ აბზაცში("სექციაში") ნათქვამია:

"მთელი კანონმდებლობითი ძალაუფლება ეკუთვნის ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესს, რომელიც შედგება სენატისა და წარმომადგენლობით პალატისაგან."

მეორე მუხლის პირველი აბზაცი("სექცია"):

"აღმასრულებელი ძალაუფლება არის ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ხელში, იგი არჩეულია თავის თანამდებობაზე ოთხი წლით..."

მესამე მუხლის პირველ აბზაცში("სექციაში") კი ნათქვამია:

"შეერთებული შტატების მართლმსაჯულებითი ძალაუფლება ეკუთვნის უზენაეს სასამართლოს და ისეთ დაბალი დონის სასამართლოებს, რომლებიც კონგრესმა შეიძლება ზოგჯერ დააწესოს და შექმნას".

X.

ამგვარად, ამერიკის შეერთებული შტატების "დამოუკიდებლობის დეკლარაციაში" და კონსტიტუციაში, სხვა მრავალთა შორის, ჩამოყალიბებულია ორი

საერთაშორისო მნიშვნელობის დებულება:
ერთი დებულება არის ის, რომ ერთ ხალხს უფლება აქვს  გ ა მ ო ე ყ ო ს მეორე ხალხს, რომელიც მასზე ბატონობს, და შექმნას დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო.
მეორე დებულებაა ის, რომ  სახელმწიფო ძალაუფლება უნდა განაწილებულ იქნას კანონმდებლობით, აღმასრულებელ და მართლმსაჯულებით ორგანოებად, რაც, საერთოდ, დემოკრატიული, უფლებრივი სახელმწიფოს დედა-ბოძია. ამით კი განხორციელებულ იქნა მონტესკიეს(შარლ დე მონტესკიე, 1689-1755,"კანონების სული") დებულება: სახელმწიფო "...ძალაუფლების ბოროტად გამოყენება არ იქნას დაშვებული,...ძალაუფლებას ძალაუფლებამ უნდა დაუდვას ზღვარი."

XI.

ადამიანის კანონის წინაშე თანასწორობის მოძღვრება კი(ჟან-ჟაკ რუსო: "საზოგადოებრივი ხელშეკრულება", - 1712-1778), - აყენებს ადამიანის უფლებების "ორ-ბუნებოვანების" საკითხს, რაც დავას იწვევს დღესაც: "წინა-სახელმწიფოებრივი"="პრე-სახელმწიფოებრივი" და სახელმწიფოებრივი ადამიანის უფლებები; სხვა სიტყვებით:"ბუნებრივი" და "განსაზღვრული", ან კიდევ:"განუსაზღვრელი" და "განსაზღვრული" ადამიანის უფლებები.

XII.

ამგვარად, ადამიანის უფლებებია დაბადებით თანდაყოლილი და უცილობელი(გაუყიდველი) უფლებები, რომელიც ყოველ ადამიანს, დამოუკიდებლად მისი მინიჭებისა სახელმწიფოს მიერ და მისი ქვეშევრდომობისა, - ეკუთვნის მისი ადამიანური ყოფიერების ძალით. მოქალაქეობრივი უფლებებისაგან განსხვავებით, ადამიანის უფლებების ფესვებია ბუნებრივი კანონი. ვარაუდი იმისა, რომ ადამიანის უფლებები უცილობელი(გაუყიდველი), სახელმწიფოებრივ ძალაუფლებისაგან დამოუკიდებელი უფლებებია, ეყრდნობა იმ წარმოდგენას, რომ ადამიანთა პირველყოფილ ბუნებრივ,ე.ი."პრე-სახელმწიფოებრივ" მდგომარეობაში, პირობებში სრული თავისუფლება და თანასწორობა არსებობდა. ვინაიდან "ბუნებრივ უფლებათა" "ხელშეკრულების თეორიით",სახელმწიფო ძალაუფლებას "საზოგადოების ყველა ნაწილის შეერთებულ ძალად"(ი.ლოკი) მიიჩნევენ, ცალკეულ "ბუნებრივი"თავისუფლებისა და თანასწორობის პრაქტიკული განხორციელება არ შეუძლია; რადგან "ბუნებრივი" თავისუფლების სახელმწიფოსათვის გადაცემა ეწინააღმდეგება მის ბუნებას.

მართალია, სახელმწიფო სამართლის "პოზიტივისტური გაგება", არ ხსნის ადამიანის უფლებათა "ზე-პოზიტიურობას"; მაგრამ მაინც ხდება ადამიანის ბუნებრივი უფლებების განხორციელება, რომლის დროს ადგილი აქვს ადამიანის ბუნებრივი უფლებების ისევ-აღიარებას, რის შედეგად აღიარებულია - "დაურღვეველი და გაუყიდველი ადამიანის უფლებები, როგორც საფუძველი ყოველი ადამიანური ერთობისა, მშვიდობიანობისა და სამართლიანობისა მთელ მსოფლიოში"(მუხ. 1, აბზ. 2, "ძირითადი კანონი" გფრ-სა). მაგრამ ამგვარი "პრე-სახელმწიფოებრივი" ადამიანის უფლებების პრაქტიკული განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა იგი სახელმწიფო კანონით, განსაკუთრებით,კონსტიტუციით არის გარანტირებული; და სწორედ ასეთი დოკუმენტის სახით აცხადებს ამერიკის შეერთებული შტატების "დამოუკიდებლობის დეკლარაცია" და კონსტიტუცია, ისე როგორც "ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია" და საფრანგეთის 1791 წლის კონსტიტუცია.

XIII.

ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციის პროექტი განხილული და დამტკიცებულ იქნა  საფრანგეთის"დამფუძნებელი კრების"("l'Assemblée constituante") მიერ, 17-26 აგვისტოს, 1789 წელს; და შემდეგ გახდა საფრანგეთის კონსტიტუციის "შესავალი", მიღებული და დამტკიცებული 1791 წელს. ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია "ძველი რეჟიმის", ასე ვთქვათ, "დასაფლავების აქტია",თუმცა დეკლარაციის პროექტის განხილვას მოყვა ხანგრძლივი და გაცხარებული დებატები"კეთილშობილთა",სამღვდელოების თუ "მოქალაქეების"(ბურჟუაზიის) წარმომადგენელ დეპუტატებს შორის. მაგრამ, და-ბოლოს, გამონახულ იქნა კომპრომისი დამყარებული გათვითცნობიერებული სამართლის სიფაქიზესა და განათლების ეპოქის მსოფლხედვისაგან გამომდინარე; და ეს 17-ი მუხლისაგან შემდგარი დეკლარაცია არის, დაახლოებით, მეოცდა-ათე ნაწილი სხვადასხვა პროექტებისა.

XIV.

ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციის ავტორებმა ისევ-აღმოაჩინეს "ბუნებრივ უფლებათა" თეორია, რადგან "დეკლარაცია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ის არის ბუნებრივი უფლება"("La Déclaration souligne qu'elle est un droit naturel". "L".,19,P.3980). "ძველი რეჟიმი" ეყრდნობოდა უთანასწორობას და თვითნებობას ძალდატანების ჩათვლით. "ახალი რეჟიმი" კი უნდა დაყრდნობოდა სამართლიანობას, რაც გამომდინარეობდა იმ რწმენისაგან, რომ თვით ადამიანმა უნდა გამოიყენოს მისი გონიერება, შეიცნოს რაობა ბუნებისა, რომელიც მას მოიცავს, შეისწავლოს ადამიანთა საზოგადოება. მას ესმის აგრეთვე, რომ ის უნდა იყოს უზენაესი არსება, თავის-უფალი ყოველგვარ სოციალურ ურთიერთობაში: თავისუფლება, თანასწორობა და ძმობა.

თავისუფლებაა - იყო თავისთავის ბატონპატრონი, და ამ გზით თავისუფლება მოიპოვო, გამოიყენო და შეიძინო მატერიალური საარსებო საშუალება, გაგაჩნდეს ქონება;

თანასწორობაა - არა ბედ-იღბალი, არამედ ფიზიკური ყოფიერების თანასწორობა, რომელიც გარანტირებული უნდა იქნას უფლებრივად;

ძმობაში -, და-ბოლოს, შეღანვლება თავისუფლება და თანასწორობა, რაც არის ადამიანისა და ერის ბრძოლის შედეგი.

XV.

ჩვენს, ატომისა და ელექტრონიკის ეპოქაში დიდ განძათ არის აღიარებული ადამიანის უფლებები და მისი უნივერსალობა; თუ გნებავთ, უფლება: დამონებული ადამიანი, ერი ახლდეს დამმონებლის წინააღმდეგ, რომ მოიპოვოს თავისუფლება. მაგრამ თავისუფლება ვალდებულებაა. ისტორიკოსი ჟორჟ ლეფევრი (1874-1935) ამბობს: "...უფრო ძნელია იცხოვრო თავისუფლების პირობებში, ვიდრე მონურ მდგომარეობაში, ვინაიდან თავისუფლება არის გამოწვევა, განუწყვეტელი ლტოლვა, თავისთავის მკაცრი კონტროლი, შეიძლება განწირვაც... თავისუფლება არის დაპატიჟება იცხოვრო გაბედულად და, ზოგჯერ, გმირულად". "...plus difficile de vivre libre qu'esclave, que la liberté est application, effort perpétuel, contrôle rigoureux de soi, sacrifice éventuel... elle est invitation à vivre courageusement et, à l'occasion, héroiquement".(G.Lefebvre). ანალოგიურია ი.ვ.გოეთეს აზრიც: "მხოლოდ ის იმსახურებს როგორც თავისუფლებას, ისე ცხოვრებას, ვინც მას ყოველდღიურად მოიპოვებს!" "Nur der verdient sich Freiheit wie das Leben, Der täglich sie erobern muss!"("Faust"). გრიგოლ რობაქიძე, ჩვენი მწერალი და მოაზროვნე, კი "ცხოვრების", "სიცოცხლის" ძირს "ცეცხლთან" აკავშირებს, ხოლო ჩირაღდანი ხომ თავისუფლების სიმბოლოა!.. მაგრამ გავეცნოთ ჯერ აღნიშნული დეკლარაციის პრეამბულასა და სულ 17-ც მუხლს, რომელიც მასშია ჩამოყალიბებული:

XVI.

ადამიანის და მოქალაქის უფლებათა

დ ე კ ლ ა რ ა ც ი ა

====================

დამტკიცებული ეროვნული კრების მიერ 20, 21, 23, 24 და 25 აგვისტოს, 1789 წლის სხდომაზე. მოწონებულ იქნა მეფის მიერ.

პ რ ე ა მ ბ უ ლ ა

საფრანგეთის ხალხის წარმომადგენლები, ასახიერებენ რა ეროვნულ კრებას, აღასტურებენ, რომ უცოდინარობა, დავიწყება თუ სიძულვილი ადამიანის უფლებებისა არის ერთადერთი მიზეზი საზოგადოებრივი უბედურებისა და მთავრობათა კორუფციისა; და ადგენენ ჩამოაყალიბონ საზეიმო დეკლარაცია ბუნებრივი უფლებებისა, გაუყიდველი და წმიდათაწმიდა უფლებები ადამიანისა, რომ ეს დეკლარაცია საზოგადოების ყველა ნაწილის თვალწინ ედგეს და განუწყვეტლივ მის უფლებებსა და მოვალეობებს მოაგონებდეს; და რომ კანონმდებლობითი ძალაუფლების, აგრეთვე აღმასრულებელი ძალაუფლების მოქმედებანი ყოველთვის შეიძლება შედარებულ იქნას ყოველი პოლიტიკური უწყების მიზანთან და ამით შესაბამისად პატივცემულ იქნეს; და რომ მოქალაქეთა საჩივარი მარტივ და უდავო საფუძვლებს ეყრდნობა და ყოველთვის კონსტიტუციისა და ყველას ბედნიერებისაკენ არის მიმართული.

ამის შედეგად, ეროვნული კრება - უზენაესი ყოფიერების თანდასწრებით და მფარველობით - ცნობსა და აღიარებს ადამიანისა და მოქალაქის შემდეგ უფლებებს:

მუხლი I. ადამიანები დაბადებიდან არიან და რჩებიან თავისუფალი და თანასწორი უფლებებით; სოციალური განსხვავება უნდა საფუძვლობდეს საერთო სარგებლიანობაში.

მუხლი II. ყველა პოლიტიკური გაერთიანების მიზანი გამოიხატება ბუნებრივი და მარადიული ადამიანის უფლებების შენარჩუნებაში; ეს უფლებებია თავისუფლება, საკუთრება, უშიშროება და წინააღმდეგობა დაჩაგვრისადმი.

მუხლი III. პრინციპი, რომ მთელი სუვერენობა საფუძვლობს არსებითად ერში: არც უწყებას და არც ინდივიდუუმს არ შეუძლია გამოიყენოს ძალაუფლება, რომელიც მხოლოდდამხოლოდ ნაციიდან არ გამომდინარეობს.

მუხლი IV. თავისუფლება გამოიხატება იმაში, ყველაფრის გაკეთება შეგეძლოს, რაც სხვას ზიანს არ აყენებს. ამით ყოველი ადამიანის მიერ ბუნებრივი უფლებების გამოყენებას იქ აქვს საზღვარი, სადაც საზოგადოების სხვა წევრთა მიერ იმავე უფლებებით სარგებლობა უზრუნველყოფილია. ეს საზღვრები განსაზღვრული უნდა იქნას კანონით.

მუხლი V. მხოლოდ კანონი განსაზღვრავს დაიცვას საზოგადოება საზიანო მოქმედებებისაგან. ყველაფერი, რაც კანონით აკრძალული არ არის, არ შეიძლება აღკვეთილ იქნას, და არავინ არ შეიძლება იძულებულ იქნას, რაიმე გააკეთოს, რასაც კანონი არ ბრძანებს.

მუხლი VI. კანონი არის საერთო ნებასურვილის გამომხატველი; ყველა მოქალაქეს აქვს უფლება, პირადად ან მისი წარმომადგენლის მეშვეობით, მონაწილეობა მიიღოს მის შექმნაში; კანონი უნდა იყოს ყველასათვის ერთნაირი, იცავს თუ სჯის მას. და ვინაიდან ყველა მოქალაქე კანონის წინაშე თანასწორია, შესაბამისად გააჩნიათ მათ უფლებაც, თავიანთი უნარიანობის მიხედვით, თანაბარი შესაძლებლობა ჰქონდეთ მოიპოვონ ღირსება, სამსახური თუ საზოგადოებრივი თანამდებობა, რომლის დროს საზომია მხოლოდ უნარიანობა და ნიჭი.

მუხლი VII. არც ერთი ადამიანი არ შეიძლება ბრალდებული, დაპატიმრებული, დაკავებული იქნას თუ არა კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში, და იმ ფორმით როგორც კანონშია ჩამოყალიბებული. ვინც თვითნებურად ბრძანებას გასცემს, დაწერს, განახორციელებს თუ სხვას დაავალებს მის განხორციელებას, უნდა დაისაჯოს; თუ მოქალაქე, კანონის შესაბამისად, გამოძახებულ ან დაპატიმრებულ იქნება, იგი მაშინვე უნდა დაემორჩილოს; წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში ის დანაშაულს ჩადის.

მუხლი VIII. კანონმა უნდა განსაზღვროს მხოლოდ აუცილებლად და ნამდვილად საჭირო დასჯა. არავინ არ შეიძლება დასჯილ იქნას იმ კანონით, რომელიც დანაშაულის ჩადენამდე არ იყო შექმნილი, გამოცხადებული და გამოყენებული.

მუხლი IX. ვინაიდან ყოველი ადამიანი უდანაშაულოა, სანამ იგი დანაშაულად არ იქნება ცნობილი, თუ დაპატიმრება გვერდაუვალია, ყოველგვარი არასაჭირო სიმკაცრე პიროვნების საშიშროების თავიდან ასაცილებლად-კანონით მკაცრად უნდა იქნას განსაზღვრული.

მუხლი X. არავინ არ შეიძლება მიცემულ იქნას პასუხისმგებლობაში მისი, თუ გინდ რელიგიური აზრისათვის, თუ გამოთქმული აზრი კანონით განსაზღვრულ საზოგადოებრივ წესრიგს ხელს არ უშლის.

მუხლი XI. აზრებისა და შეხედულებების თავისუფალი გაცვლა არის უძვირფასესი ადამიანის უფლებები; ყოველ ადამიანს შეუძლია დაწეროს, ილაპარაკოს და დაბეჭდოს თავისუფლად, კანონით განსაზღვრულ სფეროში.

მუხლი XII. ადამიანისა და მოქალაქის უფლებების უზრუნველყოფისათვის საჭიროა საზოგადოებრივი ძალა; ეს ძალა გამოყენებული უნდა იქნას ყველას სასარგებლოდ, და არა განსაკუთრებით მათთვის, რომლებზედაც მინდობილია იგი.

მუხლი XIII. საზოგადოებრივი ძალის შენახვისა და მისი მმართველობის ხარჯებისათვის საერთო ხარჯები გარდაუვალია; ის განაწილებული უნდა იქნას თანასწორად ყველა მოქალაქეს შორის, მათი ქონების შესაბამისად.

მუხლი IV. მოქალაქეებს გააჩნიათ უფლება, თვითონ ან მათი წარმომადგენლებით საჭირო საზოგადოებრივი ხარჯები გადასინჯონ, მათი თავისუფალი გადაწყვეტილებით განსაზღვრონ, მისი გამოყენება გააკონტროლონ, და განსაზღვრონ რაოდენობა, გამოანგარიშების საფუძველი, აკრეფის წესი და ხანგრძლივობა.

მუხლი XV. საზოგადოებას აქვს უფლება ანგარიში მოთხოვოს ადმინისტრაციის ყოველ საზოგადოებრივ ორგანოს.

მუხლი XVI. ყოველ საზოგადოებას, რომელსაც ამგვარი გარანტიები არ გააჩნია და ძალაუფლების დანაწილება არ აქვს განსაზღვრული, არ გააჩნია ძირითადი კანონი.
მუხლი XVII. საკუთრება არის დაურღვეველი და წმინდა უფლება; არავის არ შეიძლება იგი წაერთვას, თუ კანონით განსაზღვრული საზოგადოებრივი საჭიროება ამას გარდაუვალს არ ხდის; სამართლიანი ანაზღაურების პირობები წინდაწინ უნდა განისაზღვროს."




XVII.

აი, სრული ტექსტი "ადამიანისა და მოქალაქის უფლებების დეკლარაციისა", რომელიც მიიღო საფრანგეთის დამფუძნებელმა კრებამ 1789 წლის 26 აგვისტოს სხდომაზე, და რომელიც, როგორც "შესავალი", შეტანილ იქნა საფრანგეთის 1791 წლის სექტემბერში მიღებულ კონსტიტუციაში. და რომ საფრანგეთის დიდი რევოლუციის "ობიექტურ" შეფასებას დაუახლოვდეთ,-აღნიშნული და სხვა მრავალი დიადი იდეების დანერგვის გვერდით, იდეებისა, რომლების გარეშე,უთუოთ, ვერ შეიქმნებოდა (არა მარტო) თანამედროვე დემოკრატიული, უფლებრივი სახელმწიფოს ცნებაც კი, - უნდა შევეხოთ, საერთოდ, "რევოლუციის" "ორ-ბუნებოვანებასაც", რაც შეიძლება "ბავშვის დაბადებასთან" იქნას შედარებული, რომლის დრო "დედა" არა მარტო უცილობლო "ტკივილებს", ზოგჯერ - იშვიათად,მაგრამ მაინც - "სიკვდილსაც" ვერ იმორებს თავიდან.

XVIII.

რას არ უწოდებენ დღეს რევოლუციას!?.. ამის შედეგად რევოლუციის ცნებაში - ("რევოლუციო"="გადატრიალება") "შეუჩერებელი ცვალებადობა" თუ "ძალადობითი გარდაქმნა" თუ "გადატრიალება" თუ "პუჩი"="სახელმწიფო გადატრიალება" და თვით "მშვიდობიანი რევოლუცია" - სიტყვათა ეს სრულიად შეუსაბამო დაკავშირება - ესმით, იმისდამიხედვით, თუ ამ ცნების რომელი განსაზღვრა სასარგებლოა მოცემული "რევოლუციის" მოცემული "მქადაგებლებისათვის"; რაც, რა თქმა უნდა, რევოლუციის სასიათს-"ძალადობით გადატრიელებას" -

ვერ ცვლის. მისი სა-ერთა-შორისო მნიშვნელობის მაგალითებია, აღნიშნული 1774-1776 წლების რევოლუციის(ამერიკის შ.შ-ში) და საფრანგეთის 1789 წლის დიდი რევოლუციის გვერდით, თუ გნებავთ, - რუსეთის 1917 წლის თებერვლის და ოქტომბრის რევოლუცია, თუ ჩინეთის 1946-49 წლების რევოლუცია. მაგრამ ვერც რუსეთმა და ვერც ჩინეთმა ვერ მისცა კაცობრიობას "დამოუკიდებლობის დეკლარაციისა"(აშშ) და "ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციის"(საფრანგეთი) შესაბამისი ქარტია.

XIX.

ცხადია,რევოლუციის რაობა ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკურ-კულტურულ-სოციალური რაობით განისაზღვრება და არა პირიქით. რევოლუციის აღრინდელ ცნებათა განსაზღვრას რომ გვერდი ავუაროთ, პირველად საფრანგეთში წარმოიშვა - ჟან-ჟაკ რუსოს(1712-1778) მოძღვრებიდან და განათლების ეპოქიდან -"გონის რევოლუციით"(**revolution des Esprits**) რევოლუციის ცნების განსაზღვრა, რაც ნიშნავდა რადიკალურ ჩამოშორებას ყველაფერ "ძველისაგან" და "ახალი" საზოგადოებრივი წესყობილებისაკენ მისწრაფებას, რომლის ბაზაა, მარქსიზმის თანახმად, "მწარმოებელი საზოგადოება", რომელიც - თავის მხრივ - ისტორიულ პროცესში, ახდენს ძალისმიერ, ისტორიულად აუცილებელ გადასვლას წარმოების ერთი ფორმიდან მეორეზე; და მისი მამოძრავებელი ძალაა მწარმოებელ საზოგადოებაში ის კლასი, რომელიც რევოლუციის დროს მწარმოებელი საზოგადოების საერთო ინტერესს წარმოადგენს. ამგვარი პროდუქციის საფეხურები კი, მარქსიზმის თანახმად, არის"პირველყოფილი საზოგადოება","მონათმფლობელობა", "ფეოდალიზმი","კაპიტალიზმი","სოციალიზმი" და "კომუნიზმი". ასე,მაგალითად, საფრანგეთის 1789 წლის რევოლუციაში, ბურჟუაზიული სახელმწიფოებრივი და კონსტიტუციური იდეები წარმოიშვა ფეოდალური აბსოლუტიზმის პირობებში. კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე - "მეხუთე წარმოების საფეხურზე" - გადასვლით იქმნება "წინააღმდეგობათა თავისუფალი საზოგადოება", რომელიც ყველა სხვა რევოლუციისაგან იმით განსხვავდება, რომ პროლეტარიატი არის მისი გამტარებელი და ინსტრუმენტი ერთდროულად. და ვინაიდან პროლეტარული რევოლუციის შედეგად შექმნილი სოციალისტური საზოგადოება თავისუფალია პრინციპული წინააღმდეგობებისაგან, ხდება მშვიდობიანი გადასვლა კომუნიზმში, ე.ი."უკლასო საზოგადოებაში" რევოლუციის გარეშე.

XX.

ეს დასავლეთ ევროპის მოწინავე ინდუსტრიული ქვეყნების რაობაზე დაყრდნობილი თეორია, ლენინმა"გარდაქმნა" იმით, რომ "პროლეტარული რევოლუციის" ავანგარდად აქცია "კადრის პარტია",რომელმაც"ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს პროლეტარიატს მისი ისტორიული მისიის განხორციელებაში". სტალინმა კი "ზემოდან რევოლუციით" განაგრძო ლენინური გზა"სოციალისტური საზოგადოების შემდგომი განვითარების მიზნით". მაო ძედუნმა - თავის მხრივ - კომპარტიას ავანგარდის როლი მიანიჭა, რომელიც "ობიექტურად" მოშორებულია საზოგადოებრივ ბაზისაგან, რის შედეგად ლოზუნგი:"ძალაუფლება გამოდის შაშხანის ლულიდან".

XXI.

ამგვარად, რევოლუციის ეს სამი განსხვავებული მოდელი გამომდინარეობს სამი სხვა-და-სხვა დონის საზოგადოებრივ მდგომარეობისაგან: მარქსმმხედველობაში ჰქონდა დასავლეთი და შუა ევროპის განვითარებული სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა XIX-ე საუკუნეში; ლენინ-სტალინი გამომდინარეობდენ 900-იანი წლების ჩამორჩენილი რუსეთის მდგომარეობდან; ხოლო მაო ძედუნი - ჩინეთის ნახევრად-კოლონიურ მდგომარეობიდან. როგორც ვხედავთ, ვერც რუსეთის და ვერც ჩინეთის რევოლუციებმა ვერ მოგვცა, არც შეეძლო მოეცა ისეთი დიდი საკაცობრიო ჰუმანიტარული იდეების გამომხატველი დოკუმენტი, როგორიცაა "ადამიანის და მოქალაქის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია", ვინაიდან ისინი ეყრდნობოდენ და ეყრდნობიან"დიქტატურას ზემოდან".

XXII.

მაგრამ,მასობრივი ტერორის მხრივ, მათ შორის ბევრი პარალელის გავლებაა შესაძლებელი, რის მიზეზი კლასთა თუ ფენათა სოციალურ რაობაში მჟღავნდება, რომლის დროს საფრანგეთის რევოლუციის ხანად მიჩნეულია 1789-1799 წლები:

XXIII.

1789 წლის რევოლუციის მიზეზად მიჩნეულია ფეოდალიზმის უუნარობა გადაეყვანა საზოგადოება ახალ რელსებზე. უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ ფეოდალიზმა უკვე "მოჭამა თავის დრო" და აღარ შეეძლო საფრანგეთის

თანამედროვე ეკონომიკური ცხოვრების შესაბამისი საზოგადოებრივი წესყობილება შეექმნა,სულ ცოტა, რეფორმების გზით. ფეოდალიზმი კი მძიმე ტვირთად აწვა კისერზე განსაკუთრებით გლეხობას, და ავიწროვებდა ბურჟუაზიას:
- მიწის ერთი-მესამედი ეკუთვნოდა ფეოდალებსა და სამღვდელოებას; ბურჟუაზია კი შევიწროებული იყო სახელმწიფო წესყობილების იერარქიის მიერ.
- აბსოლუტური მონარქიული სახელმწიფოებრივი სისტემის"მუხრუჭი": არათანაბარი,უსამართლო საგადასახადო სისტემა ფეოდალიზმისა და სამღვდელოების სასარგებლოდ, რაც კიდევ უფრო აღატაკებდა,განსაკუთრებით გლეხობას.

XXIV.

რევოლუციურ ძალას წარმოადგენდა, ამგვარად,გლეხობა და ბურჟუაზია, რომელთა წინააღმდეგ გაილაშქრა აბსოლუტური მონარქია და არისტოკრატია, რაც გამწვავდა - მაღალი ფასებისა და დემოკრატიული "აფეთქების" გვერდით - ტექნიკური პროგრესით გამოწვეული პროდუქციის სტრუქტურის ცვლილებამ სოფლის მეურნეობაში. ბურჟუაზია კი,ტექნიკური პროგრესის,მრეწველობის, აღებმიცემობის გაძლიერების შედეგად, გაძლიერდა, რაც - თავის მხრივ - ფეოდალური არტახების გაწყვეტისაკენ და ამით "თავისუფლება,-თანასწორობა,-ძმობისაკენ"მისწრაფებაში ხედავდა "ახალი საზოგადოების" შექმნის გზას, რის განხორციელებამ რევოლუცია წარმოშვა, როცა 80-იან წლებში,-განსაკუთრებით საფრანგეთ-ინგლისის სავაჭრო ხელშეკრულების შედეგად(1786 წელი),- ეკონომიკურმა კრიზისმა იჩინა თავი - ვერ გაუძლო რა საფრანგეთის მრეწველობამ ინგლისის მწარმოებელთა კონკურენციას.

XXV.

ეკონომიკურ კრიზის მოყვა პოლიტიკური კრიზისი, რომლის დროს მოუსავლიანობამ კიდევ უფრო გაამწვავა სავაჭრო-სამრეწველო კრიზისი,რასაც მოყვა უმუშევრობის ზრდა, შიმშილობა. ამ კრიზისიდან, განსაკუთრებით ფინანსიურ კრიზისიდან თავის დაღწევის მიზნით, ლუდვიკ XVI-მ მოიწვია საფრანგეთის ყველა პროვინციიდან სამღვდელოების, თავადაზნაურობისა და "მესამე წოდების"(ქალაქების კორპორაცია-გაერთიანებათა) დეპუტატებისაგან ე.წ-ლი"წოდებათა თავყრილობა"= États généraux , რომლის დეპუტატთა არჩევნებისას, 1789 წელს, პოლიტიკური მდგომარეობა კიდევ უფრო გამწვავდა. წესისამებრ, საფრანგეთის მეფე "წოდებათა თავყრილობას" იწვევდა სურვილისამებრ, როცა მას გადასახადების გადიდება სურდა. 1302 წლიდან "წოდებათა თავყრილობის" სამღვდელოებისა და თავადაზნაურობის დეპუტატებს "მესამე წოდების" დეპუტატებიც მიემატა, თუმცა მეფეს "წოდებათა თავყრილობა" 1614 წლიდან აღარ მოუწვევია; და 1789 წელს მეფემ მოიწვია "წოდებათა თავყრილობა" იმისათვის, რომ გადალახული ყოფილიყო სახელმწიფო ფინანსიური კრიზისი,რაც, გასაგებია, საერთო ეკონომიკურ კრიზისიდან გამომდინარეობდა; და ამით კიდევ უფრო გამწვავდა საფრანგეთის ეკონომიკური მდგომარეობა, ვინაიდან ისედაც გაძვალტყავებულ, განსაკუთრებით გლეხობას გადიდებული კი არა არსებული გადასახადის გადახდა აღარ შეეძლო; და ამით გზა გაეხსნა რევოლუციურ გამოსვლებს.

XXVI.

"წოდებათა თავყრილობა" შეხვდა ვერსალში 1789 წლის 5 მაისს, რომელზედაც რეფორმების მომხრეები რიცხობრივად იყვნენ უმრავლესობა, მაგრამ მეფე მერყეობდა, და ამით არავითარ გადაწყვეტილებას არ ღებულობდა. ამ დროს "წოდებათა თავყრილობის" მესამედმა თავი გამოაცხადა "ეროვნულ კრებად", რომ შეექმნათ კონსტიტუცია. 1789 წლის 9 ივლისს, მეფის თანხმობის შემდეგ, "წოდებათა თავყრილობა" გახდა "დამფუძნებელ კრებად"="Assemblée nationale constituante". მაგრამ მდგომარეობა გამწვავდა, როცა პარიზის რევოლუციონერებმა აიღეს ბასტილია, რომლის შედეგად დაუყონებლივ შექმნილ იქნა "რევოლუციური ქალაქის მმართველობა" და "ნაციონალური გვარდია" პარიზში, რასაც წაბაძეს საფრანგეთის პროვინციების სხვა ქალაქებმა.

XXVII.

ერთი ძლიერი პოლიტიკური დაჯგუფება, მაქსიმილიან დე რობესპიერის(1758-1794) ჩამოგდებისა(27.7.1794) და თავის მოჭრამდე(28.7.1794), - საფრანგეთის რევოლუციაში იყო იაკობინელები, თუმცა "იაკობინიზმა" და "ნეო-იაკობინელებმა" რევოლუციის შემდგომ მსვლელობაშიც განსაზღვრული როლი ითამაშეს. იაკობინელთა პოლიტიკური დაჯგუფება შეიკრიბა, 1789 წელს, წმინდა იაკობის . ნ სტერში(აქედან სახელწოდება "იაკობინელები") და შექმნეს პოლიტიკური დაჯგუფება-"კონსტიტუციის მეგობართა საზოგადოება"="Société des

ეროვნული ბიბლიოთეკა

amis de la constitution", რომელშიც თავი მოიყარა ყველა "პატრიოტმა", ე.ი. რევოლუციის მომხრეებმა. როცა იაკობინელებს "კონსტიტუციური სამეფოს" მომხრე "ზომიერი" ელემენტები ჩამოშორდა, იგი, 1791 წლის ზაფხულიდან, გახდა ავანგარდი "რადიკალური რესპუბლიკელებისა", რის შემდეგ, 1792 წლიდან, განსაკუთრებით 1793-94 წლებში, იგი ბატონობდა დიქტატორულად, ტერორის გზით, რამაც თავის კულმინაციურ წერტილს მიაღწია რობესპიერის ბატონობის დროს.

XXVIII.

იაკობინელებს "...სურდათ, ბუნებრივი უფლებების პატივისცემის პირობებში, შემწყნარებლობითი საზოგადოების განახლება ხალხის წარმომადგენლების თავისუფალი არჩევნების გზით". ("Ils veulant, dans le respect des droits naturels, régénérer la société grace à des lois librement votées par les représentants du peuple".L.,32,P.6588). მაგრამ აქაც ნათელი გახდა, რომ "სურვილსა" და "სინამდვილეს" შორის, ზოგჯერ, უფსკრულია; რომლის გამოხატულებათ გახდა მასობრივი ტერორი, განსაკუთრებით რობესპიერის ბატონობის დროს, რომელიც - არჩეულ იქნა რა "მესამე წოდების" დეპუტატად "წოდებათა თავყრილობაში" 1789 წელს, - გახდა "დამფუძნებელი კრების" წევრი, იაკობინელთა ლიდერი, და გაილაშქრა "ჟირონდისტების"წინააღმდეგ, როცა მათ, ეროვნულ კრებაში, 1792 წლის აპრილში, შესძლეს ომის გამოცხადება ავსტრიის წინააღმდეგ."იაკობინელების"გვერდით,ჟირონდისტები"ერთერთი ძლიერი პოლიტიკური დაჯგუფება იყო(წარმოიშვა ჟირონდის დეპარტამენტში და აქედან ეწოდა "ჟირონდისტები"), და პირველ რიგში იყვნენ პროვინციების რევოლუციური "მოქალაქეების" ინტერესების დამცველნი, და პროვინციების თვითმმართველობის და ამით დეცენტრალიზაციის მომხრეები. მათ, იაკობინელებთან ერთად, ჩამოაგდეს მეფე, მაგრამ სასტიკ წინააღმდეგობაში მოექცენ იაკობინელებთან, ვინაიდან ესენი,ქალაქების მოსახლეობის უზრუნველყოფის მიზნით, უფრო-და-უფრო იძულებით ეკონომიკურ სისტემას უჭერდნენ მხარს, იმ დროს,როცა ჟირონდისტები"თავისუფალ სახალხო მეურნეობას" იცავდნენ, რასაც მოყვა "სან-კულოტების" აჯანყება(31.5.-2.6.1793) და ჟირონდისტების დამარცხება.

XXIX.

"დამფუძნებელმა კრებამ" რადიკალურად შეცვალა "ყოფილი რეჟიმის" ადმინისტრაციული სისტემა: საფრანგეთი დაყოფილ იქნა 83 დეპარტამენტად თავთავიანთი იურიდიული, რელიგიური, ფინანსიური უფლებამოსილებით. ეს კი იყო -"ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციის" გამოცხადების გვერდით, - ფუნდამენტალური ღონისძიება, რაც,როგორც რევოლუციის დიდი მიღწევა, აღნიშნულ იქნა 1790 წლის 14 ივლისს; თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დამფუძნებელი კრების მიერ 1791 წლის სექტემბერში მიღებული კონსტიტუცია აწესებდა "მემკვიდრეობითი მონარქიის"სისტემას "კანონმდებლობითი კრების" გვერდით(1791-92), მაგრამ,ამავე დროს, "აქტიური მოქალაქეებისა" და "პასიური მოქალაქეების" სხვაობის დაწესებით, არღვევდა "თანასწორობის"პრინციპს, რაც ჩამოყალიბებული იყო "ადამიანის და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციაში".

XXX.

"რევოლუციური ბურჟუაზიის" წარმომადგენლები "დამფუძნებელ კრებაში" გაიყო ორ ბანაკად:"ფოიანტელებად"Les Feuillants რელიგიური მიდრეკილების"რევოლუციონერ კლუბად"("ფოიანტ"=ფულუბის გარეუბანი),რომელთაც სურდათ რევოლუციის"შეჩერება" და"ჟირონდისტებად", რომელთაც სურდათ რევოლუციის "განგრძობა"ხალხისა და ბურჟუაზიის კავშირში. მეფის დაპატიმრების შემდეგ კი (20-21.6.1791), არჩეულ იქნა"დროებითი აღმასრულებელი საბჭო".

XXXI.

"ეროვნულმა კონვენციამ"(Convention national = "ეროვნული თანხმობა"), რომელიც 1792 წლის 21 სექტემბრიდან 1795 წლის 26 ოქტომბრამდე მოქმედებდა, - 1792 წლის 22 სექტემბერს გამოაცხადა საფრანგეთის რესპუბლიკა. მაგრამ იმავე 1792 წლის სექტემბრიდან 1793 წლის ივნისამდე,გაჩაღდა ბრძოლა ე.წ-ლ"მთის პარტიას"=Les Montagnarts და "ჟირონდისტებს" შორის."მთის პარტია" დასაწყისში გაბატონდა ("მთიელებად" ისინი იმიტომ იქნა წოდებული, რომ "ეროვნულ კონვენტში" მაღლა-მდებარე სკამებზე იჯდნენ) "იაკობინელთა კლუბში", და "ჟირონდისტებიდან" ჩამოშორების შემდეგ,დაადგა რადიკალურ პოლიტიკურ ხაზს, რომლის დროს ეყრდნობოდნენ, არსებითად, მოსახლეობის უფრო ღარიბ ფენებს და მათი მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, სურდათ სახალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხო მეურნეობის კონტროლი. ამ დროს წამყვანი "მ თ ი ე ლ ე ბ ი" გახდნენ დანტონი, მარატი და რობესპიერი, რასაც მოყვა - 1793 წლის ივნისიდან 1794 წლის ივლისამდე - რევოლუციური მთავრობის ხასტიკი ტერორი.

XXXII.

ჟორჟ დანტონი(1759-5.4.1794), მარატთან და დემულენთან ერთად აყალიბებს, 1790 წლის ივლისში, "კორდელიერის მონასტერში", პარიზში, "კორდელიერთა"= Cordeliers - პოლიტიკურ დაჯგუფებას, რომელიც - იაკობინელებისაგან განსხვავებით - ეყრდნობა მოსახლეობის ღარიბეს ფენებს. დანტონმა, როგორც "ეროვნული კონვენტის" წევრმა, შექმნა "საგანგებო ტრიბუნალის" უწყება, რომელიც შემდეგ "რევოლუციურ ტრიბუნალად" და ჯმით მასობრივი ტერორის იარაღი გახდა. მოიმორეს რა "ჟირონდისტემა", მარატი ლაუკავშირდა "მთიელებს" და გახდა წამყვანი პირი "სახალხო კეთილდღეობის კომიტეტის"= Comité de Salut Public, ე.ი."ეროვნული კონვენტის"(1793-95 წლები) უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოს(მთავრობის) წევრი, რომელიც 1 იანვარს, 1793 წელს, შეიქმნა როგორც "საერთო თავდაცვის კომიტეტი"= Comité de Défence Générale და რომელიც, 1793 წლის 6 აპრილიდან, შედგებოდა ცხრა(9), ხოლო "ჟირონდისტების" გამოთიშვის შემდეგ, თორმეტი(12) აღმასრულებელ კომისარის,ე.ი. მინისტრისაგან. 1794 წელს, როცა დანტონმა ტერორის შეჩერება მოითხოვა, ის გაასამართლეს და მოკვეთეს გილიოტინით თავი(5.4.1794). დანტონის ბედი გაიზიარა თვით რობესპიერმაც,რომელიც "სახალხო კეთილდღეობის კომიტეტის" ხელმძღვანელი, სასტიკი ტერორის მომხრე და პრაქტიკული გამტარებელი იყო; მას თავი მოკვეთეს გილიოტინით 28 ივლისს, 1794 წელს. "რევოლუცია ყლაპავს თავის შვილებს" - უნდა ითქვას აქ. მაგრამ მარტო"თავის შვილებს?" მე-18 საუკუნის,შეიძლება, ყველაზე უფრო დიდ ქიმიკოსს - ანტუან ლორან ლავუაზიეს - ტრიბუნალმა,ჟან-ბაპტისტ კოფინალის თავჯდომარეობით, რომელიც 31 წლის იყო და შემდეგ იმასაც მოკვეთეს თავი გილიოტინით, - მიუსაჯა სიკვდილი. ლავუაზიემ კი თხოვა ტრიბუნალს, რომ 14 დღით გადაედევან თავის მოკვეთა გილიოტინით, ვინაიდან მას დაწყებული ექსპერიმენტი ხურს დაამთავროს, რაზედაც ჟან-ბაპტისტ კოფინალმა უპასუხა:"რესპუბლიკას არ ესაჭიროება არც სწავლულები და არც ქიმიკოსები".

XXXIII.

რობესპიერის ჩამოგდებისა და თავის მოკვეთის შემდეგ, "თერმიდორული კონვენტი"( ივლისი, 1794 - ოქტომბერი, 1795), იაკობინელთა გამოთიშვისა და ტერორის შეწყვეტის შემდეგ, მოექცა ანტირევოლუციონერების რეაქციის გავლენის ქვეშ, რასაც მოყვა როიალისტთა აჯანყება, რომელიც პარიზში ჩახშობილ იქნა ბონაპარტის მიერ. 1794 წლის 22 სექტემბერს მიღებული კონსტიტუციით, 23 სექტემბერს,1795 წელს, შეიქმნა "დირექტორიუმი"= Directoire, რომელიც შედგებოდა ხუთი წევრისაგან და იყო უმაღლესი მმართველი ორგანო 1795 წლის 26 ოქტომბრიდან 1799 წლის 9 ნოემბრამდე. დირექტორიუმი ცდილობდა-ინტერესები უმაღლესი ფენისა,ე.ი. "ნოტაბლებისა"= notables="წარჩინებულთა",რომელთა"ღირსება"მათ უმაღლეს მდგომარეობას ან სიმდიდრეს ეყრდნობოდა, - დაეცვა როიალისტებისა და იაკობინელებისაგან. და ამ დროს, დაეყრდნო რა თავის წარმატებებს როგორც "რევოლუციური ომების" სარდალი, - წინა პლანზე გამოდის ნაპოლეონ ბონაპარტე(1769 - 1821), რომელიც,1797 წელს,დაბრუნდა რა იტალიიდან პარიზში,- დირექტორიუმმა დანიშნა "ინგლისის-არმიის" მთავარსარდლად, თუმცა, შემდეგ, დაავალა მას "ეგვიპტის ექსპედიციის"(1798) ვეგმის განხორციელება, რომლისაგან იგი ადრე(9.10.1799) დაბრუნდა, და - მოხერხებულად გამოიყენა რა მისი პოპულარობა ხალხში - იმავე 1799 წლის 9-10 ნოემბერს "დირექტორიუმი" ჩამოაგდო, და - ახალი კონსტიტუციის ძალით - 13 დეკემბრიდან(1799), სამიდან, ერთი კონსული გახდა ათი წლის ვადით.

XXXIV.

ნაპოლეონმა, ქვეყნის შიგნით,ერთიმეორეს მონაცვლე მმართველების ადგილზე - გააბატონა მკაცრად ორგანიზებული ცენტრალური ხელისუფლების სისტემა, რომელიც შეიცავდა როგორც განათლების ეპოქის, ისევე აბსოლუტიზმის ელემენტებს. ეკლესიასთან გაუთავებელი ბრძოლა რევოლუციის პერიოდში, ნაპოლეონმა დაასრულა კონკორდატით, რომელიც დადო მან პაპა პიუს VII. 1801 წელს, რომლის თანახმად მან ეკლესიაზე გავლენა შეინარჩუნა,ვინაიდან სამღვდელოების ხელფასს სახელმწიფო იხდიდა. არ არსებობს სახელმწიფოებრივი ცხოვრების სექტორი, რომელშიც ნაპოლეონს თავისი კვალი არ დაეტოვებინა. მისი "სამოქალაქო სამართლის კოდექსი", მაგალითად(1804), დღესაც სამაგალითოა არა მარ-

ტო საფრანგეთის სა.ჰართალში. 1802 წელს გახდა იგი კონსული მთელი ცხოვრე-
ბის განმავლობაში, ხოლო 1804 წელს, ორ დეკემბერს, პარიზის ღვთისმშობლის
ტაძარში, აკურთხეს "ფრანგების იმპერატორად"; 1805 წლის 26 მაისს კი აკურ-
თხეს, მილანში, იტალიის მეფედ. ნაპოლეონის "დიდმა არმიამ" - "გადაახწო-
რა"რა ევროპის მთელი რუკა, მისი ბატონობის დაცემა დაიწყო რუსეთში შეჭ-
რის შემდეგ, როცა იგი იძულებული გახდა უკან დაეხია. 1814 წლის 6 აპ-
რილს ნაპოლეონი გადადგა, ფონტენბლოში, და სავხორებელ ადგილად მიუჩინეს
კუნძული ელბა იმპერატორის ტიტულით. მაგრამ იგი გამოიქცა იქიდან, დაბრუ-
ნდა საფრანგეთში,და "ასი დღის ბატონობის" შემდეგ, საბოლოოდ დაამარცხეს
ვატერლოში, რის შემდეგ(18.6.1815) გადასახლებულ იქნა სამუდამოთ კუნძულ
პელენაზე,სადაც იგი 5 მაისს, 1821 წელს, გარდაიცვალა, ხოლო 1840 წელს
გადმოსვენებულ იქნა პარიზში და დაკრძალულ იქნა პარიზის "ინვალიდების
ტაძარში".

## XXXV.

ისტორიულად, როგორც ცნობილია, საფრანგეთის დიდი რევოლუციის ხანად აღი-
არებენ 1789-1799 წლებს; 1799-1804 წლებს - "კონსულატობის ხანად",ხოლო
1804-1815 წლებს - "პირველი იმპერიის" ხანად, თუ ნაპოლეონის კუნძულ
ელბაზე გახიზვნას არ მივიღებთ მხედველობაში. მაგრამ, ჩემის აზრით, ამ-
გვარი "დაყოფა",საფრანგეთის რევოლუციისა,"ხანებად" ვერ პასუხობს საფ-
რანგეთის რევოლუციის "შე-გავლენასა" და "შე-ფასებას" არა მარტო საფრან-
გეთის სახელმწიფოსა და ფრანგი ერის იმდროინდელი და შემდგომი პოლიტიკუ-
რი,ეკონომიკური,კულტურული, სოციალური ცხოვრების რაობას, ვინაიდან თვით

კონტრევოლუციასაც კი, "ბონაპარტიზმზე" რომ არ ვილაპარაკოთ, უკვე აღარ
შეეძლო ხრული აღკვეთა რევოლუციური მ ო ნ ა პ ო ვ რ ე ბ ი ს ა,თუ გნე-
ბავთ, საკაცობრიო ლოზუნგის-"თავისუფლება, თანასწორობა, ძმობისა".

## XXXVI.

მართალია,-"თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა" - 1789-1815 წლების ვერც
ერთ დროის მონაკვეთში ვერ განხორციელდა. მაგრამ შესაძლებელია კი ამგვა-
რი იდეალების,საერთოდ,განხორციელება, თუ ეს იდეალებია მიზანი, რომლისა-
კენ უნდა მიისწრაფვოდეს ყოველი ჰუმანური საზოგადოება?!.. ვიზიარებ რა
ამ უკანასკნელ აზრს, ვეყრდნობი იმ დებულებას, რომ ყოველი ჯურის თავისუფ-
ლების(ეროვნული თუ პიროვნული), თანასწორობის, ძმობის განხორციელება არის
"მარადიული პროცესი", რომელთა "დამყარება" კი არა "ყოვლადდიური განხორ-
ციელება" არის, უნდა იყოს "მომქმედი ადამიანის" "ყოვლადდიური მიზანი",
რადგან "თავის-უფალი" ადამიანი, ერი მისი პიროვნული და საზოგადოებრივი
ყოფიერების "აქტიური შემქმნელია", თუ გნებავთ,"მონობის"პირისპირ,-როცა
ადამიანი, ერი "პასიურია", ან "პასიურ" მდგომარეობაშია ჩაყენებული.

## XXXVII.

და ეს არის საფრანგეთის 1789 წლის რევოლუციის ბალანსი? - "თავისუფლება-
თანასწორობა-ძმობის" იდეალის გვერდით, დიდ გარდატეხებს ჰქონდა ადგილი
საფრანგეთის სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში; პრაქტიკულადიგი
ეყრდნობოდა რევოლუციური ბურჟუაზიის "უშიშროებასა და საკუთრების" ქონებას,
უპირველეს ყოვლისა; ამგვარი "თანასწორობა" გამოიხატებოდა პიროვნე-
ბის და წარმოების მექმნის თავისუფლებაში, რომელიც იყო ე.წ-ლი"ლიბერალური"
საზოგადოების ერთერთი ბაზა, რაც ულარიბესთა ჩაგვრას უდრიდა; ხოლო პოლი-
ტიკური თავისუფლება გამომდინარეობდა ძალაუფლების წონასწორობისაგან; ყვე-
ლაფერი ეს კი ახლოს არ იყო და არც შეიძლება ყოფილიყო "ძმობასთან".

## XXXVIII.

ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა იყო აგრეთვე, არა მარტო საფრანგეთისა-
თვის, სახელმწიფო ტერიტორიის 83-მ დეპარტამენტად დაყოფა, რომლებსაც, რო-
გორც ვერნერ ჰოფმანი("მ3.",7-1989,გვ.143) წერს, - "ერთნაირი კვადრატუ-
ლი მოცულობა" გააჩნდა: "აბსტრაქტულ წესრიგის პრინციპებმა ნიადაგი გა-
მოაცალეს - განავრძობს იგი - ორგანიულად აღმოცენებულ ტრადიციებს." ირ-
ლანდიელი ედმუნდ ბარკს((Edmund Burkes: Reflections on the Revolution in
France,1790) დასცინოდა საფრანგეთის ამგვარ "დედუქციურ მეთოდს", რო-
მელშიც ბატონობს გათანასწორების "გეომეტრიული გონი", რაც მთელ რევოლუ-
ციას აუქმებს ხლის. "ბუნებრივად აღმოცენებული" დგას "გაკეთებულის, კონ-
სტრუქციულის" პირისპირ, რასაც იგი "მეტაფიზიკურ აბსტრაქციებს" უწოდებს.

## XXXIX.

საფრანგეთის რევოლუციამ, ზოგიერთთა გონში მოვინისწური აზრებიც კი დაბადა, რომლის პარალელი ლენინიზმ-სტალინიზმის ხანაშიც გვხდება. იღუმენი გრეგუარი, მაგალითად, ამბობდა: "ჩვენთან დაკავშირებით ხალხები გაითქვიფებიან ერთ დიდ ოჯახში, რომლის დროს ისინი მიიღებენ ჩვენს ენას და ჩვენს კანონებს" (11 იანვარი, 1794 წელი). როგორც ვხედავთ, "აფეთქების", "მიწის ძვრის", "ქაოსის", "ტერორის", "გათქვეფის" პირობებში იბადება "თავისუფლება-თანასწორობა-ძმობის" იდეა, რომელსაც, როგორც ავღნიშნეთ, თან დაყობა "მშობელი დედის ტკივილები", ვინაიდან "დაბადება-სიკვდილი", როგორც ხჩანს, განუყრელი "ერთობა" არის, უნდა იყოს, რომლის დროს, გასაგებია, ადამიანები, ერები "დაბადებას", "განახლებას", "თავის-უფლებას" შეეწირიან, რაც გამომჟღანდა საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროსა და მის მომდევნო პერიოდში, თვით ნაპოლეონის იმპერიული ომების ჩათვლით.

## XL.

საფრანგეთის რევოლუციამ დაანგრია არა მარტო "ყოფილი რეჟიმის" სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი სისტემა – 1789-1799 წლებში, არამედ "რევოლუციური ომებით" (1799 წლამდე) და ნაპოლეონის ომებით (1799-1815) შეარყია მთელი ევროპის პოლიტიკურ-ეკონომიკურ-კულტურულ-სოციალური ცხოვრება, რის შედეგად "ინდუსტრიულმა რევოლუციამ", თანდათანობით, მთელი სტრუქტურის გარდაქმნა გამოიწვია სახელმწიფოში, საზოგადოებაში, ეკონომიკასა და სამართალში, რომლის დროს ლიბერალურ და დემოკრატიულ იდეებს გაეხსნა გზა, რაც – თავის მხრივ – სოციალურ მოძრაობათა წინაპირობა გახდა მთელი 19-ე საუკუნის განმავლობაში.

## XLI.

თუ საფრანგეთის რევოლუციასა და მის შედეგებს, 1789-1815 წლებში, ე რ თ მ თ ლ ი ა ნ ო ბ ა შ ი განვიხილავთ, – სქემატურად, ასეთ სურათს მივიღებთ:

1.- ცდილობდა რა (არა მარტო) ეკონომიკური კრიზისიდან თავის დაღწევას, ლუდვიგ XVI-მ 1789 წლის 5 მაისს "წოდებათა თავყრილობა", რომელშიც წარდგენილი იყო თავადაზნაურობიდან 300-სი, სამღვდელოებიდან 300-სი და ე.წ. "მესამე წოდებიდან" (Tiers état) ("მოქალაქეები" = ბურჟუაზიიდან, რომელსაც, ინდუსტრიალიზაციის პერიოდში "მეოთხე წოდება" = პროლეტარიატი გამოეყო) – 600-ი დეპუტატი.

2.- 17 ივნისს, 1789 წელს, "წოდებათა თავყრილობამ" თავისთავი გამოაცხადა "დამფუძნებელ კრებად".

3.- 14 ივლისს, 1789 წელს, აღებულ იქნა ბასტილია, როგორც სიმბოლო აბსოლუტიზმისა, რასაც მოჰყვა "ყოფილი რეჟიმის" დამხობა.

4.- ბურჟუაზიამ შექმნა "ნაციონალური გვარდია" მარკიზ მ.ჟ. დე ლაფაიეტის ხელმძღვანელობით.

5.- 4 აგვისტოს, 1789 წელს, "დამფუძნებელმა კრებამ" გააუქმა პრინციპულად ფეოდალური ყველა პრივილეგია და უფლებები, რომ ამით ეკონომიკური კრიზისით გამოწვეული შიმშილი, სახახლეების გაძარცვისა თუ ე.წ-ლი "პროცენტების რეგისტრების" დაწვისათვის ბოლო მოეღო ან შეეჩერებია.

6.- 26 აგვისტოს, 1789 წელს, "ეროვნულმა კრებამ" გამოაცხადა "ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია".

7.- 1791 წლის კონსტიტუციით, საფრანგეთი გახდა "კონსტიტუციური მონარქია", მაგრამ ლუდვიგ XVI მერყეობამ, შემდეგ გაქცევამ და დაკავებამ, ჩაფუშა ყოველგვარი იმედი იმისა, რომ მეფე დაყობა რევოლუციურ მოვლენებს.

8.- "ჟირონდისტებმა" გაიტანეს ომის გამოცხადების წინადადება ეროვნულ კრებაში (20.4.1792) ავსტრიის წინააღმდეგ, რომელიც კავშირში იყო პრუსიასთან. აქედან რევოლუციური მხედრობა და ომი მჭიდრო ურთიერთობაში მოექცა, მთელი, ე.წ-ლი "რევოლუციური ომების" განმავლობაში.

9.- "ზარბაზნების გრიალში" დაბა ვალმისთან, 1792 წლის 20 სექტემბერს, საფრანგეთის "რევოლუციურ არმიამ", რომელსაც რევოლუცია "მისიონარულად" უნდა გაევრცელებია, – დაამარცხა პრუსია-ავსტრიის შენაერთები; და "ზარბაზნების გრიალს" ვალმისთან იმიტომ მიენიჭა დიდი ისტორიული მნიშვნელობა, რომ ავსტრია-პრუსიის უაღრესად გაწრთვნილი და შეიარაღებული შენაერთები დაამარცხა, ფრანგულმა რევოლუციონერმა თითქმის სრულიად გაუწრთვნელმა და ცუდად შეიარაღებულმა მოხალისეთა არმიამ. "ვალმის ეს დღე" – (20.9.1792) – რევოლუციური გარდატეხის დღედ იქნა აღიარებული, რომლის შესახებ, სხვათა შორის, ი.ვ. ფონ გოეთე (1822 წელი), თავის "Campagne in Frankreich" წერდა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

"აქედან და დღეს იწყება მსოფლიო ისტორიის ახალი ეპოქა". "Von hier und heute geht eine neue Epoche der Weltgeschichte aus".

10.- და მართლაც, ვინც იყო "ვალმის ბრძოლების"="bataille de Valmy" მოწმე, ი.ვ. გოეთეს სიტყვები რომ გავიმეოროთ, შეეძლო ეთქვა: "De ce lieu et de ce jour date une nouvelle époque de l'histoire du monde", ვინაიდან, როგორც აღვნიშნეთ, ჯარებმა, რომლებსაც არ გააჩნდათ სათანადო სამხედრო გაწრთვნა, სასმელ-საჭმელი, შეიარაღება, და მკვახე ყურძენის ჭამით(20 სექტემბერი, 1792 წელი) ფაღარათით დაავადებულნიც იყვნენ, - დაამარცხეს ავსტრო-პრუსიის კოალიციური ჯარები, რომლებიც იძულებული გახდა დაეტოვებინა საფრანგეთის ტერიტორია, რაც - თავის მხრივ - იყო პირველი ისტორიული მნიშვნელობის გამარჯვება დემოკრატიისა არმიაში, რომლის ყრის "თავისუფლება, თანასწორობა ფეოდალიზმის დამხობით - ჩაიწერა საფრანგეთის ნაციონალურ ჰიმნში"("ლ", ტ.58,გვ.12407), და ამით გზისმაჩვენებელი გახდა ყოველი ერისათვის მთელს მსოფლიოში.

11.-"კოალიციის" მარცხს სოფელ ვალმისთან, მოყვა "სანკულოტების" მიერ(10 ოქტომბერი, 1792 წელი), პარიზში, მეფის სასახლის("ტუილერის") აღება. მეფე ჩამოგდებული და მისი ოჯახის წევრები დაპატიმრებულ იქნენ, რასაც მოყვა მასობრივი ტერორი,სულ ცოტა, 1.100-ი როიალისტების წინააღმდეგ, რომელთაც ბრალს დებდნენ მტერთან სიმპათიაში.

12.- "დამფუძნებელი კრება" შეცვალა "კანონმდებლობით ნაციონალურმა კრებამ", ხოლო 1792 წლის სექტემბერში, შეიქმნა, არჩევნების შედეგად, "კონვენტი", ე.ი."ნაციონალური კონვენცია", რომელშიც "ჟირონდისტები" და "მონტანიარდები",ე.ი."მთიელების" რადიკალური პარტია, დაუპირისპირდნენ ერთმანეთს;"სანკულოტები" კი მოქმედებდნენ "კორდელიერების" სფეროში.

13.- "კონვენტმა"გააუქმა მონარქიული წესწყობილება და გამოაცხადა რესპუბლიკა(22.9.1792).

14.- ცხარე კამათისა და შეხლა-შემოხლის შემდეგ, მეფე ლუდვიგ XVI-ეს ბრალი დაედე "სახელმწიფო ღალატში", სიკვდილის მიუსაჯეს და 1793 წლის 21 იანვარს გილიოტინით მოჭრეს თავი, რითაც სრულიად გაწყდა კავშირი "ყოფილ რეჟიმთან", რასაც - თავის მხრივ - ანტირევოლუციურ-კონსერვატიულმა ევროპამ უპასუხა პირველი კოალიციის შექმნით. თვით საფრანგეთში კი გამოიწვია აჯანყება კათოლიკებისა და მეფის ერთგულებისა ვანდეში და ბრეტანში("შუანს"="ბუ"="როიალისტები").

15.- "სამხედრო დამარცხებებმა გამოიწვია იაკობინელთა ტერორი, რომ ამ გზით "რევოლუცია გადაერჩინათ;" და სახელმწიფო ტერიტორიაც შენარჩუნებულ იქნა". "ბროკ.",ტ.6,გვ.531). 1793 წლის 10 მარტს შექმნილ იქნა "რევოლუციური ტრიბუნალი" პოლიტიკური მოწინააღმდეგების დასასჯელად, გასაჩივრების უფლების გარეშე. 1793 წლის 6 აპრილს, "სახალხო კეთილდღეობის კომიტეტმა" ხელში ჩაიგდო სახელმწიფო ძალაუფლება(მთავრობა), რითაც ყურადღების გარეშე იქნა დატოვებული კონსტიტუცია. იაკობინელებმა, თავისთავის გადარჩენის მიზნით, შექმნეს "...რევოლუციური უმცირესობიდან დიქტატორულად გაბატონებული რადიკალური დემოკრატია. მდგომარეობა ქმნიდა იძულებას მკაცრი ცენტრალიზმისა. როცა ტულონი ბრიტანეთის მხარეზე გადავიდა, კიდევ უფრო გაძლიერდა ტერორი."(იქვე).

16.- რევოლუციური კალენდარი=წელთაღრიცხვა იქნა შემოღებული, რომლითაც - რევოლუციონერების აზრით - "ქრისტიანიზმი შეცვლილ იქნა გონიერების კულტით".

17.- მ.რობესპიერის ჩამოგდებით(27.7.1794) და გილიოტინით თავის მოჭრით(28 ივლისი,1794 წ.),- ბოლო მოეღო მასობრივ ტერორს, რამაც დაახლოებით 40-ი ათასი ადამიანი იმსხვერპლა.

18.- "მასობრივი ტერორის" აღკვეთას ხელი შეუწყო "მასობრივი ჯარის" შექმნამ, რომელშიც"მასობრივად" იწვევდნენ ახალგაზრდობას, ე.ი.შემოღებულ იქნა სავალდებულო სამხედრო სამსახური.

19.- როიალისტების აჯანყება პარიზში(5.10.1795) და მისი ჩახშობა ჟ.პ.ბარასა და ნაპოლეონის მიერ; მის წინ(23.9.1795) "დირექტორიუმის კონსტიტუციის" შექმნა და,ოქტომბრის ბოლოს,"კონვენტის" შეცვლა დაემთხვა სახელმწიფო გაკოტრებასა და შიმშილობას, რის შედეგად 1799 წლის 9 სექტემბერს, გაბატონდა სამხედრო დიქტატურა, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, გაგრძელდა 1815 წლამდე, ნაპოლეონის საბოლოო დამარცხებამდე.

## XLII.

"ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია" და მისგან გამომდინარე 1791 წლის და მომდევნო კონსტიტუციები - მიუხედავად საშინელი რევოლუცი-

ური პერიოდის ტერორისა თუ სამხედრო ბონაპარტიზმისა - იყო, არის და დარჩა "ახალი ხანის დასაწყისი" კაცობრიობის ისტორიაში, რომლის კავშირი ამერიკის შეერთებული შტატების "დამოუკიდებლობის დეკლარაციის" დედა-აზრებთან, თუ გნებავთ, სიმბოლიურადაც გამომხატველია მარი-იოზეფ ლაფაიეტის, "ორი მხოფლიოს გმირის", პიროვნებაშიც, რომელიც 1777 წლიდან, როგორც გენერალი მონაწილეობას ღებულობდა ამერიკის შეერთებული შტატების ბრძოლაში დამოუკიდებლობისათვის, ხოლო 1789 წლიდან, პარიზში, "წოდებათა თავყრილობის" დეპუტატი გახდა და თავგანწირვით იბრძოდა თავისუფლების იდეალებისათვის; და 1789 წლის 11 ივლისს, "ნაციონალურ კრებაში" შეიტანა განსახილველად ადამიანის უფლებათა პროექტი, რომელიც 26 აგვისტოს,1789 წელს, გამოცხადებულ იქნა როგორც "ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია". ბასტილიის აღების შემდეგ კი(14 ივლისი,1789 წელი), ლაფაიეტი გახდა "ნაციონალური გვარდიის" სარდალი.

XLIII.

მაგრამ,მივეცით რა სათაური ამ ჩვენს წერილს -"ახალი ხანის დასაწყისი", ხოლო ქვესათაური -"საფრანგეთის დიდი რევოლუცია და საქართველო" -, - რა კავშირშია საქართველო, ქართველი ერი საფრანგეთის დიდ რევოლუციასა და მის მონაპოვართან? - უშუალო კავშირის შესახებ საქართველოსა და ქართველი ერის თუ ცალკეული ქართველებისა საფრანგეთთან, რევოლუციის თუ "ბონაპარტიზმის" პერიოდში -თუ ასეთს,საერთოდ, ჰქონდა ადგილი, - არაფერი არ არის ცნობილი, თუ ეს საკითხი,საერთოდ, შესწავლილია. გენერალი პეტრე ბაგრატიონი რომ ბოროდინოს ბრძოლებში მონაწილეობდა და თვით ნაპოლეონის ქება-დიდება დაუმსახურებია, ეს, თავისთავად, არაფერს არ ამბობს საქართველოზე, ქართველ ერზე და მის პოლიტიკურ ცხოვრებაზე იმ პერიოდში, ვინაიდან პეტრე ბაგრატიონი, დიდ ბაგრატიონთა შთამომავალი, წარმოშობით ქართველი, მაგრამ რ უ ს ი გენერალი იყო. სხვა მასალები კი, გარდა ალექსანდრე ბატონიშვილის უშედეგო ცდისა კავშირი დამეყარებინა ნაპოლეონთან, 1807 წელს (A.Manvelichvili: HISTOIRE DE GÉORGIE,Paris,1951,P.362...), ნაწილობრივ აღნიშნულია "საქართველოს ისტორიის ნარკვევებში".

XLIV.

მაგრამ დიდი და ღრმაა კავშირი საქართველოს, ქართველი ერისა და მისი დემოკრატიული პოლიტიკური პარტიებისა საფრანგეთის დიდი რევოლუციის საკაცობრიო იდეალებთან, თუმცა საფრანგეთის(და ინგლისის) ინტერესები კავკასიაში "ყოფილი რეჟიმის" არტახებში რჩებოდა:"...ირანი და ოსმალეთი ვერ ახერხებდენ გაერთიანებას რუსეთის წინააღმდეგ...ქრისტიანული რუსეთი თავის პოლიტიკურ მეტოქეთაგან - ინგლისისა და საფრანგეთისაგან - განსხვავებით, ქართველი, აზერბაიჯანელი და სომეხი ხალხების 'განმათავისუფლებლის' როლში გამოდიოდა...რუსეთის ფეოდალური სახელმწიფო, თავის მხრივ, რა თქმა უნდა, დამპყრობლურ მიზნებს ისახავდა და არა 'მცირერიცხოვანი ხალხების დაცვას თურქეთისა და ირანის აგრესიისაგან"(ა.ვ.ფადეევ:"როსია ი კავკაზ ვ პერვოი ტრეტი XIX ვეკა", მოსკვა,1960,სტრ.17). "...ინგლისი და საფრანგეთი თურქეთსა და ირანს აღმოსავლეთში თავიანთი ბატონობის დამყარებისათვის იყენებდენ"("საქართველოს ისტორიის ნარკვევები,ტომი IV.,გვ.802).

XLV.

"ნაპოლეონის ლაშქრობამ ეგვიპტეში ოსმალეთი დააშინა და ევროპა 1799 წელს რუსეთ-თურქეთის იძულებითი კავშირის მოწმე გახდა. რუსეთი და ოსმალეთი საფრანგეთის წინააღმდეგ გაერთიანდენ და თითქოს დროებით 'დაივიწყეს' ძველი მტრობა".(იქვე,გვ.803). საქართველო კი, ჯერ, 1783 წლის ტრაქტატით,ხოლო შემდეგ, 1801 წლის ანექსიით, და საქართველოს მთელი ტერიტორიის თანდათანობითი დაპყრობით, - რუსეთის არასაიმედო,მაგრამ მაინც პროვინცია გახდა. და, ასეთ პირობებში, რა გასაკვირია, რომ საქართველოს მოღვაწეები ნაპოლეონს,რუსეთის წინააღმდეგ, თავის "ბუნებრივ" მოკავშირედ თვლიდენ,თუმცა ნაპოლეონისათვისაც საქართველო ისეთი "სავაჭრო" ობიექტი იყო, როგორც რუსეთისათვის. "1807 წლის 13(25) ივნისს ტილზიტის შეთანხმებასთან დაკავშირებით რუსეთ-ოსმალეთს შორისაც ჩამოვარდა სანმოკლე ზავი...ნაპოლეონი პირობას დებდა, რომ ოსმალეთს აღარ დაეხმარებოდა. ამავე დროს ირანთან 1807 წელს დადებული ე.წ.ფინკენშტეინის ხელშეკრულებით საფრანგეთის მთავრობა ირანს საქართველოს დაბრუნებას ჰპირდებოდა. ერთი სიტყვით, ნაპოლეონი სხვისი 'საქონლით' ვაჭრობდა და ასეთი დაპირებით ყიდულობდა ირან-ოსმალეთის მომხრობას"(გვ.861-862).

XLVI.

"1810 წლის 18 დეკემბერს გენერალი სიმონოვიჩი სწერდა საქართველოს მთავარსარდალ ტორმასოვს - 'სოლომონ მეფე ერევანში გეგონა, ალექსანდრე ბატონიშვილთან, მაგრამ ის არზრუმში აღმოჩნდა, იქიდან ევროპაში კაცები გაუგზავნია და ნაპოლეონს და სულთანს დახმარებას სთხოვსო'. ქაიხოსრო წერეთელს სტამბოლში მართლაც ჩაუტანია სოლომონის 1811 წლის 6 იანვრის წერილი ნაპოლეონისადმი. ეს წერილი იქვე უთარგმნიათ ჯერ თურქულად, მერე კი ფრანგულად და პარიზში გაუგზავნიათ...როგორც ჩანს, იმერთა მეფემ და მისმა მრჩევლებმა კარგად იცოდენ, რომ ნაპოლეონი იმთავითვე, ჯერ კიდევ XVIII საუკუნის მიწურულიდან(ეგვიპტეში მისი ლაშქრობის დროიდან - 1799 წ.), საქართველოს საკითხებით დაინტერესებული იყო...სოლომონი სთხოვდა ნაპოლეონს, 'ვითარცა უნივერსალურ არბიტრს', გამოსარჩლებას და მფარველობას, რათა გაენთავისუფლებინა ისიცა და მისი სამეფოს 'მილიონი ქრისტიანი ხელიც', ან თავისი 'მაღალი შუამდგომლობით ანდა თავისი ძლევამოსილი მარჯვენით', და მიეღო იგი თავის მფარველობაში. მაგრამ 'საერთაშორისო ძალების გამოყენების იმედი არ გაუმართლდა იმერეთის უკანასკნელ მეფეს'"(გვ. 866-867).

XLVII.

როგორც ვხედავთ, საფრანგეთის დიდი რევოლუციის წიაღიდან აღმოცენებული "ბონაპარტიზმიც" გაყვა საფრანგეთის "ტრადიციულ" პოლიტიკას რუსეთ-თურქეთ-ირანის მიმართაც, რომლის დროს საქართველოს, როგორც ყოველთვის, "დიდი სახელმწიფოების" პოლიტიკურ ვაჭრობაში "ხურდა ფულის" ფუნქცია გააჩნდა. მაგრამ მაინც უსამართლოდ მიმაჩნია "ბონაპარტიზმი" გაიგივებულ იქნას ყოველი ჯურის იმპერიალიზმთან, თვით "ჰიტლერიზმთანაც" კი, როგორც ამას სჩადიან ზოგიერთები, ვინაიდან როგორც ნაპოლეონი, ისევე ჰიტლერი რუსეთს დაესხნენ თავს და იქ იგემეს, ასე ვთქვათ,"პირველი მარცხი". უბადრუკია,სრულიად ულოგიკოა ნაპოლეონის "შემოჭრილი",მაგრამ მაინც "თავისუფლება-თანასწორობა-ძმობიდან" გამომდინარე, "ცეცხლითა და მახვილით" "ახალი ხანის დასაწყისის"იდეოლოგია შედარებულ იქნას ჰიტლერის მახინჯ "რასიზმთან". ამით იმის თქმაც მსურს, რომ "ახალი ხანის დაწყების" იდეოლოგიურმა ნიომ, მოგვიანებით, საქართველომდეც მოაღწია, რის ახსნა იმით შეიძლება, რომ საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროინდელ საზოგადოებრივ პირობებს, საქართველო, მოგვიანებით, XIX საუკუნის მეორე ნახევარში დაუახლოვდა, როცა ფრანგი ერი და მასთან ერთად მოწინავე კაცობრიობა საფრანგეთის რევოლუციის 100-ი წლისთავი გადაიხადა, 1889. წლის 14 ივლისს, რომლის სიმბოლო გახდა "ტექნიკის სასწაული" ეიფელის კოშკი, რომელიც აღმართულია პარიზის ცენტრში,სადაც რევოლუციის დროს "მარსის მინდორი" იყო.

XLVIII.

ამგვარად, საფრანგეთის დიდი რევოლუციის იდეები საქართველოში შემოიჭრა განსაკუთრებით XIX საუკუნის მეორე ნახევარში, რომლის ყველაზე უფრო ნათელ თარიღად მიმაჩნია 1893 წლის 7 თებერვალი, როცა - ნოე ჟორდანიას მეთაურობითა და "ახალი ხანის დასაწყისის" შესაბამისი იდეოლოგიური მრწამსით - ჩამოყალიბებულ იქნა "მესამე დასი",ე.ი. საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტია; მიღებულ იქნა მისი სამოქმედო პროგრამა, რომლის დედააზრი იყო და დღემდე დარჩა:"ნივთიერი კეთილდღეობა როგორც დედა-ბოძი ადამიანის ცხოვრებისა; თავისუფლება მთელი ერისა და თვითეული ადამიანისა".

ამით მყარდება უშუალო კავშირი 4 ივლისთან, ამერიკის შეერთებული შტატების "დამოუკიდებლობის დეკლარაციასთან", 14 ივლისთან, საფრანგეთის დიდ რევოლუციასთან და მისგან შობილ "ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციასთან" და 26 მაისთან, საქართველოს დამოუკიდებლობისა და სუვერენობის აღდგენის დღესთან, და ამით "საქართველოს დამოუკიდებლობის აქტთან" და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციასთან, რომლებიც - თავის მხრივ - გამომდინარეობს "მესამე დასის" სამოქმედო პროგრამიდან.

XLIX.

მაგრამ სად "პატარა საქართველოს""მესამე დასი", სად "დიდი" ამერიკის შეერთებული შტატები და"დიდი" საფრანგეთი?!.. სად არის რუსეთის 1917 წლის თებერვლისა და ოქტომბრის რევოლუციები?!.. და განა "პატარა" საქართველო გამოდგება - "დიდ" ერთა და სახელმწიფოთა გვერდით - საერთაშორისო მასშტაბის მაგალითად?..თუ იდეოლოგიური, ჰუმანიტარული ძალაც "შაშხანის ლულიდან გამოდის", მაშინ, რა თქმა უნდა,"საქართველოს მაგალითი" სა-

ერთა-შორისო მასშტაბით=საზომად არ გამოდგება; მით უმეტეს, რომ ვინ იცნობს "მესამე დასს" და მის იდეოლოგიურ სიდიადეს, როცა ზოგიერთი ქართველიც კი - საქართველოში თუ ემიგრაციაში - საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის,"მესამე დასის" წარსულსა და აწმყოს უფრო ებრძვის, ვიდრე საქართველოს უცხო დამპყრობლებს?..

L.

მაგრამ აღნიშნული ფაქტი სრულიადაც ვერ შესძლებს იმის უგულებელყოფას, რომ 26 მაისის იდეა არა მარტო შეესაბამება 4 ივნისისა და 14 ივლისის იდეებს, არამედ - კიდევ მეტი: 26 მაისი ჯ ა მ ი ა ორივესი, და ამავე დროს ჩინაღდანიც "მომავალი" "მესამე გზისა". კი მაგრამ, როგორ?..

LI.

ჯერ უნდა აღვნიშნოთ, რომ 1789 წლის რევოლუციის შემდეგ, მსოფლიოს ვერც ერთმა ქვეყნის რევოლუციამ,ვერც რუსეთის 1917 წლის თებერვლისა და ოქტომბრის რევოლუციებმა, - ვერ მისცა მსოფლიოს,კაცობრიობას, საერთოდ, - "ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციის", "თავისუფლება, თანასწორობა, ძმობის" მიახლოებითი შესადარი ჰუმანიტარული ქარტია. ლენინი და სტალინი,მაგალითად, დაადგნენ ბოლშევიკური ე.წ-ლი"კლასთა ბრძოლის" თითქოსდა ინტერნაციონალურ მოძღვრებას, სინამდვილეში კი რუსეთის დიდმპყრობელურ-შოვინისტური იმპერიული პოლიტიკის განგრძობის გზას, რის შედეგია, თუ გნებავთ, ისიც, რომ მიხეილ გორბაჩოვი, ოქტომბრის რევოლუციის 70-ე წლისთავზე აყენებს კითხვას:"თვით 1917 წლის შეცდომა ხომ არ იყო? მის შემდეგ მთელი სამოცდაათი წლიწადი 'სადღაც სხვაგან' ხომ არ მივდიოდით?!" აქ კი გორბაჩოვი კითხვას აყენებს, მაგრამ მასზე პასუხის გაცემას გაურბის: რა თქმა უნდა, 1917 წლის რევოლუცია "შეცდომა" არ ყოფილა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო, ვინაიდან ისტორია "შეცდომითი ფაქტების" უბრალო ქრონოლოგია კი არა, არსებული პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული, სოციალური სინამდვილის,რეალობის ჯამია; და - მეორე - 1917 წლის რუსეთის რევოლუცია კი არ ყოფილა "შეცდომა", არამედ ლენინის ბოლშევიკური პარტიის რუსეთის იმპერიული პოლიტიკის სამსახურში ჩაყენება, რაც "ცეცხლითა და მახვილით" განახორციელა სტალინმა მსოფლიოს თითქმის ნახევარ ტერიტორიაზე.

LII.

"ახალი" რუსეთის ამ "ახალ" იმპერიულ პოლიტიკაში ის იყო მხოლოდ, რომ რუსი ხალხის საკაცობრიო მესიანიზმის იდეოლოგიური ბაზა "ქრისტიანიზმი"- შეცვალა "ინტერნაციონალიზმით", რის შესახებ ჰელმუტ შმიდტი წერს: "ლენინი - და ასევე სტალინი - ივან IV.,'მრისხანეს', ალბათ,სამართლიანად,თვლიდენ აბსოლუტურ-ცენტრალისტურად მმართველ დიდი რუსეთისსახელმწიფოს ფუძემდებლად... იყო ეს ივან IV., პეტრე I. თუ ეკატერინე II., სტალინის, ხრუშჩოვის თუ ბრეჟნევის დროს;....რუსეთის მისწრაფება ექსპანსიისაკენ არასოდეს არ ჩამქრალა. მისი საფუძველია მოსკოვის-ცენტრული მესიანიზმი, რომელიც რუსული სახელმწიფო იდეის განუყოფელი დარჩა. როცა კონსტანტინეპოლი 1453 წელს თურქებმა დაიპყრეს და ამით ქრისტიანიზმის აღმოსავლეთ რომის ცენტრი გაქრა, მოსკოვმა გამოაცხადა თავისთავი 'მესამე რომად' - '...და მეოთხე რომი არასოდეს არ იქნება'ო. განკურნების რწმენა დაიბადა სხვა ფორმით მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში როგორც მოსკოვის-ცენტრული პანსლავიზმი და ისევ მე-20 საუკუნეში როგორც მსოფლიო-რევოლუციური მოსკოვის-ცენტრული კომუნიზმი". (Helmut Schmidt: Menschen und Mächte, 1988, S.31).

LIII.

"...ყველა რუსი, რომლებიც ასეთ პირობებში პიროვნების თავისუფლებასა და მათი ღირსების შეუვალობას, სამართლიანობის გაბატონებასა და ღია საზოგადოებას უჭერენ მხარს...ასეთი რუსები დღემდე ყოველთვის იყო უმცირესობა, პოლიტიკურად ხშირად უმნიშვნელო განაპირა ჯგუფი. მე საეჭვოდ მიმაჩნია, რომ ეს მდგომარეობა გორბაჩოვის დროს არსებითად შეიცვლება, თუმცა მე ამის იმედი მსურს მქონდეს".(იქვე,გვ.32).

LIV.

და თუ აღნიშნულ ისტორიულ ფაქტებს მივიღებთ მხედველობაში, მაშინ "ისტორიის უცნაურობად" უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ 4 ივნისისა და 14 ივლისის შესატყვისი "ჰუმანიტარული ქარტია" - რუსეთის 1917 წლის თებერვალ-ოქტომბრის რევოლუციის შედეგად - შექმნა "პატარა" საქართველომ,"პატარა" ქართველმა ერმა 1918 წლის 26 მაისს გამოცხადებული "დამოუკიდებლო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის აქტისა" და 1921 წლის 21 თებერვლის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის სახით, რასაც საფუძველი ჩაეყარა "პირველი დასის", "მეორე დასის" და განსაკუთრებით "მესამე დასის" მოღვაწეობისას მე-19 და მე-20 საუკუნეებში.

LV.

მაგრამ შეგვიძლია დავაყენოთ საკითხი, რომ "26 მაისის იდეა" "უფრო მეტია", ვიდრე 4 ივლისისა და 14 ივლისის იდეები?.. ამის პასუხს იძლევა აღნიშნული ისტორიული დოკუმენტები: შევხედოთ ჯერ პირველს:

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი:

„მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო.

მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს ყოველ მხრით მტრისაგან შევიწროებული საქართველო თავისი ნებით შეუერთდა რუსეთს იმ პირობით, რომ რუსეთი ვალდებული იყო საქართველო გარეშე მტრისაგან დაეცვა.

რუსეთის დიდი რევოლუციის მსვლელობამ რუსეთში ისეთი შინაგანი წყობილება შექმნა, რომ მთელი სამხედრო ფრონტი სრულიად დაიშალა და რუსის ჯარმაც დასტოვა ამიერ-კავკასია.

დარჩენილმა თავისი ძალღონის ამარად, საქართველომ და მასთან ერთად ამიერ-კავკასიამ თვით იდვეს თავს საკუთარი საქმეების გაძღოლა და პატრონობა და შესაფერი ორგანოებიც შექმნეს; მაგრამ გარეშე ძალთა ზედგავლენით ამიერ-კავკასიის ერთა შემაერთებელი კავშირი დაირღვა და ამით ამიერ-კავკასიის პოლიტიკური მთლიანობაც დაიშალა.

ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა აუცილებლად მოითხოვს, რომ საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შექმნას, მისი საშუალებით გარეშე ძალის მიერ დაპყრობისაგან თავი გადაირჩინოს და დამოუკიდებელი განვითარების მტკიცე საძირკველი ააგოს.

ამისდა თანახმად საქართველოს ეროვნული საბჭო, 1917 წლის ნოემბრის 22-ს არჩეული საქართველოს ეროვნული ყრილობის მიერ დღეს აცხადებს:

1) ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

2) დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმა დემოკრატიული რესპუბლიკა არის.

3) საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა.

4) საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სურს საერთაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთან კეთილმეზობლური განწყობილება დაამყაროს, განსაკუთრებით-კი მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და ერებთან.

5) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველჰყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალ მდგომარეობისა და სქესისა.

6) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს.

7) დამფუძნებელი კრების შეკრებამდე მთელი საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო, რომელიც შევსებული იქნება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებით, და დროებითი მთავრობა, რომელიც პასუხისმგებელია საბჭოს წინაშე.

LVI.

"საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის" "შესავალი" და პირველი მუხლი, შეიძლება შედარებულ იქნას ამერიკის შეერთებული შტატების 1776 წლის 4 ივლისის "დამოუკიდებლობის დეკლარაციასთან": ორივე "აქტში" ლაპარაკია მათი დამპყრობელი სახელმწიფოებისაგან - დიდი ბრიტანეთისა და რუსეთისაგან - გამოყოფაზე, ე.ი. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და სუვერენობის გამოცხადებაზე, თუმცა განსხვავება მათ შორის იმაში გამოიხატება, რომ ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობა და სუვერენობა მოპოვებულ იქნა ომით, სისხლის ღვრით დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ; საქართველომ კი დამო-

უკიდებლობა და სუვერენობა მოიპოვა "საერთაშორისო ძალთა" ახალი გადახალისებისა და რუსეთის დამარცხებით პირველ მსოფლიო ომში, რასაც მოყვა რუსეთის - ჯერ - თებერვლის დემოკრატიული და შემდეგ ოქტომბრის ბოლშევიკური რევოლუცია. მაგრამ "დამოუკიდებლობის აქტში" მაინც ხაზგასმითაა აღნიშნული:-"დარჩენ-რა თავისი ძალღონის ამარად, საქართველომ და მასთან ერთად ამიერ-კავკასიამ თვით იდვეს თავზე საკუთარი საქმეების გაძღოლა და პატრონობა..." ამ სიტყვებში იგრძნობა მაინც შიში "დამარცხებული", ამ-ჯერად, ბოლშევიკური რუსეთისა, რომ მან ქართველ ხალხს "მოღალატეობის" იარლიყი არ მიაკეროს, როგორც ეს მოხდა სომხების მიმართ თურქეთში, რამაც სომეხი ერის დიდი ტრაგედია გამოიწვია პირველი მსოფლიო ომის მსვლელობის დროს. "დამოუკიდებლობის აქტის" პირველი მუხლიც ამერიკის შეერთებული შტატების "დამოუკიდებლობის დეკლარაციის" ხელისკვეთებისაა, ვინაიდან აქ განსაზღვრულია - ამერიკის შეერთებული შტატების "დამოუკიდებლობის დეკლარაციის" ანალოგიურად -, რომ "ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებიანი და დამოუკიდებელი სახელმწიფოა". კიდევ ერთი განსხვავება: იმ დროს, როცა საქართველომ "ი ს ე ვ-აღადგინა" სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, რომლის ისტორია, სულ ცოტა, სამ-ათას-წლოვანია, ამერიკამ პ ი რ ვ ე ლ ა დ შექმნა დამოუკიდებელი ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო. ამ-მხრივ, გასაგებია, სულ სხვა მდგომარეობაში იყო საფრანგეთი, რომელიც დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო იყო 1789 წლის 4 ივლისამდე და, გასაგებია, მის შემდეგაც, რომლისთვის "კოლონიალური ჩაგვრა" - მსგავსად ამერიკისა თუ საქართველოსა - "უცნობი ხილი" იყო: პირიქით, თვით საფრანგეთი გამოდიოდა, არა მარტო ამერიკის კონტინენტზე, "კოლონიზატორის" როლში, მაგრამ ეს სხვა საკითხია.

## LVII.

"საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის" მეორე, მეოთხე და მეხუთე მუხლი კი სრულიად ეხმიანება ამერიკის "დამოუკიდებლობის დეკლარაციისა" და საფრანგეთის "ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციის" დებულებებს, რომლებშიც განსაზღვრულია ადამიანის და მოქალაქის უფლებები. მაგრამ არსებითი "ახალი ხანის დასაწყისის" დებულებად უნდა იქნას მიჩნეული "საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის" მეექვსე მუხლი, რომელშიც ნათქვამია, რომ -"საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს." აქ უკვე დაკანონებულია "მესამე დასის" სამოქმედო პროგრამის ის დებულება, რომელიც, განზოგადოებული ფორმით, ე.ი. არა მარტო ქართველი ერისათვის, ლაპარაკობს "მთელი ერის თავისუფლებაზე"; სხვა სიტყვებით, პიროვნების, ადამიანის, მოქალაქის თავისუფლება გადაჯაჭვულია "ერის თავისუფლებასთან", რის შესახებ არც ამერიკის "დამოუკიდებლობის დეკლარაციაში" და არც "ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციაში" არ არის ლაპარაკი.

## LVIII.

აშკარად, "4 ივლისისა" და "14 ივლისის" იდეათა ზევით, "26 მაისის" იდეა ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა გაფართოებად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან ადამიანი არ შეიძლება იყოს თავისუფალი თუ ერი არ არის თავისუფალი და პირიქით. მაგრამ ამითაც არ კმაყოფილდება "საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი" და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია, რომლის საფუძველი, როგორც აღვნიშნეთ, ჩამოყალიბებულია "მესამე დასის" სამოქმედო პროგრამის იმ დებულებაში, რომელშიც ადამიანისა და ერის თავისუფლება დაკავშირებულია "ნივთიერ კეთილდღეობასთან, როგორც დედა-ბოძთან ადამიანის ცხოვრებაში".

## LIX.

აქ ერისა და პიროვნების თავისუფლება დებულობს ს ო ც ი ა ლ უ რ განზომილებას, რომლის დედა-აზრია ის, რომ ადამიანს, ერს თავის-უფლებით სარგებლობა, პრაქტიკული განხორციელება მხოლოდ მაშინ შეუძლია, როცა მას გააჩნია ს ო ც ი ა ლ უ რ ი=ნ ი ვ თ ი ე რ ი კეთილდღეობა ამგვარი უფლებების სარგებლობისათვის. აქ უკვე კლასიკური ცნება დ ე მ ო კ რ ა ტ ი ი ს ა შეფარდებულია "ახალი ხანის დასაწყისთან" და იგი გვევლინება ს ო ც ი ა ლ უ რ ი დ ე მ ო კ რ ა ტ ი ი ს სახით, რაც ახალი სიტყვაა, საერთოდ, კაცობრიობის(?) ისტორიაში. ანალოგიური განჭვრეტა ადამიანისა და ერის თავისუფლებისა და დემოკრატიისა, საერთოდ, ვერ მოგვცა ვერც "4 ივლისმა", ვერც "14 ივლისმა" და, ნათელია, ვერც 1917 წლის რუსეთის თებერ-

ვლისა და ოქტომბრის რევოლუციებმა, თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, -"4 ივლისისა" და "14 ივლისის" იდეები , მე-19 და მე-20 საუკუნეების სხვა იდეებთან ერთად, - ნოყიერი ნიადაგი იყო იმისათვის, რომ საქართველოში, მე-19 და მე-20 საუკუნის მიჯნაზე წარმოშობილიყო აღნიშნული საკაცობრიო იდეა, რომელიც ერის თავისუფლებას, ადამიანის უფლებებსა და პიროვნების თავისუფლება უშუალოდ აკავშირებს ერისა და პიროვნების ს ო ც ი ა ლ უ რ ბაზასთან, რომ ადამიანს, ერს გააჩნდეს ნივთიერი ბაზა აღნიშნულ უფლებათა პრაქტიკული სარგებლობისათვის.

LX.

აქ კი მივედით ადამიანისა და ერის უფლებათა უმაღლეს საფეხურთან, რომლის განხორციელებისაკენ პირველი ნაბიჯები გადაიდგა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში - 1918-1921 წლებში. მაგრამ ეს პროცესი შეწყვეტილ იქნა სწორედ იმ სახელმწიფოს მიერ - საბჭოთა რუსეთის მიერ -,რომელიც ახლა, რუსეთის 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის 70-ე წლისთავზე, გორბაჩოვის პირით, აყენებს კითხვას:"თვით 1917 წლის შეცდომა ხომ არ იყო? მის შემდეგ მთელი სამოცდაათი წლიწადი 'სადღაც სხვაგან' ხომ არ მივდიოდით?!" რა თქმა უნდა, საკითხისამგვარი დაყენება სწორი არ არის, ვინაიდან რევოლუცია არასოდეს "შეცდომა" კი არა, "კანონზომიერი" მოვლენაა. მაგრამ - ჩვენც რომ "სპეკულაცია" დავიწყოთ - თუ ლენინი საქართველოს დამპყრობისას, 1921 წელს, რჩევა-დარიგებას აძლევდა -დამოუკიდებელი საქართველოს დამყრობლებთა ხელმძღვანელობასხელი არ ეხლო საქართველოში სახელმწიფო ბანკის თანამშრომლებისათვის, რომლებიც - ლენინის აზრით - საფინანსო საქმის დიდი სპეციალისტები იყვნენ,რაც არ გააჩნდა იმ დროს საბჭოთა რუსეთს,- მაშინ ლენინი რატომ არ ჩაუფიქრდა დამოუკიდებელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ა რ ს ე ბ ი თ ნიშანდობლიობას, რომ პირველად კაცობრიობის(?) ისტორიაში სწორედ საქართველოში განხორციელების გზას დაადგა "ნივთიერი კეთილდღეობა როგორც დედა-ბოძი ადამიანის ცხოვრებისა; თავისუფლება მთელი ერისა და თვითეული ადამიანისა?" ვ.ი.ლენინს რომ ეს "4ივლისისა" და "14 ივლისის" დიადი იდეებიდან გამომდინარე "სოციალური დემოკრატია" თავის მრწამსად გაეხადა და დალოცა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გზას, ვითომ დღეს, 1989 წელს, საერთოდ, საჭირო იქნებოდა მისეულ გორბაჩოვისეული კითხვის დაყენება -"თვით 1917 წლის შეცდომა ხომ არ იყო?" მაგრამ ყველაფერი ეს "წმინდა წყლის" სპეკულაციაა,ვინაიდან,თუ ისტორიის კანონზომიერებას ვაღიარებთ, - რუსეთს,ლენინის რუსეთსაც უნდა გაეგრძელებინა რუსეთის ოთხასწლოვანი იმპერიული "მესიანური" პოლიტიკა, რაც გრძელდება დღესაც, მიუხედავათ გორბაჩოვისეული "კოსმეტიკური" "გარდაქმნა-საჯაროობა-დემოკრატიზაციის" პოლიტიკისა.

LXI.

კიდევ: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციაც ერისა და პიროვნების თავისუფლების, სოციალური დემოკრატიის სულისკვეთებითაა გაჟღენთილი, რის შედეგად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია, დღესაც, საქართველოს დამოუკიდებლობის 71-ე წლისთავზეც, ერთერთ, შეიძლება, ერთადერთ"სოციალურ-დემოკრატიული კონსტიტუცია იყოს, თუმცა მისი მიღებიდან თითქმის ორი-მესამედი საუკუნეა გასული.

აი,ზოგიერთი მაგალითი:"მოქალაქენი კანონის წინაშე ყველანი თანასწორნი არიან"; "სიკვდილით დასჯა გაუქმებულია"; "ყოველი მოქალაქის ბინა შეუვალია ..."; "კერძო მიწერ-მოწერა ხელშეუხებელია..."; "ყოველი მოქალაქე მიმოსვლისა და ბინადრობის არჩევაში სრულიად თავისუფალია...";"ყოველი მოქალაქე სინდისის სრული თავისუფლებით სარგებლობს. მოქალაქის დევნა, მის პოლიტიკურ თუ სამოქალაქო უფლებათა შეზღუდვა სარწმუნოების ან რწმენის გამო არ შეიძლება. ყველას შეუძლია აღიაროს ის სარწმუნოება,რომელიც სურს, ან სარწმუნოება გამოიცვალოს, ანდა არც ერთ კულტს არ ეკუთვნოდეს"; "ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს სიტყვით, ბეჭდვით ან სხვა რამ ღონისძიებით თავისი აზრები გამოთქვას და გაავრცელოს მთავრობის წინასწარ ნებადაურთველად"; "საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთ უფლება აქვთ მთავრობის ნებადაურთველად შეიკრიბონ საჯაროთ და უიარაღოთ, როგორც ჭერქვეშ,ისე გარეთ"; "მუშათა გაფიცვა თავისუფალია". აი, ზოგიერთი დებულება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის "მესამე თავისა", რომელიც განსაზღვრავს მოქალაქის უფლებებს.

LXII.

კონსტიტუციის "მეოთხე თავი" აკანონებს პარლამენტის, ე.ი. კანონმდებლობითი ორგანოს უფლებებს:"საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლობითი ორგანო არის 'საქართველოს პარლამენტი', რომელიც შედგება საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი, ფარული და პროპორციული წესისამებრ არჩეულ დეპუტატებისაგან. არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს სქესის განურჩევლად ყველა სრულწლოვან მოქალაქეს, რომელსაც ოცი წელი შესრულებია;" "პარლამენტის უფლებაა: ა) კანონმდებლობა;..."

LXIII.

კონსტიტუციის "მეხუთე თავი" აკანონებს აღმასრულებელი ხელისუფლების, ე.ი. მთავრობის უფლებებს:"უმაღლესი მართველობის აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნის რესპუბლიკის მთავრობას".

LXIV.

კონსტიტუციის "მეექვსე თავი" კი აკანონებს მართლმსაჯულებას: "სასამართლო დამოუკიდებელია და მხოლოდ კანონს ემორჩილება".

LXV.

კონსტიტუციის "მეთერთმეტე თავი" აკანონებს ავტონომიური მართველობის უფლებებს, სადაც, სხვათა შორის, ნათქვამია:
"საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილებს - აფხაზეთს(სოხუმის ოლქი), სამუსულმანო საქართველოს(ბათომის მხარე) და ზაქათალის ოლქს, - ენიჭებათ ადგილობრივ საქმეებში ავტონომიური მმართველობა."

LXVI.

კონსტიტუციის "მეთოთხმეტე თავი" აკანონებს საქართველოში მცხოვრებ ეროვნებათა უმცირესობის უფლებებს:"არ შეიძლება შეიზღუდოს საქართველოს რესპუბლიკის რომელიმე ეროვნული უმცირესობის თავისუფალი სოციალ-ეკონომიური და კულტურული განვითარება, განსაკუთრებით მისი დედა-ენით სწავლა-აღზრდა და ეროვნულ-კულტურულ საქმეთა შინაური მართვა-გამგეობა".

LXVII.

აი, ზოგიერთი დებულებები საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციიდან, რომელიც გამომდინარეობდა "მესამე დასის" 1893 წელს მიღებული სამოქმედო პროგრამის მთავარ დებულებიდან -"ნივთიერი კეთილდღეობა როგორც დედა-ბოძი ადამიანის ცხოვრებისა; თავისუფლება მთელი ერისა და თვითეული ადამიანისა"; და თუ ამით "26 მაისის იდეას", ჩვენ "4 ივლისის" და "14 ივლისის" იდეების "ახალი განზომილებით გამდიდრებას" ვუწოდებთ, - ეს დასტურდება იმით, რომ "26 მაისის დიადი იდეა" პიროვნების თავისუფლებას აკავშირებს ერის თავისუფლებასთან, კიდევ მეტი, ორივეს განიხილავს როგორც განუყრელ ე რ თ ო ბ ა ს, და - მას ზევით - მათი განხორციელების განუყრელ პირობად აღიარებულია "ნივთიერი კეთილდღეობა, როგორც დედა-ბოძი ადამიანის ცხოვრებისა". ეს კი "ახალი სიტყვა" იყო, არის და რჩება კაცობრიობის ისტორიაში(?), ვინაიდან, მისი მეშვეობით, დემოკრატია, უფლებრივი სახელმწიფოებრივი წესწყობილება, დებულობს სოციალური დემოკრატიის სახეს, რაც, ვფიქრობ, უმაღლესი ფორმაა სახელმწიფოებრივი წესწყობილებისა საერთოდ. და სწორედ ესაა "26 მაისის დიადი იდეის არსი".

LXVIII.

და "ქართული დემოკრატიის" ამგვარი ფაქტის, ასე ვთქვათ, მ ო წ მ ე ა, სხვათა შორის, ბელგიელი გამოჩენილი სოციალისტი და დემოკრატი - ემილ ვანდერველდე(1866-1938), რომელმაც 1920 წელში, საქართველოს მთავრობის დაპატიჟებით, ეწვია დამოუკიდებელ საქართველოს, და სამშობლოში დაბრუნებისას, ჟურნალ "ლე პეპლ-ში", 1920 წლის 20 ოქტომბერს, დამოუკიდებელი საქართველოს შესახებ, სხვათა შორის, წერდა:
"ომის წინა წლებში(ლაპარაკია პირველ მსოფლიო ომზე. კ.ი.) რომ დასმული საკითხი, თუ სად, ევროპის რომელ დიდ ქალაქში შედგებოდა პირველი სოციალისტური მთავრობა, ზოგი დაასახელებდა ლონდონს, ზოგი პარიზს, ბერლინს, სტოკჰოლმს თუ ბრიუსელს, მაგრამ ვინ იფიქრებდა საქართველოს დედა-ქალაქზე - თბილისზე? მაშინ სწორედ ამ ქალაქში აღიმართა დროშა სოციალისტური და დაიწყო ნამდვილი დემოკრატიული წესწყობილების მშენებლობა - უმაღლესი საფეხური სოციალიზმისა; და ეს მოხდა არა აჯანყების გზით, არა სისხლის ღვრით, არამედ ხალხის სუვერენული უფლების აღიარებით, მისი სურვილითა და ნებისყოფის სრული გამოვლინებით."

"ჩვენმა მეგობრება, ქართველ სოციალ-დემოკრატებმა ჩამოაყალიბეს დამოუკიდებელი საქართველოს ნაციონალურ თავისუფლების ფარგლებში ჭეშმარიტი

დემოკრატიული იდეები. აგრარული რევოლუცია მოხდა: ყველა ყოფილ სამეფო გვარეულობის და დიდ მემამულეთა მამულები ჩამორთმეულ იქნა, უსასყიდლოთ დარიგებული ღარიბ გლეხობაზე. 1918 წლის სოციალური და აგრარული რევოლუცია, რომელიც მოხდა საქართველოში, არ არის სოციალისტური, არამედ დემოკრატიული, მოხდენილი სოციალისტების მიერ...მეფარდებული ქვეყნის რეალობასთან. ამაშია ქართველი სოციალ-დემოკრატების უაღრესი გონიერება და სიბრძნე..."

"მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა იძლევა დიდ დიდებით პერსპექტივებს ქართველი მუშათა კლასის ინტერესების, მთელი ერის ეკონომიკური წარმატებისათვის. მაგრამ მიზნის მიღწევა შეუძლებელია თუ საქართველოს არ ექნა საერთაშორისო სტატუსი, უფლება; თუ იგი არ იქნა ცნობილი ყველა სახელმწიფოს მიერ", - დასძენს პიერ რენოდელი.

LXIX.

და თუ ჩვენ საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდათ მივიჩნიეთ 14 ივლისიდან(1789 წელი) დაწყებულ მოვლენებს დამთავრებული "ახი დღის" ჩაოკლით, ე.ი. ნაპოლეონ პირველის იმპერატორობიდან გადადგომით(22 ივლისი,1815 წელი), - ეს ეწინააღმდეგება საფრანგეთის დიდი რევოლუციის თვით ფრანგულ განჭვრეტასაც კი, რომელიც ამ რევოლუციის ხანად 1789-1799 წლებს მიიჩნევს. საბჭოთა რუსეთის ისტორიოგრაფია კი, რომლის გავლენის ქვეშაა საქართველოს ისტორიოგრაფიაც, საფრანგეთის რევოლუციის პერიოდათ 1789-1794 წლებს მიიჩნევს,რომლის დროს "სამ ეტაპად" ჰყოფს მას:
პირველი ეტაპი:14 ივლისი, 1789 წელი - 10 აგვისტო , 1792 წელი, "იყო მსხვილი ბურჟუაზიის ბატონობის პერიოდი. კანონმდებლობა და მთელი პოლიტიკა დამფუძნებელი კრების განისაზღვრებოდა მისი ინტერესებით. იმდენად, რამდენადაც ეს ესიტყვებოდა გლეხობის, პლებეების, ბურჟუაზიის დემოკრატიული ფენების ინტერესებს და ხელს უწყობდა ფეოდალური ნარჩენების დანგრევას, იყო პროგრესიული(დეკრეტები მოსახლეობის ფენებათ დაყოფის გაუქმებისა, საეკლესიო ქონების გადაცემა ნაციის განკარგულებაში(2 ნოემბერი 1789 წლისა), საეკლესიო რეფორმა(მოქცევა სასულიერო პირებისა სახელმწიფო კონტროლის ქვეშ), საფრანგეთის შუა-საუკუნოვანი ადმინისტრაციული დაყოფის განადგურება და ქვეყნის დაყოფა დეპარტამენტებად, დისკრიქტებად, კანტონებად და კომუნებად" და სხვა.("მსე",ტ.9,გვ.1147). გასაკვირია, რომ აქ, საბჭოთა რუსი ისტორიკოსები, არ აღნიშნავენ "ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციას" და მის საკაცობრიო მნიშვნელობას.
მეორე ეტაპად აღიარებულია პერიოდი - 10 აგვისტო, 1792 წელი - 2 ივნისი, 1793 წელი; რაც "ხასიათდება მწვავე ბრძოლებით იაკობინელებსა და ჟირონდელებს შორის. ჟირონდელები...წარმოადგენდნენ მსხვილ სავაჭრო-სამრეწველო და მიწათმფლობელ-რესპუბლიკურ ბურჟუაზიას...იაკობინელები კი წარმოადგენდნენ ინტერესებს რევოლუციურ-დემოკრატიული ბურჟუაზიისა, რომელიც კავშირში იყო გლეხებთან და პლებეებთან, ე.ი. იმ კლასობრივ ჯგუფებთან, რომლებიც მიისწრაფოდნენ რევოლუციის გაღრმავება და გაფართოებისაკენ...კონვენტმა (მოწვეული 1792 წლის 20 სექტემბერს დამფუძნებელი კრების სანაცვლოთ) ერთხმოვნად მიიღო მეფის ხელისუფლების გაუქმების გადაწყვეტილება(21 სექტემბერი,1792 წელი) და დაამყარა რესპუბლიკა(22 სექტემბერი, 1792 წელი)."
"...სიკვდილის დასჯის განაჩენის გამოტანის შემდეგ, ლუდოვიკო XVI-ეს მოჭრეს თავი გილიოტინით 1793 წლის 21 იანვარს." "სახალხო აჯანყება 31 მაისიდან - 2 ივნისამდე,1793 წელს, დამთავრდა ჟირონდისტების გაყრით და ხელისუფლება გადავიდა იაკობინელების ხელში".(იქვე, გვ.1148-1149).
"მესამე ეტაპი(2 ივნისი,1793 წელი - 27 ივლისი, 1794 წელი) იყო იაკობინელთა რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურის უმაღლესი ეტაპი...ორი-მესამედი ქვეყნის ტერიტორიისა აღმოჩნდა მტრის ხელში. მხოლოდ იაკობინელთა რევოლუციურ მეურყეობამ,-აღაგზნო რა სახალხო მასების ინიციატივა და უხელმძღვანელა მას,-გადაარჩინა რევოლუცია და მოამზადა რესპუბლიკის გამარჯვება. აგრარული კანონმდებლობით(ივნის-ივლისი 1793) იაკობინელთა კონვენტმა გადასცა გლეხებს ობშინათა და ემიგრანტთა მიწები გასაყოფად და მთლიანად მოსპო ყველა ფეოდალური უფლება და პრივილეგია...ყოფილი ფეოდალებზე დამოკიდებული გლეხები გადაიქცნენ თავისუფალ მესაკუთრეებად. ეს იყო "ნამდვილი რევოლუციური ანგარიშის გასწორება დრომოჭმულ ფეოდალიზმთან". (ლენინი ვ.ი.,თხზ.,4 გამოცემა,ტ.25, გვ.335)...კონვენტმა ტერორისტული აქტების პასუხად (მოკვლა ჟ.პ.მარატის, ჟ.შალიეს და სხვ), დღის წესრიგში დააყენა ტერორი...1794 წლის დასაწყისიდან იაკობინელთა ბლოკის რიგებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაჩაღდა მიწაკანი ბრძოლა...რობესპიერის დაჯგუფებამ მარტ-აპრილში როგრიგობით გაანადგურა მემარცხენე იაკობინელები, რომლებიც მიისწრაფვოდნენ რევოლუციის შემდგომ გაღრმავებისაკენ, და დანტონელები, რომლებიც წარმოადგენდა ახალ, რევოლუციის წლებში გამდიდრებულ ბურჟუაზიას,რომელიც მიისწრაფოდა რევოლუციური დიქტატურის შესუსტებისაკენ."პლებეველები და სოფლის ღარიბი მოსახლეობა, მათი სოციალური მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის გამო, ხშირად ჩამოშორდა იაკობინელთა დიქტატურას; გადადიოდა რა კონტრრევოლუციის მხარეზე, მიიზიდა მის მხარეზე მდიდარი გლეხობა..."
"1794 წლის ზაფხულში წარმოიშვა უთქმულება რობესპიერის რევოლუციური მთავრობის წინააღმდეგ, რასაც მოყვა 9 თერმიდორის=27 ივლისის(1794) გადატრიალება,რომლის შედეგად აღკვეთილ იქნა იაკობინელთა დიქტატურა და ამით დამთავრდა რევოლუცია...შემდეგნო პერიოდში რევოლუციის მრავალი მონაპოვარი განადგურებულ იქნა, მაგრამ შექმნილი ბურჟუაზიული რევოლუციური წესყობილება შენარჩუნებული და გამტკიცებულ იქნა."(იქვე,გვ.1149-50).

LXX.

საფრანგეთის დიდი რევოლუციის ბოლშევიკური შეფასება კი ასეთია:"საფრანგეთის ბურჟუაზიულ რევოლუციას ჰქონდა დიდი ისტორიული მნიშვნელობა. იყო რა თავისი ხასიათით სახალხო, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული, საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუცია უფრო ღრმად, გადაჭრით და საფუძვლიანად, ვიდრე რომელიმე ბურჟუაზიული რევოლუციები, გაუსწორდა ფეოდალურ-აბსოლუტურ წესწყობილებას და ამით ხელი შეუწყო კაპიტალისტური იმ დროს პროგრესიული ურთიერთობის განვითარებას. საფრანგეთის ბურჟუაზიულმა რევოლუციამ საფუძველი ჩაუყარა საფრანგეთის ხალხის მყარ რევოლუციურ-დემოკრატიულ ტრადიციას; მან დიდი და ხანგრძლივი გავლენა მოახდინა არა მარტო საფრანგეთის მომდევნო ისტორიაზე, არამედ მრავალი სხვა ქვეყნის მოწინავე საზოგადოებრივი აზროვნების განვითარებაზე."(იქვე,გვ.1150).

LXXI.

როგორც ვხედავთ, საბჭოთა რუსეთის "ოფიციალური-ბოლშევიკური" შეფასება საფრანგეთის დიდი რევოლუციისა, - ერთი მხრივ - არაფერს არ ამბობს, მისი უდიდესი, საკაცობრიო მონაპოვარის "ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციის" შესახებ, ხოლო - მეორე მხრივ - აღნიშნავს , რომ "მხოლოდ იაკობინელთა რევოლუციურ მეურყეობამ აღაგზნო ხალხის მასების ინიციატივა; უხელმძღვანელა მან, გადაარჩინა რევოლუცია და მოამზადა რესპუბლიკის გამარჯვება"; და რომ "კონვენტმა ტერორისტული აქტების საპასუხოთ(მოკვლა ჟ.პ.მარატის, ჟ.შალიეს და სხვ), დღის წესრიგში დააყენა ტერორი..."და ამით, არაპირდაპირ, უთუოთ "ამართლებს" ბოლშევიკურ, ლენინურ-სტალინურ ტერორს განსაკუთრებით 30-იან წლებში, რომლის დროს, უნებლიეთ, მარატის მკვლელობა კიროვის მკვლელობას გვაგონებს, რომელიც დასაბამი გახდა რუსეთსა და მთელ საბჭოთა კავშირში "დღის წესრიგში" ტეტორის დაყენებისა.

LXXII.

და,-მიუხედავათ იმისა, რომ;ბოლშევიკური შეფასებით,- საფრანგეთის დიდი რევოლუცია იაკობინელთა დიქტატურის აყკვეთით დამთავრდა,-მომდევნო პერიოდი, განსაკუთრებით, "ბონაპარტიზმისა", თვით საფრანგეთის "პირველი იმპერიის" ჩათვლით,- სრულიად გამოყოფილია მისგან, თუმცა მაინც იძულებულია აღნიშნოს შემდეგი: "ომებს, რომლებსაც აწარმოებდა ნაპოლეონ I-ი,იყო დამპყრობითი,ვაძარცვითი, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, მათში იყო პროგრესიული ელემენტებიც, ვინაიდან ეს ომები იყო დიდი დარტყმა ფეოდალურ-აბსოლუტისტურ წესყობილებაზე ევროპაში"("მსე",ტ.6,გვ.398). უთუოთ, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული აზრი გამოთქმულია 1960 წელს,რაც, შესაძლებელია დღეს, გობრაჩოვისეული "გარდაქმნა-საჯაროობა-დემოკრატიზაციის" პერიოდში ვერ პასუხობს "თეთრი ლაქების" აღკვეთას ისტორიაში. ვინ იცის! შეიძლება საბჭოთა რუსეთის და ამით საქართველოს ისტორიოგრაფიაც ამეტყველდეს საფრანგეთის დიდი რევოლუციის არსებით მონაპოვარზე, რომლის ცენტრში დგას "თავისუფლება,თანასწორობა,ძმობისა" და "ადამიანისა და მოქალაქის უფლებების დეკლარაციის დიადი იდეები.

LXXIII.

და თუ "თეორია ხდება მატერიალური ძალა, როცა ის მასებს მოედება"(კ.მარქსი), რომლის ერთ, გასაგებია, თვით თეორიის და მისგან გამომდინარე იდეების საშოც ხალხი, ერი, ხალხის მასებია, რომელიც თავის გამოხატულებას

პარტიებში თუ დაჯგუფებებში და ცალკეულ პიროვნებებშიც ამჟღავნებს,-მაშინ რა "მატერიალური ძალები" იყო ის, რომელმაც წარმოშვა, ვთქვათ, "4 ივლისი ", "14 ივლისი " და ორივეს შეჯამება "26 მაისი?.."

LXXIV.

ხალხის, ერის, მასების "მატერიალური ძალები" მჟღავნდება, მათგან გამომდინარე, პოლიტიკურ-ეკონომიკურ-კულტურულ-სოციალური რაობის გამომხატველ დაჯგუფებებში და მათ ხელმძღვანელ პიროვნებებში. "პარტიათა" და "პიროვნებათა" "მატერიალური ძალების" შეჯახებები განსაკუთრებულ მწვავე ხასიათს ღებულობს "რევოლუციების", "ძველის" აღკვეთისა და "ახალის" დანერგვის დროს. და თუ ეს ასეა,- და ეს ასეა უთუოთ -, მაშინ, ვთქვათ, რა "მატერიალურმა ძალებმა" წარმოშვა "4 ივლისი", "14 ივლისი", "26 მაისი"?..

LXXV.

ეროვნულად თუ კლასობრივად დაჩაგრულმა ხალხის, ერის მასებმა, რომლის სიმბოლო, როგორც ავღნიშნეთ, გახდა არა მარტო ბასტილიის აღება 1789 წლის 14 ივლისს, არამედ აგრეთვე "ვალმის ბრძოლები" 1792 წლის 20 სექტემბერს, როცა ფრანგულმა რევოლუციურმა თითქმის სრულიად გაუწრთვნელმა და ცუდათ შეიარაღებულმა მოხალისეთა არმიამ დაამარცხა ავსტრია-პრუსიის უაღრესად გაწრთვნილი და შეიარაღებული არმია, რაც, როგორც ცნობილია, "ახალი ეპოქის დასაწყისად" აღიარა ი.ვ.გოეთემ.

LXXVI.

და "მესამე დასის" ერთერთი მამამთავარი და თეორეტიკოსი, "სულით უძლეველი"(კ.ჩხეიძე) - სილიბისტრო ჯიბლაძე - 1792 წლის 20 სექტემბრის "ვალმის ბრძოლებს" - 1917 წლის 12 დეკემბერს თბილისის არსენალის აღებას ადარებს, და წერს:"სიდიადე ამ დღისა - (ლაპარაკია არსენალის აღებაზე) - მე ყოველთვის მაგონებს დიდი გოეთეს ისტორიულ სიტყვებს. ცნობილია, საფრანგეთის დიდ რევოლუციას ყველა ქვეყნების რეაქციონერ სახელმწიფოებმა საღმრთო ომი გამოუცხადეს. როცა ამ რეაქციონერთა კარგად შეიარაღებული და გაწრთვნილი ჯარი პირველად სასტიკად დაამარცხა გლახათ შეიარაღებულმა, მარა თავიანთ რევოლუციურ მონაპოვართა კარგად, მამაცურად დამცველმა საფრანგეთის ხალხმა, ამ დამარცხების პირადათ მოწმემ გოეთემ სთქვა:'დღეიდან აქ, ამ ადგილას იწყება ახალი ხანა მსოფლიო ისტორიისა'. მსოფლიო ისტორიისა რა მოგახსენო, ჩვენი ხალხის განვითარების ისტორიაში კი სწორედ 12 დეკემბერს, სწორედ აქ, თბილისის არსენალზე იწყება ახალი ხანა. სწორედ ამ დღეს, ამ ადგილას საქართველოს დემოკრატიამ აუწყა ქვეყანას, რომ მას აქვს უნარი არა მარტო თავისუფლების მოპოვებისათვის ბრძოლისა, არამედ ამ ძვირფასი განძის დაცვისა'".

LXXVII.

"შებინდებისას - განაგრძობს სილიბისტრო ჯიბლაძე("ერთობა",12.12.1919)- დაიძრა ჩვენი მცირე ლაშქარი...იმავე საზეიმო ღამეს, იმავე კურთხეული იარაღის მხიარულმა რაკრაკმა გვამცნო სანუკვარი ამბავი, რასაც ისე მოუთმენლად ველოდით:'არსენალი დავიჭირეთ'". ეს მოხდა 1917 წლის 12 დეკემბერს და ეს დღეა საქართველოს სახალხო გვარდიის დღე, რომელსაც ჩვენმა დიდმა პოეტმა - გალაქტიონ ტაბიძემ - სამი ლექსი მიუძღვნა("გვარდია", "გვარდია", "გვარდია" - 12.12.1920 წელი).

პირველ მათგანში, სხვათა შორის, გალაქტიონი ამბობს:"და გვარდია მიყვარს, მასთან ნახევარ გზად დაღლილი არვის არ უნახავს." ან: "დაკამცირონ, მაგრამ ვერსად დაგჩიონ; მაინც ლაჟნად გელის შენ, გალაქტიონ."

LXXVIII.

"ახალი ეპოქის დასაწყისი","ახალი ხანის დასაწყისი" 1789 წლის 14 ივლისის "თავისუფლება-თანასწორობა-ძმობის" მარადიული იდეაა, რომელსაც გააჩნია ვიზიონურ-უტოპიურ-რეალური რაობა, რაც თავისთავში აქცევს სამართლიანობა-ჭეშმარიტების ცნებებსაც, რომლის "მიღწევა","დამყარება","გაცნობიერება" ყოველდღიური განუწყვეტელი პროცესია. მხოლოდდამხოლოდ "აქტიურ","მოქმედ" ადამიანს შეუძლია ამ ვიზიონურ-უტოპიურ-რეალურ იდეალთან და ამით სამართლიანობა-ჭეშმარიტებასთან დაახლოვება, რომლის დროს, გასაგებია, ადამიანი მის პიროვნულ და ეროვნულ თავისუფლებას აცნობიერებს, უნდა აცნობიერებდეს ყოველდღიურად, რაც - თავის მხრივ - იმას ნიშნავს, რომ მხოლოდ "მოქმედი ადამიანია" თავისუფალი და არა"უმოქმედო ადამიანი"=მონა. და მოქმედი ადამიანის, ხალხის ერის შემოქმედებაა"4 ივ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ულისი", "14 ივლისი", "26 მაისი" - ამერიკის შეერ-
თებული შტატების დამოუკიდებლობის, საფრანგეთის
დიდი რევოლუციის და საქართველოს დამოუკიდებლობის
(1776 - 1789 - 1918) დღეები, რომლის დროს"26
მაისი" - "4 ივლისისა" და "14 ივლისის" შეჯამე-
ბაა, კიდევ მეტი, მათ განვითარებად გვეხსნება,
რომლის იდეალია"სოციალური დემოკრატია", რომელიც,
თავის მხრივ, არის განუწყვეტელი პროცესი, რომლის
დროს, აქტიური, მოქმედი ადამიანი ყოველდღიურად
ახორციელებს საფრანგეთის დიდი რევოლუციის უდიდეს
ჰუმანიტარულ იდეალს - "სამართლიანობა-თანასწორო-
ბა-ძმობას". და ვითომ მხოლოდ რევოლუციით, სისხლის
ღვრით, ტერორით იბადება "ახალი ხანა"?.. თუ ხალხი,
ერი, ადამიანები ყოველდღიური ცხოვრების ყოველდღიურ
ე ვ ო ლ უ ც ი ა ნ, რეფორმას, გარდაქმნას მიივიწყე-
ბენ და "მიიძინებენ", გამოღვიძება(რევოლუცია) მძვი-
დობიანი, უსისხლო, უმტკივნეულო შეუძლებელია იყოს,
რასაც, საკაცობრიო მასშტაბით, ადასტურებს საფრანგე-
თის დიდი რევოლუციის პერიოდი, დაწყებული 1789 წლის
14 ივლისიდან, რომლის ჰუმანიტარული იდეებიც,უთუოთ,
ჩაქსოვილია ჩვენი "26 მაისის დიად იდეაში".

## LXXIX.

და - ავღნიშნავთ რა საფრანგეთის დიდი რევოლუციის 200 წლისთავს, ფრანგ ხალხთან ერთად, - "ახალი ხანის დასაწყისის" განახლებასთან ხომ არ გვაქვს საქმე, როცა - გორბაჩოვისეული "გარდაქმნა-საჯაროობა-დემოკრატიზაციის" პროცესში - შესაძლებელი გახდა "...პირველად 20-იანი წლების შემდეგ, ოფიციალურად აღნიშვნა 26 მაისისა, ქართული ეროვნული სახელმწიფოებრივი აღდგენის 70-ე წლისთავისა", გასულ 1988 წელს, - და ეს ფაქტი ხომ არ ნიშნავს "26 მაისის დიადი იდეების" ისევ-აღდგენა-განხორციელებისაკენ გზის გახსნას?!..

## LXXX.

ამიტომ,- 4 ივლისის- 14 ივლისის- 26 მაისის იდეები - ადამიანისა და ერის თავისუფლების წყარო, - გასცილდა ცალკეული ერების, ცალკეული სახელმწიფოების, თვით ცალკეული კონტინენტების საზღვრებსაც კი და საერთა-შორისო ჰუმანიტარული იდეა გახდა, როცა - ერთი მხრივ - გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქარტია "თანასწორობას...დიდი და პატარა ხალხებისა" აღიარებს,ხოლო- მეორე მხრივ - "ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია", რომელიც 1948 წლის 10 დეკემბერს მიიღო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ, - თითქოს "ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაციის", "ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციისა" და "საქართველოს დამოუკიდებლობის აქტისა" თუ საქართველოს კონსტიტუციის დებულებათა თავისებური შეჯამება იყოს.

## LXXXI.

ამდენად, მსოფლიოს ყოველი ერი, ყოველი ადამიანი, რომელმაც თავისი წვლილი შეიტანა ერისა და ადამიანის თავის-უფლების დიადი იდეის ჩამოყალიბებაში და ხელს უწყობს მის განხორციელებას სა-ერთა-შორისო მასშტაბით, უდავოა, განსაკუთრებული აღიარების ღირსია; და ასეთი ერი არის, უპირველეს ყოვლისა, ფრანგი ერი, რომელმაც 1789 წლის 14 ივლისს წამოაყენა თავისუფლება-თანასწორობა-ძმობის დიადი იდეა, რომლის ცენტრში იდგა და დგას "ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია" -"ახალი ხანის დასაწყისის" უნივერსალური ქარტია.

## LXXXII.

და ისტორიული პ ე რ ს პ ე ქ ტ ი ვ ა - გ ა ნ ჭ ვ რ ე ტ ა?!..

რევოლუცია არის ევოლუციის ჩასახობის პირმშო შვილი, რომლის დროს ხდება სახელმწიფოს მთელი საზოგადოებრივი და პოლიტიკური სტრუქტურის "შეურერებელი" ან "მაღალოპითით" გარდაქმნა, რომლის მიზეზია - მოსახლეობის დიდი დაჯგუფებების(კლასების,ფენების) უწყვეტი გამოწვევა ყოველი ჯურის სიდუხჭირის შედეგად; რომლის დროს გამოწვეულთა სოლიდარობა ეყრდნობა გაჭირვების უწყვეტობას; ხოლო გამოწვეულთა რეფორმატორული პროგრამა მოიცავს მოსახლეობის დაჯგუფებათა დამაკავშირებელ პრინციპებს, რომელთა წარმატებითი განხორციელება მოსალოდნელია; რაც - თავის მხრივ - ჰბადებს ხელმძღვანელ პირებს, რომელთა სამოქმედო გადაწყვეტილებანი საერთო რევოლუციურ ნორმას იმსახურებს; და რევოლუციის ამ ოთხ გამომწვევ მიზეზს ემატება მეხუთე: არსებული წესრიგების ნორმის, ავტორიტეტის დაცემა მოსახლეობაში, რაც განაპირობებს არსებული რეჟიმის სისუსტეს.

და თუ,რევოლუციის ემპირიული განსაზღვრით, მწარმოებელი საზოგადოება არის ბ ა ზ ა ისტორიული პროცესისა, - ასეთ შემთხვევაში,რევოლუცია არის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისტორიულად კარდაუვალი გადასვლა წარმოების ერთი სახიდან მეორეზე, რასაც ადგილი ჰქონდა, მაგალითად, - ისტორიული პროცესის მთავარ ე პ ო ქ ე ბ ზ ე რომ მევჩერდეთ, - პირველყოფილი საზოგადოების გადასვლისას მონათმფლობელობაზე, მონათმფლობელობისა - ფეოდალიზმზე, ფეოდალიზმისა - კაპიტალიზმზე. და დღეს?!..ვითომ ელექტრონიკისა და გენეტიკის "მეორე" და "მესამე" ინდუსტრიული რევოლუციის პროცესში თვით "რევოლუცია"-"ევოლუციის" ცნებებიც ახალ კონკრეტულ შინაარსს მოითხოვს?.. "აბსურდული არ არის, - წერს თავის ახალ წიგნში, გერმანიის სოციალდემოკრატიული პარტიის "ფუტუროლოგი" - ოსკარ ლაფონტენი (Oscar Lafontaine:"Das Lied vom Teilen - Die Debatte über Arbeit und politischen Neubeginn", - Hoffmann und Campe, 1989 - "განაწილების სიმღერა - დებატები შრომაზე და პოლიტიკური ახალი დაწყება") - ახვადებული 'პროდუქტიულ' შრომაზე ორიენტირებული ფასოვანების სკალა, რაც მასობრივი განადგურების იარაღებს უფრო მაღალ საფეხურზე აყენებს, ვიდრე დემოკრატიული ერთმანეთთან ცხოვრებისათვის საჭირო არაფორმალურ (უხელფასო, კ.ი.) საქმიანობის უზრუნველყოფას? და ყველაზე უფრო მშვენიერი ამ უტოპიისა არის - საჭირო არ არის ჯერ კაპიტალიზმის დანგრევა, რომ მასში შევიდე.ის აჩვენებს თუ როგორ არსებული საზოგადოებრივი წესყობილება, მისი საკუთარი საშუალებებით, მათი საკუთარი წესრიგით, შეიძლება რეფორმირებულ იქნას". და "რევოლუცია-ევოლუციის" ცნების ამგვარი განსაზღვრა ვითომ მესაძლებელია განზოგადოებულ იქნას, როცა ინდუსტრიულად მოწინავე და განვითარებად ქვეყნებს შორის, სულ ცოტა, ეკონომიკური უფსკრულია?.. და ვითომ ყველა ამ პრობლემის ისტორიული პ ე რ ს პ ე ქ ტ ი ვ ა - გ ა ნ ჭ ვ რ ე ტ ა - გ ა რ დ ა ვ ა ს ვ ი ს, - "ახალი ეპოქის დასაწყისი", ენვალი-წყარო 1789 წლის 14 ივლისის "თავისუფლება-თანასწორობა-ძმობის" დიადი იდეა, რომლის შექმნა-ჩამოყალიბება-განხორციელებისათვის (არა მარტო) ფრანგმა ერმა დიდი, დიდი მსხვერპლი გაიღო?..

LXXXIII.

და, "4 ივლისის", "14 ივლისისა" და "26 მაისის" დიადი იდეები ცხოველმყოფელი, თანადროულია დღესაც, საფრანგეთის დიდი რევოლუციის 200 წლისთავზე, - ამის თვალსაჩინო აწ უკვე ისტორიული ფაქტია მასობრივი დემონსტრაციები საქართველოში, რომლის კულმინაციური წერტილი გახდა 1989 წლის 9 აპრილი, როცა ჩვენს დედაქალაქ თბილისში დემონსტრანტებმა საქართველოს დამოუკიდებლობისა და სუვერენობის ისევ-აღდგენა და ამით ერისა და პიროვნების თავისუფლების ისევ-განხორციელება მოითხოვეს, რაც სისხლში ჩაახშო მოსკოვის პარტიულმა ხელმძღვანელობამ, რომლის დროს საწამლავი გაზიც კი გამოყენებულ იქნა მშვიდობიანი დემონსტრანტების წინააღმდეგ, რის შედეგად მოკლულ იქნა 43-ი, უგზოუკვლოდ დაიკარგა 42-ი, ხოლო დაიჭრა 500-ზე მეტი დემონსტრანტი; არა-ოფიციალური ცნობებით, კი მსხვერპლი გაცილებით უფრო მრავალრიცხოვანია?..

LXXXIV.

ამგვარად, საფრანგეთის დიდი რევოლუციის 200 წლისთავზე, "თავისუფლება-თანასწორობა-ძმობის" დიადი იდეა უკვე გაპოხიერებულია ს ო ც ი ა ლ უ რ ი დემოკრატიის დიადი იდეით, რომლის ყველაზე უფრო ლაკონური განსაზღვრაა -"ნივთიერი კეთილდღეობა როგორც დედა-ბოძი ადამიანის ცხოვრებისა; თავისუფლება მთელი ერისა და თითოეული პიროვნებისა", რის განხორციელება საქართველო, ქართველი ერის 1918 წლის 26 მაისს შეუდგა; და ეს პროცესი რომ შეწყვიტა უცხო ძალამ 1921 წლის თებერვალ-მარტში, სწორედ ამან გამოიწვია, სხვათა შორის, 1989 წლის 9 აპრილის სისხლის-ღვრა თბილისის ქუჩებში, რომლის დროს ქართველმა ხალხმა, როგორც ფრანგმა ხალხმა ამ 200 წლის წინათ, კიდევ ერთხელ სისხლი დაწერეს ისტორიის კიდევ ერთი ფურცელი, რომლის ცენტრში დგას -"თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა" - ეროვნული და პიროვნული; და აქ შეკრულია, შედუღაბებულია 4 ივლისის, 14 ივლისის, 26 მაისის იდეათა მარადიული წრე, რომლის განხორციელების ერთერთ ცდათ იქნა - საფრანგეთის დიდი რევოლუციის 200 წლისთავზე - თბილისში, საქართველოს დედაქალაქში, 9 აპრილის, 1989 წლის, სისხლის-ღვრა, რითაც ქართველმა დემონსტრანტებმა თავიანთი-თავი მიიტანეს თავის-უფლების სამსხვერპლოზე, და ამით შეუერთდენ ყოველი ერისა და ყოველი დროის წამებულთ თავის-უფლებისათვის.

LXXXV.

და, 4 ივლისის, 14 ივლისის და, ნათელია, 26 მაისის პირმშო შვილად უნდა ჩაითვალოს უთუოთ, "ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია", რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მიიღო 1948 წლის 10 დეკემბერს, რაც

ადამიანის უფლებების სა-ერთა-შორისო მასშტაბით აღიარებაა, თუმცა ამ "უტოპიის" განხორციელება მსოფლიოს ყველა კუთხეში მრავალ ჯებირებს აწყდება. მაგრამ სადაა "ერის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია?!.." და აქაც - 4 ივლისისა და 14 ივლისისაგან განსხვავებით - მხოლოდ 26 მაისი არ აკავშირებს ადამიანის, პიროვნების თავისუფლებას ერის თავისუფლებასთან საერთოდ, ე.ი. სა-ერთა-შორისო მასშტაბით?.. ნუთუ საფრანგეთის დიდი რევოლუციის 300-ე წლისთავის იუბილემდე უნდა ველოდოთ "ერის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის" შემუშავება-მიღება-აღიარებას საერთაშორისო მასშტაბით?..

კარლო ინასარიძე
პარიზი, 1989 წლის 14 ივლისი

## რ ე ვ ო ლ უ ც ი ი ს "პ ი ე ტ ა?.."

ჟან პოლ მარატი(24.5.1744 - 13.7.1793) მასწავლებელი, ჟურნალისტი, ექიმი - იყო ერთერთი ყველაზე უფრო რადიკალური რევოლუციონერი. მეფის ჩამოგდების შემდეგ(10.8.1792) მიემხრო იგი დანტონს და გადამწყვეტ როლს თამაშობდა ე.წ.-ლი"სექტემბრის ტერორში". გახდა რა კონვენტის წევრი და 1793 წლის გაზაფხულზე"იაკობინელთა კლუბის"პრეზიდენტი, მარატმა ფანატიკური ტერორი დაიწყო ჟირონდისტების წინააღმდეგ, რის გამო შარლოტე დე კორდემ (1768-1793), რუსოს იდეების მიმდევარმა, აბაზანაში სანჯლით მოკლა მარატი, რომ ტერორისათვის ბოლო მოეღო. შარლოტე დე კორდეს თავი მოკვეთეს გილიოტინით 1793 წლის 17 ივლისს.

მრავალი ნაწარმოები მიეძღვნა ამ მოვლენას, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ჟაკ ლუი დავიდის(1748-1825) ტილო "მოკლული მარატი", რომელსაც - მიქელანჯელოს "პიეტას" ზეგავლენით - "რევოლუციის პიეტას" უწოდებენ ხოლმე.

და თუ, როგორც ავღნიშნეთ, რევოლუცია ევოლუციის, ე.ი. განვითარების, ცვლის პროცესის ჩასახვის პირმშო შვილია, მაშინ რევოლუცია - საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ურთიერთობაში ძირფესვიანი გადატრიალება, საწარმოო ძალთა და წარმოებრივ ურთიერთობათა გარდაქმნა, დრომოჭმული წესყობილების ძალით დამხობა და ახალი წესყობილების დამყარება, რომელიც "თავის შვილებსაც კი ყლაპავს",- "სორცითა და სისხლით" ხომ არ გამოისყიდის ხოლმე ევოლუციის ჩასახვის შედეგად გამოწვეულ ცოდვებს?!.. და, ამგვარად, რევოლუციაში დაღვრილი ყოველი წვეთი სისხლი ხომ არ არის თავისებური შეწირვა კაცობრიობის წინსვლის სამსხვერპლოზე, რომლის ცენტრში ერისა და ადამიანის პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული, სოციალური თავის-უფლება დგას?!.. და ახეთ ადამიანს - ვითომ არ შეიძლება ეწოდოს "ღვთისმოსილი", "პიეტა" - რაც-გინდ დავახოვით არ უნდა ემსხვერპლოს იგი ამგვარი ძირფესვიანი გადატრიალებისა და ცვლილების პროცესში?!..

კარლო ინასარიძე
პარიზი, 1989 წლის 14 ივლისი

# ჩვენი საჭირბოროტო საკითხები

### დავით (IV) აღმაშენებელი და მებრძოლი საქართველო

გარდაქმნამ და საჯაროობამ, თუ ერთმანეთს ფეხი ვერ აუწყვეწეს, საბ-ჭოთა სახელმწიფოებრივი წყობილების სინამდვილის ბუნებრივი მოვლენაა! მათი არათანაბარობა ერთგვარი გამოვლინებაა: ერის სოციალური ურთიერთობის ყოფათა სასიერობაში, როგორც ლენინის პოლიტიკის მუდმივი ერთსახეობის გარ-ეგნული მრავალფეროვნებათა აღიარების უნაყოფო მცდელობა!

საბჭოთა სიტუაციის სინამდვილეში, დღევანდელი თაობათა წარმოებული პროტესტების და დემონსტრაციების მამოძრავებელი ძალა, ბოლშევიკური რეჟიმის დიქტატურულ რაობის მუდმივობაში განისაზღვრება!

ამ არათანაბარობაში ერთმიანად ჩართული ჩვენი ერის ახალგაზრდობის ხმა და ეროვნული ყიჟინა, თითქოს მათ ძირითად მოთხოვნებს ანარქიული ელფერით და სახიათით წარმოადგენენ ბოლშევიკური დიქტატურის წინაშე;

თვით რეფორმაციის მამამთავარი შიშმა და განკრთომამ შეიპყრო! მან თავის საახალწლო მილოცვაში, სრული იმედი აღუთქვა თავის მონა-ქვეშევრდომთ: "იქ, სადაც კანონი ბატონობს უზრუნველყოფილია სოციალისტური მართლწესრიგი და შეგნებული საზოგადოებრივი დისციპლინა.....".

მსოფლიოში, ყველაზე უკეთესად ჩვენ ხალხს გაეგება და იცის, ლენი-ნის სამშობლო, სტალინური ყაიდით შემოსალტული დემოკრატიის ბედ-იღბალი! [illegible] მილიონებში გამოხატული სიცოცხლე, ფიზი-

-კურად განადგურებული! ასეთი რამ, მცირეოდენიც კი, ფაშისტურ ქვეყნებშიდა გაბატონებულ სამხედრო ხუნტის არემარეში საშინელ და გაუმართლებელ ბოროტებათ ითვლება, რაც, სრული სიმართლე და ჭეშმარიტება, საბჭოთა და კომუნისტურ ლენინურ სამოთხეში კი, ხელისუფლებაში მყოფ დიდ მოხელეთა, გაუგებრობის წაყრუება და შეცდომათ!

დღეს, ქართველი ახალთაობა თავის სამშობლოში, საბჭოთა იმპერიის ხელისუფალთ აღიარებული ყავთ. არათუ მარტო არაფორმალურ გაერთიანებად, აგრეთვე, როგორც ყოველი სახის ბოროტმომქმედნი და დებოშირები!

მიუხედავად ხელისუფლების ჭორიკაობისა, ისინი გმირულად და ღირსეულად იბრძვიან ბოლშევიკური პროვოკაციისა და ბოროტების წინააღმდეგ; ყოველგვარი შესაძლებლობით: შიმშილობა, რკინიგზის ლიანდაგებზე ჯგუფური ჯდომით.. და ასე ამგვარად; შეუპოვარია მათი ბრძოლა, მამა-პაპათა მონაპოვარი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის.

ლენინის მელიქვნელური და მზაკვრული საქმიანობის და პოლიტიკის წინააღმდეგ აღმართული ეროვნული დებულებით და მოთხოვნებით გამოწვევა ქართული სინდისიანობის პლაცდარმზე პასუხისმგებლობის მთელი სიმძიმე დააწვა ბოლშევიკური პარტიისბრძანება-დირექტივებით ნოტებით მოლაყბე ისტორიკოსებს, მათ შორის კი უფრო მეტად იმ ისტორიკოსებს, რომელთაც ბატონი გურამ ყორანაშვილი თავის მოხდენილი გამოთქმით უწოდებს "ნაფიც" ისტორიკოსებს.

ჩვენ ხალხს განუწყვეტლივ ჩასჩიჩინებენ თავში, ვითომ-ც ლენინი იყო სრულიად წინააღმდეგი საქართველოს გასაბჭოების, ყოველივე მოხდა მის შეუკითხავად და ასე.... ქართველმა ხალხმა კარგად იცის თავისი ქვეყნის ბედკრული ისტორია, განსაკუთრებით მეოცე საუკუნისა; თაობა, არაფორმალურ გაერთიანებათა წოდებულმა, როგორც ზემოთ ითქვა, შეუპოვარ ბრძოლას აწარმოებენ ლენინის მუხანათურ-ცინიკურ პოლიტიკის და საქმიანობის წინააღმდეგ. მან ხომ ქ. ბათუმი ორჯერ გადაცა თურქებს, რუსეთის იმპერიის სასიცოცხლო ინტერესების კეთილდღეობისათვის; აბა, ყური უგდოთ, ცნობილპოლიტიკურ მოღვაწეს და ჟურნალისტს გ. ქიქოძეს: ".ქ. ბათუმი ლენინს ორჯერ გადახტა, პირველად ბრესტ-ლიტოვსკის ზავის, ხოლომეორედ ანკარის შეთანხმებისძალით"; და იქვე დაასკვნის, რომ ქ. ბათუმი სამშობლოს შეუნარჩუნა ქართული ჯარის ღმარცხებულმა ნაწილებმა და სტუდენტთა პატრიოტიზმა.

გორბაჩევმა და მისმა რუსულმა პარტიულმა ამალამ, კვლავ ცბიერი ლენინისორმაგ პოლიტიკაზე დაყრდნობა და მისი გამოყენება განიზრახეს, ეროვნული შეურიგებლობის დასაოკებლად და დასათრგუნავად.

.დღევანდელი ისტორიული მოვლენათა სინამდვილეში ადამიანთა თვალისწინ მიმდინარეობს, როგორც ცხოვრების შინაარსობრივი ცოცხალი გაკვეთილები; აჲ. კომეინმა მუსულმანურ სარწმუნოებაში გაღვივებული ფანატიზმით შექმნა, საშინელი დაუნდობელი შინაური და საგარეო ტერორი; ამ ფანატიზმით დატერორის შიშით გაბრუებული ირანელი, სამოთხეში შესვლის სურვილით განცხრომით ლაჟავს სულს ირაქის ბრძოლის ველზე!

ირანულმა ფანატიზმმა წარმშვა მცირეწლოვანთა თავგადებული თაობა, რომელთაცსრული უფლება ეძლევათ, ბრძოლის ველზე დაცემულთ, პირდაპირ დაუკითხავად, სამოთხის კარის გაღებისა, კომეინის მიერ გულზე ჩამოკიდებული პლასტიკის გასაღებით! სადაც მათ ელოდებათ ისლამთა მოციქულები.

მკაცრად მეტყველობს რუსეთის ისტორიის ფურცლებზე გადმოტანილი "ლეტოპის-ები; სახელმწიფოებრივი შინა არეულობის დროს, თავისებური გაგებით, აღმოსავლური ფანატიზმი, საუკეთესო საშუალებათ და იარაღად გამოუყენებიათ.

თვით ლენინიზმი, დიალექტიკურ-მატერიალიზმის ფანატიკურ სამოსელში გახვეული, საუკეთესო იარაღია დამონებულ ერების დასახვრისათვის; ადამიანის თუთიყუშად გარდაქმნისათვის! თვით პარტიაში, განფითარების უმაღლეს საფეხურზე ასული, პიროვნების კულტის ეპოპეია, ხომ, კრემლის უბრწყინვალეს დარბაზებიდან გამოვლინდა და დაიწყო, რომელმაც მთლიანად საბჭოთა კაცობრიობა უსიტვობაში და უმოქმედობაში მოაქცია და მაშინ, საკუთარი ბედის განაჩენში, სიკვდილი სიხარულით აღვსებულ ზეიმს წარმოადგენდა, როგორც ბოლშევიკური წყალობა, ნათელივით გამოვლინებული თვალმოჭუტული ილიჩის ცინიკური ღიმილიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მივმართოთ,დღევანდელ ცოცხალ ცლისეულ მოვლენებს, ბოლშევიკური პარ-
-ტიის ფანატიზმის ჭაობიდან წარმოშობილს; კრემლის უშვალო და პირდაპირი დავალებანი: გამოინახოს ყოველგვარი შესაძლებლობანი,რომ ძმა ვალ თაობათ გაუცვიონ, სულისკვეთების მონური მიდრეკილება "უფროსი ძმის", კეთილდღე-
-ობის სადიდებლად.

ბავშები დამწკრივებული მიყავთ ფიცის დასადებათ, არა მოწამეთაში, წმ. დავით და კონსტანტინეს პატრიოტიზმის უკვდავების წინაშე, ან გელ-
-ათში, დავით აღმაშენებელის და მღვდელმთავარ გაბრიელის საფლავებთან,სა-
-დაც ქართული სულის ნათელი საუკუნეების გასწვრივ მუდმივ ჩაუქრობელობაში ევლინება ქართველ ერს.

"რამდენიმე წლის წინათ ვ.ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალში დამკვიდრდა ტრადიცია: სასწავლო წლის დაწყების წინ მუზეუმში მოდიან პირველკლასელები და სიმბი-
-რსკის გიმნაზიისიმ მერხის ასლთან, რომელზედაც იჯდაVII-კლა-
სის მოსწავლე ვლადიერ ულიანოვი, ფიცს დებენ იცხოვრონ და ისწავლონ ლენინურად."

"31-აგვისტოს მუზეუმსესტუმრნენ სობის რაიონის პირ-
--ველკლასელები, მრავლად იყვნენ თბილისელი ნორჩებიც.

ასეთსავე ტრადიციას ჩაეყარა საფუძველი ლენინის მუზ-
-ეუმის განყოფილებაში-- ავლაბრის არალეგალურ სტამბა-მუზეუმშიც."
გაზეთი "კომუნისტი", ნომერი- -202, 1სექტემბერი,1988-წ.

სინამჯვილე ,როგორც ყოველთვის,ფებრვლის ტრაგედიის პირველ დღეე-
-ბიდანვე;დღესაც იმის მაჩვენებელია,"მებრძოლ საქართველოსთან"ბის ეროვნული სულის და შეგნების უძლეველობის სიდიადესთანშეჯახება, რუსული ფანატიზმის გარემოცვაში ნასაზრდოები ოკუპაციის დამრცხების აუცილებლო-
-ბისხმთქმელი და მაუწყებელი.

ისტორიულ სინამდვილეთ დარჩა თაობას, საბჭოთა ბუნების ამსახველი წი-
-ნადადება,თქმული ნ. ჟორდანიას მიერ: "მე მირჩევნია აღმოსავლეთის ფანატ-
-იკოსებს, დასავლეთის იმპერიალისტები."

სამშობლოს სამ წლიანმა ჯამოუკიდებლობის ისტორიამ, ამ საუკუნის ყოველ თაობას, სამოქმედოთ, მხოლოდა მხოლოდ ერთი საკითხი უანდერძა: ეროვნული თავჯაცვის და მოქმედების ბარიკადებზე ღირსეულად ყოფნა დაბრძოლ

ყოველმხრივ ცნობილი ჰამულიშვილი-პატრიოტი მოღვაწე, ცნობილი მოწინა წევრი ეროვნულ დემოკრატიული პარტიის იმავე პარტიის უთავრესი ბეჭვდითი ორგანოსი მთავარი რედაქტორიდა ულიდესი დიაპაზონური პიროვნება ქიქოძე წერს , თავის მოგონებაში " თანამედროვის ჩანაწერები",რომელიც დაუ
-ჩია 1956-წელს,გამოქვეყნება კი ელირსა ამწლის დასაწყისში,რომელიც აუცი
-ებრივ დაჩება არა მარტო ისტორიის ცოცხალ მასალად, არამედ ,როგორც უკვდ-
-ავიმატიანე,ერთი ულიტხიისტორიული პერიოდისა:

"როგორც უნდა შეფასდეს საბოლოოდ ნოე ჟორდანიას მმართველობა, უცი-
-ლობელია,რომ მან ხელი შეუწყო ეროვნული მთლიანობის და თავისუფ-
-ლების იდეების აღორძინებას. ეს იდეები კი რამდენიმე საუკუნის განმავლობაში მიჩქმალული იყო ქართველი ერის შეგნებაში. შემოფარ-
-გლულ იქნა საქართველოს სახელმწიფოებრივი საზღვრები, რომლებიც დღემდე არსებითად აღარ შეცვლილან. ქართველობას განუმტკიცა რწ-
-მენა,რომ მას საკუთარი სახელმწიფოს შექმნა შეუძლია ურთულეს საერთაშორისო პირობებში." გ.ქიქოძე, ჟურნალ "მნათობი",ნომერი-
-1-1989-წ./

აი ასეთი,ეროვნული მოქმედება- საქმიანობის მიღწევებით და უკვდავ რწმენით ჟატოვა ეროვნულმა მთავრობამ სამშობლოს საზღვრები და მშობლიური ერი და კერ ა; მათი რწმენა და მისწრაფებანი ვერ შთანქა, ვერც დროთა-
-ვითარებამ, და ვერც საბჭოთა ქურჯში გასვეულმა რუსულმა შოვინიზმა; ჯერჯერობით, დამოუკიდებლობის მიმართ შეწირული მსხვერპლი ,ეროვნული ბრ-
-ძოლისველზე, დღემდის მუჯმივ განუსაზღვრელობაშია, და რასაკვირველია ასეც იქნება, ეროვნული ადამის აღრიალებამჯის.

9-თებერვალს გაზეთი ჩვეულებრივად გვაუწყებს ჰუმინდელე ამბებს;

8- თებერვალს ოფიციალურად საფუძველი ჩაეყარა დავით (IV) აღმაშენებელის ძეგლს; ქ ნმა პრფ-მა მზექალა პრ.ა.შანიძის ასული კარგათ უნდა იცოდეს ეროვნული მღელვარების დროს, ერის წინაშე ყონგლიობა უძლიერესად და-მაქვეითებელია ,ადამიანის სულიერი განცდებისა!ამ მრავალ საბუთიანობა გვყვლინება პიროვნების კულტის ისტორია და იმპერიოლის მომღერნნი, მეხოტ-ნი, თუროგორ წეიმობდნენ გაძვალცყავებულ ერის ზურგზე თავიანთ ყოველმხ-რივ განდიდებას.

უდავოა;ჩვენი სთუკუნის უდიდეს ისტორიულ სიმახინჯეთ ჩაითვლება, და-ვით(IV)აღმაშენებელის ძეგლი ოკუპირებულ თბილისში! თავის დროინდელ ოკუ-პირებულ დედაქალაქში ,მას ფეხი არ დაუდგამს, სრულ მის განთავისუფლება-მდდს; ეს ყოველივე, ადგილობრი-ვი ბოლშევიკთა ეშმაკური არისტოკრატიის პროვაკაცია და მახინავიებია,ნაკარნახები მოსკოვის მიერ,ქართველი ერის აბუჩადაგდების მიზნით; ეს არის ნამდვილი რუსული აპარტეიდი,როგორც ლენინური იმპერიალიზმის მთავარი იარაღი.

ცხადია!არავისათვის გასაოცარი არ იქნება,რუსეთის სატახტო ქალაქში ლენინის ძეგლი, ალექსანდრე ნეველის,იმპერატორ ნიკოლოზ პირველის და სხვათა რუსული იმპერიალიზმის ქომაგთა შორის; მაგრამ ვახტანგ გორგასალის და დავით (IV) აღმაშენებელის ძეგლების შუა,ლენინის ძეგლი!

ვახტანგ გორგასალის და დავით(IV) აღმაშენებელის ფენომენთა გადა-მლილობაში ყველაზე უძლიერესი თვისება იყო, ერის და სამშობლოს თავისუფ-ლება--დამოუკიდებლობის შეგრძნების სიდიადის რეალობა.

მიტინგის ოფიციალური ცერემონიალის თამადა ქნი პრ. მზექალა შანიძის ასული/დასაწყისშივე მოუწოდებს თანამემამულეთ: "ჩვენმა თაობამ,რომელმაც კარგათ იცის,თუ რას უნდაუმადლოდეს მას, თავისი სიტყვა უნდა თქვას."

დღევანდელი მებრძოლი თაობისათვის მართლაც მიუღებელი იქმნა მიტინგი და მისი ოფიციალური ზეიმი, ეროვნული ღირსების თვალსაზრისით;ეს არის გარდასულ დღეების, არა თუ მარტო ისტორიული განაჩენი,არამედ აგრეთვე ბუნებრივი სინამდვილის ჭეშმარიტება დღევანდელობისა.

საბჭოთა პრესა გვაუწყებს: "მაშინ, როდესაც სრულიად საქართველო ზე-იმით აღნიშნავს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ასპარეზე დავით აღმაშენებლის გამოსვლის წლისთავს, არაფორმალურ გაერთიანებათა წარმომადგენლებმა თბ-ილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოში კვლავ გამართეს უსანქციო მიტი-ნგი,რომლის სულისკვეთება ძნელია ჩაითვალოს საერთო-სახალხო განწყობილე-ბ-ლების გამოხატულებათ./გაზეთი "კომუნისტი",ნომერი-34 ",,-II-89-წ.

უნივერსიტეტის ეზოში ჩატარებული მიტინგი იყო: ნამდვილიეროვნული სიტყვა,გამმაგებულ ლენინელ-ოკუპანტების საყურადღებოთ და ქართველი მამული-შვილის სულიერი შეუდრეკელობის მიმართ;ერი იბრძვის მეობისათვის,თა-ვისუფლებისათვის, ამ ბრძოლას სრულებით ვერ გუობს, ნამდვილი რუსული - იმპერიალიზმ-შოვინიზმი განვრცობილი ლენინიზმის ნამდვილი სახეობით,შავ-რაზმელთა .იდეოლოგიურ ცნებითი აზროვნებაში.

უნივერსიტეტის ეზო-მიდამოში მიტინგის შემადგენლობას, დავით(IV) აღმაშენებელის უკვდავი სული ასულდგმულებდა,რომლებიც არიან სულიერ-გონე-ბრივათ განწყობილი ეროვნული პარტიზანები "მებრძოლი საქართველოსი";ქართ-ული სალამი კეთილდღეობით მათ, "მებრძოლი საქართველოს"შემადგენლობის მი-მავალ თაობიდან.

ვ. ჩოლაზურიძე ქ. პარიზი ,1989-წ.,მარტი

## რა მოგვიტანა 1988 წელმა?..

I.

რა მოგვიტანა 1988 წელმა? - ამ კითხვაზე "ოფიციალურ" პასუხს იძლევა 1989 წლის, იანვრის, "უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა", "სამშობლო", რომლის ენობაში - "სიტყვა და საქმე" -, სხვათა შორის, ვკითხულობთ:

II.

1988 წელს, ნათქვამია ამ ენობაში, მომავალი ისტორიკოსები მოიხსენიებენ, როგორც "ეროვნული გამოღვიძების, ეროვნული ენერგიის აღზევების, ეროვნუ-

ეი კონსოლიდაციის უპასუხოს"; და აი, აქ მოყავს კონკრეტული მაგალითები:

1."საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის დამატებებისა და ცვლილებების პროექტის განხილვისას - ნათქვამია ცნობაში - საერთო სულისკვეთებით შეკავშირდა მთავრობა და ხალხი, ერი და ბერი, მოხუცი და ახალგაზრდა";-მაგრამ არაფერი არ არის ნათქვამი იქვე თუ,სახელდობრ, რაში გამოიხატა ეს "საერთო სულისკვეთება".

2."ნიშანდობლივია, რომ 1988 წელს, პირველად 20-იანი წლების შემდეგ, ოფიციალურად აღინიშნა 26 მაისი - ქართული ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენის 70-ე წლისთავი ";-მაგრამ არაფერი არ არის ნათქვამი იმის შესახებ, რომ საქართველომ გამოაცხადა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და გახდა საერთაშორისო სამართლის სუბიექტი - 1918 წლის 26 მაისს.

3."...აღფრთოვანებით შეხვდა საზოგადოება ქართული ენის...როგორც...სახელმწიფო ენის უფლებას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე... და მის სავალდებულო სწავლებას არაქართულ სკოლებში";-მაგრამ არაფერი არ არის ნათქვამი იმის შესახებ, რომ საქართველოს სახელმწიფოს მთელი მართვა-გამგეობა უნდა წარმოებდეს ქართულ ენაზე; რომ ვინც ქართული ენა არ იცის, არ შეუძლია იყოს საქართველოს სახელმწიფოს მოხელე, როგორც ეს იყო საქართველოს დამოუკიდებლობის დროს - 1918-1921 წლებში.

4."არ შეიძლება, არ გვახარებდეს ქართული პრესის გამოცოცხლება 1988 წელს";-მაგრამ "საჯაროობამ - როგორც იქვეა ნათქვამი - ჟურნალისტებს მართალი სიტყვის თქმის საშუალება" მართლა მისცა?..

5."ნელ-ნელა ქრება ისტორიის თეთრი ლაქები, უსამართლოდ აყრილი პატივი დაუბრუნდა არაერთ ცნობილ მოღვაწეს(მარტო ის რად ღირს, რომ ქართველ მკითხველს დაუბრუნდა გრიგოლ რობაქიძის შემოქმედება...);-მაგრამ რატომ არ დაუბრუნდა "უსამართლოდ აყრილი პატივი", ვთქვათ, 26 მაისის შემქმნელ დიდ თაობას ნოე ჟორდანიას, თანამედროვე საქართველოს სახელმწიფოებრიობის დამოუკიდებლობისა და სუვერენობის შემქმნელს, სხვა გამოჩენილ პიროვნებებთან ერთად?..

6."1988 წელი იყო ძველი ქართული სოფლებისა და ახალი ქართული სოფლების შექმნის წელი...ჩამოყალიბდა საქართველოს დემოგრაფიული ფონდი..." აქ "მაგრამ" უადგილოა,ვინაიდან ამგვარი ნაბიჯები მისასალმებელია.

7."...გათვალისწინებულია გამოიცეს საქართველოს ისტორიის ახალი სახელმძღვანელოები...";-მაგრამ რა ეშველება "ქართულ ს ა ბ ჭ ო თ ა ენციკლოპედიას?"ეს ენციკლოპედია უკვე ისევ თავიდან არ უნდა იქნეს გამოცემული?..

8. "1988 წელი იყო ქართული ეკლესიის აღმავლობისა და აყვავების წელი... გაიხსნა 50 ეკლესია და სამი მონასტერი. აღიძრა საკითხი, რომ თბილისში აშენდეს ახალი საკათედრო ტაძარი. 800 წლის შემდეგ გაიხსნა გელათის აკადემიის მემკვიდრე - უმაღლესი ქართული ეკლესიის სასწავლებელი - თბილისის სასულიერო აკადემია...მალე გამოიცემა თანამედროვე ქართულ ენაზე თარგმნილი ბიბლია". აქაც "მაგრამ" უადგილოა, ვინაიდან ამგვარი ნაბიჯები მისასალმებელია.

9."1988 წელს გაფართოვდა საქართველოს კულტურული თუ ეკონომიკური კონტაქტები საზღვარგარეთის ქვეყნებთან, შეიქმნა ერთობლივი საწარმოები...ქართველოლოგთა დიდ საერთაშორისო ფორუმად იქცა თბილისის უნივერსიტეტის 70 წლის იუბილე.."

10. "საქართველოს ეროვნული პოტენცია 1988 წელს მის სპორტულ მიღწევებშიც გამოიკვეთა. თორმეტ ოლიმპიურ ჯილდოს, მათ შორის - ხუთ ოქროს მედალს ბევრი პატარა თუ დიდი ქვეყანა ინატრებდა";-მაგრამ საქართველო,როგორც ქვეყანა, როგორც სახელმწიფო რომ არსად არ ჩანს?..

11. "შარშან დაიწყო - ნათქვამია შემდეგ იქვე - სერიოზული მუშაობა საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობისათვის ნიადაგის მოსამზადებლად";-მაგრამ ვითომ ნააღრევია "ეკონომიკური დამოუკიდებლობისათვის ნიადაგის მომზადებასთან" ერთად პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი დამოუკიდებლობისათვისაც ნიადაგი მოვამზადოთ, ვინაიდან ეკონომიკური დამოუკიდებლობის წინაპირობა პოლიტიკური დამოუკიდებლობა არ არის?..

12. 1988 წელს "პატრიოტიზმი, ეროვნული შემართება თითქოს უცებ, ერთი ხელის დაკვრით გახდა სიტყვის, სადღეგრძელოს, სუფრის სფეროს და რეალურ საქმედ იქცა...თუმცა...ჯერ კიდევ ბევრია სტიქიურობა, ემოცია...სჭარბობს გონიერებას, ჯერ კიდევ არ არის ერთიანი სტრატეგია, ერთიანი პროგრამა..."- ... "საქართველოს დამოუკი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებლობის აქტი", "26 მაისის ქარტია" და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია?.. და ამ დიდ დოკუმენტებზე სჯა-ბაასი, ნუთუ შესაძლებელი არ არის გორბაჩოვისეული "გარდაქმნა-საჯაროობა-დემოკრატიზაციის" პროცესში?..

13."...გაზეთი მხოლოდ სიტყვა კი არა, საქმეცაა. მოდით, ერთად ვეცადოთ, რომ სიტყვა საქმედ იქცეს, საქმეს კი მართალი, ალალი სიტყვა შევაგებოთ".- მაგრამ,თუ "სამშობლოს" სურს "მართალი, ალალი სიტყვა" გვაცნობოს, მაშინ როგის აცნობებს საბჭოთა საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებები "მართალ","ალალ"სიტყვას ქართული პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ემიგრაციის შესახებ?..

14."...გავაფართოვოთ და განვამტკიცოთ კავშირები უცხოეთში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებთან" - წერს "სამშობლო" -,-მაგრამ საბჭოთა საქართველოს კავშირები რომ მხოლოდ "თავისიანებთან" კავშირებით განისაზღვრება, და პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ემიგრაციასთან კავშირებს არა მარტო "ჭირივით გაურბის", არამედ არც კი ახსენებს ხოლმე?!..

III.

მაგრამ ყველაზე უფრო გასაკვირია გაზეთ "სამშობლოს" ამ ცნობაში ის, რომ "სიტყვა და საქმე", როგორც ჩანს, სრულიად უგულებელყოფს საქართველოს სახის, ჩვენი ერის ყ ო ვ ე ლ დ ღ ი უ რ ი ცხოვრების "მყვირალა","ჯიუტ" ფაქტებს, რომლის დროს თითქოს ბოლშევიკური იდეოლოგიის "ახალი" ლოზუნგია - "არა პურითა ერთითა ცხოვრობს ადამიანი!", ვინაიდან "სიტყვა და საქმეში" "პურზე" საერთოდ არ არის ლაპარაკი, თითქოს "ნივთიერი კეთილდღეობა როგორც დედა-ბოძი ადამიანის ცხოვრებისა", საერთოდ არც კი არსებობდეს!..

IV.

თუ მომავალი ისტორიკოსები მოიხსენიებენ 1988 წელს, როგორც "ეროვნული გამოღვიძების" დასაწყისად, მაშინ ისიც ხომ უნდა აღვნიშნოთ, თუ რა გაუმჯობესებას ჰქონდა ადგილი გასულ წელს ადამიანის ცხოვრების პირობების გაუმჯობესების სფეროში?.. მაგალითად, რამდენად გაიზარდა მშრომელის თვიური ხელფასი 1988 წელს?.. რამდენად სტაბილური იყო ფასები,ვთქვათ, პირველი მოხმარების საგნებზე?.. როგორი იყო მოსახლეობის მომარაგება სურსათ-სანოვაგით თუ სხვა პირველი მოხმარების საგნებით?.. აღკვეთილ იქნა სტალონო სისტემა პირველი მოხმარების საგნებზე თუ არა?.. ერთი სიტყვით, რამდენად გაუმჯობესდა საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების დონე 1988 წელში?..

V.

მიხეილ გორბაჩოვი, როგორც ცნობილია, თავის ე.წ.-ლი"გარდაქმნა-საჯაროობა-დემოკრატიზაციის" პროცესში ისე შორს არ მიდის, რომ გაუქმებულ იქნეს საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების სტალინური სისტემა; მაგრამ, მაგალითად, რამდენად მოიკიდა ფეხი საქართველოში, გასულ 1988 წელში, ეგრედწოდებულმა "საიჯარო სისტემამ", რომლის თანახმად, რუსეთში, სულ ცოტა,ორ მიწის მუშას, რომლებიც ერთი ოჯახის წევრებიც შეიძლება იყვნენ,-შეუძლიათ დაამუშაონ, საკუთარი ანგარიშით, სახელმწიფო მიწა, და შემოსავლის მოგება თვითმოიხმარონ, იჯარის, ჰექტარზე დაახლოებით 300 მანეთის გადახდისა და სავალდებულო დამზადების ჩაბარების შემდეგ.

VI.

და ამგვარმა "საიჯარო სისტემამ",1988 წელში, გააუმჯობესა სურსათ-სანოვაგით მომარაგება ჩვენი მოსახლეობისა?.. და თუ გააუმჯობესა, როგორი იყო მშრომელის ხელფასისა და ფასების თანაფარდობა?.. შეუძლია,მაგალითად, მუშა-მოსამსახურეს, რომლის თვიური ხელფასი დაახლოებით 200 მანეთია, გადაიხადოს ბინის ფული, ელექტრონის თუ სხვა ხარჯები, იყიდოს, ასე თუ ისე, საკმარისი სასმელ-საჭმელი, ტანსაცმელი თუ სხვა პირველი მოთხოვნილების საქონელი?.. და თუ არ შეუძლია,-ვინაიდან,-როგორც დასავლეთელი კორესპონდენტები იტყობინებიან საბჭოთა კავშირიდან, - სახელმწიფო მაღაზიები თითქმის ცარიელია, ხოლო "შავ ბაზარზე",ვთქვათ, ერთი ქათამი ათ მანეთზე მეტიც კი ღირს, - მაშინ როგორც დგას "ოფიციალური" სახალხო მეურნეობის გვერდით, "არაოფიციალური",ე.ი."მეორე სახალხო მეურნეობის" საქმე, რომლის მეშვეობით საქართველოს მშრომელები, არსებული კანონების დარღვევის გზით, "დამატებით ხელფასს" ღებულობენ, რომ როგორმე გამოკვებონ ოჯახი და თავისთავი?..

VII.

ყველა აღნიშნულ და სხვა მრავალ ანალოგიურ კითხვებზე პასუხს საბჭოთა საქართველოს პრესაში აქა-იქ თუ შევხვდებით; მაგრამ აღნიშნულ საკითხებზე ყოველმხრივი ბჭობა, როგორც ჩანს ისე შორს ვერ მიდის, რომ თვით ბოლშევიკური სახალხო მეურნეობის სისტემა, სახალხო მეურნეობის სრული გასახელმწიფოება, და ამით კერძო საკუთრებით უგულებელყოფა, - დაყენებულ იქნას კითხვის ქვეშ.

VIII.

და თუ 1988 წელს "პატრიოტიზმი, ეროვნული შემართება თითქოს უცებ, ერთი ხელის დაკვრით გასცდა სიტყვის, სადღეგრძელოს, სუფრის სფეროს და რეალურ საქმედ იქცა"; და "კიდევ ბევრია სტიქიურობა, ემოცია სჭარბობს გონიერებას", როგორც ამას გაზეთი "სამშობლო" წერს, - მაშინ 1989 წლის 9 აპრილის მშვიდობიან დემონსტრანტთა მესანგრეთა ბასრი ბარებით ხოცვა-ჟლეტა, დემონსტრანტთა "ემოციათ" კი არა, გორბაჩოვის "დაგეგმილ მკვლელობათ" (ზურაბ ჩხეიძე) არ უნდა იქნას აღიარებული?.. და ეს მოგვიტანა უკვე 1989 წელმა?..

კარლო ინასარიძე
პარიზი, 1989 წლის აპრილი

## ყ ა რ ა ბ ა ღ ი ს   მ ა გ ა ლ ი თ ი

I.

მთიანი ყარაბაღის მაგალითი კიდევ ერთი თვალსაჩინო მაგალითია იმისა, თუ ჩვენ, ე.ი. კავკასიის ერები და ეროვნებები როგორი მონური, დიახ, მონური - შეგნებული თუ შეუგნებელი - თვითრწმენით ვართ დაავადმყოფებული; რომლის დროს კავკასიის სამი მთავარი ერი - აზერბაიჯანელები, სომხები და ქართველები - ეზოპის ცნობილი იგავ-არაკის - "წერო, კიბო და წვერას" მდგომარეობას მაგონებს: აზერბაიჯანელები ცდილობენ კავკასიის ბედი თურქეთს დაუკავშირონ; სომხები მხსნელს რუსეთში ხედავს; ქართველები კი თავის-უფლების მოპოვების საშუალებებს თვით ქართველ ერში და ამით კავკასიის ერებსა და ეროვნებებში ვეძებთ, მაგრამ, როგორც ამას მთიანი ყარაბაღის მაგალითიც ადასტურებს, ჯერჯერობით, ამაოდ.

II.

რა მოხდა, რაშია საქმე, ამჯერად?.. - საქმე იმაშია, რომ ამჯერადაც, როგორც 1918 წლის 26 აპრილს, როცა ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა გამოცხადდა, რომელმაც მხოლოდ იმავე წლის 26 მაისამდე იარსება, - სომხები მოსკოვისაკენ, ხოლო აზერბაიჯანელები ანკარისაკენ მიიწევდნენ, რის შედეგად ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის ნანგრევებზე აღმოცენდა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფოები. მაგრამ საბჭოთა რუსეთმა და თურქეთმა მოხდენილად გამოიყენეს სომხეთ-აზერბაიჯანის უთანხმოება, რის შედეგად საბჭოთა რუსეთმა ჯერ აზერბაიჯანს დაეპატრონა, შემდეგ - სომხეთს, და-ბოლოს, ომის გამოუცხადებლად, თავს დაესხა დამოუკიდებელ საქართველოს და დაიპყრო იგი. თურქეთმა კი "საჩუქრად" არა მარტო საქართველოს ტერიტორიის თითქმის ერთი-მეოთხედი მიიღო, არამედ ამასთანავე სამი მილიონი ოქროს მანეთი, რითაც საბჭოთა რუსეთმა "იყიდა" მისი ბატონობა კავკასიაზე.

III.

ამგვარად, - განმტკიცდა რა რუსეთის ბატონობა კავკასიაზე და თურქეთის ბატონობა კავკასიის უფრო მცირე ნაწილზე, - საბჭოთა რუსეთი და თურქეთი გახდნენ ჩვენი ბატონ-პატრონნი, რომლის დროს ყოველთვის მოხერხებულად იყენებდნენ და იყენებენ კავკასიის ერებისა და ეროვნებების უთანხმოებას თავიანთი იმპერიული პოლიტიკისათვის, როგორც ეს, ამჯერად, გამომჟღავნდა მთიანი ყარაბაღის შემთხვევაში.

IV.

კავკასიის ერები და ეროვნებები, სულ ცოტა, მათი დიდი ნაწილი, ისე "მიეჩვიენ" რუსების თუ თურქების ბატონობას ჩვენზე, რომ, ყოველი სადავო საკითხის მოგვარებისას, მოსკოვს ან ანკარას "მიჩერებული" ვართ, და ველოდებით "ხსნას" მათგან. ამის შედეგია ის, რომ სომხეთმა, მაგალითად, - ესტონეთ-ლიტვა-ლატვიის მსგავსად, - სომხეთის სახელმწიფოებრივი, ეროვნული თავისუფლება, სუვერენობა კი არ დააყენა წინაპლანზე, არამედ მთიანი ყარაბა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის სომხეთის ტერიტორიასთან შეერთება, თითქოს თვით სომხეთი და მთიანი ყარაბაღიც მოსკოვის მბრძანებლობის ქვეშ არ იყოს. ვერც აზერბაიჯანმა დააყენა საკითხი ესტონეთ-ლიტვა-ლატვიის მსგავსად: სომხების მიერ გაჩაღებულ ცეცხლს, ჩაქრობის მაგივრად, ნავთი დაასხა, როცა ყალბად დაყენებული საკითხის მოგვარების გზად ეროვნული მტრობა აირჩია. და ჩვენ ქართველები? - ჩვენ ჩვენი "უმოქმედობით" დანაშაული ჩავიდინეთ, ხუთ ცოდვა, იმით, რომ მოსკოვი "ოპეკუნის" როლში გამოვიდა, და - არაპირდაპირ - მთელ მსოფლიოს უთხრა, რომ მოსკოვის ბატონობა კავკასიაზე აუცილებელია, თორემ ეს "მხეცები" დაკლავენ ერთმანეთსო; რასაც, როგორც ჩანს, საერთაშორისო საზოგადოებრიობის უმრავლესობა იზიარებს, როგორც ეს დემოკრატიული ქვეყნების მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გამომჟღავნდა.

V.

რუსეთისა და თურქეთის იმპერიული პოლიტიკის შედეგად, კავკასიის სახეების ერთმანეთში აღრევა, გარუსების თუ გათურქების მიზნით მთელი მე-19 საუკუნისა და მე-20 საუკუნის განმავლობაში, - ამჯერად, რუსეთის ხელში გამოდგა დიდი კოზირი სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის წამოჭრილ კონფლიქტში, - მთიანი ყარაბაღის შესახებ, - ითამაშოს ბატონ-პატრონის როლი, რისთვისაც საბჭოთა კავშირის კონსტიტუციაც კი შეცვალა, რომ დაეკანონებინა ე.წ.-ლი "ადმინისტრაციის განსაკუთრებული ფორმა" ყარაბაღისათვის.

VI.

საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე, როგორც ცნობილია, 1988 წლის 1 დეკემბერს მიღებულ იქნა შესწორების შეტანა საბჭოთა კავშირის კონსტიტუციაში, რომლის 121 მუხლის მე-17 აბზაცის თანახმად, მოსკოვს, "ომის საშიშროების" თუ "არეულობების" შემთხვევაში შეუძლია "მმართველობის განსაკუთრებული ფორმის" შექმნა, რომელიც უშუალოდ ემორჩილება მოსკოვს. და "მმართველობის ამგვარ განსაკუთრებულ ერთეულად გამოაცხადა მთიანი-ყარაბაღი, თუმცა იგი ტერიტორიალურად მაინც აზერბაიჯანის რესპუბლიკის ნაწილი რჩება.

VII.

"ამგვარი გადაწყვეტილება - თქვა საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნიკოლაი რიჟკოვმა - არავისთვის არ არის მარცხი და არავისთვის არ არის გამარჯვება"; და განაცხადა რა რომ არკადი ვოლსკი პირდაპირ მოსკოვიდან მოვლენილია მთიანი ყარაბაღის, ასე ვთქვათ, "გუბერნატორად", ამით - არაპირდაპირ - სილა გაარტყა კავკასიის ყველა ერსა და ეროვნებას, ვინაიდან ამ ფაქტით გვითხრა, რომ თქვენ, თქვენი თავის მოვლა-პატრონობა არ შეგიძლიათ, "ოპეკუნი" გესაჭიროებათ და მადლობელი იყავით, რომ ამგვარი "უანგარო" ბატონ-პატრონი ვართ ჩვენ, რუსები; თორემ თქვენ "შეჭამთ ერთმანეთსო!" ამგვარი არაპირდაპირი "სილას გარტყმა" კი, როგორც ჩანს, ჩვენ კავკასიელებს არც კი გვესმის; პირიქით, ჩვენ დიდი მადლობის გრძნობითაც უნდა ვიყოთ განწყობილი იმისათვის, რომ ნიკოლაი რიჟკოვი, 1989 წლის 18 იანვარს, ისევ ჩავიდა ერევანში, და "უსედმძღვანელა" არა მარტო მთიანი ყარაბაღის "ადმინისტრაციის განსაკუთრებული ფორმის" შექმნას, არამედ, ამასთანავე, სომხეთში ბუნებრივი ტრაგედიის - მიწის ძვრის - შედეგების მოგვარებასაც. გამოდის, რომ, თითქოს, სომეხ ერში, ამ ერთერთ უძველეს კულტურულ ერში, არ მოიპოვებოდეს ადამიანი, რომელიც ნიკოლაი რიჟკოვზე უკეთესად გაუძღვებოდა მიწის ძვრით გამოწვეული დანგრეული ქალაქსოფლების აშენებლობის საქმესაც.

VIII.

რას გვეუბნება ყველა ეს ახალი ფაქტი? - ეს გვეუბნება იმას, რომ - როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ - ჩვენ, კავკასიის ერები და ეროვნებები ვერ ვართ განთავისუფლებული "მონური თვითრწმენისაგან", ვინაიდან, ყოველი ჯურის გასაჭირშიც, შველას და ხელმძღვანელობას მხოლოდ "სხვისგან", "უცხოდან" მოველით და ამით ხელს ვუწყობთ ყოველი ჯურის დიდმპყრობელ-შოვინისტებს ჩვენზე გაახანგრძლივონ მათი ბატონობა.

IX.

გასაკვირია, გასაკვირი!.. იმ დროს, როცა აფრიკაშიც კი რომელიმე ერი კი არა ერთი ტომიც კი არ მოიპოვება, რომელიც დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო და ამით საერთაშორისო სამართლის სუბიექტი არ იყოს, - სომხეთი თუ აზერბაიჯანი მოსკოვის მათზე ბატონობის "ადმინისტრაციული ფორმის" შეცვლით კმაყოფილდებიან, ხოლო საქართველო გვერდზე დგას, თითქოს,

ყველაფერი ეს მას არც კი ესმოდეს; თუმცა ჩვენი ახალგაზრდობა, როცა 23 ნოემბერს, 1988 წელს, მასობრივ დემონსტრაციაზე გაიძახოდა "გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!", ამით ესტონეთ-ლიტვა-ლატვიას გვერდში ამოუდგა, რაც,უთუოთ, იმედის მომცემია, რომ კავკასიის ერებმა და ეროვნებებმა ტერიტორიების "წაგლეჯა-წამოგლეჯაზე"კი არ უნდა იფიქრონ, არამედ ეროვნული დამოუკიდებლობისა და სუვერენობის ისევ-აღდგენაზე, რის შემდეგ,უდავოა, ტერიტორიული საკითხიც მოგვარებულ იქნება მოლაპარაკებებით; და ამის უახლეს მაგალითად, ვითომ არ გამოდგება მთიანი ყარაბაღის ამჯერათად გაურკვეველი ბედი?..

X.

და 1989 წლის 9 აპრილს თბილისის ქუჩებში მშვიდობიან დემონსტრანტთა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის დაღვრილი სისხლი, ვითომ ჩააფიქრებს სომხებსა და აზერბაიჯანელებს ტერიტორიული "წაგლეჯა-წამოგლეჯის" თუ ეროვნული შუღლის გაღვივების სამაგიეროთ, კავკასიის ერებისა და ეროვნებების მეგობრობის განმტკიცებისათვის იზრუნონ და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და სუვერენობის აღდგენისათვის იბრძოლონ?!..

კარლო ინასარიძე
მიუნხენი, 1989 წლის აპრილი

## "ე მ ო ც ი უ რ ი  შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი"

რუსი(აფხაზი?) მწერლის ფაზილ ისკანდერის ერთი ინტერვიუს გამო(28.12.1988)

> აფხაზი ხალხი რუსი ხალხისაგან "...მოელის რჩევას და დახმარებას როგორც გამოხატვას სიმართლისა, სიბრძნისა და მოყვისა ... და მათ ვერ პოულობს...როცა აფხაზები აყენებენ კითხვას - რა ხდება რუსეთში - სინამდვილეში გულისხმობენ მთავრობას...მე მოველი შენგან გონიერ ხელმძღვანელობას და პასუხს ჩემს კითხვებზე; და ვერ ვპოულობ მათ".
>
> "აფხაზი"=რუსი მწერალი ფაზილ ისკანდერი

> "მონობა სიმდაბლეა, მაგრამ მონური გაგება თავისუფლებისა საზიზღარია".
>
> "Sklaverei ist niedrig, aber eine sklavische gesinnung in der Freiheit ist verächtlich".
>
> Friedrich von Schiller

I.

"მობოდიშებით" ვიწყებ ამ"შენიშვნას" რუსი მწერლის ფაზილ ისკანდერის ერთი ინტერვიუს გამო("ზიუდდოიჩე-ცაიტუნგ",28.12.1988), ვინაიდან,როგორც არაერთხელ ავღნიშნე, დ ღ ე ვ ა ნ დ ე ლ მდგომარეობას საქართველოში მხოლოდ გაზეთი "კომუნისტის" თუ თითო-ოროლა ქართული "თვითგამოცემის" "ნაგლეჯებით" ვიცნობთ, რაც, გასაგებია, "წვეთია ზღვაში" საქართველოში(და ამით აფხაზეთშიც) არსებული მდგომარეობის შესახებ. რაც შეეხება უცხოეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, ესენი, არსებითად, რუსეთზე ლაპარაკობენ; ხოლო თუ საბჭოთა კავშირში ძალით მოქცეული ერებისა და ეროვნებების დღევანდელ ბედ-იღბალს შეეხებიან, მაშინ, არსებითად, ორ ფერს:"შავს",ე.ი."ბოროტს" და "თეთრ",ე.ი."უმანკო ბატკნებს" ხედავენ, თითქოს "ცისარტყველა", პოლიტიკურ ცხოვრებაშიც, საერთოდ, არ არსებობდეს. ამის საილუსტრაციოთ, თუ გნებავთ, გამოდგება სომხებისა და აზერბაიჯანელების სისხლიანი შეჯახება მთიანი ყარაბაღის შესახებ: იმის მაგივრად, რომ ეს ტრაგიკული ფაქტი განხილულ იქნას ყოველ-მხრივ,(არა მარტო სომხები და აზერბაიჯანელები) კმაყოფილდებიან მხოლოდ "შავი" და "თეთრი" ფერებით,რის შედეგად ეს კონფლიქტი დაყვანილია - ერთის მხრივ - ქრისტიანიზმის და - მეორეს მხრივ - მაჰმადიანიზმის თითქოსდა "მარადიულ შუღლამდე".

II.

ამგვარი აზრები იმიტომ დაბადა ჩემში მწერალ ფაზილ ისკანდერის აღნიშნულ ინტერვიუმ, რომ იგი, როგორც რუსი მწერალი, წარმოშობით აფხაზი, სრულიად უგულებელჰყოფს არა მარტო აფხაზთა ეროვნულობას. მაგრამ ჯერ გავეცნოთ ამ ინტერვიუს სრულ ტექსტს:

III.

სამწუხაროთ, მწერალ ისკანდერის ვინაობას მხოლოდ აღნიშნული გაზეთის ჟურნალისტის [illegible] "შეხვედრით" [illegible] გავეცანი. იგი წერს:

სათაური:"იუმორი არის თავისუფლების ერთი გამოხატვის სახე". ქვესათაური:"საუბარი მწერალ ფაზილ ისკანდერთან". "შესავალი":"შავი ზღვიდან დაწყებული კავკასიის მთების მაღლობებამდე, საქართველოს ფარგლებში, განლაგებულია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა: სამშობლო 1929 წელს დაბადებულ მწერლის ფაზილ ისკანდერისა. ის წერს რუსულად, მაგრამ მისი რომანი 'ბიძია სანდრო ჩეგემიდან', რომელიც 1977 წელს გამოცემულ იქნა გერმანულად, და ამ უსასრულო სიუჟეტის გაგრძელება 'ბელსაზარის ნადიმები', რომელიც 1987 წელს გამოცემულ იქნა გერმანულად, - გამსჭვალულია აფხაზეთის ლანდშაფტითა და ადამიანებით. მწერალ ისკანდერს, რომელმაც იმოგზაურა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში და წაიკითხა თავის ნაწარმოებებიდან,- ესაუბრა ჰელენ ფონ სახსე:"

IV.

შეკითხვა: "მთებში განლაგებული სოფელ ჩეგემის ისტორია არის თავისებური აფხაზური ნაციონალური ეპოსი. მაგრამ ის არის დაწერილი რუსულ ენაზე. რატომ?"

პასუხი:"მე ვსწავლობდი რუსულ სკოლაში და რუსულად დავიწყე წერა, როცა მე სკოლაში დავდიოდი; ასე რომ რუსული ენა გახდა ჩემთვის ლიტერატურული ენა, მიუხედავად იმისა, რომ ბავშვობიდან აფხაზურად და რუსულად ვლაპარაკობდი".

V.

შეკითხვა:"ეს ნიშნავს იმას, რომ აფხაზი ხალხი აფხაზურად, ხოლო აფხაზეთის ინტელიგენცია რუსულად ლაპარაკობს?"
პასუხი:"ხალხი, რა თქმა უნდა, ლაპარაკობს აფხაზურად, მაგრამ ინტელიგენციაც, სულ ცოტა, ჯერჯერობით მაინც, საერთოდ აფხაზურად, თუმცა მე ორ-ენოვნად გავიზარდე. ყოველი პატარა ხალხი, რომელიც ძლიერი ენის გავლენის ქვეშაა, საშიშროებაშია დაკარგოს მშობლიური ენა, და ინტელიგენციას ესმის ეს საშიშროებაც. აფხაზეთის ქალაქების ახალგაზრდობა, როგორც სხვა რესპუბლიკებშიც საბჭოთა კავშირისა, - ამჯობინებს, სულ უფროდაუფრო ხშირად, მხოლოდ რუსულად ილაპარაკოს. ეს არის უფრო ხელსაყრელი, იმაზე საერთოდ რომ ვილაპარაკოთ, რომ ბევრი მათგანი უკვე მშობლიურ ენას ვერ ფლობს. ამიტომ ინტელიგენციის მხრიდან მართლაც სუბიექტური რწმენის გამოვლინებაა საჭირო, რომ ამგვარი პროცესის წინააღმდეგ იმოქმედოს, რომლის დროს - ალელვებისა და ნაციონალური კარჩაკეტილობის მოთხოვნის გარეშე - საკუთარ ენაზე ნაწარმოებები შექმნას, რომლებსაც რუსულ ლიტერატურასთან შედარება შეუძლია. სხვა გზა, არსებითად, არ არსებობს, თუ სურს კაცს საკუთარი ლიტერატურა შექმნას და აფხაზი მკითხველი არ დაკარგოს".

VI.

შეკითხვა:"ყირგიზელი ფუნდამენტალისტი აიტმატოვი წერს აგრეთვე რუსულად. თუმცა ფუნდამენტალისტად მას ვერ მოვნათლავთ იმიტომ, რომ , ის შესაფერი მორიდებით არ ეპყრობა მისი ხალხის ნაციონალურ ხასიათს. მისი ელემენტია კომიკურობა. რა როლს თამაშობს კომიკურობა თქვენს ნაწარმოებებში?"

პასუხი:"მე ვიტყოდი, კომიკურობაა სურვილი, სიყვარული და ნიჭი თავისუფლებისაკენ. კომიკურის ელემენტში გამოიხატება ადამიანის თავისუფლება ალბათ უფრო ნამდვილად. თავისუფლების მოთხოვნილება ჩვენი მთიელი ხალხისათვის თანდაყოლილია, იმ დროს, როცა კომიზმი ჩემთვის, ამავე დროს, თავისუფლების ესთეტიკური გამოხატვაა".

VII.

შეკითხვა:"კომიკურობის ელემენტი ქება რუს ხალხსაც, რომელსაც თქვენ ისევდაისევ შეკითხვით მიმართავთ: რა ხდება რუს ხალხში? იგივე შეკითხვით არასოდეს არ მიმართავთ აფხაზ ხალხს."
პასუხი:"წარმოიდგინეთ თვალწინ ეს პატარა პატრიარქალური ხალხი, რომლისათვის რუსი ხალხი როგორც ოკეანეა. აფხაზები მოდიან მისკან რჩევა-დარიგებას და დახმარებას როგორც გამოხატვას სიმართლისა, სიბრძნისა და მოვლაპატრონობისა და ვერ პოულობს მას. შეიძლება ეს გულუბრყვილოა, და როცა აფხაზები აყენებენ კითხვას - რას აკეთებენ რუსები, სინამდვილეში მთავრობას გულისხმობენ, რომელსაც ურევენ რუს ხალხში. ჩემთვის ეს შეიძლება არის ლიტერატურული მხატვრული ხერხი, და მის უკან იმალება იგივე გაკვირვება და უსიამოვნობა, რომელიც ამ მოთხოვ-

ნაში პოულობს გამოხატვას: მე მოველი მენგან(ე.ი.რუსეთიდან, კ.ი.) გონიერ წინამძღოლობას და პასუხს ჩემს შეკითხვებზე, და მე ვერ ვპოულობთ მათ."

VIII.

შეკითხვა:"გაფასებენ თქვენ თქვენს სამშობლოში როგორც სახალხო პოეტს?"

პასუხი:"მე არ ვაყენებ მოთხოვნას, რომ ვიყო ღირსი სახალხო წოდებისა - სახალხო მწერალი. მე მყავს მკითხველები, რომლებსაც მე ვუყვარვარ. როცა ჩემს ნაწერებს წლების განმავლობაში არ აქვეყნებდნენ, ვპოულობდით ჩვენ გზებს ხელნაწერების გადაწერისა. და მე მართლაც მივიღე წერილები ადამიანებისაგან, რომლებიც - როცა მათ 'სანდრო' წაიკითხეს - მომწერეს:'მე ვიყავი იმედგაცრუებული, მაგრამ როცა თქვენი ნაწარმოები წავიკითხე, შემიმსუბუქდა გული. მადლობა.' ჩემის აზრით, ეს კი არ ეხება ლიტერატურულ ხარისხს იმისა, რაც მე დავწერე, არამედ განსაზღვრულ მინაგან მიდგომას, სურვილსა და უნარიანობას ცხოვრებაში ისე როგორც ადამიანებში, კეთილ შეხედო..."

IX.

შეკითხვა:"თქვენს 'სანდროში' ბევრია მითები და ზღაპრები ჩაქსოვილი. სწავლობდით თქვენ მითოლოგიას თუ დაკმაყოფილდით ზეპირი გადმოცემებით, შენარჩუნებული ამბებისა?"

პასუხი:"აფხაზ ხალხში მეტად განვითარებულია საუბრის, მოთხრობის, პირველ ყოვლისა, სუფრაზე საუბრის ხელოვნება. ვინაიდან დაწერილი გადმოცემა არ არსებობდა, ზეპირსიტყვაობისაგან წარმოიშვა მხატვრული ნაწარმოები, რომელშიც საუბს თავისი წვლილი შეჰქონდა. უბრალო გლეხს, ადამიანს, რომელმაც წერა და კითხვა არ იცოდა, შეეძლო მაინც - და ენერგიის დაძაბვის გარეშე - სიტყვა წარმოეთქვა ასი, სუთასი, კიდევ მეტი, ათასი ადამიანის წინაშე, - ზეპირად, წინასწარი მომზადების გარეშე. ყველაფერი ხდება სპონტანურად, ნადიმის ტრადიციისაგან. ნადიმის ცერემონია ამავე დროს არის კლუბი, ბიბლიოთეკა, ისტორიის ცოცხალი გაკვეთილი, აზრთა გაცვლა-გამოცვლა მომავალზე, და ეს რიტორიკული ხელოვნება აზრის გამოთქმისა ისწავლება მაგიდასთან. რაც საუკუნეების განმავლობაში დაწერილი არ იქნა, ზეპირსიტყვაობითაა შენარჩუნებული და ასე გადაეცემა თაობებს, თითქოს ჩვენმა ხალხმა ინტუიციურად უნარიანობა განავითარა, -მოიგონოს, გვიამბოს, გაგვაცნოს".

X.

შეკითხვა:"კოლექტივიზაცია სანდროს ცხოვრებაში თითქმის არავითარ, სულ ცოტა, ტრაგიკულ როლს არ თამაშობს. როგორ უნდა გავიგოთ ეს?"

პასუხი:"მდგომარეობა, როგორიც უკრაინაში თუ რუსეთში იყო, ჩვენში არ ყოფილა. ეს, სხვათა შორის, გამომდინარეობდა თვით ნესტორ ლაკობას პიროვნებიდან, რომელიც იყო პირველი კაცი აფხაზეთში, რომელიც, ამასთანავე, დიდი ორატორი იყო. მან შესძლო, მოქნილი სიტყვებით, ხალხისათვის აეხსნა, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო იგი:'ჩვენ - ამბობდა იგი დაახლოებით - ვართ პატარა ხალხი. თუ ჩვენ თავს დავიცავთ, გაგვანადგურებენ. თუ ჩვენ გვსურს ფიზიკურად გადავრჩეთ, უნდა მივიღოთ კოლმეურნეობის სისტემა. შემდეგ ვნახავთ..."

"მე მსურს მოგიყვეთ ერთი მოკლე ამბავი: ამ რამდენიმე ხნის წინ, როცა მე აფხაზეთში ვიყავი, შევხვდი ერთ მოხუც გლეხს. ის, 30-იანი წლების დასაწყისში ყოფილა ლხინში, რომელზედაც იყო სტალინი. სტალინს უყვარდა ასეთი შეხვედრები ხალხთან. კოლექტივიზაცია აფხაზეთში მაშინ ახალდაწყებული იყო, და სტალინს სურდა, თარჯიმან ლაკობას მეშვეობით, გაეგო ამ გლეხისაგან თუ როგორ უყურებს იგი კოლმეურნეობას. 'მოსინჯე ეს ერთი, ორი კოლმეურნეობით' - უპასუხია გლეხს -, 'და თუ საქმე კარგად წავა, მაშინ ყველა შევალთ კოლმეურნეობაში'. მაგრამ სტალინს გაუჩერებია იგი უხეშათ:'დრო არ გვაქვს! დრო არ გვაქვს!'

მაგრამ სტალინს მაინც მოწონებია ნადიმი, ვინაიდან უთქვამს ლაკობასათვის:'შეეკითხე, რას მოისურვებს'. გლეხს უპასუხია:'ლურსმნები გვჭირია ჩვენ. ლაკობას კი შეუსწორებია:'თხოვე მას ერთი სკოლის გახსნა'. 'ლურსმნები გვჭირია ჩვენ და ერთი სკოლა'. სტალინს დაუკრავს თავი თანხმობის ნიშნად.'ჩვენ მივიღეთ ლურსმნები, სკოლა გახსნეს და კოლმეურნეობაც ჩამოაყალიბეს'. აქ შემომხედა გლეხმა მელიასავით:

"შეიძლება უკეთესი იქნებოდა არ მეთხოვა დურსმნები, მაგრამ რა უნდა მექნა, როცა ასეთი ადამიანი დაჟინებით მითხოვს, რაღაც მას თხოვთ?"

XI.

აი, სრული ტექსტი რუს მწერალ ფაზილ ისკანდერისა, რომელიც მან მისცა დასავლეთ-გერმანულ დიდ გაზეთს "ზიუდდოიჩე-ცაიტუნგს" 1988 წლის დეკემბრის ბოლოს, მისი მოგზაურობის დროს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, რომლის დროს იგი თავის ნაწარმოებებიდან კითხულობდა ნაწყვეტებს.

XII.

და წავიკითხე რა ეს ინტერვიუ, გავიფიქრე: თუ ფაზილ ისკანდერი "ტიპიური" წარმომადგენელია აფხაზი(და მე ვუმატებ) ქართული ინტელიგენციისა საერთოდ(რაც,ამავე დროს, შეუძლებლად მიმაჩნია), მაშინ უშედეგოთ არ დაუღვრიათ სისხლი რუს დიდმპყრობელ-შოვინისტებს კავკასიაში, ამ, თითქმის, ორასი წლის განმავლობაში. მაგრამ რა პასუხს აძლევს ფაზილ ისკანდერი ათასობით, ათიათასობით, ასიათასობით აფხაზ თუ ქართველ პატრიოტებს, რომლებმაც სწორედ იმ დიდმპყრობელ-შოვინისტების წინააღმდეგ ბრძოლაში დაიღუპნენ?!.. როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში მე კი არ მაინტერესებს ისკანდერის ლიტერატურული შემოქმედება, რომელსაც მე არ ვიცნობ, არამედ მისი ეროვნული მეობა, ე.ი. მისი პოლიტიკური მრწამსი, რომელიც იმდენ კითხვებს ბადებს, რომ კაცმა არც კი იცის, რომელს უნდა გაეცეს პირველად პასუხი!..

XIII.

თვით ფაზილ ისკანდერი ამბობს, რომ - ერთი მხრივ - იგი აფხაზია, ხოლო მისი მხატვრული გამოხატვის ენა რუსულია; ესე-იგი, მისი ნაწარმოებები განკუთვნილია რუსი და რუსულის მცოდნე მკითხველებისადმი, რომელთა შორის აფხაზები, აფხაზი ხალხი, რომელმაც - ისკანდერის სიტყვით - რუსული არ იცოდნია, შეუძლებელია იყვნენ. მაშინ - მეორე მხრივ - იგი უარყოფს თავის "ჯიშს", აფხაზობას და ამით კავკასიელობას?..

XIV.

მწერალ ფაზილ ისკანდერის პიროვნებისა და მწერლობის ამგვარი შეფასება არ იქნებოდა სამართლიანი, ვინაიდან ლიტერატურის ისტორია მრავალ ანალოგიურ მაგალითს გვაძლევს: მაგალითად, ჩვენი მწერალი და მოაზროვნე - გრიგოლ რობაქიძე - ორ ენაზე სწერდა მის ნაწარმოებებს, თუმცა უმთავრესად ქართულ ენაზე. მაგრამ მისი გერმანულ ენაზე დაწერილი რომანებიც, როგორც კრიტიკოსები ამბობდნენ, "ახალი სიტყვაა" გერმანულ ლიტერატურაში. ან კიდევ: ჩვენი თანამემამულე ბულატ ოკუჯავა რუსი მწერალია. მაგრამ ფაზილ ისკანდერს - ერთის მხრივ - და გრიგოლ რობაქიძე თუ ბულატ ოკუჯავას შორის - მეორეს მხრივ - მაინც არსებითი განსხვავებაა: გრიგოლ რობაქიძე არა მარტო ქართველი მწერალი და მოაზროვნეა მთელი თავისი არსებით, არამედ "თავის-უფლების" - ეროვნულისა და პიროვნების - დიდი, დიდი მომღერალიცაა; ბულატ ოკუჯავაც, - გასაღა რა იგი მისმა ბედ-იღბალმა რუს მწერლად, - თავის-უფლების დიდი მომღერალია, რომლის დროს მისთვის, მჯერა, ქართველი ერის თავის-უფლება ისევე ძვირფასია, როგორც სხვა ერებისა, თვით რუსი ერის ჩათვლით. ფაზილ ისკანდერისათვის კი, თუ მისი აღნიშნული ინტერვიუთ განვსჯით, -"თავის-უფლება", სულ ცოტა,აფხაზი ხალხისათვისაც კი "უცხო ხილი" უნდა იყოს!

XV.

ამის დასადასტურებლად მისივე სიტყვები:"აფხაზეთის ქალაქების ახალგაზრდობა, როგორც სხვა რესპუბლიკებშიც საბჭოთა კავშირისა, - ამჯობინებს,სულ უფრო-და-უფრო ხშირად, მხოლოდ რუსულად ლაპარაკს. ეს არის უფრო სელსაყრელი, იმაზე საერთოდ რომ არ ვილაპარაკოთ, რომ ბევრი მათგანი უკვე მშობლიურ ენას ვერ ფლობს."

შემდეგ: ფაზილ ისკანდერი ეჭვის ქვეშ აყენებს ეროვნული ლიტერატურული ნაწარმოებების შექმნას,რომლებსაც "რუსულ ლიტერატურასთან შედარება შეეძლებოდა".

კიდევ:"აფხაზები - ფაზილ ისკანდერის აზრით - მოელიან მისგან(ე.ი. რუსებისაგან.კ.ი.) რჩევადარიგებას და დახმარებას როგორც გამოხატავს სიმართლისა, სიბრძნისა და მოლაპარაკეობისა და ვერ პოულობს მას... მე მოველი შენგან(ე.ი.რუსეთიდან. კ.ი.) გონიერ წინამძღოლობას და პასუხს ჩემს შეკითხვებზე და ვერ ვპოულობ მათ".

XVI.

ფაზილ ისკანდერის ამგვარმა თავისთავის დამამცირებელმა, და ამით აფხაზი და სხვა ხალხების(თვით ქართველი ხალხისაც) დამამცირებელმა რწმენამ (კიდევ ერთხელ)მომაგონა თავისუფლების დიდი მომღერლის ფრიდრიხ შილერის ერთი აზრი:"მონობა სიმდაბლეა, მაგრამ მონური გაგება თავისუფლებისა,საზიზღარია". როგორ აფხაზმა ხალხმა - ფაზილ ისკანდერის აზრით -, ამ უძღრესად ამაყმა და თავისუფლებისათვის მებრძოლ ხალხმა და საბჭოთა კავშირში ძალით შეყვანილ სხვა ხალხებმა,თვით ქართველი ერის ჩათვლით, - რუსებისა და რუსეთისაგან უნდა ელოდონ "რჩევა-დარიგებას","დახმარებას", რომ გაიგონ-შეიგრძნონ "სიმართლე","სიბრძნე" და არ უნდა დაგვაკლოს ჩვენ "მოვლა-პატრონობა?.." მერმეთ: თუ აფხაზურ ლიტერატურას არ შეუძლია "რუსულ ლიტერატურასთან შედარება", რაც - თავის მხრივ - საკითხის ყალბად, უვიცად დაყენებას უდრის, - ვითომ ქართულ ლიტერატურას არ შეუძლია გამოჩნდეს სხვა ერების ლიტერატურებთან ერთად საერთაშორისო მასშტაბითაც კი?.. კიდევ: ვითომ აფხაზი ახალგაზრდობა - ფაზილ ისკანდერს თუ დავუჯერებთ - უფრო ამჯობინებს რუსულად, ვიდრე აფხაზურად ლაპარაკს?.. და თუ ეს ასეა(ვფიქრობ, ეს ასე არ შეიძლება იყოს), მაშინ ამ მახინჯი აზრის განზოგადოება შეუძლია ფაზილ ისკანდერს სხვა ერების, ამით ქართველი ერის ახალგაზრდობაზედაც?.. საიდან ჩაენერგა ბატონ ფაზილ ისკანდერს ამგვარი მონური აზროვნება?.. თუ ის ფიქრობს, რომ ადამიანი, რომელსაც ორი ხელი,ორი ფეხი და თავი გააჩნია, უფრო "სრულყოფილია", უფრო "ბრძენია", უფრო "სამართლიანია" თუ ის მრავალრიცხოვან, ამ შემთხვევაში, რუს ერს ეკუთვნის?.. ვაი, კავკასიელებო, ვაი, ქართველებო, სომხებო, აზერბაიჯანელებო, და ვაი, აფხაზებო - რა შვილი გაგვიზრდია ფაზილ ისკანდერისა და,საერთოდ,"ისკანდერების"სახით!.. ნეტავ რას იტყვის ყველაფერ ამაზე კავკასიის კლდეებზე მიჯაჭვული ამირანი, რომელიც თავის-უფლების სიმბოლოა არა მარტო ქართველი ერისათვის?!..

XVII.

და აქ მივედით მწერალ ფაზილ ისკანდერის კიდევ ერთ "უცნაურობასთან": იგი, აღნიშნულ ინტერვიუში, ერთხელაც არ ახსენებს საქართველოს, ქართველ ერს, აფხაზეთ-საქართველოს ერთიან ისტორიულ ფესვებს. იგი ამბობს, მაგალითად, რომ აფხაზეთში "...რაც საუკუნეების განმავლობაში დაწერილი არ იქნა, ზეპირსიტყვაობითაა შენარჩუნებული და ასე გადაეცემა თაობებს..." მართალია, აფხაზეთს, აფხაზებს აფხაზურად დაწერილი ისტორია თუ ნაწარმოებები არ გააჩნდათ,მაგრამ ვითომ - მრავალიდან რომ ერთი მაგალითი მოვიყვანოთ - შეიძლება აფხაზმა მიივიწყოს აფხაზეთის ერისთავი ლ ე ო ნ  მ ე ო რ ე(758-798), რომელმაც,ისტორია გვეუბნება, -ბიზანტიის ბატონობისაგან გაათავისუფლა აფხაზეთი და აფხაზეთის მეფედ ეკურთხა, და მისი სახელმწიფოს დედაქალაქად ქუთაისი გამოაცხადა, და მისი გავლენის ქვეშ მოაქცია აგრეთვე საქართველოს პროვინციები სამხრეთით და ჩრდილოეთ კავკასიის ნაწილებიც კი?.. და განა საქართველოს ერთობის, ერთიანობის აკვანი აფხაზეთში და ტაო-კლარჯეთში არ დაირწა, რომლის საფუძველი ჩაყარა აშოტ ბაგრატიონმა(786-826), რომლის სამეფო დინასტია საქართველოში ათასი წელიწადი ბატონობდა და ისეთი დიდი სახელმწიფო მოღვაწეები მოგვცა, როგორიც იყვნენ დავით აღმაშენებელი თუ თამარ მეფე?..

XVIII.

რატომ ცდილობს ფაზილ ისკანდერი და,საერთოდ,"ისკანდერები" აფხაზეთ-საქართველოს, ე.ი. აფხაზი და ქართველი ხალხის ერთმანეთში გადახლართული ისტორიის "გაპრიმიტიულებას" ისეთი სახით, რომ თითქოს შესაძლებელი იყოს აფხაზეთისა და საქართველოს ისტორიული წარსულის ან აწმყოს ერთმანეთისაგან განშორება "ქირურგიული დანით?.." არა, ბატონო, ფაზილ ისკანდერო!.. თუ თქვენ გარუსდით და რუს დიდმპყრობელ-შოვინისტებზე კიდევ უფრო დაუნდობელი რუსი შოვინისტი გახდით რუსეთის მთავრობისაგან მიიღეთ "ხელმძღვანელობას" და "ჭეშმარიტების" შეცნობასაც კი, - ეს, რა თქმა უნდა, თქვენი პირადი საქმეა,ვინაიდან ყოველ აფხაზს, ყოველ ქართველს, თუ მას სურს, შეუძლია გახდეს რუსი და ჩადგეს რუსეთის დიდმპყრობელურ-შოვინისტური პოლიტიკის სამსახურში; მაგრამ ვინ მოგცათ თქვენ და "თქვენს მიმდევრებს" იმის უფლება, რომ თქვენ ილაპარაკოთ აფხაზი ხალხის და ამით ქართველი ხალხის სახელით?.. თუ თქვენ ფიქრობთ, რომ - რადგან თითო-ოროლა აფხაზი"ინტელიგენტი"წამოეგო მოსკოვის დღევანდელი დიდმპყრო-

ბელური პოლიტიკის ანკესზე და აფხაზ-ქართველებს, ძმებს შორის შუღლს და უნდობლობის დანერგვას ცდილობენ,- არ ფიქრობთ ამგვარი "ვაი-პოლიტიკა" განწირულია?.. განა თქვენ არ ცდილობთ მოჭრათ ის ტოტი, რომელზედაც თქვენ ცხურთ იჯდეთ, როცა აღნიშნულ ინტერვიუში რუსეთისა და რუსი ხალ-ხის ხვე-ბედს უკავშირებთ აფხაზი ხალხისა და აფხაზეთის ბედ-იღბალს, ხოლო ერთი სიტყვითაც კი არ აღნიშნეთ საქართველო, ქართველი ხალხი, რომ-ლის ერთერთი ტოტია აფხაზეთი?.. და თუ აფხაზეთი, აფხაზი ხალხი საუკუ-ნეების განმავლობაში ერთიანი და განუყოფელი საქართველოს შემადგენელი ნაწილი იყო და არის, სწორედ ამ ისტორიულმა ფაქტმა არ განაპირობა ის, რომ აფხაზეთი და აფხაზური ენა შენარჩუნებულ იქნა?.. თუ, ფიქრობთ თქვენ, თქვენსავით უნდა ჩაიხჩვეს მთელი აფხაზი ხალხი რუსი ხალხის მო-რევში?..

XIX.

ბოდიში, რომ ემოციის გარეშე ვერ ვწერ ამ სიტყვებს, ვინაიდან ჩემთ-ვისაც "...მონური გაგება თავისუფლებისა საზიზღარია", ვინაიდან, ჩემის აზრით, ადამიანი, ერი მაშინ კვდება, როცა მისი შვილები დაკარგავენ თავიანთ ეროვნულ ღირსების გრძნობას; ეროვნული ღირსება კი გულისხმობს, რომ ადამიანი - "დიდი" თუ "პატარა" ერის შვილია იგი - თანასწორი უფ-ლებებით არის მოვლენილი ამ ქვეყანაზე, ასევე თვით "დიდი" თუ "პატარა" ერები; ამიტომ სად არის თქვენი, საქვეყნოდ ასე აღიარებული, აფხაზური სიამაყე?.. ნუთუ რუსული ენის მეშვეობით თქვენ აფხაზობაც და ამით ეროვ-ნული სიამაყეც დაჰკარგეთ?..

XX.

აქ ერთი მაგალითი: თანამედროვე, ე.ი. მოდერნული ლიტერატურის შექსპირი - ჯეიმს ჯოისი -, როგორც ცნობილია, ირლანდიელი მწერალია, რომელიც წერდა ირლანდიის დამმონებელი ერის ენაზე - ინგლისურად; მაგრამ ის იყო ირლან-დიის, ირლანდიელი ერის თავის-უფლების დიდი მომღერალი, და - ღიად თუ ფარულად - მას უმღერობა; "ულისეს" ერთ "ჯოისეულ" აღწერაში ჩაქსოვილი აქვს შემდეგი სიტყვები:"როცა ჩემი ქვეყანა მის ადგილს დაიკავებს... მსოფლიოს ერებს შორის... მაშინ და არა მანამდე... დაე ჩემი ეპიტაფია იყოს... დაწერილი.მე... განვასხორციელე."

XXI.

ბატონი ფაზილ ისკანდერი კი"გულმოსულია", რომ რუსი ხალხი, სრულიად უცხო იმპერიული ქვეყანა ვერ ბატონობს "კარგად" აფხაზეთზე-აფხაზებზე, და მისი ერის დამჩაგვრელ-დამპყრობელს ემუდარება -"მე მოველი შენგან გონიერ ხელმძღვანელობას!" თუმცა ბატონმა ფაზილ ისკანდერმა უნდა იცო-დეს, რუსი ერის ოკეანეში აფხაზი ხალხი, უთუოდ, უმოკლეს დროში ისე გა-ითქვიფება, რომ ყველა აფხაზი თვით ბატონ ფაზილ ისკანდერს დაემგვანე-ბოდა, ე.ი.გარუსდებოდა. მაგრამ, როგორც ჩანს, ბატონ ფაზილ ისკანდე-რისათვის აფხაზთა გარუსება უფრო მისაღები უნდა იყოს, ვიდრე ქართველი ერის ტომებთან ისტორიული ძმობის განგრძობა, და უგულებელჰყოფს იმ ის-ტორიულ ფაქტს, რომ აფხაზებს "უძველესი დროიდან მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ ადიღურ და ქართველ, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში მცხოვრებ ტომებთან. ამ სიახლოვემ თავი იჩინა ანთროპოლოგიურ ტიპში და მრავალ კულტურულ-საყოფაცხოვრებო თავისებურებაში. აფხაზები ძველთაგან-ვე ეზიარნენ ქართულ კულტურას. მათი კულტურულ-პოლიტიკური საქმიანობა სცილდებოდა საკუთრივ აფხაზეთის ფარგლებს. ისინი აქტიურ როლს ასრუ-ლებდნენ მთელ დასავლეთ საქართველოს მომცველ ეგრის-აფხაზეთის სამეფოში (VIII-X სს.), აგრეთვე გაერთიანებული საქართველოს შემადგენლობაში (XI-XII სს.). IV საუკუნის პირველ-ნახევარის დასაწყისში მათ მიიღეს ქრისტიანობა, რომელიც აქედან ჩრდილოეთ-კავკასიის ზოგ ხალხშიც გავრ-ცელდა. XV საუკუნიდან აფხაზებში ფეხი მოიკიდა სუნიტური მიმართულების ისლამმა."

XXII.

მერმეთ: ბატონი ფაზილ ისკანდერი რომ ამბობს, რომ აფხაზ ხალხს თითქოს "დაწერილი გადმოცემა" არ გააჩნდათ, "აფხაზთა მეფეთა დივანი(ქრონიკა)" მისთვის უცნობია?.. თუ იმიტომ არ "მოსწონს" ბატონ ფაზილ ისკანდერს ეს "დივანი(ქრონიკა)", რომ ის ქართულ ენაზეა დაწერილი, და წარმოადგენს "აფხაზეთის(დასავლეთ საქართველოს) მეფეების ნუსხას.(სიას)პირველი მეფე ანოსიდან გაერთიანებული საქართველოს პირველ მეფე ბაგრატ მესა-მემდე(975-1014)?.."

ეროვნული ბიბლიოთეკა

XXIII.

და აქ მაგონდება 70-იანი წლების მიწურული, როცა მოსკოვის დიდმპ-
ყრობელ-შოვინისტებმა თითო-ოროლა აფხაზი ახალგაზრდა გააბრიყვეს და
აფხაზეთში ქართული წარწერების(რუსული წარწერების - არა) დამსხვრევა
დაიწყეს და ყველაფერი ქართულის დევნას მიჰყვეს ხელი ერთიანი და გა-
ნუყოფელი საქართველოს ერთერთ საყრდენ ტერიტორიაზე - აფხაზეთში. ამ
დროს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გასტროლებზე იყო აფხაზეთის
ხალხური სიმღერებისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი და, რა თქმა უნდა,
მეც,დიდის ცნობისმოყვარეობით, დავესწარი ამ შესანიშნავ კონცერტს,რომ-
ლის დროს ჩემი განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში დავაყენე საკითხი:
ვინაიდან მე არასოდეს, ჩემდა საუბედუროდ, აფხაზეთში არ ვყოფილვარ,
არ ვიცნობ საქართველოს ამ შესანიშნავ მხარეს, გავიფიქრე: შეიძლება
აფხაზები მართლაც "სხვა ხალხია", "უცხოა" ჩვენთვის, ქართველებისათ-
ვის?.. მაგრამ - ვნახე რა აფხაზ მომღერალ-მოცეკვავეთა შესანიშნავი
ხალხური შემოქმედება - გამიკვირდა: აფხაზური ხალხური სიმღერები,ცე-
კვები, აფხაზ შესანიშნავ მანდილოსანთა და ვაჟკაცურ მამაკაცთა მიხვრა-
მოხვრა, - გრიგოლ რობაქიძე იტყოდა,ალბათ, - "ჯიში","გვარი" სრულიადაც
ვერ განვასხვავე "ქართულისაგან","ქართველობისაგან", თუმცა ისტორია
ათასწლეების "ჯურღმულებში შეჭრისას" სხვას ლაპარაკობს. და ვნახე რა
(რამოდენიმეჯერ) აფხაზთა ეს შესანიშნავი ხალხური ხელოვნება, გავიფი-
ქრე: თუ აფხაზების თითო-ოროლა შვილი, დიდმპყრობელ-შოვინისტების რუ-
სიფიკატორული პოლიტიკის წყალობით, "უკადრისობენ" ძმობას ქართველო-
ბასთან და ვლილობენ ერთიანი და განუყოფელი საქართველოს შვილებად
იგრძნონ თავიანთი-თავი, მაშინ მე, წარმოშობით "იმერელი-ქართველი",
მზად ვარ თავი "აფხაზად" გამოვაცხადო, ვინაიდან აფხაზებსა და ჩემს
შორის ვერავითარ განსხვავებას ვერ ვხედავ!.. მაკვირვებს მხოლოდ, რომ
ისტორიკოსები ხალხთა "ათასწლეების ჯურღმულებში" შეჭრას ცდილობენ,რომ
ამა-თუ-იმ ერის "ჯიში","ვინაობა" გაარკვიონ, მაგრამ, როგორც ჩანს,
ყველაზე ნაკლებ ყურადღებას ხალხების დ ღ ე ვ ა ნ დ ე ლ რაობას
აქცევენ, თორემ რომელ აფხაზს, რომელ ქართველს შეუძლია თქვას, რომ
ჩვენ ძმები, "ერთი ჯიშის", "ერთი კულტურის","ერთი სახელმწიფოს" შვი-
ლები არ ვართ?..

XXIV.

რუსი მწერალი ფაზილ ისკანდერი, როგორც დავინახეთ,-ჩვენდა და მის
სამწუხაროთ,- სწორედ ამ "თ ვ ა ლ-ს ა ჩ ი ნ ო" ფაქტსაც და ამით
თავისთავსაც უარყოფს, ვინაიდან იგი არც რუს მწერლად და არც აფხაზ
მწერალთ არ თვლის თავისთავს და ამით მოქცეულია "უგვარო","უჯიშო"
არეში ისე, როგორც ჩვენი აკაკის "თაგუნა".

XXV.

მე არ ვფიქრობ, რომ ამ ჩემს "ემოციურ-წერილს" ოდესმე წაიკითხავს
რუსი მწერალი ფაზილ ისკანდერი. მაგრამ იგი მე მაინც "დაკარგულად"
მიმაჩნია არა როგორც მწერალი, არამედ როგორც მოქალაქე, როგორც ამაყი
აფხაზი ხალხის, ამაყი შვილი, ვინაიდან - როცა იგი, თავის აღნიშნულ
ინტერვიუში,- საქართველოს ხსენებასაც კი გაურბის, რომლის დროს გერ-
მანელი ჟურნალისტი უფრო ივავს საქართველოს ერთიანობას, აფხაზეთს,
აფხაზ ხალხს, აფხაზურ ენას, ვიდრე თვით ფაზილ ისკანდერი, - მას აფ-
ხაზეთი და ამით საქართველო დაუტოვებია, მაგრამ რუსეთში ვერ "ჩაჭუ ა"
- ცხოვრობს, როგორც ჩანს, სადღაც "შუაში","უპატრო სივრცეში".

XXVI.

ასეთია ბედი, როგორც ჩანს, ადამიანებისა, რომლებიც ენით და
საქმით თავის მშობელ ერს უარყოფს; და აქ მსურს რუს მწერალ ისკანდერს
მოვაგონო აფხაზური ლიტერატურის "სვეტი-ცხოველის" შემდეგი სიტყვები:

"ჩვენ - ამბობს დიმიტრი გულია - ერთი ცის ქვეშ, ერთ მიწაზე გვიშე-
ნებია ჩვენი კულტურა, ერთად დაგვიცავს ჩვენი ეროვნული რაობა და ჩვე-
ნი მიწა-წყალი. ჩვენ რომ ვთქვათ მოძმე ერები ვართო, ეს ცოტაა. ჩვენ
ერთი ფსიქიკის, ერთი ადათის, ერთი წესის, ერთი ფსიქოლოგიის ერები
ვართ. ქართველს არა მგონია ჰყავდეს უფრო ახლობელი ძმა,ვიდრე აფხაზია,
აფხაზებსაც ასე მიაჩნიათ ქართველი და ჩვენ ამ ძმობამ შეგვინახა. ვინც
ამ ძმობას შლის, რუსთაველის სიტყვებით რომ ვთქვათ, 'იგი თავისა მტე-
რია'".

XXVII.

"დაუბრუნდით აფხაზეთ-საქართველოს ამ საერთო ძირებს" რომ გითხრათ, ბატონო ფაზილ, ვფიქრობ, თქვენთვის პირადად ეს ძნელი განსახორციელებელია, რადგან თქვენი შემოქმედების სამყარო უკვე რუსული ენა გამხდარა. მაგრამ აფხაზ და ქართველ ახალგაზრდობას ნუ დასწამებთ, რომ ისინი "...ამჯობინებს, სულ უფრო და უფრო ხშირად, მხოლოდ რუსულად ლაპარაკს". იმასაც ნუ დასწამებთ, რომ აფხაზი ხალხი "რჩევას დახმარებას", კიდევ მეტი, "გონიერ ხელმძღვანელობას" რუსი ხალხისაგან მოელის, თითქოს აფხაზებს და ქართველებს თვითონ არ შეეძლოთ თავისთავის ხელმძღვანელობა!.. თუ თქვენ ვერ გაინთავისუფლეთ თქვენი თავი ამგვარ "მონურ აზროვნებისაგან", ნუ ცდილობთ იგი("მონური რწმენა") ჩვენს ახალგაზრდებს ჩაუნერგოთ, ვინაიდან - ისევ გავიმეოროთ შილერი -"მონური გაგება თავისუფლებისა საზიზღარია".

XXVIII.

და ეს არასასიამოვნო, მაგრამ,ვფიქრობ, საჭირო "ემოციური შენიშვნა", მოდი აფხაზი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის დიმიტრი გულიას სიტყვებით დავამთავროთ:

"მშობლიური აფხაზეთი,
მისი მიწა, მთები თეთრი,
მზიანია და ჭადაზი,
და ნაზია, ოქროს თავი.

ჰე, საჩქაროთ უნდა ნახო
აფხაზეთის სამოსახლო.
სულ პატარა კუთხე წყნარი,
საქართველოს ტურფა მხარის".

XXIX.

დაბოლოს, ვითომ, აფხაზურ-ქართული ზრდილობიანობის შესაბამისად, ბოდიში უნდა მოვიხადო ბატონ ფაზილ ისკანდერის წინაშე ამგვარი "ემოციური შენიშვნების" გამო, ვინაიდან "ემოცია"="გრძნობიერება","აღელვება" "წმინდა"(სოკრატესეულ?) შეცნობას ნისლავს, და ამით აზროვნებას აბუნდოვანებს?..

XXX.

მაგრამ სწორედ მაშინ, როცა ამ სტრიქონებს ვწერდი, "ხელში ჩამივარდა" გურამ ფანჯიკიძის სტატია:"ღია წერილი ვიტალი კოროტიჩს...სხვებსაც", რომელიც გამოქვეყნებულია "ლიტერატურული საქართველოს" 1988 წლის 21 და 28 სექტემბრის ნომრებში, და რომელშიც ავტორი,სხვათა შორის, წერს: "...ცენტრალური ტელევიზიის(ე.ი.მოსკოვის ტელევიზიის. კ.ი.)...22 აგვისტოს(1988) გადაცემამ...მშვენივრად დაანაწილა საქართველოს მიწები და გადაწყვიტა ეროვნული პრობლემები. მე მხოლოდ ფაზილ ისკანდერის გამოსვლას გავიხსენებ...მან თქვა, მართალია, ბერია აფხაზეთში დაიბადა, მაგრამ მეგრელი იყოო. ჯერ ერთი, ამხ.ვიტალი, თქვენ ხომ მშვენივრად იცით, რომ მეგრელები ქართველებია...განა ეს ისკანდერმა არ იცის? იცის, როგორც არ იცის, მაგრამ თავისი ბნელი საქმეც მშვენივრად იცის, როგორმე აამღვრიოს წყალი თვით ქართველებს შორის. თანაც, თურმე ბერიას იმიტომ გაუწყვეტია აფხაზი ინტელიგენციის მრავალი წარმომადგენელი, რომ იგი აფხაზეთში იყო დაბადებული(სხვათა შორის, აფხაზეთიც საქართველოშია) და ამიტომაც ვერ იტანდა თურმე აფხაზებს...ესაა ისტორიული მოვლენების ღრმა ანალიზი?!.... "...მან(ბერიამ.კ.ი.),მგონი, უფრო მეტი ქართველი ამოწყვიტა, ვიდრე მთლიანად არიან აფხაზები".

XXXI.

წავიკითხე რა გურამ ფანჯიკიძის მოყვანილი ამონაწერი, მივედი დასკვნამდე, რომ ჩემს "ემოციურ შენიშვნებში" მოსაბოდიშებელი, უთუოდ, არაფერი არ არის. სამწუხაროდ, სამწუხაროდ!..

კარლო ინასარიძე
მიუნხენი,1989 წლის თებერვალი

დამატება: ეს "ემოციური შენიშვნები" უკვე დაწერილი მქონდა, როცა საქართველოდან მოვიდა შემზარავი ამბები სისხლის-ღვრა-ხოცვა-ჟლეტისა,რის საბაბი გახდა სწორედ "ბატონებ ისკანდერების" პრო-მოსკოვური ვაი-პოლიტიკა, რის შედეგად თბილისის ქუჩებში დიდმპყრობელ-შოვინისტების ჯარისკაცთა მიერ მოკლულ იქნა, როგორც იტყობინებიან,150-დე, ხოლო დაჭრილ იქნა ათობით მშვიდობიანი დემონსტრანტები. ამ ხოცვა-ჟლეტის მ ო რ ა ლ უ რ ი პასუხისმგებლობა კი, უდავოა, "ბატონ ისკანდერებს" ეკისრებათ.

კ.ი.
მიუნხენი, 1989 წლის 9 აპრილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პუბლიცისტიკა

## გაორებული სულის პოეტი და მხედარი

გაორებული სულის პოეტი დ ა მხედარი, გენერალი ალექსანდრე გარსევანისძე
ჭავჭავაძე, თავის დაბადების ორასი წლის თავზე, წარმოდგენილი იქნა იუბილე
არალ ბოლშევიკურ ტრიბუნაზე, როგორც საგანი საბჭოთა პროპაგანდისა; იმ
მთავარი საკითხის ბოლშევიკური გაგების. ჭეშმარიტული ურყეობისათვის, როგო-
-რიც არის საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მთლიანი ეპოქის მანძილის გას-
-წრივ მპყრობელი და დაპყრობილი ერებთა ურთიერთობის არაჩვეულებრივი, თი-
-თქოს ზებუნებრივი მეგობრობა; საკუთარ სინამდვილის საფუძველზე აღმოცენე-
-ბული, ეგრეთწოდებული რუსული ბუნების ინტერნაციონალური სასიათის გამოვ-
-ლინება ლენინიზმის სახით მსოფლიოში, რა თქმა უნდა კომუნისტურ-ბოლშევი-
-კური გაგებით: კაპიტალიზმის და იმპერიალიზმის მიერ დამონებულ ერების
საკეთილდღეოთ,როგორც სრული გარანტია,მათი მომავალი ეროვნული და ადამ-
-იანთა პიროვნული განთავისუფლებისა!!

წარსული საუკუნის ღსსაწყი ხში ქართველ მწერალ- პოეტთა შორის
ერთადერთი იყო ალ. ჭავჭავაძე, ის პიროვნება, რომელსაც თავის ასაკის მი-
-ხედვით ბედმა არგუნა ყოფილიყო ის, როგორც მნახველი და მონასხოვრე ისტ-
-ორიული ცოცხალი მოწმე აღა-მაჰმად-ხანის მიერ 1795-წელს საქართველოზე
თავდასხმისა და ქართველი ერის თავგანწირული წარმოებული ბრძოლისა, საკუ-
-თარი სამშობლოს,ეროვნული სახელმწიფოს ფიზიკურად გადარჩენისათვის და
მისი უფლებრივობის შენარჩუნებისათვის; ცხადია, ცხრა წლის, ყოველი ნა-
-ხული, გონებაში და სულში ჩასახულ მუდმივ-განუყრელ მწუხარების მოგონ-
-ებად დარჩა: დარბეულ დედაქალაქ ის ქუჩებში ნაკადულებათ ამდინარებული
სისხლის ღვართქაფები და მათში აცურებული,მტერთა ცხენების ფლოქვებით
დაჭყლეტილი ჩვილ ბავშთა სხეულები გვამებათ ქცეული,რომლებიც სერგავდნ
ქუჩების სავალთა სივრცეებს და წარმოშობდნენ გაუვალ სისხლის ტბორებს;
ეს მშობლიური ერის შემზარავი ტრაგედია მას უკანასკნელ დღემდის გაჰყვა
ეროვნული მწუხარების სევდათ.

შემდგომ დროთა მსვლელობაში მას თვალწინ ესახებოდა, ოჯახურ გარე-
-ოცვაში არა ეთხელ ნახული ქართლ- კახეთის ომახიანი გმირი და შორსმჭვ-
-რეტელი მეფე ერეკლე-II;მას , მოზარდ ასაკში მყოფს, ბედმა არგუნა ყო-
-ფილიყო ქართველი ერის სამეფო სახლის არისტოკრატთა შორის, რომელნიც
გართული იყვნენ ტახტის მემკვიდროების პრეტენდენტურ ჭიბრში; მის გონე-
-ბრივ სივრცეში ერთფეროვნად ისახებოდა ტახტის მიებით დაუფლების სურ-
-ვილით გაავთრებული ა. ბატონიშვილი,რომელიც ემუქრებოდა საქართველოს
სპარსეთის ფულით დაქირავებულ ავთარ-ავაზაკ ლეკთა ურდოებით, სინამდვილ-
-ეში- ქართველ ხალხს! მაგრამ ისტორიის განაჩენმა სამუდამოთ გადაურაზა
ჩვენი სამშობლოს ალაყაფის კარები მათ.

თავადი ალ. ჭავჭავაძე არასრულწლოვანობის ასაკში მყოფი,ის აღმოჩდა
ერის აჯანყებულთა რიგებში პატრიოტულ ბარიკადებზე და დაიმსახურა მკაცრი
რისხვა და სასჯელი ადგილობრივი სამხედრო ხელისუფალთა კანონიერების თვა-
-ლსაზრისიანობით--სამშობლოდან განდევნით;დროთა ვითარების გვარიანად მს-
-მლელობაში მამის ჯერ კიდევ შეურყეველმა პოლიტიკურმა ავტორიტეტმა მოაგონა
პეტერბურგის სასახლის უმაღლეს არისტოკრატიას და მათ იმპერატორის უდიდე-
-ბულესობას,რომ მირონი მოითხოვს, თავის ღირსებას და მატივს!

დავაუკაცებულს, სამხედრო და სამოქალაქოგანათლებით სრულყოფილს, სა-
-მხედროსარიმხში წარმოდგენილს,როგორც მთავარმართებლის სანდო თანამშრომელს
და სამხედრო სპეციალისტს თვით მოუხდა შეტაკება აჯანყებულთა თანამემამუ-
-ლეებთან და დაჭრილი იქმნა პატრიოტთა საწინაამდეგოშეტაკებაში, მათი
განდევნის დროს.

სინამდვილეში, მისი ცხოვრების ეპიზოდების ჩამოთვლა , ჩვენი ისტორიის
მრავალი ფურცლების გადაშლას მოითხოვს!

როგორც რუსეთის ჯარის მხედარმა, ფეხ და ფეხ მისდია ნაპოლეონის არმ-
-იას პარიზამდის, მთავარსარდლის ადიუტანტისვალდებულობაში მყოფმა; ევროპ-
-იულმა სამხედრო დაშქრობამ ერთიანად გადაშალა მის გონებრივშესაძლებლობ-

-აში იმდროინდელი ევროპის მოწინავე ცივილიზაციის პროგრესიულობა,მუსულ-
-მანურ ფანატიზმით განადგურებულ სამშობლოს მომავლის საკეთილდღეოთ,რომელიც
პოეტი- მხედრის დროს,რუსეთის ფეოდალურ იმპერიალიზმის პოლიტიკურ ტყვეობ-
-აში და მისი ზრახვების ზეგავლენის მორჩილებაში აღმოჩნდა.

ალ. ჭავჭავაძე ისტორიული აუცილებლობის გარდამვლობათ მიიჩნევს: საქ-
-ართველომ ზურგი უნდა შეაქციოს აღმოსავლეთის ისლამურ ფანატიზმს და ახალ
გარე მოების ტყვეობაში მყოფმა , მიუხედავათ მპყრობელის ყოველგვარ ცდებ-
-ისა, მისი ეროვნული გადაგვარებისათვის და დამცირებისათვის, ევროპის კულ-
-ტურას უნდა ეზიაროს.

ის,როგორც პოეტი შემოქმედი თვით გახდა ზღვარმდებელი აღმოსავლური
კულტურის ტრადიციებისა და წინამორბედი ევროპული კულტურისა და მისი პროგრესულობის.

ქართული ლიტერატურის ისტორიის ცნობილი პროფესორი, რომელსაც საოკუ-
-პაციო ხელისუფლების ბრძანებით და კარნახით, ქართველმა ბოლშევიკებმა წა-
-მება და სიკვდილი არგუნეს, პოეტ ალ. ჭავჭავაძეს · განსაზღვრავს ზედ-
- მიწევნით სინამდვილის გარკვეულობით; "ალ. ჭავჭავაძე დიდი რომანტიკოსი
იყო,და ამ რომანტიკოსობის პირველი------ წყარო კი-----პატრიოტიკა. მხოლოდ
გარკვევაა საჭირო, მისთვის სამშობლო გარე ქვეყანა კი არარის ,ფისტესენზუ-
-არა - მე, არამედ საკუთარი ინდივიდუალობაა, განუყრელობა, მეობა, და
როცა კითხულობთ მის ლექსებს,ხედავთ ღრმა სევდას." /ვ. კოტეტიშვილი, "ქარ-
-თული ლიტერატურის ისტორია", გვ.-59./

საბჭოთა ჟურნალი "ლიტერატურული საქართველო" გვიამბობს: "ალ. ჭავ-
-ჭავაძე,როგორც ქართველი პოეტი და მამულიშვილი, მთელი არსებით მიესალმა
დიდ რუს ხალხთან ქართველთა დამოყვრების ფაქტს და ყველაფერიც გააკეთა ამ
ერების კულტურულ-სულიერი და პოლიტიკური ურთიერთობის გამტკიცების და განვ-
-თარებისათვის"/" ლიტერატურული საქართველო", 10-X-86-წ./ ამ განსაზღვრაში
პარტიული უხეში ბრძანების ნიადაგზე საბჭოთა ავტორი, ორ სხვადასხვა დროის
ეპოქას ,ურთიერთ ერთობის უნიადაგო და ულოგიკო გაგების ცდებში წარმოგვიდ-
-გენს!

ალ. ჭავჭავაძე ყოველთვის იმის ცდილობაში იყო, რუსეთის ერის მოწი-
-ნავე ინტელექტუალებთან დაემყარებია,ეპოქალური მოვლენების ურთიერთგაგების
ნიადაგზე სულიერი და გონებრივი კონტაქტები, რომლებიც იქმნებოდნენ ორთავე
ერის სინამდვილეში ყოველთვის ისტორიული უკვდავების ტრადიციული მუდმივობა.

მან თავის ეროვნულ იდეების პრაქტიკულ საქმიანობას, საკუთარი ოჯახის
ბედიც დაუკავშირა, რომელიც გახდა რუსეთის ერისმოწინავე შვილებთან დამო-
-ყვრება--დამეგობრების დემოსტრაციების პლაცდარმი, რომელშიდაც თვით პოეტი
გრძნობდა და ხედავდა თავის გაორებული სულის მთლიანობის და გამტკიცების
პროცეს!

ალ. ჭავჭავაძის და მისიოჯახის მიერ დაფუძნებული: ნათესაური, სულ
-იერი დაგონებრივი მეგობრობის ურთიერთობის კონტაქტები რუსეთის ერის
მოწინავეინტელექტუალურ შემოქმედებთან ჩვენი საუკუნის ოცდაათიან წლების
დასასრულამდის , ქართველი ერის ყოველთაობის პედადამზრწყინვალეე და სასი-
-ქადულოდ შეინარჩუნა თავის შემოქმედების წიაღში,როგორც მშობლიური და
პატრიოტული ვალდებულობა თავის ერისწინაშე; საქართველოში საბჭოთა გაზ-
-ეთი "კომუნისტი" ალ..ჭავჭავაძისადმი მიძღვნილ საიუბილეო სტატიაში,სათ-
-აურით "ახალი საქართველოს კარიბჭესთან", მკითხველებს მოუთხრობს,, მწე-
-რლის პიროვნების შესამკობლად ჭორიკანული ხელოვნების უხამსო რამერუმეს,
უფროსი ძმის საამებლად და დასამშვიდებლად! რაც ყოველივე ღიამეტრადუ რად
საწინაამდეგოა, მაშინდელი მიმდინარე ისტორიულ ამბავთა სინამდვილისა!
სამწუხაროდ,საქართველოში ჩვენი თანამემამულენი არათუ იძულებულიარიან
შეურიგდნენ ამ უმსასობას, არამედ ვალდებულიც არიან აღიარონ ყოველივე
ეს სინამდვილის ისტორიულ ჭეშმარიტებათ!

"თავადაც სახელ მოხვეჭილი მხედართმთავარი, კავკასიის ჯარების
მთავარსარდალი გრაფი პასკევიჩი აღტაცებული იყო მის მიერ მოწყობილ სამხე-
-დრო ოპერაციებით ირან-ოსმალეთის წინააღმდეგ, ხოლო ეპითეტი "ზაიაზეთის
გმირი" ალ. ჭავჭავაძეს სახელს სამუდამოთ შეესისხლხორცა".

. /გაზეთი "კომუნისტი", ნომერი-235, 12-X286წ./

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბუთიანად, რომ წარმოვადგინოთ მკითხველების წინაშე, აქ მოცანილ ცი ტ-
-აცამი აღიარებული წინადადები და მათი აზრთა წყობილებანი, რამდენად შე-
-ესიტყვისება იმ ეპოქის ამბების სინამდვილეს და მის ისტორიას, რომელში-
-დაც წარიმართა ალ. ჭავჭავაძის სამხედრო მოღვაწეობა!

ჩვენი ვალდებულება, გავფურცლოთ ასსამოცდაათ წლიანი ისტორიი ს გაყვით
-ლებული და დახავსებული საბუთების ფურცლები, რომელშიდაც მოთხრობილია რუ-
-სული სამხედრო მოქმედების ისტორია და აღვადგინოთ სინამდვილე ჩვენი ღირსე-
-ული წინაპრისა, პოეტის ღამხედრისა თავად ალ. ჭავჭავაძის თავგადასავალი
მკითხველთა წინაშე!

თანამედროვე ისტორიკოსის თქმით, გერმანია საფრანგეთის ლაშქრობას მის-
-ვის უნაყოფოდ არ ჩაუვლია, ამ ლაშქრობაში მან დაახრულა თავისი სამხედრო
განათლება პრაქტიკულად; სშხედრო საბუთებში ნათქვამია: "1817-წელს, უკვე
პოლკოვნიკის ხარისხით იქმნა დანიშნული ნიჟეგოროდის დრაგუნის პოლკში, რომე-
-ლიციდგა მის სამონზო კახეთში; მთელი წლის განმავლობაში ის მეთაურობდა
პოლკს; შემდეგ გენერალმა ერმალოვმა, ის თავის რეკომენდაციით წარუდგინა
იმპერატორს, ამავე პოლკის მეთაურად დანიშვნისათვის, მაგრამ გენერლის რე-
-კომენდაციით თხოვნას განხორციელების შესაძლებლობა არ აღმოაჩდა, ვინაი-
-დან მისი ასაკი, ახალგაზრდული წლოვანბის მიხედვით არ შეეფერებოდა პოლ-
-კის მეთაურის მოვალეობას; პოლკის მეთაურად დანიშნული იქნა პოლკოვნიკი
შაბელსკი პეტერბურგიდან, რომელიც ალ. ჭავჭავაძეზე სამი წლით უნცროსი
იყო! ალ. ჭავჭავაძემ, როელმაც თავი შეურაცხობილად იგრძნო, დატოვა სახედრო
სამსახური და დასახლდა თბილისში.

როგორც ისტორიკოსი მოგვითხრობს: მას მწერლობა და ოჯახური საქმია-
-ნობა შეაწყვეტინა ირანის წინაამდეგ დაწყებულმა სამხედრო მოქმედებამ,
რომელშიდაც ის მეთაურობდა, ქართველებისაგან შემდგარ სახ-
-ალხო ლაშქარს; გენერალ კრასოვსკის რუსეთში გამგზავრების შემდეგ , ალ.
ჭავჭავაძე აყვანილი იქნა გენერლის ხარისხში და დანიშნული სომხეთის სამხ-
ედრო გუბენატორად.

ბაიაზეთის პაშალიკის მიდამოები გაგრძელებაა სომხეთის მიწა-წყლის,
საიდანაც ხდებოდა განუწყვეტელი, სხვადასხვა გვარი არამობინადრე ტომების
თავდასხმა და შემოტევა; გენერალი ალ. ჭავჭავაძე იძულებული იყო მათ წინაამ-
-ღდეგ ეწარმოებია, თავის განკარგულებაში მყოფი მცირე და უმნიშვნელო სა-
-მხედრო ძალების შემადგენლობით , არათუ მარტო თავდაცვა, აგრეთვე შეტე-
-ვაც! შეტევები დამთავრდა თურქთა საოკუპაციო ჯარის ნაწილების და იქ გაბ-
-ატონებული თურქთა მოხამლეობის განდევნით; რუსი ჯარისკაცები ამბობდნენ:
"გენერალითავად ალ. ჭავჭავაძე ყოჩაღი და მარჯვე არის, ის ერთი პოლკის
შემადგენლობით ერზერუმამდის მივა."

გენერალ ალ. ჭავჭავაძე თვით სარდლის მიერ წარდგენილი იყო, წმინდა
ანნას პირველ კლასისჯილდოზე, საბუთები ერთხმად ლაპარაკობენ, მის მხედრულ
მოქმედების მრავალ უნარიანობის სიმამაცეზე ,რომელსაც ის თვითონ ყოველთვის
საფუძვლად უდებდა: რუსი ჯარისკაცის მხედრული ხელის უძლეველობას, რომელს
ყოველი საომარი მოქმედების გამარჯვების უტყუარ თავდებათ მიაჩდა; მთავარ-
-სარდლისათვის კი რუსი ჯარის კაცი წარმოადგენდა მხოლოდ და მხოლოდ საო-
მარ მასალას, სამხედრო გვერდით!

მთავარსარდალმა პასკევიჩმა, ქართველი პოეტი და გენერალი აავსო
უსამართლო და დაუმსახურებული საყვედურებით და მუქარით, რომ მას განდევნის
სმხედრო მოქმედების თეატრიდან! საბუთებში ვკითხულობთ: "მთავარსარდალმა
პასკევიჩმამას სავალე შტაბია თავშაფარში აუდენციის დროს წაუყენა ათ მუ-
- ხლიანიბრალდებანი, რომლებზედაც გენერალ ალ. ჭავჭავაძემ მაშინვე ,იქ-
-ვე სრული განმარტებით მოაახენა, ათივე ბრალდების შესაფერისი გამაბათ-
-ილებელი ახსნა-განმარტებით პასუხი.

მათი თანამედროვე ისტორიკოსი წერს: "უაღრესად შეურაცხობილი თა-
-ვადი გენერალ ალ. ჭავჭა ვაძე არ დაელოდა პასკევიჩის მიერ წარდგინებას
იმპერატორისადმი და არც მის პასუხს, თავად დემონსტრატიულად დაეთხოვა
სამხედრო სამსახურს."

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისი დემონსტრატიულად სამხედრო სამსახურიდან წასვლის შემდეგ, მთავარ სარდლის წარგზავნილობის საფუძველზე იმპერატორი ნიკოლოზ პირველი სვხედრო სამინისტროს უგზავნის განკარგულებას,რომელშიდაც მოთხრობილია: ნათლულ გენერალს ეძლევა, განუსაზღვრელი დროის უფლებით, შვებულებით სამ-ლობით შესაძლებლობა, ოჯახური საქმეების მოსაგვარებლად;

ისტორიკოსი სევდიანი მწუხარებით ავსილ სიტყვებს გვიტოვებს ანდუ-ძალ: "ახე ამგვარად დამთავრდა ბაიაზეთის ლაშქრობა გენერალ თავად ალ. ჭავჭავაძის მხედრობით, რუსების გამარჯვებით! მაგრამ ამავე დროს ამავე ლაშქრობით დამთავრდა თვით გენერალ ალ. ჭავჭავაძის სამხედრო კარიერა!"

თანამედროვეთა თვალსაზრისით და თქმულობით, ასეთი წინაამდეგობანი არ იყო იშვიათი მოვლენა პასკევიჩის ხასიათში და მოქმედებაში; ის ყოველთვის ცდილობდა,რომ სამხედრო ოპერაციების არათუ ღირშესანიშნავი რამე, არამედ სრულიად უმნიშვნელო მიღწევებიც კი არ მიეწერა გენერლებისათვის, რომ მას , ამით თვით არ დაკარგოდა და დაკლებოდა დიდება და ღირსება!

ის ასე მოექცა თავრიზში თავად ერისთავს, ერევანში თავად ანდრონიკაშვილს... ალ. ჭავჭავაძის შემცვლელი გენერალ პანკრატიევი თავის მოხსენებაში , მთავარ სარდალს გრაფ პასკევიჩს მოუთხრობს: "ბაიაზეთის შესახებ ჩამარ მოქმედების დისლოკაციაში რაიმე ცვლილებების შეტანა მიჩანშეუნელია და ამასთანავე შეუძლებელიც არის, ვინაიდან მთლიანი სიზუსტე არის შედგენილი თვით თავად გენერალ ალ. ჭავჭავაძის მიერ!" /" კავკასი სამხედრო მტაბის არქივი; საქმე- 1826წ. "/ ვ.ჩოლაბურიძე, 1986 წ.

"გარდაქმნა-საჯაროობა-დემოკრატიზაცია" და ჩვენ

(წერილი მესამე)

გრიგოლ ქვანია და ლევან თოიძე:"ისტორიის გადასახედიდან დანახული სიმართლე". -"ვინ იყვნენ ბუდუ მდივნის ჯგუფის წევრები - ნაციონალ-უკლონისტები, ბურჟუაზიული ნაციონალისტები თუ პატრიოტ-ინტერნაციონალისტები?..("კომ.",22.5.88)

I.

საქართველოს კომპარტიის ცეკასთან არსებულ პარტიის ისტორიის ინსტიტუტში გამართულა სამდღიანი დისკუსია -"უცნობი და აქამდე გამოუქვეყნებელი დოკუმენტების საფუძველზე" - ქართველი ბოლშევიკების ერთი ჯგუფის შესახებ, რომლებიც "ნაციონალ-უკლონისტებად" მონათლეს თვით ბოლშევიკებმა. განსხვავებით აღნიშნულ დისკუსიაში მონაწილეებისა, ჩვენ ვხმარობთ "ქართველი ბოლშევიკებისა" და არა "ქართველი კონუნისტების" ტერმინს, ვინაიდან "ქართული კომუნისტური პარტია(და ამით ქართველი კომუნისტები)არც მაშინ არსებობდა და არც დღეს არსებობს: საქართველოს კომპარტია რუსეთის კომპარტიის ანუ საბჭოთა კავშირის კომპარტიის(რუსეთის კომპარტია ოფიციალურად არარსებობს) შემადგენელი ნაწილია და უფლებრივად გათანაბრებულია რუსეთის ცალკეული"ოლქის"თუ"მხარის" კომპარტიასთან; და ამის შედეგია ის, რომ "პოლიტ-ბიურო" პარტიისა მოსკოვშია, ხოლო საქართველოს კომპარტიას "პოლიტ-ბიურო" საერთოდ არ გააჩნია,რაც იმას ნიშნავს, რომ იგი "პოლიტიკის" შემქმნელი კი არა მისი ბრმა ამსრულებელია, რასაც ჰქონდა ადგილი,თუ გნებავთ, "ნაციონალ-უკლონისტების" საქმეშიც.

II.

კიდევ ერთი ტერმინოლოგიური საკითხი "ნაციონალ-უკლონისტებთან" დაკავშირებით: ამ"დისკუსიის" სათაურშივე დაპირისპირებულია,ასე ვთქვათ, ორი ბანაკი: "ნაციონალ -უკლონისტები", ამ დისკუსიის მონაწილეთა აზრით, იგივე "პატრიოტ-ინტერნაციონალისტებია", ე.ი."ნამდვილი ბოლშევიკებია"("ბოლშევიკი" ნიშნავს ლენინის,რუსეთის მომხრეს), ხოლო ვინ არიან "ბურჟუაზიული ნაციონალისტები?.." "ბურჟუა",როგორც ცნობილია,"მოქალაქეა","შეძლებული მოქალაქე". "ბურჟუაზია" კი "შეძლებულ მოქალაქეთა ფენაა", რომლის დროს, შეიძლება, "ფუფუნებამ" გასრყნას აღნიშნული ფენის ცალკეული წევრები. ეს საფრანგეთის ცხოვრებაში წარმოშობილი ტერმინი, ბოლშევიკებმა გაავრცელეს - ჯერ - 1917 წლის თებერვლის დემოკრატიულ რევოლუციაზე, რომელსაც "ბურჟუაზიული" უწოდეს, თუმცა სოციალ-დემოკრატები გახდნენ რუსეთის სახელმწიფო მმართველობის წამყვანი ძალა, და

- შემდეგ - ქართველმა ბოლშევიკებმა შემოიყვანეს საქართველოში და, წარმოიდგინეთ, დამოუკიდებელ საქართველოს -1918-1921 წლებში -, მიუხედავათ იმისა, რომ მისი საყრდენი ძალა, სხვა დემოკრატიულ პარტიებთან ერთად, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია იყო, -"ბურჟუაზიულ ნაციონალისტების" თუ "მენშევიკურ ბატონობად" მონათლეს!..

III.

და ამგვარი ყალბი ტერმინებით, დისკუსიის მონაწილენი, გასაგებია, მივიდენ ყალბ დასკვნამდე, რაც შეუძლებელია იწოდოს "სიმართლის დანახვად", რასაც, თუ გნებავთ, ამ, არც ისე დაფარებული, სტატიის "ჩანართებშიც" ვხედავთ; "ჩანართებშიც", რომლის ავტორია, გასაგებია, ვლადიმერ ილიას ძე ლენინი("საცოდავი ლენინი! მისი სიტყვებით ამართლებდენ სტალინიზმს და ახლა მისივე სიტყვებით ამართლებენ ანტი-სტალინიზმსაც!..). აი ლენინის ეს სიტყვები:

IV.

1."...სჯობია ეროვნულ უმცირესობათადმი დამთმობლობისა და ლმობიერების მხრივ გადავამლაშოთ, ვიდრე დავაკლოთ მარილი".
2."...და ვფიქრობ, რომ ამ შემთხვევაში, ქართველი ერის მიმართ, ჩვენ გვაქვს იმის ტიპიური მაგალითი, სადაც საქმისადმი ჭეშმარიტად პროლეტარული დამოკიდებულება მოითხოვს ჩვენგან უაღრეს სიფრთხილეს, თავაზიანობას და დამთმობლობას".
3."...არაფრად არვარგა საერთოდ ნაციონალიზმის საკითხის აბსტრაქტული დაყენება. აუცილებელია ერთმანეთისაგან განვასხვაოთ მჩაგვრელი ერის ნაციონალიზმი და ჩაგრული ერის ნაციონალიზმი, დიდი ერის ნაციონალიზმი და პატარა ერის ნაციონალიზმი".

V.

გვაკვირვებს, მეტად გვაკვირვებს, რომ აღნიშნული "დისკუსიის" მონაწილენი, ჩვენი ეროვნული ინტელიგენციის, რომ იტყვიან ხოლმე, "ნაღები" ლენინის აღნიშნულ სიტყვებს იყენებენ იმისათვის, რომ დაიცვან საქართველოს, ქართველი ხალხის ე რ ო ვ ნ უ ლ ო ბ ა, ეროვნული შეობა წარსულში და ამით დღესაც. ნუთუ ამ "დისკუსიის" მონაწილენი ვერ ხედავენ(ან არ სურთ დაინახონ), რომ ლენინი აღნიშნულ ამონაწერებშიც გამოდის მეფის რუსეთის და ამით ბოლშევიკურ რუსეთის დიდმპყრობელურ-შოვინისტურ მრწამსისაგან, როცა ლაპარაკობს არა ერების, ამ შემთხვევაში, ქართველი ერის თვითგამორკვევაზე სრულ სახელმწიფოებრივ გამოყოფამდე, არამედ თუ რამდენი ეროვნული უფლებები უნდა მიენიჭოს საბჭოთა რუსეთის მიერ, უკვე იარაღის ძალით დაპყრობილ ერებსა და ქვეყნებს, და ამით საქართველოსა და ქართველ ერს?.."დათმობა", "ლმობიერება", "პროლეტარული დამოკიდებულება", "სიფრთხილე", "თავაზიანობა", "დამთმობლობა", "მჩაგვრელი ერის ნაციონალიზმი" თუ "ჩაგრული ერის ნაციონალიზმი" ლიტონი სიტყვები არ არის, რომლითაც ლენინი რუსეთის სხვა ერებზე, ამ შემთხვევაში, ქართველ ერზე ბატონობის ფ ო რ მ ა ს ეძებს?.. ნუთუ ჩვენმა აღნიშნულმა მეცნიერებმა კარგად არ იციან, რომ შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი ა, დიახ, შეუძლებელია მოსკოვის ბატონობის ქვეშ გადაჭრილ იქნას ეროვნული საკითხი საქართველოში?.. და ეროვნული საკითხი "გადაჭრილი" და "მოგვარებული" არ იყო საქართველოში 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობისა და სუვერენობის დროს - კონსტიტუციით(ძირითადი კანონით), რომელიც მიიღო და დაამტკიცა საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ; და ეროვნული საკითხი სწორედ იმ დღიდან არ გახდა უდიდეს პრობლემად საქართველოში, როცა რუსეთის წითელმა არმიამ, ლენინის ბრძანებით, დაიპყრო დამოუკიდებელი საქართველო და საქართველოში გაბატონდენ ქართველი და რუსი ბოლშევიკები?..

VI.

და ახლა, -"გარდაქმნა-საჯაროობა-დემოკრატიზაციის" პროცესში -, ჩვენმა სახელმა, უფრო ზუსტად, ქართველმა ბოლშევიკებმა იმ მიმართულებით უნდა იმოქმედონ, რომ როგორმე ქართველი ბოლშევიკების მოქმედება "გაამართლონ" და ისიც ლენინის სიტყვებით?.. რა თქმა უნდა, ჩვენ არ ვამბობთ, რომ თითქოს ქართველ ბოლშევიკებს შორის არ იყვნენ ისეთებიც, რომლებსაც მართლაც სწამდათ, რომ ლენინი არ დაადგებოდა მეფის რუსეთის იმპერიულ პოლიტიკას და დამოუკიდებელი საქართველოს დაპყრობის შემდეგაც, ე.ი. 1921 წლის 25 თებერვლის შემდეგაც, საქართველო დარჩებოდა დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო, ე.ი. მოხდებოდა, ასე ვთქვათ, დემოკრატიული მთავრობის შეცვლა ბოლშევიკური დიქტატორული მთავრობით!.. მაგრამ ნუთუ ასეთი პოლიტიკური გულუბრყვილობა(თუ სიბეცე) როგორ შეიძლება გაამართლეს საერთოდ ადამიანს?.. ამიტომაა, რომ ქართველი ბოლშე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიკები პაცონებს "გულუბრყვილო" მეზღვაურებს, რომლებმაც მტრის(რუსეთის) სამხედრო გემის ცეცხლით ჩაძირეს "საქართველოს, ქართველი ერის დედა-გემი" და შემდეგ შეევადენ, ლენინის წყალობით, მის "გადარჩენას"; და ქართველი ბოლშევიკების ამგვარი მოქმედება ყოფილა "პატრიოტ-ინტერნაციონალურობა"!?..

VII.

მაგრამ შევეხოთ ამ სტატიის ზოგიერთ ასპექტს: ვინ იყვნენ მართლა ეს "ნაციონალ-უკლონისტები?.." როგორც აქ ვკითხულობთ, ბოლშევიკთა ამ ჯგუფში იყვნენ ბუდუ მდივანი, მიხეილ ოკუჯავა, ს.ქავთარაძე, ლ.დუმბაძე, კ.ცინცაძე და სხვები, - ყველა საქართველოს კომპარტიის ცეკას პრეზიდიუმის წევრები. და ამ სტატიაში აღწერილია, ასე ვთქვათ, ბრძოლა - ერთი მხრივ - საქართველოს კომპარტიის აღნიშნულ ხელმძღვანელებსა და - მეორე მხრივ - ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ხელმძღვანელთა შორის, რომლის დროს, ორივე მხრიდან, ბრძოლა ქართველ ბოლშევიკებს შორის ხდება, ამა თუ იმ საკითხზე, და ლენინი"მოსამართლეა", რომელიც თითქოს ბუდუ მდივანის ჯგუფს უთანაუგრძნობს, სინამდვილეში კი, ფაქტიურად, არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა თუ რომელი ჯგუფი გაიმარჯვებდა "ლენინის მომხრეები" თუ "სტალინის მომხრეები", ვინაიდან ორივე "ერთიანი და განუყოფელი" რუსეთის იმპერიის მიზანდასახულობიდან გამომდინარეობდნენ, თუმცა ამგვარი ფაქტიური მდგომარეობის გამართლება "ინტერნაციონალიზმის","ერთა თანასწორუფლებიანობის" ნიღბით და იდეოლოგიური სარჩულით წარმოებდა.

VIII.

ავიღოთ, მაგალითად, ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის საკითხი: აქ გამოქვეყნებული მასალების მიხედვით, თითქოს საქართველოსათვის,სახელმწიფოებრივად, დიდი მიღწევა იქნებოდა თუ იგი "პირდაპირ" შევიდოდა საბჭოთა კავშირში, როგორც ერთერთი მოკავშირე რესპუბლიკა, ე.ი.კავკასიის ფედერაციის შექმნის გარეშე. მაგრამ ლენინიც, მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირი

1922 წლის 30 დეკემბერს შეიქმნა, რომელშიც შედიოდა რუსეთის ფედერაცია, უკრაინა, ბელორუსია და ამიერკავკასიის ფედერაცია, ე.ი.შეიქმნა იმ დროს, როცა ლენინი ჯერ კიდევ"დაავადმყოფებული"არ იყო, რასაც ისტორიკოსები არა ერთხელ "პოლიტიკურ-მოსაბოდიშებლად" იყენებენ. - ამიერკავკასიის ფედერაცია შექმნა მან მიზანშეწონილად ჩათვალა. და იცით რატომ?.. - იმიტომ, რომ დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ე ლ ი ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ე ბ რ ი ო ბ ი ს ყოველგვარი ნიშანწყალი აღმოეფხვრა სომხეთში, აზერბაიჯანში და განსაკუთრებით საქართველოში, ვინაიდან საქართველო, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტი, უკვე გამოსული იყო საერთაშორისო ასპარეზზე და დიპლომატიური ურთიერთობა ჰქონდა მსოფლიოს ოცზე მეტ წამყვან სახელმწიფოებთან თვით საბჭოთა რუსეთის ჩათვლით საქართველოს დედაქალაქში,თბილისში, მაშინ მსოფლიოს დიდი სახელმწიფოების საელჩოები თუ საკონსულოები იყო, რის აღგვა პირისაგან მიწისა სწორედ ამიერ კავკასიის ფედერაციის შექმნით შეიძლებოდა, რომლითაც ბოლო ედებოდა საქართველოს სახელმწიფოებრიობას, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტს. ესაა იმის მიზეზი, რომ ლენინმა და სტალინმა შექმნეს ამიერკავკასიის ფედერაცია, რომლის არსებობა 1937 წლამდე გაგრძელდა, - და არა რაღაც ბრძოლა "ფედერალისტებს"(ლენინს) და "ავტონომისტებს"(სტალინს) შორის.

IX.

სხვათა შორის, ლენინის "თანასწორუფლებიან რესპუბლიკათა" ფედერაცია უფრო მაკიაველური მანევრია, ვიდრე სტალინის "ავტონომიზაცია": სტალინს სურდა რუსეთის საბჭოთა იმპერია შექმნილიყო იმპერიული წესითა და რიგით,ე.ი. ყველა რესპუბლიკა პ ი რ დ ა პ ი რ შესულიყო რუსეთის ფედერაციაში. სტალინის ამგვარი ეროვნული პოლიტიკა, რა თქმა უნდა, უფრო "გულწრფელია", ვინაიდან იგი,დღესაც, საბჭოთა კავშირის ნამდვილი,ფაქტიური ვითარების გამომხატველია. რაც შეეხება ლენინის "თანასწორუფლებიან რესპუბლიკათა" საბჭოთა კავშირს, ეს თვალთმაქცობა იყო ლენინის დროსაც და თვალთმაქცობაა დღესაც, ვინაიდან არავითარი თ ა ნ ა ს წ ო რ უ ფ ლ ე ბ ი ა ნ ო ბ ა არ არსებობს, ვთქვათ, რუსეთის ფედერაციასა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკებს შორის. პირიქით, რუსეთი, რუსები გაბატონებულია საბჭოთა კავშირის სახელმწიფოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში - ეკონომიკაში, კულტურაში,სოციალურ ცხოვრებაში, ხოლო საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ ცხოვრებაში მოკავშირე რესპუბლიკებს მხოლოდ მოსკოვის ბრძანებებისასრულების მოვალეობა აწევს კისერზე, როგორც ეს იყო ლენინისა და სტალინის დროსაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## X.

"მართლაც, - ამბობს გრიგოლ ყვანია - უკლონისტებად წოდებულთა წინააღმდეგ შეტევამ პარტიის XII ყრილობაზე(ლაპარაკია საბჭოთა კავშირის კომპარტიის XII ყრილობის შესახებ. კ.ი.) ყოველგვარ საზღვარს გადააჭარბა: ყრილობის რამდენიმე სხდომაზე გრძელდებოდა უთანასწორო ბრძოლა-ერთის მხრივ,- სტალინს, ორჯონიკიძეს, ენუქიძეს, ორახელაშვილს, ელიავას და-მეორეს მხრივ-მახარაძეს მდივანსა და ქავთარაძეს შორის." "'მეთორმეტე ყრილობიდან ისინი...დაბრუნდნენ ტყავგამძვრალნი' - ასე დაახასიათა ორჯონიკიძემ მის მიერ ნაციონალ-უკლონისტებად მონათლულთა მდგომარეობა მეთორმეტე ყრილობაზეო", - და აქაც ავტორი მიმართავს ისევ "დეუს ექს მახინა-ს" ხერხს: ლენინი რომ ავად არ ყოფილიყო და ყრილობას დასწრებოდა, თითქოს, მაშინ საქმე "ასე არ გამძაფრდებოდა"! გასაკვირია!.. ლენინი თუ დამოუკიდებელი საქართველოს დაპყრობის წინააღმდეგი იყო და დაპყრობის შემდეგაც საქართველოს, ქართველი ერის ეროვნული ინტერესების დამცველის როლში გამოდიოდა, როგორც ამას ასახავენ (არა მარტო) ამ სტატიის ავტორები,-მაშინ ამ მიზნის განხორციელებისათვის ვითომ ლენინს არ შეეძლო, როგორც საბჭოთა რუსეთის მთავრობის თავმჯდომარეს, ხუთი მხრიდან არ დასხმოდა წითელი არმიის ნაწილებით დამოუკიდებელ საქართველოს?.. და საქართველოს დაპყრობის შემდეგაც არ შეეძლო მას რუსის ჯარი გაეყვანა საქართველოდან, როგორც ახლა გორბაჩოვმა გაიყვანა რუსის ჯარი ავღანეთიდან?.. და თუ რუსის ჯარი დღესაც დატოვებს საქართველოს ტერიტორიას, განა ეროვნული საკითხიც თავისთავად გადაწყვეტილი არ იქნება ისე, როგორც ეს სურს ქართველ ხალხს?.. ვითომ აღნიშნულ XII ყრილობაზე რომ მახარაძე-მდივან-ქავთარაძის ჯგუფს გაემარჯვა, - რაიმე არსებითი ცვლილება მოჰყვებოდა ამას საქართველოს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში?.. აკი, ქართველთა ეს ორივე ჯგუფი რუსეთის იმპერიის ერთგულები იყვნენ და დარჩნენ, მიუხედავად არსებული აზრთა სხვაობისა ამა თუ იმ საკითხში?..

## XI.

ავიღოთ, მაგალითად,"ე.წ-ი კორდონების დაწესების ანუ საზღვრების ჩაკეტვის საკითხი..." რომ შეჩერებული ყოფილიყო საქართველოს ისედაც "ჭრელი" მოსახლეობის კიდევ უფრო "გაჭრელება" არაქართველებისათვის საზღვრის გახსნით. სანამდე საქართველო დამოუკიდებელი და სუვერენული დემოკრატიული რესპუბლიკა იყო, ე.ი. 1921 წლის თებერვალ-მარტამდე, საქართველო ქართველი ხალხის ნებასურვილით მოქმედებდა და ყველა პრობლემა თვით უცხო ლტოლვილთა მიღება საქართველოში არსებული კანონების შესაბამისად ხდებოდა. მაგრამ - დაიპყრო რა დამოუკიდებელი საქართველო რუსეთმა - ლენინის მთავრობა დაადგა მეფის რუსეთის იმპერიული, რუსიფიკატორული პოლიტიკურ გზას, რის ერთერთი მთავარი ბასრი იარაღი იყო საქართველოში არაქართველთა ჩამოსახლება, რომ საქართველოში ქართველობა უმცირესობაში მოექცეს. მეფის რუსეთის ამგვარი პოლიტიკა ცნობილი იყო და ქართველი ხალხი ყოველი ძალით იბრძოდა ამგვარი დიდმპყრობელური პოლიტიკის წინააღმდეგ. და როცა საბჭოთა რუსეთიც ამავე გზას დაადგა, მან მოხერხებულად გამოიყენა თათარ-სომეხთა შორის ეროვნული შუღლი, რომელიც ზოგჯერ ჟლეტამდეც მიდიოდა, და საბჭოთა საქართველოს მოთხოვა საზღვრების გახსნა ლტოლვილების თუ საქართველოში დამსახლებლებისათვის.

## XII.

მაგალითად, "...საქართველოს ცენტრალურმა საევაკუაციო სამმართველომ - ამბობს ლევან თოიძე - 1922 წლის 16 იანვარს თხოვნით მიმართა რსფსრ ცენტრალურ საევაკუაციო სამმართველოს, რომ შეეჩერებინა ლტოლვილთა მოძრაობა ჩრდილო კავკასიიდან, აგრეთვე, უკან დაებრუნებინათ ის ლტოლვილებიც, რომლებმაც მოასწრეს საქართველოში შემოსვლა. მიუხედავად საევაკუაციო სამმართველოს მიმართვისა, ლტოლვილებს არავინ აფერხებდა..." "...აზერბაიჯანმა და სომხეთმა მალე შესწყვიტეს ლტოლვილთა მიღება...და ყოველივე ეს ხდება მაშინ, როცა ჩრდილო კავკასიაში მყოფი 150 ათასი ლტოლვილი სომეხი ამიერკავკასიაში შემოსვლას ცდილობს . რა გამოვიდა? აზერბაიჯანმა და სომხეთმა უარი განაცხადეს ლტოლვილთა მიღებაზე, საქართველომ კი უნდა განაგრძოს მათი მიღება.. ბათუმში მყოფ ლტოლვილ სომხებს კი ახალციხეში ჩასახლების უფლება მისცეს". "აი, ასეთ მდგომარეობაში იქნა მიღებული ის დადგენილება, - ამბობს შემდეგ ლევან თოიძე - ...რომლის ძალითაც ჩაიკეტა(უფრო სწორად უნდა ჩაეკეტათ, მაგრამ უსახსრობისა და ზოგიერთი სხვა მიზეზების გამო ვერ განახორციელეს) საქართველოს საზღვრები ლტოლვილებისათვის. ეს დადგენილება მიიღეს 1922 წლის 31 მარტს..." "...სომხეთი და აზერბაიჯანი ზემოთ აღნიშნული დადგენილებე-

ბისათვის არასოდეს გაუკრიტიკებიათ, საქართველო კი გაკიცხვის ობიექტად იქ-ვა", - დასძენს ლევან თოიძე.

XIII.

აქაც ვერ ამბობს "ადვილად დასანახ სიმართლეს" ავტორი, სახელდობრ იმიტომ, რომ "ვარდაქმნა-საჯაროობა-დემოკრატიზაცია",-ეს მიხეილ გორბაჩოვისეული "სამება", - ისე შორის არ მიდის,თუ ისე შორს არ შეიძლება წავიდეს, რომ თვით რუსეთის იმპერია - საბჭოთა კავშირი - კითხვის ქვეშ დააყენოს!.. ამ შემთხვევაში, ე.ი. რუსეთის საბჭოთა იმპერიის კითხვის ქვეშ დაყენების შემ-თხვევაში, - ნათელი გახდება თუ რატომ მოსკოვს არასოდეს არ გაუკრიტი-კებია სომხეთი და აზერბაიჯანი უცხოელთა მიღების შეწყვეტის გამო ამ ორ ქვეყანაში, ხოლო საქართველო, ისეთივე მოქმედების,"თეორიული"მოქმედების გამო - ვინაიდან პრაქტიკულად უცხოელების მიღება საქართველოში არასოდეს არ შეწყვეტილა - "დიდმპყრობელ-შოვინისტურ" ქვეყნად მონათლეს ლენინმა და მისმა ერთგულმა ქართველმა ბოლშევიკებმა. ცნობილია მეფის რუსეთის კავ-კასიის გამგებლის ლოზუნგი - თუ არ იარსებებს"საქართველოს საკითხი", არ იარსებებს არც "კავკასიის საკითხი", ე.ი. რუსეთი - თეთრი იყო იგი თუ წითელი - ყოველთვის ცდილობდა და დღესაც ცდილობს "საქართველოს საკითხის" მოსპობას, რომ ამ გზით მოსპოს "კავკასიის საკითხიც"."საქართველოს საკით-ხის" მოსპობის ყველაზე უფრო ეფექტურ გზად "დიდმპყრობელ-შოვინისტებმა" მიიჩნიეს საქართველოში ქართველი ერის უმცირესობაში მოქცევა, რის განსა-ხორციელებლად ყველაზე ეფექტური საშუალება იყო და არის არაქართველთა ჩასა-ხლება საქართველოში. და ამ-მხრივ, ჩვენდა საუბედუროთ, ჩვენმა მეზობელმა ერებმაც ვერ გამოიჩინეს "სიფხიზლე": სომხები, თურქეთის ნამდვილი თუ მომი-ზეზებული შიშით, რუსეთზე"ლოცულობს", აზერბაიჯანი კი თურქეთისაკენ მიილ-ტვის. საქართველო იყო და რჩება, ჩვენდა საუბედუროთ, ერთადერთი ქვეყანა, რომელიც ცდილობდა და ცდილობს "ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს". და არა-ვითარ ხერხს, არავითარ შესაძლებლობას არ უშვებდა და არ უშვებს მოსკოვი ხელიდან, რომ საქართველოს, ქართველი ხალხის დამოუკიდებელი სახელმწიფოებ-რიობისაკენ მისწრაფება გასტეხოს და,თუ შესაძლებელია, სრულიად მოსპოს.

XIV.

და საბჭოთა რუსეთის ლენინური იმპერიალისტების ამგვარი პოლიტიკის სამსახურ-ში ჩადგენ ქართველი ბოლშევიკები. - შეგნებულად თუ შეუგნებლად - ეს არ არი არსებითი; არსებითია, რომ ქართველმა ბოლშევიკებმა საქართველოში და თვით რუსეთში დიდი როლი ითამაშეს რუსეთის წითელი იმპერიის შექმნაში,რომელიც უკვე ვლადივოსტოკიდან ბერლინამდეა გადაჭიმული, და მთელ მსოფლიოს გადაყლა-პვით ემუქრება.

XV.

მაგრამ ქართველი ბოლშევიკები, რომლებმაც,თვით სტალინის ჩათვლით, დიდი რო-ლი ითამაშეს საქართველოს დამოუკიდებლობის მოსპობასა და ჩვენი სამშობლოს ისევ რუსეთის,ამჯერად,"წითელი იმპერიის პროვინციათ გადაქცევაში, - როგორც ჩანს,-"გულუბრყვილოები" იყვნენ, სულ ცოტა, ზოგიერთები მათგანი მაინც: შეიძლება დავიჯეროთ, რომ მათ სჯეროდათ ლენინის რუსეთი ჯერ დაიპყრობდა და-მოუკიდებელ საქართველოს,-რითაც დაარღვია საბჭოთა რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის საზავო ხელშეკრულება, რომლითაც მოსკოვმა იცნო საქართველოს დამოუკიდებლობა და სუვერენობა, - და შემდეგ, საბჭოთა რუსეთის წითელი არ-მია დატოვებდა საქართველოს ტერიტორიას?!.. დამოუკიდებელი საქართველოს მთა-ვრობა, ნოე ჟორდანიას მეთაურობით, აღნიშნული საზავო ხელშეკრულების საფუძვე-ლზე ხომ კეთილმეზობლურ დამოკიდებულებაში იყო საბჭოთა რუსეთთან; და თუ რუ-სეთს მხოლოდ კეთილმეზობლური დამოკიდებულების შენარჩუნება სურდა საქართვე-ლოსთან, მაშინ რა საჭიროებას წარმოადგენდა საქართველო-რუსეთის 1921 წლის თებერვალ-მარტის ომი, რომელმაც დიდი მსხვერპლი გამოიწვია ორივე მხარეზე?..

XVI.

თუ ქართველი "გულუბრყვილო" ბოლშევიკები ც მიხვდნენ, რომ ე.წ-ლი "საბჭოთა ხელისუფლების დამყარება" საქართველოში,წითელი არმიის იარაღის ძალით, სხვა არაფერი არ იყო თუ არა საქართველოს დამოუკიდებლობის მოსპობა,ამ-ჯერად, წი-თელი რუსეთის მიერ?!.. და, "შეიგნეს" რა მოსკოვის ლენინური ეროვნული პოლი-ტიკის ამგვარი მაქიაველური რაობა, "გამოფხიზლდნენ" და წინააღმდეგობის გაწე-ვას შეეცადნენ, რომ საქართველო არ შესულიყო საბჭოთა კავშირში, ე.ი. დარჩე-ნილიყო ბოლშევიკური,მაგრამ - ასე თუ ისე - დამოუკიდებელი სახელმწიფო?!..

ნუთუ ასეთი "ბლაპარი" სწამლათ ქართველ "ნაციონალ-უკლონისტებს", ე.ი.ქართველ ბოლშევიკებს ბუდუ მდივანის მეთაურობით?..

XVII.

და ამით მივედით უკვე აღნიშნული "დისკუსიის" დროს დასმულ საკითხთან: "ვინ იყვნენ ბუდუ მდივნის ჯგუფის წევრები - ნაციონალ-უკლონისტები, ბურჟუაზიული ნაციონალისტები თუ პატრიოტ-ინტერნაციონალისტები?.." ამ კითხვაზე ნაწილობრივ პასუხს იძლევა თვით ტერმინი "ნაციონალ-უკლონიზმი", ე.ი."ეროვნული-გადახრა".

"ნაციონალ-უკლონისტებმა",ე.ი."ეროვნული-გადამხრელებმა"მაშინ გაიგეს მეფის რუსეთისა და საბჭოთა რუსეთის "დიდმპყრობელურ-შოვინისტური" პოლიტიკა როცა ლენინი და მისი მომხრეები საქართველოში გაბატონდნენ, რაც - თავის მხრივ - იმას მოწმობს, რომ "ეროვნულ-გადამხრელებმა" პოლიტიკურად დიდი, დიდი და უპატიებელი შეცდომა ჩაიდინეს, ჩასცეს რა ზურგში ხანჯალი მათ მშობელ ქვეყანას, ერს დამოუკიდებელ საქართველოსა და ქართველ ერს, და ამით, სამართლიანად, დაიმსახურეს ქართველი ხალხის მოღალატეობის სამარცხვინო სახელი.

XVIII.

ამდენად, - საბჭოთა სრულიად შეუსაბამო ტერმინებიც რომ ვისმაროთ - "ქართველი-გადამხრელები" არც "ბურჟუაზიული ნაციონალისტები" და არც "პატრიოტ-ინტერნაციონალისტები" არ ყოფილან თუ მათი მოქმედების არედ საქართველოს მივიჩნევთ. "ნაციონალ-უკლონისტებმა" ისეთი მიუტევებელი დანაშაული ჩაიდინეს საქართველოს, ქართველი ხალხის წინაშე, რომ საქართველომ არა მარტო დაკარგა ხუთასი წლის, დიახ თითქმის ხუთასი წლის შემდეგ მოპოვებული ეროვნული დამოუკიდებლობა და სუვერენობა, არამედ საქართველოს ისტორიული ტერიტორიის თითქმის ერთი-მეოთხედი. ეს ვაჟბატონები - ორჯონიკიძე,მდივანი,მახარაძე თუ ოკუჯავა - ისე არიგებდენ დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიულ ტერიტორიას დამოუკიდებელი საქართველოს დაპყრობის შემდეგ, რომ საქართველოს სახელმწიფო ტერიტორიის სულ 91.110 კვადრატულ კილომეტრიდან-საბჭოთა საქართველოს მხოლოდ 69.700 კვადრატული კილომეტრი შერჩა. და თვით ბუდუ მდივანი, როგორც ამბობდენ ხოლმე მაშინ, - ლაპარაკობდა საბჭოთა საქართველოს ტერიტორიებს ისე ვარიგებდი, რომ ხელშეკრულებებს არც კი ვკითხულობდიო. და ესაა "პატრიოტ-ინტერნაციონალისტობა?.." და თვით საბჭოთა რუსეთმაც რომ მიიკუთვნა საქართველოს ისტორიული ტერიტორიის ერთი მხარე - სოჭი და მისი რაიონი - ესეც "პატრიოტ-ინტერნაციონალისტობა" თუ "დიდმპყრობელური-შოვინისტური", რუსული იმპერიული პოლიტიკაა?..

XIX.

და აქ მაგონდება ლენინის ვითომდა "გზის მაჩვენებელი" აზრი "დიდმპყრობელ-შოვინისტების" შესახებ, რომელიც ამ ვრცელ სტატიაშიც არის მოყვანილი: "ველიკორუსულ შოვინიზმს ვუცხადებ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას. როგორც კი განვთავისუფლდები ამ წყეული კბილისაგან, ჩემივე საღი კბილებით დავღეჭ მას".

XX.

უნდა ითქვას, რომ მართლაც "ლამაზი სიტყვებია", მაგრამ - როგორც ჩანს - ამ სიტყვების დედა-აზრსაც ვერ უფიქრდებოდნენ ან არ უფიქრდებოდნენ ქართველი ბოლშევიკები: ლენინი "სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას" უცხადებს არა რუსეთის იმპერიალიზმს, ე.ი.რუსი ერისაგან სხვა მეზობელი ერის დაპყრობას, არამედ სურს, რომ სხვა, არარუსი ერის დაპყრობა განხორციელდეს "შესმატკბილებულად" დაპყრობილი ერისათვის "მისაღებად", რითაც ნათელი ხდება ლენინის აღნიშნული აზრის წინააღმდეგობითი ხასიათი: თუ ლენინს მართლა სურდა "სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა" ეწარმოებია "ველიკორუსული შოვინიზმის" წინააღმდეგ, ამისათვის არსებობდა და დღესაც არსებობს მხოლოდ ერთადერთი გზა: რუსეთმა გაიყვანოს თავისი საოკუპაციო ჯარები დაპყრობილ ქვეყნებიდან, ჩვენს შემთხვევაში, საქართველოდან, და ამით, გასაგებია, ბოლო მოეღება ყოველი ჯურის "ველიკორუსულ შოვინიზმსაც", ვინაიდან დამოუკიდებელი და სუვერენული საქართველო თავის სახელმწიფოებრივ ყოფა-ცხოვრებას მოაწყობდა ისე, როგორც ეს სურს ქართველ ხალხს. და რას აკეთებდა და რას აკეთებენ თვით ლენინი და მისი მომხრე ქართველი ბოლშევიკები აღნიშნული სამართლიანი და ერთადერთი სწორი ალტერნატივის წამოყენების სამაგიეროდ?.. აკეთებენ და აკეთებდნენ იმას, რომ თითქოს რუსეთის ბატონობა არარუს ერებზე - ეს არის საკითხი, რომელზედაც აზრის გამოთქმაც არ შეიძლება თუ ვინმე კითხვის ქვეშ დააყენებს რუსეთის ბატონობას სხვა ერებზე. ესაა "საჯაროობა?.."ესაა "გარდაქმნა?..",ესაა "დემოკრატიზაცია?.."

XXI.

"ბოლშევიზმი"და"მენშევიზმი", გვსურს აღვნიშნოთ და-ბოლოს, - წმინდა წყლის რუსული მოვლენაა, რომელსაც საქართველოში არავითარი საფუძველი არ ჰქონია, არც საქართველოს სოციალდემოკრატიულ პარტიაში ანუ,უფრო ზუსტად, "მესამე დასში", რომელიც 1893 წელს, ე.ი.რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიის" დაარსებამდე ხუთი წლით ადრე ჩამოყალიბდა, და რომლის სამოქმედო პროგრამის დედა-აზრი იყო, როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, - "ნივთიერი კეთილდღეობა როგორც დედა-ბოძი ადამიანის ცხოვრებისა. თავისუფლება მთელი ერისა და თვითეული პიროვნებისა". ამდენად, ქართველი ბოლშევიკები იყო და დარჩა ლენინის "მეხუთე კოლონა" საქართველოში, და ახლაც აფასებდა ქართველი ბოლშევიკების მოქმედებას დამოუკიდებელი საქართველოს ხალხი და დემოკრატიული გზით არჩეული მთავრობა ნოე ჟორდანიას მეთაურობით.

XXII.

და როცა 1921 წლის 11 თებერვალს საბჭოთა რუსეთის წითელი არმიის ნაწილები, ომის გამოუცხადებლად, თავს დაესხა დამოუკიდებელ საქართველოს და საბჭოთა რუსეთის ჯარებს წინ მოუძღოდენ ქართველი ბოლშევიკები, დამოუკიდებელი საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ, სხვათა შორის, მიიღო ასეთი დადგენილება:
"სამშობლოს მოღალატეების შესახებ.

დამფუძნებელმა კრებამ 21 თებერვალს საღამოს სხდომაზე გამოიტანა შემდეგი დადგენილება:
'იღებს რა მხედველობაში, რომ საქართველოზე თავდასხმაში მონაწილეობას იღებენ ქართველი ხალხის ულირსნი შვილნი, დამფუძნებელი კრება ადგენს: ყველა ქართველები, რომლებიც უშუალო მონაწილეობას იღებენ შეიარაღებულ ბრძოლაში საქართველოს წინააღმდეგ ან დახმარებას უწევენ ამ ბრძოლას, გამოცხადებული არიან ქართველი ხალხის მოღალატეებათ. მათ ერთმევათ ყოველივე ქონება და კანონს გარეშე არიან გამოცხადებულნი. ამ დადგენილების სისრულეში მოყვანა ევალება მთავრობას".

XXIII.

ნუთუ ყველაფერი ეს არ იციან საქართველოს კომპარტიის ცეკასთან არსებული პარტიის ინსტიტუტში გამართული სამდღიანი დისკუსიის მონაწილეებმა?.. - რა თქმა უნდა, იციან. მაგრამ მათ "ისტორიის გადასახედიდან" "სიმართლის დანახვა" მხოლოდდამხოლოდ იმდენად შეუძლიათ, რამდენადაც ამის უფლებას იძლევა მოსკოვი, ამ შემთხვევაში, მოსკოვიდან ნაბრძანები "გარდაქმნა-საჯაროობა-დემოკრატიზაცია". შეუძლებელია, რომ ჩვენმა ისტორიკოსებმა და,საერთოდ, ხალხმა არ იცოდეს, რომ ლენინმა თუ სტალინმა თავიანთი როლი ითამაშეს რუსეთის იმპერიის შექმნაში; და განა ჩვენ, ქართველებმა ლენინ-სტალინის თუ გორბაჩოვის რუსული იმპერიული თვალსაზრისით უნდა განვიხილოთ ჩვენი ხალხის და ამით საქართველოს წარსული, აწმყო და მომავალი?.. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და სუვერენობის ალტერნატივა არ არსებობს. და ვინც საქართველოზე რუსეთის ბატონობას აძლევს უპირატესობას, ვიდრე, ვთქვათ, თურქეთის ბატონობას: ორივე საზრდოობენ მონური, "გადმოგდებული" პურით, ვინაიდან არ არსებობს "კარგი" და "ცუდი" მონათმფლობელი თუ ჩვენ გვსურს - და ჩვენ გვსურს ეს,უდავოა, - ჩვენი ეროვნული მეობის შესარჩუნება.

XXIV.

და ქართველი ბოლშევიკების,"ნაციონალ-უკლონისტების" ჩათვლით, მიუტევებელი დანაშაული სწორედ ის არის, რომ მათ ვერ შეიგნეს, ან, არ სურდათ შეეგნოთ, რომ დამოუკიდებელი და სუვერენული, გაერთიანებული და განუყოფელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისათვის მათ სანჯალი არ უნდა ჩაეცათ ზურგში, და ამით მოესპოთ გაერთიანებული და განუყოფელი საქართველოს სახელმწიფო, რომელიც გამოსული იყო საერთაშორისო ასპარეზზე. აი, ასე გამოიყურება არა მარტო "ნაციონალ-უკლონისტების",არამედ ყველა ქართველი ბოლშევიკის "სწორი" შეფასება; და არა ისე, როგორც ეს ითქვა "სამდღიან დისკუსიაზე",თბილისში, 1988 წლის მაისში, და რის შეჯამება გამოქვეყნებულ იქნება, როგორც გაზეთი წერს, "ნარკვევების" ახალ გამოცემაში.

XXV.

ვითომ ქართველი ბოლშევიკების მოქმედებას საქართველოს, ქართველი ერის დამოუკიდებლობისა და სუვერენობის წინააღმდეგ არ შეესაბამება ქართული ხალხური სიბრძნე -"არ გათეთრდება ყორანი, რაც უნდა ხეხო ქვიშითა?!.."

კარლო ინასარიძე
1988 წლის სექტემბერი, პარიზი

## ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი

### პირველი დემოკრატიული არჩევნების 70 წლისთავი

I.

1989 წლის თებერვალში შესრულდა 70 წელი პირველი (და, ჯერჯერობით, უკანასკნელი) დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი არჩევნების დღიდან, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე იმ მხრივაც, რომ პირველად, ქართველი ერის ისტორიაში, - საქართველოს მონარქიული სახელმწიფოებრივი სისტემა შეცვლილ იქნა რ ე ს - პ უ ბ ლ ი კ უ რ ი სისტემით - გამოცხადებულ იქნა რა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა და სუვერენობა 1918 წლის 26 მაისს.

II.

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის მეხუთე მუხლი კი განსაზღვრავს: "საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველჰყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალ მდგომარეობისა და სქესისა".

III.

აქ, ამჯერად, არსებითია "დამოუკიდებლობის აქტის" ის დებულება, რომ მასში უზრუნველყოფილია სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები "განურჩევლად...სქესისა", რაც, პრაქტიკულად, იმას ნიშნავს, რომ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ქალების პასიური და აქტიური საარჩევნო უფლებები აღიარებულ იქნა 1918 წლის 26 მაისს ოფიციალურად, საქართველოს დამოუკიდებლობისა და სუვერენობის ისევ-აღდგენისას.

IV.

ქალისა და კაცი აქტიური და პასიური საარჩევნო უფლებების ოფიციალური აღიარება კი 1918 წლის 26 მაისს - იყო დიდი, დიდი პროგრესიული მოვლენა არა მარტო საქართველოს მასშტაბით; თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიოში, ყველა სახელმწიფოზე უფრო ადრე, ქალების საარჩევნო უფლებები აღიარა -

ფინეთმა - 1906 წელს, თუმცა ფინეთი რუსეთის "მფარველობის" ქვეშ იყო.

ნორვეგიამ - 1913 წელს აღიარა ქალების საარჩევნო უფლებები;

ისლანდიამ - 1915 წელს;

საბჭოთა რუსეთმა - 1917 წელს; თუმცა დემოკრატიული არჩევნები აღკვეთილია.

გერმანიამ - 1918 წელს;

საქართველომ - 1918 წელს, რამდენიმე თვით ადრე გერმანიასთან შედარებით;

ამერიკის შშ - 1920 წელს;

საფრანგეთმა - 1944 წელს;

ბრიტანეთმა - 1928 წელს;

იაპონიამ - 1945 წელს;

იტალიამ - 1945 წელს;

და, მსოფლიოს მრავალ სახელმწიფომ ქალების საარჩევნო უფლებები ოფიციალურად მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აღიარა; და დღესაც არსებობს არაერთი სახელმწიფო, რომლებიც ქალების საარჩევნო უფლებებს უგულებელჰყოფენ, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ისეთი მოწინავე ინდუსტრიული და დემოკრატიული სახელმწიფო როგორიცაა შვეიცარია.

V.

და საამაყოა, რომ საქართველოს ისევ-აღმდგარი დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო, დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე ჩადგა, მსოფლიო მოწინავე სახელმწიფოების რიგებში ქალისა და კაცის თანასწორუფლებიანობის საკითხშიც. და ასეთი დიდი ისტორიული მოვლენაა 1919 წლის თებერვლის საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნები, რომლის შესახებ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) შესავალში ვკითხულობთ:

VI.

"საქართველოს დამფუძნებელი კრება, - არჩეული პირდაპირი, თანასწორი, საყოველთაო, ფარული და პროპორციული საარჩევნო სისტემით ორივე სქესის მოქალაქეთა მიერ, - თავის პირველსავე სხდომაზე, 1919 წელს, მარტის 12-ს, ქვეყნისა და ისტორიის წინაშე აღიარებს, რომ ის სავსებით იღებს და ადასტურებს საქართველოს ეროვნულ საბჭოს მიერ 1918 წლის მაისის 26-ს, ნაშუადღევის 5 საა-

თსა და 10 წუთს ტფილისში გამოცხადებულ საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ აქტს:", და აქ მოყვანილია საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის სრული ტექსტი და შემდეგ, გასაგებია, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის სრული ტექსტი.

VII.

საქართველოს დამფუძნებელი კრების 1919 წლის თებერვლის არჩევნებში კი მონაწილეობას ღებულობდა 12-ი პოლიტიკური პარტია და დაჯგუფება, რომელთაგან ამომრჩევლებმა,საქართველოს დამფუძნებელი კრების სულ 130-ი დეპუტატად - ო თ ხ ი პარტიის დეპუტატობის კანდიდატები აირჩია:

1.საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიიდან - 109 დეპუტატი;
2.საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან - 8 დეპუტატი;
3.საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიიდან - 8 დეპუტატი;
4.საქართველოს სოციალ-რევოლუციური პარტიიდან - 5 დეპუტატი.

VIII.

სამწუხაროთ, - ესეც უნდა აღინიშნოს, - საქართველოს დამფუძნებელ კრებაში არც ერთი ქალი არ ყოფილა არც კანდიდატათ წამოყენებული და არც დეპუტატად არჩეული, რაც, გასაგებია, დიდი ნაკლია, თუმცა ისიც გასაგებია, რომ "ყველაფრის" ხელის ერთი მოსმით განხორციელება, ე.ი. ქალების აქტიური და პასიური საარჩევნო უფლებების განხორციელება განსაზღვრულ დროს მოითხოვდა, რადგან საამისო მოსამზადებელ მუშაობისათვის საკმარისი დრო არ იყო. დამფუძნებელი კრების მომდევნო არჩევნები კი, და ამით თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი არჩევნები საქართველოში - ვერ ჩატარდა, ვინაიდან 1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთმა, იარაღის ძალით, დაიპყრო დამოუკიდებელი საქართველო, და ამით მოსპო დემოკრატიული არჩევნების ჩატარების ყოველი საშუალება, - დაამყარა რა საქართველოში ბოლშევიკური ერთპარტიული დიქტატურა, რაც გრძელდება დღემდე.

IX.

ამდენად, ავღნიშნავთ რა დამოუკიდებელ საქართველოში პირველი დემოკრატიული არჩევნების ჩატარების 70-ე წლისთავს, ვიმედოვნებთ, რომ ქართველი ხალხი ისევ აღადგენს საქართველოს დამოუკიდებლობასა და სუვერენობას, და, 1918 წლის 26-ი მაისის დიადი იდეების ცხოვრებაში გატარებით,ისევ შეიქმნება ნამდვილი დემოკრატიული არჩევნების ჩატარების პირობები საქართველოში.

X.

ვითომ ერთი ნაბიჯია წინ ამ მიმართულებით გორბაჩოვისეული "გარდაქმნა-საჯაროობა-დემოკრატიზაცია", რომლის შესაბამისად ჩატარდა, ამ ჯერად, 1989 წლის 26 მარტს, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს "სახალხო დეპუტატების" არჩევნები, რომლის დროს ერთი ასარჩევი დეპუტატის კანდიდატებათ წამოყენებულ იქნა რამდენიმე პირი?.. უთუოთ, ეს არის "ერთი პატარა"ნაბიჯი" "სწორი"მიმართულებით, მაგრამ ნამდვილ, დემოკრატიულ არჩევნებზე მანამდე არ შეიძლება ლაპარაკი, სანამ - საქართველოს ფარგლებში რომ დავრჩეთ - საქართველო ისევ არ გახდება დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო, როგორც ეს იყო 1918-1921 წლებში, როცა - მ რ ა ვ ა ლ პ ა რ ტ ი უ ლ ი სისტემის პირობებში - ამომრჩეველს მართლაც გააჩნდა ა რ ჩ ე ვ ა ნ ი ს უფლება.

XI.

მაშ, იმედი, კიდევ იმედი, რომ იმგვარი ნამდვილი დემოკრატიული არჩევნების პირობები მალე შეიქმნება საქართველოში, როგორიც გაგვაჩნდა 1918-1921 წლებში - საქართველოს დამოუკიდებლობის დროს.

კარლო ინასარიძე
პარიზი, 1989 წლის მაისი

---

ქართული დემოკრატია ანუ სოციალური დემოკრატია არის დემოკრატიის უმაღლესი ფორმა, რომელიცაა თეზის-ანტითეზის-სინთეზის უწყვეტი პროცესი, რომელშიც ყოველდღიურად იქმნება-ხორციელდება "ნივთიერი კეთილდღეობა როგორც დედა-ბოძი ადამიანის ცხოვრებისა; თავისუფლება მთელი ერისა და თითოეული ადამიანისა".

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველო - ნადიმისა და პოეზიის ქვეყანა

I.

"...ნადიმი აერთებს ჩვენი ერის ყოფიერებას საერთოდ, რომლის დროს 'ერთად-ბჭობა', 'ერთად-მოლხენა', 'ერთად-სიამოვნება' პოეზიასაც, მუსიკასაც, და თვით 'სახალხო','ერის საქმესაც' თავისთავში აქცევს, რომლის დროს 'თამადა' არის სიმბოლო თვით ერის 'თამადისა', ე.ი. მმართველი, 'ხელ-მწიფე' ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით".

II.

"...მთელი ყოფიერება ცალკეული ქართველისა, ისევე როგორც ოჯახისა, გვარისა, ტომისა, ერისა 'ერთად-ბჭობაა', ე.ი. ნადიმია, რომლის დროს, პოეზიის ფარგლებში რომ დავრჩეთ, არ არსებობს 'კარგი' და 'ცუდი' ლექსი, რადგან ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი მისი შემადგენელი ნაწილია, ვინაიდან ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი - საქმე თუ სიტყვა - 'ერთად-ყოფნას', 'ერთად-სიამოვნებას', 'ერთად-ბჭობას' ემსახურება, რომლის გარეშე ერის, ხუ ლ ცოტა, ქართველი ერის ყოფიერება წარმოუდგენელია".

III.

"და,საერთოდ, აქ გამოქვეყნებული, სხვადასხვა დონისა და ხარისხის პოეზიის ნიმუშებიც არ ადასტურებენ, რომ საქართველო -ნადიმისა და პოეზიის ქვეყანაა?.."

---

## "უ ც ნ ო ბ ი  პ ო ე ტ ე ბ ი ს"  ლ ე ქ ს ე ბ ი

ამჯერად, ვაქვეყნებთ რამდენიმე ლექსს, რომელთა ავტორების ნამდვილი ვინაობა ფსევდონიმების ქვეშ იმალება;და, ალბათ,"უცნობი" დარჩებიან, ვინაიდან ეს ახალგაზრდები იმყოფებოდნენ გერმანიის სამხედრო ტყვეთა ბანაკებში, და რა ბედი ეწიათ მათ ომის დამთავრების შემდეგ, უცნობია. ამგვარი "უცნობი პოეტების" ლექსები კი მრავალი დაიბეჭდა გაზეთ "საქართველოში", რომელიც 1942-1945 წლებში გამოდიოდა ბერლინში. აი, ამ ჩვენი "უცნობი პოეტების" ზოგიერთი ლექსები:

### იმ საღამოს

**ლ. ხეთელი**

ო, იმ საღამოს დასცურავდა ტბაზე ფერია,
აზიდულ ხეებს დაეხარათ თავი მიწისკენ,
თრთოლვით გიცქერდი, გევედროდი: ძვირფასო მიხსენ
და იმ საღამოს დასცურავდა ტბაზე ფერია.

კვდებოდა ზეცა, თავდებოდა დღის მისტერია,
იდექ ტაძარში დალერემილი, როგორც ქანდაკი,
მაშინ გიამბე სიყვარულის ერთი არაკი
და იმ საღამოს დასცურავდა ტბაზე ფერია.

## საქართველოს დავრიში

მე ლექსებს ვწერ... და წერას ვინ დამიშლის,
ვარ ყარიბი,—უცხო ცის ქვეშ გდებული,
საქართველოს მოტრფიალე დავრიში,
საქართველოს ქვევრში დადუღებული...

ჩემს სიმღერებს სიმაგრე აქვს რვალისა,
სტრიქონები მოჩუხჩუხე მტკვარია,
ჯავრი ჩამყვა მყაცრი მაჰმადხანისა,
სიბნელეში გულს ვერ გაუხარია...

თბილისს მოდგა, როგორც მხეცი სპასპეტი,
ქვეყნის წალკოტს უკეთესს სად ნახავდა...
საქართველოს ქალწულები სპარსეთში
თავის ზღაპრულ სილამაზეს მარხავდა...

მწარე ცრემლად დაშრენ ქართლის დედები,
ზღვას უდრიდა მწუხარება ხალხისა,
ბნელში მარტოდ დარჩენილი გედები
ვერაფერმა ველარ გაახალისა...

ახლა იმავ ფიქრ-ნისლებში ვეხვევი,
ჩემი ქვეყნის გულისტკივილს ვიხილავ,—
მე რად მინდა სიცოცხლე და ლექსები,
თუ თბილისი თავის მზეს ვერ იხილავს!

მე ლექსებს ვწერ საქართველოს გულისთვის
ვარ ყარიბი,—უცხო ცის ქვეშ გდებული,
სიტყვა მითქვამს ჩემი ხალხის გულისთქმის,
თვით ამ ხალხის გულში დადუღებული:

მე ქართული მიწა მინდა ფხვიერი
და სიმართლე—ქართულ მზის დანიშნული,
სუფრა —სავსე ჩვენებური იერით,
საქართველოს ხმალი დაზარნიშული;

სილამაზე ჩვენი კოხტა მთებისა,
ვაჟას ხელში ასე ჩამოკირული,
სინარნარე ქალწულების ხმებისა
და ქართული ენა—გველისპირული... 1)

მე ლექსებს ვწერ...და წერას ვინ დამიშლის,
ვარ ყარიბი,—უცხო ცის ქვეშ გდებული,
საქართველოს მოტრფიალე დავრიში,
საქართველოს ქვევრში დადუღებული!..

---

1) ერთგვარი ხმალია!—

ვ. ურდოელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სიმღერა

ვიგემე ბედის სიმწარე,
ცრემლი და ამაოება,
ძნელი ყოფილა ყველაზე
სამშობლოს გამოთხოვება!

მთვარე რას ფიქრობს, ნეტავი
ნისლი რომ მოუხვევია,—
ჩემი სამშობლოს ამბავი
გულში ღრმად ჩაუხვევია.

ქარმა მიამბო: ჭაბუკო,
მზიდველო მწარე ხვედრისა,
მისმინე, უნდა გაუწყო
ამბავი მშობელ დედისა:

ძუძუ დააჭრეს საბრალოს
სისხლით მოირწყო ველები
და გაიგუდნენ ამ სისხლით
ჩვენი მამულის გმირები.

თქვენგან მოელის შველასა
პატარა კახის ივერი,
გქონდეთ მხნეობა ყველასა
უნდა გაქელიტოთ იქ მტერი!

რომ ჩვენს მამულში კვლავინდებრ
ყვაოდნენ ვარდნი, იანი,
ერს ჰქონდეს ვით სიამაყე
თავისი ენა წყლიანი!

გ. გომარელი.

## ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ყოფა-ცხოვრება

### გიორგი გვაზავას დაბადების 120 წლისთავი

I.

შესრულდა 120 წელი "საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის" პროექტის შემქმნელ გიორგი გვაზავას დაბადებიდან.

II.

გიორგი გვაზავა დაიბადა 1869 წლის 23 აპრილს ნაქალაქევში და გარდაიცვალა 1941 წლის 21 იანვარს პარიზში. საშუალო განათლების შემდეგ, ის სწავლობდა მოსკოვის უნივერსიტეტში, სადაც მან იურიდიული ფაკულტეტი დაამთავრა "ოქროს მედლით"; და სწავლობდა აგრეთვე, იმავე დარგზე, პარიზის უნივერსიტეტში.

III.

გიორგი გვაზავა ახალგაზრდობიდანვე ჩაება საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მუშაობაში. 1905 წელს მან დაარსა ეროვნული პარტია, რომლის მიზანი იყო ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლა. 1907 წელს, გიორგი გვაზავამ შეადგინა დეკლარაცია, ვარლამ ჩერქეზიშვილთან ერთად, რომელსაც ხელი მოაწერეს ხუთ-ათასზე მეტმა კაცმა, და წარუდგინა ჰააგის კონფერენციას. ეს დეკლარაცია მოითხოვდა 1783 წლის რუსეთ-საქართველოს ტრაქტატის დებულებების ცხოვრებაში გატარებას. 1909 წელს კი გიორგი გვაზავამ თბილისში დაარსა ჟურნალი "საქართველოს აზრი", რუსულ ენაზე, რომელშიც ქვეყნდებოდა მასალები განსაკუთრებით ეროვნულ საკითხებზე.

IV.

გიორგი გვაზავამ იმოგზაურა ევროპაში და ჩეხოსლოვაკიაში დაესწრო სპორტული საზოგადოების "შევარდენის" ვარჯიშობას, რომლის შესახებ დაწერა სტატია, რომელშიც აღწერდა თუ როგორ ემზადებოდნენ ჩეხები, განსაკუთრებით ახალგაზრდობა ავსტრიის ბატონობისაგან განსათავისუფლებლად. ამავე დროს, გიორგი გვაზავა მოუწოდებდა ქართველ ახალგაზრდობას ანალოგიური საზოგადოების დაარსებისაკენ, რის გამო მეფის ხელისუფლებმა იგი დააპატიმრეს და მიუსაჯეს ერთი თვით თავისუფლების აღკვეთა და მოათავსეს მეტეხის ციხეში. მეტეხის ციხეში კი მან თარგმა ქართულად ბერძენი ტრაგიკოსის სოფოკლეს "ანტიგონე".

V.

გიორგი გვაზავამ აქტიური მონაწილეობა მიიღო საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებასა და მის მოსამზადებელ მუშაობაში. ამის შესახებ, ნოე ჟორდანია, თავის მოგონებაში "ჩემი წარსული"(პარიზი,1953 წელი), სხვათა შორის, წერს:
"საჭირო იყო დამოუკიდებლობის აქტის შედგენა და მიღება ეროვნულ საბჭოში. გამოვყევით კომისია ჩემთან ერთად სამუშაოთ ამ საკითხში. მე ვთხო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვე კომისიის წევრს გიორგი გვაზავას შევადგინა პროექტი, როგორც იურისტს და მოეწონა ჩემთვის. მან შეადგინა, წავიკითხე, გავოცდი. სწორ, ნაციონალურ დებულებათა გვერდით იყო წამოყენებული სოციალური რეფორმების დებულებანი: რვა საათის სამუშაო დღე, მამულების კონფისკაცია და სხვ. მე ასეთი მუხლები ჩავთვალე უადგილოთ; საჭირო იყო ერთი ყველა ქართველისათვის მისაღები ნაციონალური პლატფორმა, საიდანაც უნდა გამოირიცხოს ყველა განმთიშველი ელემენტები. ამ აზრის თანახმად შევასწორე პროექტი, ამოვაგდე იქიდან ყველა კლასობრივი ხასიათის მუხლები, დავტოვე შესწორებით მხოლოდ ნაციონალურ-პოლიტიკური ხასიათის. ასე შესწორებული წაუკითხე კომისიას. გიორგი გვაზავას ხმა არ ამოუღია; სახეზე დავინახე განცვიფრების და კმაყოფილების ბეჭედი. ალბათ ფიქრობდა - ეს საციმბირო რევოლუციონერი ჩემზე უფრო ზომიერი აღმოჩნდაო. არ გაემტყუნება, რაც გვიცნობდა. ამ ნაირათ დეკლარაცია შემუშავდა, რაიცა მე წავიკითხე 26 მაისს და გადაიქცა ჩვენი თავისუფლების ძირითად ქარტიად. იშვა 26 მაისი".

VI.

დამოუკიდებელი საქართველოს დაპყრობის შემდეგ, 1921 წლის თებერვალ-მარტში, გიორგი გვაზავა იძულებული გახდა დაეტოვებინა საქართველო და თავი შეაფარა საფრანგეთს. უცხოეთში გიორგი გვაზავამ გააჩაღა მუშაობა საქართველოს უფლებების აღსადგენად. მან დაარსა, მაგალითად, ჟურნალი "პრომეთე", რომელიც გამოდიოდა ფრანგულ ენაზე და რომელშიც წამოყენებული და გაშუქებული იყო საკითხები საქართველოს დამოუკიდებლობის ისევ აღდგენისთან დაკავშირებით. ამავე დროს, გიორგი გვაზავა განაგრძობდა კულტურული ხასიათის მოღვაწეობას: თარგმნა ქართულად რასინის "მითრიდატი", დაწერა ფრანგულ ენაზე პროშურა "მსოფლიოს პირისპირ"(1934 წ.), თარგმნა ფრანგულად ლექსი "როსტომელა", დაარსა ქართველ მწერალთა და ჟურნალისტთა კავშირი საფრანგეთში, დაარსა აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციის - ერთა ლიგის - დამხმარე საზოგადოება იმ მიზნით, რომ ამ საერთაშორისო ორგანიზაციაში არ ჩამქრალიყო საქართველოს უფლებების დაცვის საკითხი.

VII.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ გიორგი გვაზავა ერთგულად თანამშრომლობდა საქართველოს ეროვნულ მთავრობას - და პირადათ ნოე ჟორდანიასთან უცხოეთშიაც, და მის იურიდიულ ცოდნას და გამოცდილებას აქსოვდა საქართველოს თავისუფლებისათვის სამსახურში.

VIII.

გიორგი გვაზავა იყო მეტად გულკეთილი, პირდაპირი, დაუღალავი და დიდი ნებისყოფის ადამიანი, როგორც საზოგადოებრივ, ისე პირად, ოჯახურ ცხოვრებაში. გიორგი გვაზავა გარდაიცვალა 72 წლის ასაკში, 1941 წლის 21 იანვარს.

IX.

გიორგი გვაზავამ - მისი პოლიტიკური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის გვერდით - 1939 წელს გამოსცა აგრეთვე საკუთარი ლექსების წიგნი - "ჩემი ლექსები", რომელთაგან ერთს "გუშაგი" უძღვნის დიდი ილიას ხსოვნას.

კარლო ინასარიძე
პარიზი, 1989 წლის მაისი

## ქართული სათვისტომოს კრება

1989 წლის 11 თებერვალს, პარიზში, ჩატარდა საერთო კრება ქართული სათვისტომოსა საფრანგეთში, რომელსაც მრავალი ხალხი დაესწრო.

ქართული სათვისტომოს გასული ორი წლის მუშაობის საანგარიშო მოხსენება გააკეთა ბატონმა ოთარ პატარიძემ, ქართული სათვისტომოს თავჯდომარემ, რომელმაც დეტალურად შეეხო ქართული სათვისტომოს მართლაცდა ნაყოფიერ მუშაობას გასული დროის განმავლობაში. საზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ქართული სათვისტომოს თავჯდომარემ ამ 2 წლის განმავლობაში, არსებითად , - ეროვნული შეგ ბითა და გულისტკივილით, - კარგად უძღვებოდა ჩვენს სათვისტომოს საქმეს.

ქართული სათვისტომოს თავჯდომარემ, ბატონმა ოთარ პატარიძემ, პირადი მდგომარეობის გამო გადადგა სათვისტომოს თავჯდომარეობიდან და უარი თქვა მისი კანდიდატურის წამოყენებაზე. სხვა წამოყენებულმა კანდიდატებმაც,

სამწუხაროთ, უარი განაცხადეს, რის შედეგად ქართული სათვისტომოს ყოფილ გამგეობამ თავისთავზე აიღო სათვისტომოს მართვა-გამგეობა და სათვისტომოს ახალი თავჯდომარის კანდიდატს გამონახავს მიმდინარე წლის ივნისამდე.

მ.უ., პარიზი, 1989 წლის 11 თებერვალი

## ემიგრაციის კრება

ჟურნალ "გუშაგის" მოწვევით, 1989 წლის 8 იანვარს, პარიზში, წმინდა ნინოს ქართული ეკლესიის დარბაზში ჩატარდა ქართული ემიგრაციის კრება, რომელზედაც მოხსენება გააკეთა ჟურნალ "გუშაგის" დირექტორმა - გიორგი წერეთელმა თემაზე: "საქართველოს უკანასკნელი ამბები და ჩვენი ემიგრაციის გადაუდებელი მოვალეობა". მომხსენებელი შეეხო საქართველოში გასულ წელს მომხდარ მნიშვნელოვან ამბებს, განსაკუთრებით ეროვნულ და სამართალდამცვის მოძრაობათა საქმიანობას და საზგასმით ილაპარაკა 1988 წლის 22 ნოემბრიდან 29 ნოემბრამდე, თბილისში, მთავრობის სასახლის წინ გამართული ხალხმრავალი დემონსტრაციების შესახებ - საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციაში რესპუბლიკის სუვერენობის უფლების დაცვის მიზნით.

ჟურნალ "გუშაგის" მიერ მოწვეულ ამ კრებამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც, სხვათა შორის, ნათქვამია:

"1. ჩვენ, საფრანგეთში თავშეფარებული პოლიტდევნილები და მათი შთამომავლები, რომლებიც დღეს, 1989 წლის რვა იანვარს, შევიკრიბეთ პარიზის ქართული ეკლესიის ბინაში, საჯაროდ ხმამაღლა ვაცხადებთ ჩვენს ურყევ ერთგულებას ხალხთა საყოველთაოდ აღიარებულ უფლებისადმი: თვით განაგოს თავისი ბედი, კერძოდ კი ქართველი ხალხის უფლებისადმი - აღიდგინოს ძალით წართმეული ეროვნული დამოუკიდებლობა.

კრება კმაყოფილებით ეგებება იმ ფაქტს, რომ გასულ წელს ადგილი ჰქონდა ამ მიმართულებით წარმოებული სახალხო მოძრაობის დიდ აღმავლობას."

"2. ...კრება იზიარებს მომხსენებლის აზრს, რომ საჭიროა, განურჩევლად პარტიულობისა, სარწმუნოებისა და ქვეშევრდომობისა, ერთ საერთო საქართველოს დამოუკიდებლობის ფრონტში დაირაზმოს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მიმოფანტული ქართული ემიგრაცია და მისი მემკვიდრეები, ამ მიზნის განსახორციელებლად..."

კრებამ შექმნა სამუშაო უჯრედი შვიდი კაცის შემადგენლობით.

ხ.უ.

## "საუკუნო იყოს ხსენება მათი"

ქეთევან რაფიშვილი-ნაკაშიძისა გარდაიცვალა ნიუ-იორკში 1989 წლის 18 იანვარს.

ქალბატონი სილვი ასათიანი გარდაიცვალა ქალაქ მონრეალში(კანადა) 1989 წლის 19 იანვარს 42 წლის ასაკში.

ბენო ნოეს-ძე რამიშვილი, დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის პირველი თავჯდომარისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის უფროსი ვაჟიშვილი, 81 წლის ასაკში, გარდაიცვალა პარიზის ახლოსმდებარე დაბა ლევილის ქართულ მამულში და დაკრძალულ იქნა ლევილის ქართულ ძმათა სასაფლაოზე.

## ბ ა ლ ა ნ ს ი

ესე-იგი შემოწირულებათა და ხარჯების ანგარიში "მებრძოლი საქართველოს" 5(23), 6(24), 7(25) და ბროშურისა("ჩემი პასუხი") გამოქვეყნებულ იქნება "მებრძოლი საქართველოს" შემდეგ ნომერში.

სარედაქციო კოლეგია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# Conseil National Géorgien

## ქართული ეროვნული საბჭო

"ქართული ეროვნული საბჭო არის პოლიტიკური ორგანიზაცია, რომლის მიზანია საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და სუვერენობის ისევ-აღდგენისათვის ხელშეწყობა ყოველგვარი ლეგალური გზით. ქართული ეროვნული საბჭო თავის მოღვაწეობაში ეყრდნობა '26 მაისის იდეებს', განსაკუთრებით კი 'საქართველოს დამოუკიდებლობის აქტისა' და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის(ძირითადი კანონის) დებულებებს".

ქართული ეროვნული საბჭოს წესდება, მუხლი მესამე

"ქართული ეროვნული საბჭო თავისთავს დაშლილად გამოაცხადებს, როცა საქართველოს დედაქალაქში, თბილისში, ისევ-აღსდგება '26 მაისის იდეა', ე.ი. გამოცხადებულ იქნება საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სუვერენობა".

ქართული ეროვნული საბჭოს წესდება, მუხლი ოცდამეორე

**Conseil National Géorgien**
Chateau de Leuville
91310 - Leuville sur Orge
FRANCE

გ თ ხ ო ვ თ

გამოსაქვეყნებელი მასალები, წერილები და შემოწირულებანი გამოგზავნეთ შემდეგ მისამართზე:

M. Mamia Berichvili
"La Géorgie Combattante"
CHATEAU DE LEUVILLE
10, rue Jules Ferry
91310 Leuville sur Orge
F r a n c e

ს ა რ ე დ ა ქ ც ი ო   კ ო ლ ე გ ი ა

# მებრძოლი საქართველო

ქართული ეროვნული საბჭოს ორგანო

„LA GÉORGIE COMBATTANTE"

მაისი 1989 - Nr. 7(25) - MAI 1989

"ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს". ილია

"დემოკრატიის ორგანოა მოქალაქეთა უმრავლესობა. აქედან წამომდგარი ხელისუფლება არის მომქმედი, მჭრელი, მებრძოლი". ნოე

დაარსდა: იანვარი, 1952, პარიზი - Fondation: Janvier 1952, Paris

JK 833 / E
1989 / 2
ეროვნული
ბიბლიოთეკა